ქართლის ცხოვრება

წიგნი II

ტექსტის ადაპტაცია,
ბოლოთქმა და განმარტებები
ეკუთვნით:
მანანა სანაძეს
ნოდარ შოშიაშვილს

რედაქტორი აკად. **როინ მეტრეველი**

გამომცემლობა „ნეკერი“

1998

„ქართლის ცხოვრების" ადაპტირებული ტექსტის II წიგნში შედის ჯუანშერისა და ლეონტი მროველის თხზულებები: „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა" და „წამება წმინდისა არჩილისა". ქრონოლოგიურად ეს მოიცავს პერიოდს V ს-ის მეორე ნახევრიდან VIII ს-ის დასაწყისამდე (ე.ი. ვახტანგ გორგასლის მეფობიდან ერისმთავარ არჩილის წამებამდე).

წინამდებარე გამოცემაში, ისევე როგორც I წიგნში, „ქართლის ცხოვრების" ტექსტი, შინაარსობრივად, არ შემოკლებულა. ადაპტაცია შეეხო მხოლოდ ენობრივ მხარეს: ტექსტი მაქსიმალურად მიახლოებულია თანამედროვე ქართულთან, თუმცა ნაწილობრივ შენარჩუნებულია ძველი ქართულის ლექსიკა და სტილისტური თავისებურებები.

„ქართლის ცხოვრების" ადაპტირებულ ტექსტს ერთვის „ბოლოთქმა", რომელიც შეიცავს ინფორმაციას თხზულებათა ავტორებისა და მათი დაწერის დროის შესახებ. „ბოლოთქმას" მოსდევს „განმარტებები", სადაც გაანალიზებულია „ქართლის ცხოვრების" ცნობები და შეჯერებულია თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მონაცემებთან. ცალკეა განმარტებული პირთა, გეოგრაფიული და ეთნიკური სახელები.

ნაშრომი განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ საქართველოს ისტორიის შესასწავლად საშუალო სკოლის მაღალი კლასების მოსწავლეებისა და უმაღლესი სკოლების სტუდენტებისათვის. ის სამსახურს გაუწევს აგრეთვე საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ ფართე საზოგადოებას: დაეხმარება საქართველოს ისტორიის საკითხების უკეთ გაცნობიერებაში.

ჯუანშერ ჯუანშერიანი

ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა

მეფობა არჩილისა მირდატის ძისა

ოდესაც ქართველთა მეფე მირდატი შეიპყრეს ბრძოლაში სპარსთა და წაიყვანეს ბაღდადს, სადაც ის მიიცვალა, დაიპყრეს მათ ქართლი და შებღალეს ეკლესიები, მაშინ დამალეს ჯვრები ქართველთა და ქართლის ყველა ეკლესიაში ცეცხლის მსახურთა სპარსთა აღაგზნეს ცეცხლი. ხოლო ქართველ მეფეთა შთამომავლები დარჩნენ კახეთის ხევში. სამი წლის შემდეგ მოუცლელ იქნა სპარსთა მეფე, რადგან აღმოსავლეთიდან აღდგნენ მის წინააღმდეგ მტრები. მაშინ შეითქვენ ქართლის აზნაურები, მოიყვანეს და დასვეს მცხეთას მეფედ ძე მირდატისი, სახელად არჩილი.

არჩილმა მოიყვანა ცოლი საბერძნეთით, ჩამომავალი იებიმიანოს მეფისა, სახელად მარიამი და განაცხადა მტერობა სპარსთა. გამოაჩინა ჯვრები და მოკაზმა ეკლესიები. მოსრა და გააძევა ყველა ცეცხლის მსახური ქართლის მიწაწყლიდან. მიიღო დამხმარე ძალა საბერძნეთიდან და ჯვრის წინ წამძღვარებით დაუწყო ბრძოლა სპარსთა.

მაშინ, სპარსთა მეფის ერისთავმა, რომელიც ერისთავობდა რანს, მოვაკანს და არჩილის მეფობამდე განაგებდა ქართლსაც, შეკრიბა სპა რანისა, მოვაკანისა და ადარბადაგანისა და გამოემართა არჩილის წინააღმდეგ. ხოლო არჩილი, ღმრთის სასოებით და მინდობით, მიეგება მას ქართლისა და რანის საზღვარზე, შეებრძოლა იქ მდინარე ბერდუჯთან და პატიოსნის ჯვრის ძალით მოსრა და დაატყვევა მტერი. შემდეგ შევიდა რანს, მოტყვევნა და დაბრუნდა შინ გამარჯვებული.

არჩილმა ქართლის ყოველ კუთხეში დაგზავნა ქადაგნი და ამცნო ყველას: „არა ძალითა ჩვენითა, არცა სიმხნითა, არცა სიბრძნითა, არცა სპათა სიმრავლითა ვძლიეთ მტერს, არამედ ჯვრითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, ძითა ღმრთისითა, რომელმაც მოგვცა წინამძღვრად და საჭურველად ჯვარი მისი პატიოსანი. აწ ყოველთა ქართველთა ადიდეთ სამება ერთარსება, ღმერთი დაუსაბამო, დამბადებელი ყოვლისა. შესწირეთ მადლობა და მტკიცე იყოს გული თქვენი წმინდა სამების სარწმუნოებაზე.” მაშინ ყოველთა ქართველთა შესწირეს მადლობა ღმერთს და განაახლეს ეკლესიები.

არჩილ მეფემ ააშენა მცხეთას ეკლესია სტეფანწმინდისა, არაგვის კარიბჭის თავზე, იქ სადაც იდგნენ მისივე აშენებული მტკიცე საბრძოლო კოშკები.

ჰყავდა ძე არჩილს, სახელად მირდატი. აღიზარდა მირდატი და მიაღწია მამაკაცობის ასაკს. იყო ის მორწმუნე და ღმრთის მსახური, ვითარცა მამა მისი და აგრეთვე ქველი და შემმართებელი. მან უმეტესად დაუწყო ბრძოლა სპარსთა, შესვლა და ტყვენვა რანსა და მოვაკანსა, რადგან მას ჟამსა მოუცლელი იყო მეფე სპარსთა: ებრძოდა ის ჰინდოთა, სინდთა და აბაშთა და არ შეეძლო დიდი სპის გამოგზავნა, ხოლო რანისა და მოვაკანის სპას ჯაბნიდნენ ქართველნი. წინამძღვრობდა მირდატი თავის მამის ლაშქარს და მარადის ტყვენვიდა რანსა და მოვაკანს.

იმ ჟამად იყო რანს ერისთავად ბარზაბოდ და ვერ აღუდგებოდა იგი წინ ქართველთა, მხოლოდ ამაგრებდა ციხეებს და ქალაქებს. ქართველთა რანში შეჭრისას, სადაც კი შეებრძოლებოდნენ სპარსელები მათ ლაშქარს, მუდამ სპარსელები მარცხდებოდნენ.

რანის ერისთავს ბარზაბოდს ჰყავდა ასული ქმნულკეთილი, მშვენიერი, სახელად საგდუხტი. უთხრეს მირდატს, არჩილის ძეს, სიმშვენიერე მისი. ესმა რა სიმშვენიერე მისი, აღეძრა ტრფიალი მირდატს მის მიმართ და მოახსენა თავის მამას: „ვევედრები შენს მეფობას, მომგვარე ცოლად საგ-

დუხტი, ბარზაბოდის ასული და ჩამოვაგდოთ მშვიდობა ჩვენს შორის. მართალია, ქრისტეს ძალით, დღეს ჩვენ ვჯაბნით რანს, მაგრამ ვერ ვიღებთ მათ ციხეებს და ქალაქებს. ვაი, თუ მოიცალოს სპარსთა მეფემ, იძიოს შური ჩვენზე, მოაოხროს ეკლესიები და ჩვენი ქვეყანა. აწ ამით შეწყდეს მტრობა ჩვენს შორის, რადგან, რასაც რანის ერისთავი მოახსენებს ჩვენზე სპარსთა მეფეს, ის იმას შეისმენს და ამით მტკიცედ და შეურყეველად ვიპყრობთ ხელთ ქართლის მიწა-წყალს. განმტკიცდება ქართლში ქრისტეს სჯული და სპარსთა მძლავრობის გამო, აღარ დაეუფლება ქართველთა გულებს ეჭვი და გმობა ქრისტეს სჯულისა". ყოველივე ეს მირდატმა ქალის სიყვარულისთვის წარმოსთქვა.

მაშინ არჩილ მეფემ აღასრულა ნება მისი. წარგზავნა მოციქული ბარზაბოდთან და ითხოვა თავისი ძისთვის ასული მისი. ხოლო ბარზაბოდმა გაიხარა ფრიად, რადგან მოოხრებული იყო ქვეყანა მისი ქართველთაგან და შეჭირვებოდა. ითხოვა ფიცი და აღქმა მშვიდობისა. მისცეს მას ფიცი. გამოგზავნა ბარზაბოდმა თავისი ასული დიდი მზითვით. მოიყვანეს მცხეთას და ქმნეს ქორწილი. და იყო შვება და განცხრომა დღეთა მრავალთა. მისცა მეფემ თავის ძეს სამშვილდე საერისთავოდ და დასახლდნენ იქ მირდატი და საგდუხტი. საგდუხტ დედოფალმა გამოიკითხა სჯული ქრისტესი. მაშინ მიჰგვარა ქმარმა მისმა კაცნი სჯულის მეცნიერნი. განუმარტეს მათ სახარება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და აუწყეს, რომ ქრისტე არის ჭეშმარიტი ღმერთი, რომელიც განკაცდა ჩვენი ხსნისთვის. შეიგნო საგდუხტმა და იწამა ჭეშმარიტი სჯული, დატოვა ცეცხლისმსახურება, მოინათლა და გახდა მართალმორწმუნე. მან ააშენა სიონი სამშვილდისა.

არჩილის მეფობაში გარდაიცვალა სამი ეპისკოპოსი: იონა, გრიგოლი და ბასილი. ბასილის შემდგომ არჩილმა დასვა ეპისკოპოსი, სახელად მობიდან. ის იყო წარმოშობით სპარსი და მოსაჩვენებლად აღიარებდა მართლმადიდებლობას. სინამდვილეში კი, იყო მოგვი უსჯულო და მომშლელი

წესთა. ვერ მიუხვდნენ არჩილ მეფე და ძე მისი მობიდანის უსჯულობას, არამედ მიაჩნდათ მორწმუნედ. ხოლო მობიდანი, მეფისა და ერის შიშით, აშკარად ვერ ქადაგებდა თავის სჯულს, ფარულად კი წერდა ყოველგვარი საცთურებით აღსავსე წიგნებს. ეს წიგნები მის შემდგომ დაწვა ჭეშმარიტმა ეპისკოპოსმა მიქაელმა, რომელიც განიკვეთა ეკლესიიდან ვახტანგ მეფის შეურაცხყოფისათვის.

არჩილ მეფემ თავისი ცხოვრების ყოველი დღე აღასრულა წმინდა სამების სარწმუნოებაში და ეკლესიათა შენებაში. მთელს ქართლში მოამრავლა მღვდლები, დიაკვნები და ეკლესიათა მსახურები და მოკვდა

მეფობა მირდატისა არჩილის ძისა

ადგდა მეფედ არჩილის ძე მირდატი და იყო იგი მამამისივით დიდად მორწმუნე. დაორსულდა დედოფალი საგდუხტი და შვა ასული, რომელსაც ეწოდა სახელად ხვარამზე. ამის შემდეგ ევედრებოდნენ ღმერთს მეფე მირდატი და დედოფალი საგდუხტი, რათა მიეცა მათთვის ძე. ოთხი წლის შემდეგ ისევ დაორსულდა საგდუხტი და შვა ძე და უწოდა სახელი სპარსულად ვარანხოსრო-თანგ, ხოლო ქართულად – ვახტანგ.

სიხარულით აღავსო მშობლები ყრმა ვახტანგის დაბადებამ. დაგზავნგეს ერისთავებთან მახარობლები, გამოიღეს ხვასტაგი დიდძალი, ოქრო და ვერცხლი, გაუყვეს გლახაკთა და დღეთა მრავალთა მადლობას სწირავდნენ ღმერთს, ლოცვით და ღამისთევით. შემდეგ უხმო მეფემ ყოველთა წარჩინებულთა ქალაქად და გამართა ხანგრძლივი პურობა და დროსტარება და ყველანი ღმერთს შესთხოვდნენ ყრმა ვახტანგის აღზრდას. მაშინ ითხოვა საურმაგ სპასპეტმა მეფისგან დიდი ვედრებით ვახტანგი აღსაზრდელად. მიანიჭა მეფემ საურმაგ სპასპეტს ეს წყალობა. მისცა მას თავისი ძე ვახ-

ტანგი აღსაზრდელად, რადგან წესი იყო, რომ მეფეთა შვილები წარჩინებულების სახლებში უნდა აღზრდილიყვნენ.

ამის შემდეგ მეექვსე წელს, შვა საგდუხტ დედოფალმა ასული სხვა და უწოდა მას სახელად მირანდუხტი. მოითხოვა იგი აღსაზრდელად კასპის სპასალარმა და მისცა ის მეფემ. წაიყვანა მან მირანდუხტი კასპის ქალაქში და იზრდებოდა იქ.

ამ ამბებიდან მეორე წელს მოკვდა მეფე მირდატი და დარჩა ვახტანგი შვიდი წლის ყრმა.

ვახტანგ მეფის ყრმობა

მირდატ მეფის გარდაცვალების შემდეგ ეშინოდა საგდუხტ დედოფალს თავისი მამის, ბარზაბოდის შურისგებისა: „ვაითუ შური იძიოს მამაჩემმა ჩემი მამამთილის და ქმრის ნამოქმედარისთვის, რადგან ესოდენი ბოროტება შეემთხვა მათგან; და ვაითუ შური იძიოს ჩემზე სჯულის დატოვებისთვის, დაღუპოს ჩემი შვილი, მოაოხროს ქართლი და ქრისტეს სჯული აღმოფხვრას.” იფიქრა ყოველივე ეს და ჩავარდა დიდ მწუხარებაში. ევედრებოდა ღმერთს და განიზრახა წასვლა მამის წინაშე და შეხვეწა მისი. მოუხმო სპასპეტის წინაშე ყველა ერისთავს და სიმწრის ცრემლებით აღვსილმა მიაბარა თავისი ძე სპასპეტსა და ერისთავებს.

წავიდა საგდუხტი ბარდავს, თავის მამასთან, გაიშიშვლა თავი, მოიყარა მუხლნი, ამოიყარა თვისნი ძუძუნი, განერთხა მის წინაშე, ემთხვია ტერფებზე, დაალღობდა ცრემლით მამის ფეხებს და ითხოვდა მისგან შეწყალებას, მამამთილისა და მისი ქმრის ნამოქმედარის არგახსენებას, მის მიერ წინაპართა სჯულის დატოვების შენდობას. ევედრებოდა, რათა ძალით არ აიძულოს დატოვება ქრისტეს სჯულისა, რამეთუ იგი არს ღმერთი ჭეშმარიტი. ევედრებოდა, რა-

თა დაანებოს მის შვილს მამული-ქვეყანა და მფარველობა გაუწიოს სპარსთა მეფის წინაშე.

მაშინ ბარზაბოდმა, რომელიც ემზადებოდა ქართლისათვის ბოროტის ყოფად, შეიწყალა თავისი ასული, არ აიძულა სჯულის დატოვება და აღასრულა ყველა მისი თხოვნა; სჯულის შესახებ კი, ასე სთქვა: „ძალით არ ვაიძულებ ქართველებს ქრისტეს სჯულის დატოვებას, მაგრამ გამოვგზავნი თქვენს ქალაქში ცეცხლის მსახურებს და განვაწესებ მათზე ჩვენი სჯულის ეპისკოპოსებს და, თუ ვინმე ქართველი თავისი ნებით აირჩევს ჩვენს სჯულს, ნუ დაუშლით". მაშინ საგდუხტი დიდი შიშის გამო დამორჩილდა თავის მამას, ღმერთს მინდობილმა აღუთქვა ყოველი და წავიდა ქართლად.

ბარზაბოდმა წარმოგზავნა ცეცხლის მსახურნი მცხეთას და ეპისკოპოსად მათზე განაჩინა ბინქარან და დასახლდნენ მოგვთას. ხოლო საგდუხტ დედოფალი განაგებდა მეფობას, თავისი მამის ძალით და შეწევნით. მოკვდა ბარზაბოდ, მამა საგდუხტისი და მის ნაცვლად სპარსთა მეფემ დაადგინა მისივე ძე - ვარაზ-ბაკური, ძმა საგდუხტ დედოფლისა.

მოკვდა საურმაგ სპასპეტი, მამამძუძე ვახტანგისი. მაშინ მეფემ დაადგინა სხვა სპასპეტი, სახელად ჯუანშერი, ხოლო ბინქარანი, ეპისკოპოსი ცეცხლის მსახურთა, ასწავლიდა ქართველებს თავის სჯულს. წარჩინებულთაგან არავინ უგდებდა მას ყურს, ხოლო წვრილი ერი მრავალი მიიქცა ცეცხლისმსახურებაზე. ამრიგად შეერია ქართლში წვრილ ერს ცეცხლისმსახურება. ამისთვის მწუხარე იყო საგდუხტ დედოფალი, მაგრამ სპარსთა მძლავრობის გამო ვერას ბედავდა. მაშინ მოიყვანა მღვდელი ჭეშმარიტი საბერძნეთიდან, სახელად მიქაელი და დაადგინა იგი ეპისკოპოსად ზემო ეკლესიაში, რადგან მობიდან ეპისკოპოსი გარდაცვლილიყო. ეს მიქაელ ეპისკოპოსი წინაღუდგა ბინქარან მაცთურს და ასწავლიდა ყოველთა ქართველთა ჭეშმარიტ სჯულს. მან გა-

ნამტკიცა ქრისტეს სარწმუნოება ქართლის ყოველ წარჩინებულში და ერის უმრავლესობაში. მაგრამ მცირე ნაწილი წვრილი ერისა მიიქცა ცეცხლის მსახურებაზე.

ოვსთა და ბერძენთა მიერ ქართლის დალაშქვრა

როცა ვახტანგი გახდა ათი წლის, გადმოვიდა ოვსთა ურიცხვი სპა და დაარბია ქართლი, მტკვრის სათავიდან ვიდრე ხუნანამდე. ოსებმა მოაოხრეს ბარი, ციხე-ქალაქები კი გადაურჩნენ მათ შემოსევას, გარდა კასპისა. ქალაქი კასპი კი შემუსრეს და წარტყვენეს და წაიყვანეს ვახტანგის და მირანდუხტი, სამი წლის ქალი. გადაურჩნენ მათგან აოხრებას ქართლის ხევები: კახეთი, კლარჯეთი და ეგრისი. ჩავლეს მათ რანი და მოვაკანი, წარტყვენეს ისინიც და განვლეს კარი დარუბანდისი, რამეთუ გზა მისცეს დარუბანდელთა და შევიდნენ ოვსეთს გამარჯვებულნი.

მასვე ჟამსა გამოვიდნენ ბერძნები აფხაზეთიდან, რადგან ბერძნებს ჰქონდათ მიტაცებული ეგრის-წყალს ქვემოთ მთელი ეს მხარე, დაიპყრეს ეგრის-წყლიდან ციხე-გოჯამდე. მაშინ შეიქმნა გლოვა და წუხილი ქართველთა შორის და იტყოდნენ: „მრავალგზის შევცოდეთ ღმერთს და კარგად ვერ შევიმცნეთ სჯული ქრისტესი და წესი იოვანეს მცნებისა. სასჯელად მოაწია ღმერთმა ჩვენზე ეს რისხვა, მიგვცა დასარბევად უცხო ტომთა და წაგვართვა მხარე ჩვენი ბერძენთა ძალითა. ისევე, როგორც წაართვა ღმერთმა ბერძენთავე ძალით მეფე ვარაზ-ბაქარს კლარჯეთი. ისიც ვარაზ-ბაქარის ცოდვათა გამო მოიწია, რადგან კეთილად ვერ ეპყრა მას სჯული ქრისტესი. ახლა კი ეს მოხდა არა მეფეთა ჩვენთა ცოდვების გამო, არამედ ერის ცოდვათა შედეგად. აწ მეფე ჩვენი ყრმა არის და არა გვყავს ჩვენ წინამძღოლი, რომე-

ლიც ქრისტეს სასოებით და ჯვრის წინამძღვრობით წაგვიძღვება ჩვენ, რათა თავდაპირველად ვიძიოთ ჩვენ შური ოვსებზე, ხოლო შემდეგ ვძებნოთ ქართლის მიწა ბერძენთაგან". ამას იტყოდნენ ყოველნი ქართველნი და იყვნენ დიდ მწუხარებაში.

ვახტანგის მეფობის დასაწყისი

ზრდებოდა ვახტანგი და სწავლობდა მიქაელ ეპისკოპოსისისაგან ყოველსა მცნებასა უფლისასა. სიყრმიდანვე შეიყვარა მან სჯული ქრისტესი ქართლის ყველა მეფეზე მეტად. და მწუხარე იყო ვახტანგი იმის გამო, რომ შერეოდა ქართლს ცეცხლის მსახურება და დარბეული იყო ქვეყანა და მიწები მისი მიტაცებული. უმეტესად კი სწუხდა იგი სარწმუნოების შებღალვის გამო, მაგრამ სპარსთა მძლავრობის რიდით ვერ კადნიერებდა ამის გამჟღავნებას.

როცა შეიქმნა ვახტანგი თხუთმეტი წლის, მოუწოდა ქართლის წარჩინებულებს და შეკრიბა ისინი ქალაქად. აქ გაამზადა მეფემ სახლი, სადაც დაჯდა მაღალ საყდარზე. საყდრებზევე დასხდნენ ჯუანშერ სპასპეტი და ორივე ეპისკოპოსი, ხოლო ერისთავები დასხდნენ სელებზე; ათასისთავები, ასისთავები და ყოველი ერი კი წამოდგა ფეხზე.

მეფემ, ვითარცა უხუცესმა და ბრძენმა, ფილოსოფოსთა თანა აღზრდილმა, იწყო საუბარი ხმითა მაღლითა: „ღმერთი ზოგჯერ მოუვლენს მეფეებს და ხალხებს განსაცდელს და ჭირს, მათი ცოდვების გამო. როცა მორწმუნენი ხელს აიღებენ ღმრთისმსახურებაზე და გადაუხვევენ მის მცნებას, ის დაატეხავს მათ ჭირს, როგორც დაგვატეხა თავს ჩვენ. ისევე, როცა კარგი მამა შვილს ასწავლის სიკეთეს, ხოლო შვილი უკეთურად ასრულებს ამ სწავლებას, მაშინ მამა გვემით და სწავლით ცდილობს შვილის გამოსწორებას. ასევე

გვწვრთნა ჩვენც ღმერთმა, დამბადებელმა ცისა და ქვეყნისა. ჩვენ გვმართებს, რომ ვუმადლოდეთ ღმერთს ამ მოწყალებას.“

შემდეგ მეფემ კვლავ მიმართა ყოველთა წარჩინებულთა: „ისმინეთ ჩემი: თუმცა ყრმა ვარ და ამიტომ ჩემგან ჯერ არ გინახავთ სიკეთე, მაგრამ თქვენ, რომლებიც დადგინებულ ხართ გამგებლებად, ჩემი მამა-პაპისგან მონიჭებული გქონდათ მრავალი სიკეთე და დიდება. ახლა კი, თუ გვაცოცხლებს ღმერთი, მე მოგანიჭებთ იმზომ სიკეთესა და დიდებას, რაც არ გიხილავთ ჩემთა მამა-პაპათაგან. ახლა, აი რა უნდა გითხრათ: თუმცა ჩემზე და თქვენზე ერთნაირად არის ეს განსაცდელი მოწევნილი, მაგრამ ჩათვალეთ, რომ ის თქვენ კი არა, არამედ მხოლოდ მე დამატყდა თავს. მე არ გავიელებ გულში აზრს, რომ თქვენ იღწვით შურისგებისთვის თქვენზე მოვლენილი განსაცდელის გამო. ყოველივე თქვენს გარჯას ჩემდამი გაწეულ სამსახურად ჩაგითვლით და მოგაგებთ მისთვის სამაგიერო სიკეთეს. მე ვერ მოვითმენ შეურაცხყოფას ოვსთაგან, არამედ, ღმერთის, ერთარსება, დაუსაბამო სამების მინდობით და სასაობით და პატიოსნის ჯვრის წინწამძღვარებით, რომელიც მისთა გულწრფელად მოსიყვარულეთა წინამძღვრად და დასაცავადაა განკუთვნილი, უნდა ვიძიოთ შური ოვსებზე. ეს განსაცდელი რომ დაგვტეხოდა თავს სპარსთა, ან ბერძენთა მეფეთაგან, კიდევ მოვითმენდით. მაგრამ, არ შეგვფერის მოვითმინოთ ის, რაც დაგვაწიეს ბილწმა ოვსებმა. ასეთ ყოფას, სიკვდილი გვიჯობს.

მაშინ ადგა ჯუანშერ სპასპეტი და თქვა: „იცოცხლე მეფეო, უკუნისამდე დიდებით და შენს მტრებზე ნების აღსრულებით. ჭეშმარიტად ბრძანე, რომ ჩვენი ცოდვების გამო მოიწია ჩვენზე ეს განსაცდელი და სამართლიანად დაგვსაჯა ღმერთმა, რადგან გავამრავლეთ ცოდვა მის წინაშე. მადლობა გვმართებს ღმრთისა მიმართ, რადგან უფრო მეტი სასჯელის ღირსნი ვიყავით და არა ამ ზომისა, რომელიც მოიწია

ჩვენზე. მაგრამ მრავალმოწყალე ღმერთმა, ჩვენი შეცოდების ოდენა სასჯელი კი არ მოგვაგო, არამედ მცირითა სასჯელითა გვწვრთნა. ჩვენ ქართლისა მკვიდრთა დიდი მადლობა გვმართებს ღმრთისა მიმართ იმისთვის, რომ შენ, ქართლის ყველა მეფეზე და შენს წინაპრებზე უმჯობესი, ყოვლითა სრული, გმირი ნებროთის მსგავსი, მოგავლინა ჩვენს წინამძღვრად და მოგვცა თავი შენი განმქარვებლად ჩვენთა ძველთა და ახალთა ჭირთა. თუ ჩვენი ცოდვები არ გადასწონიან, შენგან მოველით განქარვებას ყოველთა ჩვენთა ჭირთა და ჩვენი ქვეყნის მიწების ყველა დროზე მეტად გაზრდას, რადგან არავინ ყოფილა ჩვენთა წინაპართა შორის მსგავსი შენი. იცოცხლე მეფეო უკუნისამდე! ის, რაც ჩვენ ოვსთაგან გარდაგვხდა ამ ხუთ წელიწადში, გვაგდებდა დიდ მწუხარებაში, რადგან ყრმა იყავ და არ შეგეძლო მხედრობა და ბრძოლათა წინამძღოლობა და არც შინ მეფობის განგება. აწ მეფეო, თუმცაღა სრულ ხარ სიბრძნითა, ძალითა, სიმხნითა და ტანითა, მაგრამ გაკლია მაინც ასაკი მხედრობისათვის. სხვა მხრივ ვხედავ სიბრძნესა შენსა: თუმცა ყრმა ხარ, უკვე ძალგიძს მეფობის გაძღოლა, ხოლო ჟამი შენს მიერ მხედრობისა და ბრძოლათა წინამძღოლობისა ჯერ არ დამდგარა. ამიტომ ასეთია რჩევა ჩემი: შენი სიბრძნით და დედაშენის რჩევით გამოარჩიე ერთი ვინმე ჩვენთაგანი ლაშქრის წინამძღვრად და ჩაგვაბარე ყველანი მას. ჩვენ დავმორჩილდებით მას, როგორც ვმორჩილებდით მამაშენს და სამების ძალით, ღმერთისა ერთარსებისათა, წავიდეთ და ვიძიოთ შური. შენ კი იყავი შინ და განაგე მეფობა, რომ ვიძლიოთ ოვსთაგან, მეფობა შენი მაინც უვნებელი დარჩება, ხოლო, თუ, ცოდვათა ჩვენთა გამო, თვით შენ იძლიე და ბრძოლაში დაიღუპე, სრულიად წარწყმდება ქვეყანა ჩვენი, რადგან შენი შემცვლელი არ არის ქვეყანაზე." თქვა ეს ჯუანშერ სპასპეტმა და ყველა წარჩინებული და ერისთავი დაეთანხმა მის რჩევას.

მაშინ თქვა მეფემ: „შენ, ჯუანშერ ისე წარმოსთქვი ყოველი, როგორც შეეფერება შენს სიბრძნეს და ერთგულებას, მაგრამ მე არ ვეთანხმები შენს რჩევას, რადგან, იმ განსაცდელის გამო, რომელიც მოწევნილია ჩვენზე, ჩემი ცხოვრების ყოველი დღე, ვითარცა ბნელში მყოფს, მწუხარებაში გამიტარებია და სიბრალული ჩემი დის, ვითარცა მახვილი ცეცხლის, განლევს ჩემს გულს. ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი მიჯობს. ღმრთის მინდობით და პატიოსნის ჯვრის წინამძღოლობით, მე თვითონ წავალ და იმედი მაქვს ღვთის მრავალმოწყალების, არ გამწირავს და მომცემს ძლევას".

მაშინ, რადგან ვეღარ დაუშალეს, დაეთანხმენ ყოველნი წარჩინებულნი და თქვეს: „იცოცხლე მეფეო, უკუნისამდე! აღსრულდეს ნება შენი; ღმერთმა დამბადებელმა მოავლინოს მისი ანგელოზები შენდა გასაძლიერებლად და დასცეს ყოველი მტერი შენი და განამტკიცოს მეფობა შენი."

ოვსეთზე ლაშქრობის სამზადისი

ვაამტკიცეს ლაშქრობა ოვსეთზე და შესაკაზმავად მიაშურეს თავთავის სახლებს. ვახტანგ მეფემ კი წარავლინა მოციქული მისი დედის ძმის, რანის ერისთავის, ვარაზ-ბაკურის წინაშე, აუწყა ლაშქრობა ოვსეთზე და ითხოვა მისგან შეწევნა, ხოლო მან სიხარულით აღუთქვა, რადგან მისი ქვეყანაც ტყვექმნილ იყო ოვსთაგან. ვახტანგმა მოუწოდა ქართლის მთელ ლაშქარს. მაშინ შემოკრბენ ყოველნი და დაიბანაკეს მუხრანს და ხერკს, არაგვის ორთავ მხარეს. შეკრბა ასი ათასი მხედარი და სამოცი ათასი ქვეითი. ვარაზ-ბაკურმა გამოგზავნა თავისი ლაშქარი - თორმეტი ათასი მხედარი. ვახტანგ მეფე გავიდა ქალაქ მცხეთიდან, განამზადა და გაშალა თავისი სპა და მოიწონა სიმრავლით, ცხენკეთილობით და მოკაზმულობით და იხილა ლაშქარი მხიარულად და საომრად მზადმყო-

ფი, აღსავსე ოვსთა მიმართ შურისგების სურვილით. მაშინ აღივსო მეფე სიხარულით და მადლობდა ღმერთს. შემობრუნდა ვახტანგი ქალაქად და შვიდი დღე გაატარა ლოცვასა, მარხვასა და ღამისთევაში. გაუყო ხვასტაგი დიდძალი გლახაკთა და დატოვა სამეფოს გამგებლად დედა მისი საგდუხტი და მისი და ხვარამზე. დაწერა ანდერძი ასეთი: „უკეთუ აღარ დავბრუნდე ცოცხალი, ჩემი და ხვარამზე შეირთოს მირიანმა (მირიანი იყო ვახტანგის მამის ძმისწული, ჩამომავალი მირიანის ძის რევის, თრდატ სომეხთა მეფის სიძის) და ხელთ იპყრას მეფობა." ეს წერილი მისცა თავის დედას და სხვას არავის აუწყა. მირიანი კი თავისი მამის ძმისწული დატოვა მცხეთას.

ლაშქრობა ოვსეთს. ქართველთა და ოვსთა გოლიათების ორთაბრძოლები

წავიდა ვახტანგი და დადგა თიანეთს. მუნ შეუერთდნენ მას ყოველნი მეფენი კავკასიისანი, ორმოცდაათი ათასი მხედარი. წარემართა სახელითა ღმრთისითა და განვლო კარი დარიალანისა. ოვსეთში შესვლის ჟამს იყო ვახტანგი თექვსმეტი წლის. მაშინ ოვსეთის მეფეებმა შეკრიბეს სპა მათი და შეიერთეს ძალა ხაზარეთით და მიეგებნენ მდინარეზე, რომელიც გაივლის დარიალანს და ჩაივლის ველსა ოვსეთისასა. ამ მდინარესაც ჰქვია არაგვი, რადგან ერთი მთისაგან გამოდის ორივეს სათავე, ქართლის არაგვისა და ოვსეთის არაგვისა.

დაბანაკდა ორივე სპა მდინარის იმიერ და ამიერ, ხოლო მდინარის ორთავე ნაპირზე მოჩანდა კლდოვანი ქარაფები, ჭალაკები და ველები. განერიდა ერთმანეთს ლაშქარი, დაიცვეს ქარაფებისკენ მიმავალი გზები და იდგნენ ასე შვიდი დღე მდინარეზე. ორთაბრძოლობდნენ ბუმბერაზები. ოვსებს ჰყავდათ მაშველი ძალა ხაზართაგან და მათ შორის

იყო კაცი ერთი გოლიათი, სახელად თარხანი. გამოვიდა ეს თარხან ხაზარი, შეუძახა ხმითა მაღლითა და თქვა: „გეტ-ყვით თქვენ ვახტანგის სპათა ყოველთა, ვინც არის თქვენს შორის უძლიერესი, გამოვიდეს და შემებრძოლოს". ვახტანგ მეფეს მაშველად ჰყავდა სპარსნი და მათ შორის იყო კაცი ერთი, რომელსაც ერქვა ფარსმან-ფარუხ. მას ვერავინ აღუდგებოდა წინ, რამეთუ მრავალი ლომი ხელითა შეეპყრა. ის გავიდა თარხანთან საბრძოლველად. შეუძახეს ორთავემ და შეუტიეს ერთმანეთს და პირველ შეჯახებაზე უხეთქა ხმალი ფარსმან-ფარუხს თარხანმა ჩაბალახზე და გაუპო თავი ვიდრე ბეჭამდე. მაშინ დაღონდა ვახტანგი და სპა მისი, რადგან არავინ დარჩა მათ შორის მსგავსი ფარსმან ფარუხისი. შეძრწუნდა მთელი ლაშქარი და აივსო მწუხარებითა.

დაღამდა ის დღე. ვახტანგი შევიდა თავის კარავში, დაიწყო ლოცვა და ცრემლითა ევედრებოდა ღმერთს. გათენებამდე ასე ფეხზე მდგომი ლოცულობდა - ითხოვდა ღმრთისაგან შეწევნას და მინდობითა ღმრთისათა თვითონ განიზრახა ბრძოლა თარხანთან, რადგან უშიში იყო ვითარცა უხორცო და იმედი ჰქონდა ღმრთისა და თავისი ძალისა.

როცა გათენდა კვლავ მიადგა თარხანი მდინარის კიდეს და შეურაცხყოფდა მათ და იმუქრებოდა. და ვერავინ იპოვა ვახტანგის ლაშქარში მასთან მებრძოლი.

მაშინ ვახტანგმა უთხრა თავის სპას: „არა ვარ მინდობილი მე ძალასა და სიმხნესა ჩემსა, არამედ, დაუსაბამო ღმრთისა და ერთარსებისა და ყოვლისა დამბადებლისა სამებისა მინდობით, გავალ პირისპირ თარხანთან საბრძოლველად. მაშინ განცვიფრდნენ წარჩინებულნი და უშლიდნენ ვახტანგს და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა შეეჩერებინათ ბრძოლისაგან, რადგან ყრმა იყო ვახტანგი და .არ ჰქონდა გამოცდილება ორთაბრძოლისა.

არ დაემორჩილა მათ ვახტანგი და დაამტკიცა ბრძოლად გასვლა. გარდახდა ცხენიდან, დაემხო მიწაზე, თაყვანი

სცა ღმერთს, აღაპყრა ხელები ცისკენ და თქვა: „ჰე, უფალო, დამბადებელო ყოვლისაო, შემმატებელო კეთილთაო, აღმამაღლებელო შენთა მმოსავთა, შენ იყავ მწე ჩემი, მოავლინე ანგელოზი შენი ჩემთვის ძალის შემმატებლად, დასცი ეს უსჯულო და არცხვინე დამგმობნი შენნი, რამეთუ არა ვარ მინდობილი ძალასა ჩემსა, არამედ მოწყალებასა შენსა". წამოდგა ვახტანგი, შეაჯდა თავის ტაიჭს და მიმართა თავის სპას: „ეევედრეთ ღმერთს და ნუ შეშინდებით"! წავიდა ვახტანგი და დადგა მისი ლაშქარი მის უკან და ყველანი, შეძრწუნებულნი და მწუხარებით სავსენი, თავ-თავის სჯულზე ევედრებოდნენ ღმერთს.

ვახტანგისა და თარხანის ბრძოლა

ვახტანგმა ჩაიარა ფერდობი და დადგა მდინარის პირას. ეპყრა მას ხელთ ორლნი. შეხედა თარხანმა და უთხრა: „მე გოლიათებს და გამოცდილ თგმირებს ვებრძოლები და არა ყმაწვილებს, მაგრამ შენც გაგიყადრებ თავსო". შეუძახეს და შეუტიეს ერთმანეთს. პირველივე შეჯახებისას სცა ვახტანგმა თარხანს ორლნი სარტყელს ზემოთ და ვერ უფარა საჭურველის სიმაგრემ, გაუარა ზურგით და მოკლა. ამით გამხნევებულთა და სიხარულით აღსავსე ქართველთა შეუძახეს შემზარავი ხმით და მადლი შეწირეს ღმერთს. ვახტანგი კი იმავე ადგილზე გარდახდა ცხენიდან, დაემხო მიწაზე, თაყვანი სცა ღმერთს და თქვა: „კურთხეულ ხარ შენ, უფალო, რომელმაც მოავლინე ანგელოზი შენი და დაამარცხე მტერი ჩემი. შენ ხარ ამამაღლებელი შენთა მმოსავთა, ფეხზე წამომაყენებელი გლახაკთა და ნეხვიდან ამომყვანი დავრდომილთა". მოჰკვეთა თავი თარხანს, შეაჯდა ტაიჭს და მიეახლა თავის ლაშქარს. მთელი მისი ლაშქარი კი მაღალი ხმით ასხამდა ქებას ვახტანგს და მადლობდა ღმერთს.

ვახტანგისა და ბაყათარ ოვსის ბრძოლა და ვახტანგის მიერ ბაყათარის მოკვლა

მეორე დღეს სხვა ბუმბერაზი გამოვიდა ოვსთაგან, რომელსაც ერქვა ბაყათარი. იგი იყო გოლიათი და, მას შემდგომ რაც დაიწყო მხედრობა, ვერავინ სძლევდა ბრძოლაში. მოესრა ყოველი, ვინც კი შებრძოლებოდა მას, რადგან იყო მშვილდი მისი სიგრძით თორმეტი მტკაველი და ისარი მისი ექვსი მტკაველი. მოადგა ეს ბაყათარი მდინარის პირსა და შეუძახა ხმითა მაღლითა და თქვა: „ვახტანგ მეფეო, ნუ გალაღდები შენ თარხანის მოკვლის გამო. ვერ იყო ის გოლიათი და ამიტომ მოკვდა ყმაწვილის ხელით. აწ, თუ შენვე გამოხვალ ჩემთან საბრძოლველად, გაჩვენებ ფიცხელ ბრძოლას, რომელსაც ვეღარ გადაურჩები და თუ არა, ვინც შენი ლაშქრიდან გამოვიდეს, მისთვისაც მზად ვარ".

მაშინ პასუხი მიუგო ვახტანგმა ბაყათარს და უთხრა: „ჩემი ძალით როდი ვძლიე თარხანს, არამედ ჩემი დამბადებლის ძალით და არ მეშინია მე შენი, ვითარცა ძაღლისა ერთისა, რადგანაც ჩემთანაა ძალა ქრისტესი და ჯვარი მისი პატიოსანი საჭურველია ჩემი".

განაწესა ვახტანგმა სპა თვისი და გაამზადა საბრძოლველად. შემდეგ შეაჯდა ჯავშნით შეჭურვილ ტაიჭს, აიღო ფარი მისი ცხოველის ტყავისა, რომელსაც ვერ ჰკვეთდა მახვილი, ჩაიარა ფერდობი, მივიდა მდინარის მახლობლად, გასძახა ბაყათარს და უთხრა: „არ გამოვალ მე მდინარეს, რამეთუ მეფე ვარ და არ მივეახლები მე სპასა ოვსებისასა, რადგან ჩემი წარწყმედით, წარწყმდება მთელი ჩემი ლაშქარი, ხოლო შენ მონა ხარ და შენი წარწყმედით, ვითარცა ერთი ძაღლის მოკვლით, არა ევნება ოვსეთის სპას. ამიტომ შენ გამოდი მდინარის აქეთა მხარეს". მაშინ ბაყათარ ოვსმა

აღასრულა სიტყვა მისი და უთხრა: „მე, შენი მკვლელი, გამოვალ მდინარეს, ოღონდ შენ მდინარის ნაპირიდან უკუდეგ სამი უტევანის მანძილზე".

მაშინ ვახტანგი უკუდგა. გამოვლო მდინარე ბაყათარმა და დაუწყო ისართა სროლა. ვახტანგი კი თვალთა სიმარდით, გონების სიმახვილით და ტაიჭის სიკისკასით ირიდებდა ისრებს, რამეთუ შორიდანვე ხედავდა მომავალ ისარს, მარჯვედ ხტებოდა და იცილებდა. ამიერ და იმიერ მდგომნი სპანი კი სცემდნენ ბუკებს და დაფდაფებს და შეუძახებდნენ ქართველნი და ოვსნი მაღალი ხმითა ისე, რომ იძროდნენ მთანი და ბორცვნი. ორ ისარზე მეტი ვერა ჰკრა ბაყათარმა ვახტანგის ფარს და ვერ გაჰკვეთა ფარი, მაგრამ ერთი ისარი ჰკრა ვახტანგის ცხენს და დაკოდა ის. ვიდრე დაეცემოდა ვახტანგის ცხენი, მიეჭრა ვახტანგი ბაყათარს, უხეთქა ხმალი მხარზე და ჩაჰკვეთა გულამდე. მაშინღა დაეცა ვახტანგის ცხენი. ვახტანგმა მსწრაფლ შეიპყრო ბაყათარის ცხენი, შემდეგ დაემხო მიწაზე და თაყვანისცა ღმერთს, შესწირა მადლობა ადრინდელზე მეტად, აღჯდა ბაყათარის ცხენზე, მიუახლოვდა თავის სპას და რქვა ხმითა მაღლით: „მხნედ იყავით და გაძლიერდით, რადგან ღმერთი ჩვენს მხარეზეა."

ქართველთა და ოვსთა ბრძოლა და ოვსთა დამარცხება

ჯაემართა ვახტანგის ლაშქარი გამზადებული საომარი წყობით: წინ მიდიოდნენ ცხენოსან-თოროსანნი და ჯაჭვჩაბალახოსანნი; მათ უკან - ქვეითნი, ხოლოქვეითთა უკან - სიმრავლე მხედართა. ასე მიუახლოვდნენ ოვსებს. ოვსნი კი წამოდგნენ ქარაფზე და დააყარეს მათ ისრები, ვითარცა წვიმა ხშირი. ვახტანგ მეფე რჩეული მხედრობით მოჰყვებოდა თავის სპას ზურგით, შეუ-

ძახებდა, ამხნევებდა და განაძლიერებდა. წინ მიმავალმა ცხენ-თოროსანებმა აიარეს გზა ქარაფისა და გავიდნენ ვაკეზე. მათ მიყვნენ ქვეითნი და შემდგომ სიმრავლე მხედართა. დაიწყო ბრძოლა ძლიერი მათ შორის. ხოლო ვახტანგი, თუ მარცხენა მხარეს იბრძოდა, მარჯვენა მხარეს ძრწოდნენ და, თუ მარცხენა მხარეს იბრძოდა, მარჯვენა მხარეს ძრწოდნენ. სპათა ასეთ სიმრავლეში გამოირჩეოდა მისი ხმა, ვითარცა ხმა ლომისა. მას ახლდა ორი მხედარი: არტავაზ ძუძუსმტე, ძე საურმაგ სპასპეტისა და ბივრიტიანი სეფეწული და ისინიც იბრძოდნენ მხნედ.

იძლევნენ ოვსნი და ივლტოდა ბანაკი მათი და მრავალნი მოისრნენ და ტყვედ ჩაცვივდნენ. უმრავლესნი გაქცეულ ოვსთაგან ცოცხლად შეიპყრეს, იმ ქართველ ტყვეთა გამოსახსნელად, რომელნიც წარტყვენილ იყვნენ ადრე ოვსთა მიერ. როცა მობრუნდნენ დევნისაგან, დაიბანაკეს თავიანთ ბანაკში, სამი დღე განისვენეს და შეწირეს მადლობა ღმერთს. შემდეგ შეესიენ ოვსეთს, შემუსრეს ქალაქნი მათნი, აიღეს ტყვე და ალაფი ურიცხვი.

ოვსეთის დარბევის შემდეგ, ვახტანგი, თავისი სპით, გავიდა პაჭანიკეთს, რადგან პაჭანიკეთი მდებარეობდა მაშინ ოვსეთის მეზობლად, ოვსეთის მდინარის ქვემო დინებაზე და ჯიქეთიც იქვე იყო (მრავალი წლის შემდეგ, იოტნეს პაჭანიკნი და ჯიქნი თურქთაგან. წავიდნენ პაჭანიკნი დასავლეთით, ხოლო ჯიქნი დაემკვიდრნენ აფხაზეთის ბოლოს). ვახტანგმა დაარბია პაჭანიკეთი და ჯიქეთი, გამობრუნდა უკან და მოადგა ისევ ოვსეთს.

ამ დროს ოვსთა მეფეები შელტოლვილ იყვნენ კავკასიის სიმაგრეებში. გაგზავნეს მათ ერთმანეთთან მოციქულები და დაზავდნენ. ითხოვეს ვახტანგისგან ოვსებმა, მისი დის სანაცვლოდ, ოცდაათი ათასი ტყვე ოვსებისა, ყველაზე საუკეთესონი, რომელნიც სახელდებით დაასახელეს ოვსთა. მისცა ვახტანგმა ოცდაათი ათასი ტყვე და წამოიყვანა თავისი და. ტყვე ქართველები კი, რომლებიც ექვსი წელი ოვსთა ტყვეობაში იმყოფებოდნენ, გაცვალა ოვს ტყვეებზე - თითო

თითოზე. აიღო მძევალი ოვსთაგან და მძევალშიც მისცა ოცდაათი ათასი ტყვე. ეს ლაშქრობა გაგრძელდა ოთხ თვეს.

ვახტანგ მეფის ლაშქრობა აფხაზეთს

ვახტანგ მეფემ დიდი ძღვენით უკან გაისტუმრა სპარსთა დამხმარე ლაშქარი და კავკასიის მეფეები. წარმოგზავნა თავისი და მირანდუხტი და ყველა ტყვე დარიალის გზით, ხოლო თვით, ქართლის მრავალრიცხოვანი ლაშქრით, გაემართა აფხაზეთისაკენ. ვახტანგმა უშიშრად იწყო შეტევა აფხაზეთის ციხეებზე, რადგან ბერძენთა მეფე ლეონი დიდაად მოუცლელი იყო სპარსელებთან ბრძოლის გამო და არ შეეძლო აფხაზეთში სპათა გამოგზავნა. სამი წლის განმავლობაში ვახტანგმა წარტყვენა აფხაზეთის ყელა ციხე, ვიდრე ციხე-გოჯამდე. შემდეგ დაბრუნდა სახლსა მისსა, ქალაქსა სამეუფოსა, მცხეთას. გაეგებნენ წინ დედა მისი და დანი მისნი და სიმრავლე ქალაქისა ქალთა და კაცთა და უფენდნენ მას ფეხთა ქვეშ თავიანთ მოსასხამებს და სამოსელს და აყრიდნენ თავზე დრამას და დრაჰკანს და შეასხამდნენ ქებას, ხმითა მაღლითა, რამეთუ არცერთ მეფეს არ გარდაეხადა მანამდე ასეთი ძლევამოსილი ომი.

ვახტანგ მეფემ შესწირა მადლობა ღმერთს მრავალი ლოცვით, ღამისთევით და გლახაკთა მიმართ მოწყალების გაღებით; გასცა განძი ერსა თვისსა და წარჩინებულ ქმნა მხედარნი, მხნედ ნამსახურნი და გამოცდილნი ოვსებთან ბრძოლაში. ნადავლის ნაწილი ვახტანგმა ძღვნად გაუგზავნა თავის დედის ძმას ვარაზ-ბაკურს: მონა ათასი, საჯდომი ცხენი ათასი, ჭაკი ცხენი ათასი. ასევე გაგზავნა სპარსთა მეფის წინაშე: მონა ათი ათასი, საჯდომი ცხენი ათი ათსი, ჭაკი ცხენი ათი ათასი. ეს ყოველივე მიუძღვნა სპარსთა მეფეს ბინქარან ეპისკოპოსის ხელით და ითხოვა სპარსთა მე-

ფისაგან ასული ცოლად. სპარსთა მეფემ მისცა ასული მისი ცოლად, ხოლო მზითვად სომხითი და ყოველნი მეფენი კავკასიისანნი. მოსწერა წიგნი, რომელიც იწყებოდა ასე: „ურმიზდისაგან, ყოველთა მეფეთა მეფისაგან. ვახტანგს, ვარანხოსრო-თანგს, ათთა მეფეთა მეფეს, ახოვანს". სპარსთა მეფემ მოუწოდა ვახტანგს კეისართან ბრძოლისაკენ, რადგანაც კეისარს გამოელაშქრა სპარსთა წინააღმდეგ.

მაშინ ვახტანგმა მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა და ყოველთა მეფეთა კავკასისათა. შემოკრბენ და დადგნენ მტკვრის იმიერ და ამიერ, ორასი ათასი მეომრის ოდენობით. სპარსთა მეფის ბრძანებით მათ შეუერთდა რანის ერისთავი, ვახტანგის დედის ძმა, ვარაზ-ბაკური, ადარბადაგანის, რანის და მოვაკანის ორასი ათასი მხედრობით.

ვახტანგ მეფე და ქართლის სამეფო საგვარეულო

ამას ჟამსა იყო ვახტანგი წლისა ოცდაორისა და იყო ყოველთა მის ჟამის კაცთა უმაღლეს და უმშვენიერეს სახითა და ძლიერი ძალითა, ისე, რომ შეჭურვილი ქვეითად ირემს მიეწეოდა, ჩასჭიდებდა რქებში ხელს და დაიჭერდა; შეჭურვილ ცხენს გაიდებდა მხრებზე და ასე ავიდოდა მცხეთიდან არმაზის ციხემდე. ვახტანგი იყო მამამისის ერთადერთი ძე. მისი და ხვარამზე ასევე იყო ძლიერი და მშვენიერი.

პირველი მორწმუნე მეფის მირიანის შთამომავლობიდან დარჩენილი იყვნენ ბაქარ მირიანის ძის ჩამომავლები - ვახტანგი და მისი დები; აგრეთვე რევ მირიანის ძის ჩამომავლები - მირიანი და გრიგოლი, რომლებსაც ჰქონდათ სამფლობელოდ კუხეთი და ცხოვრობდნენ ციხე-ქალაქ რუსთავში. ასე შემცირებული იყო მირიანის შთამომავლობა ურთიერთის კვლით.

მირიან მეფიდან ვახტანგ მეფემდე გარდაცვლილი იყო რვა თაობა და ათი მეფე, გასული იყო წელიწადი ასორმოცდაჩვიდმეტი. ჭეშმარიტი სჯულის მიმდევარი ეპისკოპოსი გარდაცვლილი იყო რვა, ხოლო სხვანი იყვნენ შემშლელნი წესისანი.

ვახტანგ გორგასლის ლაშქრობა საბერძნეთს

წარემართა ვახტანგი საბერძნეთისაკენ და მივიდა სომხითს და შეუერთდნენ მას პეროჟა-კაფას ციხესთან (რომელიც აეგო ზემოთხსენებულ ფეროზს) სომხითის ერისთავები: სივნელი არევ, ასფურაგნელი ჯუანშერ, ტაროვნელი ამაზასპ (გრიგოლის მიერ აშენებული ქალაქიდან) და თრდატი, დიდი თრდატის ჩამომავალი. მიადგნენ ისინი ციხე-ქალაქს, რომელსაც ადრე ერქვა კარახპოლა, ხოლო აწ იწოდება კარნუ ქალაქად. დაიწყეს ბრძოლა მის ასაღებად, მაგრამ ვერ შეძლეს მისი დაპყრობა, რამეთუ ჰქონდა მას ირგვლივ მაღალი ზღუდე. დატოვეს ქალაქთან საბრძოლველად ორი ერისთავი, თორმეტი ათასი მხედრით და განაგრძეს ლაშქრობა.

წავიდა ვახტანგი პონტოსკენ და გზად მოაოხრა სამი ქალაქი: ანძორეთი, ეკლეცი და სტერი. მოადგა ლაშქარი ზღვის ნაპირზე დიდ ქალაქს, პონტოს და იბრძოდა სამი თვე. მიაღწია ლაშქარმა კონსტანტინის ქალაქს. ამ ლაშქრობაში მონაწილე სპარსელები, თუ ხელთ იგდებდნენ ეკლესიის მსახურებს, ჰკლავდნენ. ხოლო ვახტანგ მეფემ ამცნო სომხითის ლაშქარს და ყოველთა სპარსთა, არავინ მოეკლათ ღვთის მსახურთაგან, არამედ ტყვედ აეყვანათ და ასე მიმართა მათ: „წინაპარი ჩემი, მირიანი, ოდეს შემოჰყვა სპარსთა მეფეს, თავის ძმისწულს, ბერძნებთან საბრძოლველად, ასევე უსწორდებოდა ბერ-მონაზვნებს და ეკლესიის მსახურებს,

ამიტომაც სასტიკად იძლია ურიცხვი სპა მცირე ლაშქრისაგან. იმ ჟამიდან წაგვართვეს ქართველებს ბერძნებმა ჩვენი მხარე ამ ზღვის აღმოსავლეთით. ბრძოლა იმ მეფეებს გარდახდათ ანძიაძორს, სადაც აწ არის საფლავი დიდისა მოძღვრისა გრიგოლისა. იქიდან იოტნენ ჩვენი მეფეები. ხოლო ჩვენ ათი დღის სავალი ჩამოგვივლია, ჩრდილოეთიდან ვართ შემომდგარნი. ჩვენც ვდგევართ ბერძენთა სჯულზე და აღმსარებლები ვართ ქრისტესი, რომელიც არის ჭეშმარიტი ღმერთი ყოველთა. ნუთუ არა გსმენიათ სასწაულნი, რომელნიც მოიწია კონსტანტინე მეფეზე ჯვრის წამძღვარებითა, ან სასწაულნი, რომელნიც გარდახდა ბერძენთა მეკერპე ივლიანეს - როგორ მოკლა ის ზეციურმა ისარმა? მაშინ შეიკრიბა სპა ბერძენთა და ივბიმიანოსი აირჩიეს მეფედ, ხოლო მან არ იდვა თავს მეფობა, სანამდის არ დაამსხვრიეს კერპები და აღმართეს ჯვრები, რომელზეც დადგეს გვირგვინი მეფისა. უფლის ანგელოზმა აიღო გვირგვინი და დაადგა თავს ივბიმიანოსს, ჭეშმარიტსა მეფეს. იმავ დროს გაისმა ხმა ზეციდან, რომელიც მიმართავდა სპარსთა მეფეს ხვასროთანგს: „შეწყვიტეთ ბრძოლა ივბიმიანოსთან, რამეთუ ჯვრის ძალითა უძლეველ არს". ამის შემდეგ მოყვრებად იქცნენ მეფე და ხვასრო, ვიდრე არ მიიცვალნენ ორივე. ნუთუ თქვენ, სომხითის მკვიდრნო არშაკუნიანნო და პიტიახშნო ბივრიტიანნო, არ გახსოვთ საქმენი გრიგოლ პართეველისა და მისი მოწინაამდეგისა თრდატ მეფისა არშაკუნიანისა, როგორ დაამდაბლა უფალმა მისი სიზვიადე და აქცია ის ტახად? ხოლო გრიგოლმა ხელახლა აქცია კაცად. ამის შემდეგ გახდა თრდატი მსახური ეკლესიისა და ააშენა დიდი ეკლესია თავისი ზურგით, რამეთუ იყო ის გმირი.

ხოლო თქვენ, მკვიდრნო ქართლისანო, ქართლის მეფეთა ჩამომავალნო, მთავრებად განწესებულნო ჩვენგან, მეფეთაგან, რომელნიც მემკვიდრენი ვართ ნებროთ გმირისა, იმისი, ვინც ყველა მეფეზე უწინარეს გამეფდა ამ ქვეყანაზე და

ვინც თავისი ძალის წყალობით, ლომსა, ვითარცა თიკანსა მოიყვანდა და ქვეითი კანჯართა და ქურციკთა შეიპყრობდა. ის იმზომამდე გაძლიერდა, რომ დაიმორჩილა ყოველნი ნათესავნი და იყო ძლიერი იმდენად, რომ შექმნა ქალაქი, რომლის ქვადაც გამოიყენა ოქრო და საძირკვლად ვერცხლი. ირგვლივ კი ამოაშენა აგურითა და კირით. კართა და სარკმელთა კამარები კი შექმნა იაკინთისა და ზურმუხტის და მათი ელვარებისაგან ვერ ბნელდებოდა ღამე. ააგო იმ ქალაქში ისეთი ტაძრები და კოშკები, რომელთა მსგავსი თქვენ არც კი გსმენიათ. შეუძლებელია წარმოდგენა მისი სიბრძნისა, რომელიც მიეცა მას ღმრთისაგან, ვიდრე არ აღმართა ქალაქის ზღუდეზე ცისკენ აზიდული, სამი დღის სავალი გოდოლი იმ განზრახვით, რომ ცად ასულიყო და ეხილა მყოფნი ცისანი. როცა გოდოლმა განელო საზღვარი ჰაერისა და შევიდა ვარსკვლავთა მხარეში, ვეღარ გაუძლეს მშენებლებმა, რადგან იქ, სადაც ხელმწიფობს ცეცხლი ეთერისა, რომელიც მძლავრად ეგზება სამყაროს ტრიალისაგან, დნებოდა ოქრო და ვერცხლი. მაშინ მოესმათ იქიდან ხმა ზეციური შვიდი გუნდის, რამაც არია ადამიანები. თითოეული მათგანი ალაპარაკდა ცალკე ენაზე, ვეღარ უგებდნენ ერთმანეთს და გაიფანტნენ. ხოლო ნებროთს, სპარსულ ენაზე, მიმართა ხმამ: „მე ვარ მიქაელ ანგელოზი, რომელიც დამაყენა ღმერთმა აღმოსავლეთის მთავრად. გადი, მაგ ქალაქიდან, რადგან ღმერთი ჰფარავს მას მანამ, სანამ გამოაჩენდეს სამოთხეს. სამოთხე კი იმყოფება შენი ნაშენები ქალაქის მახლობლად, სადაც არის მთა, საიდანაც ამოდის მზე და გამოედინება ორი მდინარე: ნილოსი და გეონი. გეონს გამოაქვს სამოთხიდან ხე სურნელოვანი და თივა, რომელიც შეეზავება მუშკს. აწ წადი შენს მხარეს და დაემკვიდრე ორ მდინარეს - ევფრატსა და ჯილას შორის. განუტევე ეს მოდგმა საითაც ვინ ინებოს, რადგან უფალმა წარავლინა ისინი და მეფობდე შენ ყოველთა მეფეთა ზედა. უკანასკნელ ჟამს კი მოვა მეუფე ცისა, რომლის ხილვაც გსურს შენ, არარაო-

ბას ადამიანთა შორის. მისდამი შიში გაჰფანტავს ამქვეყნიურ სიამოვნებას; მეფეები დატოვებენ მეფობას და ეძიებენ სიგლახაკეს. მაშინ გიხილოს გაჭირვებაში უფალმა და გიხსნას შენ.

დატოვა ყველამ ქალაქი და წავიდნენ სხვადასხვა მხარეს: ჰინდურათ მოლაპარაკენი - ჰინდოეთს, სინდნი - სინდეთს, ჰრომნი - ჰრომს, ბერძნები საბერძნეთს, აგ და მაგუგ - მაგუგეთს, სპარსნი - სპარსეთს. პირველი ენა კი ასურული იყო. ეს არის ის შვიდი ენა, რომელზეც ნებროთამდე მეტყველებდნენ. იმისთვის მოგიყევით ყოველივე ეს, რომ ჩვენს წინაპრებს დაფარულად ჰქონდათ ეს წიგნი, მე კი საღმრთო წადილმა მაიძულა ამის გამხელა. ამ წიგნის გაცნობის შემდეგ შეიწყნარა ჩვენმა წინაპარმა მირიანმა ქრისტეს სახარება ნინოსაგან. თქვენ გგონიათ, ღმერთმა გასწირა ბერძნები? განა სპარსთა მრავალი ქვეყანა მათ არ შემუსრეს და შეიერთეს? დღეს მეექვსე თვე არის, რაც გავარდა ხმა ლაშქრობის შესახებ. კეისარმა შეიტყო მის სამეფოში ჩვენი შემოჭრის ამბავი, რის გამოც შემოიქცა და მოგვიახლოვდა საბრძოლველად. ამიტომ ყოველი ტომი მსახურებდეს უფალ ღმერთს და შეწყვიტეთ ეკლესიათა რბევა!"

ვითარცა წარმოსთქვა ყოველივე ეს, გაგზავნა შიკრიკი და აუწყა, რათა ყველა ბერ-მონაზონი გამოსულიყო თავისი სამალავიდან. ბრძანა, რათა ტყვეები გაეშვათ და საითაც უნდოდათ წასულიყვნენ. მაშინ გამოვიდა ქვაბულთაგან და მთათაგან სიმრავლე მღვდელთა, დიაკონთა, ბერ-მონაზონთა და ენკრატისთა. განსაკუთრებით დიდი სიმრავლე ერისა გამოვიდა ქალაქ პონტოდან, რადგან შევიწროებული იყო ქალაქი ოთხთვიანი ალყის გამო.

მღვდელ-მონაზონთა შორის იყო ორი კაცი: პეტრე მღვდელი, გრიგოლ ღვთისმეტყველის მოწაფეთაგანი (რომელიც მის საფლავზე მღვდელობდა) და სამოელ მონაზონი. წარუდგნენ ისინი ვახტანგს, რათა მოეხსენებინათ მადლობა ტყვეთა განტევებისათვის და ეკლესიათა და

მღვდელთა განთავისუფლებისათვის. როცა მათ წარმოსთქვეს ლოცვა, მოეწონა მეფეს ისინი. მაშინ ბრძანა შემოყვანა მის მიერ განთავისუფლებული ტყვეების, ბერების და დაუძლურებულების (რადგან ყველა უძლური ქალაქის გარეთ გამოსულიყო) და მისცა უძლურთა სახედრები და ჭაბუკებს სამსამი დრაჰკანი და ასე განუტევა. პეტრე მღვდელი და სამოელ მონაზონი კი თავისთან დაიტოვა.

როცა მიაშურა ლაშქარმა თავ-თავის კარვებს და მეფე შევიდა სერობად, უთხრა პეტრეს: „ეამება ღმერთს ეს ჩემი ნამოქმედარი, რამეთუ დავიცავი ეკლესიები და გავანთავისუფლე ტყვეები".

უპასუხა პეტრემ: „გავკადნიერდე მონა შენი და გკადრო სიმართლე, თუ სიცრუითა აგავსო?"

მიუგო მეფემ: „მკადრე, რადგან არას ვეძებ გარდა მხილებისა, რათა დავაღწიოთ თავი სიცრუეს".

მაშინ უთხრა პეტრემ: „ეკლესია ხორცთა უფრო მნიშვნელოვანია ღმრთისათვის, ვიდრე ეკლესია ქვისა. ეკლესია ქვათა თუ დაირღვევა, ხელახლა ააშენებენ იმავე ქვითა, ხოლო ეკლესია ხორცთა ოდეს დაირღვევს, ვერვინ შესძლოს განკურნება, ვერცა მკურნალმა და ვერცა მეფემ. აწ რამდენი კაცი მართალი მოჰკალით! ღმერთს კი ნათქვამი აქვს აბელის სისხლის გამო: „ყოველი სისხლი ნოეს დროს მომხდარი წარღვნით განიწმინდა!" ზაქარია ბარუქის ძის სისხლისთვის არგუნა ღმერთმა ყოველი შეურაცყოფა ჰურიათა, ვითარცა ამბობს ესაია: „აიღე და წარწყმიდე ყოველი ჩამომავალი მათი ტიტოს და სპასიანოსის ხელით". განა არ ამოგიკითხავს მოსეს წიგნებიდან, რაჟამს ისრაიტელმა ისიძვა უცხო თესლთან, რამდენი სული მოკვდა ამ ერთი სიძვისთვის? ხოლო შენი ლაშქრისგან უკვე რამდენი ქალწულია შებილწული - ტაძარი ღმრთისა."

მიუგო მეფემ: „განა არ იცი, რომ ივბიმიანოსი ეკლესიების დაცვის მიზნით იყო ივლიანე უკეთურის გვერდით? თუ წაბორძიკდა კაცი, უმჯობესია დაეცეს სრულიად".

მაშინ უთხრა პეტრემ: „არა ცთუნებული დაგცე, არამედ დაცემული აღგადგინო, ვითარცა დავითი ურიას მიერ ცთუნებული. არ მსურს, რომ შენ იყო ვითარცა კაცი, რომელიც მარჯვენით აშენებს და მარცხენით არღვევს, არც მათი მსგავსი, რომლებიც პირით აკურთხევენ და გულით წყევლიან და აგინებენ, არამედ მნებავს იყო მსგავსი იმ კეთილად ხსენებულ მეფეთა, რომელთაც ეპყრათ ეს ქვეყანა, მაგრამ არ განუდგნენ სასუფეველს: დავით, სოლომონ, კონსტანტინე, ივბიმიანოს და ყოველნი მსგავსნი მათნი. ხოლო რა მსგავსებაა შენსა და ივბიმიანოსს შორის, ან ვინ ბატონობს შენზე ისე, რომ ხმალი მისი აღმართულ იყოს შენს კისერზე, როგორც ივლიანესი ივბიმიანოსის კისერზე, ან ვისგან გევნო შენ, როგორც ივბიმიანოსს ივლიანესაგან, ან ვის ხედავს ღმერთი შენს უფლად მყოფს, რომ გამართლება ჰქონდეს ქმედებას შენსას წინაშე ღმრთისა? განა შენ არ დაგაყენა ამათთა ყოველთა უფლად და შენ არ დაგიმორჩილა ყოველი? ამიერიდან მოიკითხოს ღმერთმა ყოველი ბოროტი საქმე შენს ხელთაგან გამოსული და მოგიზღოს შენ, თუ არ მოინანიო".

უთხრა მეფემ: „მნებავს გამართლება თავისა ჩემისა, ხოლო შენ სამართლიანად დამსაჯე ჩემი განუკითხაობის გამო".

მიუგო პეტრემ: „რადგან დაადექი მონანიების გზას, ცოდვა შენი გაგშორდეს შენ. აწ გავამჟღავნო გულისთქმა შენი: უმეცრებამ კი არ აღგძრა ღმრთის ძეთა წინააღმდეგ საბრძოლველად, არამედ სპარსთა, შენთა ნათესავთა, შვილის სურვილმა. აწ იცოდე, რომ ბერძენნი ნათესავნი არიან ღმრთისანი, იმ აღთქმის გამოისობით, როცა უწოდა მათ „შვილნი ღმრთისანნი" და მისცა მათ ბეჭედი, რომლითაც შემუსრა ჯოჯოხეთი და ის არის ჯვარი."

წარმოსთქვა მეფემ: „აწ რა გნებავს შენ?"

უთხრა მას პეტრემ: „მნებავს, რათა შენს მიერ აღგზნებული ცეცხლი შენვე დაშრიტო და მეგობრად იქცე კეისრისა, ვითარცა დღემდე იყავი სპარსთა".

მიუგო მეფემ: „მსურს მე, რომ, თქვენის ლოცვის მეშვეობით, ამ ღამით ვიხილო თავი ჩემი და კეისარი ერთად შეკრებილნი, ჩვენს შორის სიყვარულის დასადგურების განზრახვით და ამით შევიტყო მე, რომ მოსურნეა ქრისტე ამ შენი განზრახვის".

წარმოსთქვა პეტრემ: „მიმძიმს ამ შენი თხოვნის შესრულება, რადგან ეს არის ხვედრი რჩეულთა, რომლებიც არიან ვითარცა ანგელოზნი მთელი მათი საქმიანობით და იმყოფებიან ამ კლდეთა შორის. მათგან ეგების ქმნა იმისა, რასაც შენ ითხოვ. მომეცი დრო, რათა წავიდე და ვეველრო მათ და ვუთხრა ბრძანება შენი და ლოცვითა. მათითა აღსრულდეს განზრახვა შენი. ხოლო ჩვენ ულირსად მიგვაჩნია თავი ჩვენი, რადგან კაცნი ვართ, ცოდვილნი და ვაითუ, კადნიერებად მიიღოს ჩვენგან ეს თხოვნა ღმერთმა". შერისხა ის სამოელ მონაზონმა და უთხრა: „მღვდელო, ღმერთის საქმეს ნუ მიიჩნევ კაცთა საქმედ!" და წავიდნენ წმინდანნი სადგურად თვისად.

ვახტანგ მეფის სიზმარი

მეფემ დიდხანს ილოცა და დაწვა. მირულებაში მყოფს მოევლინა დედაკაცი ერთი, რომელიც იყო წმინდა ნინო და უთხრა: „ადექი მეფეო და კრძალვით მიეგებე, რადგან ორი მეფე - ზეცისა და ქვეყნისა მოდიან შენთან". როცა მოიხედა, იხილა თავდაპირველად სახე ქალისა და დაეუფლა შეგრძნება, თითქოს იმყოფებოდა ქალაქსა კონსტანტინეს. გაემართა სწრაფად და იხილა ორი ტახტი. ერთზე იჯდა ჭაბუკი საჭურველითა, გვირგვინოსანი და მეორეზე მოხუცებული, მჯდომარე ზეწრითა სპეტაკითა. მას თავზე ედგა გვირგვინი ნათლისა და არა ოქროსი. მის ფერხთით კი იჯდა ნინო და ვახტანგის მარჯვენა ხელი ეჭირა პეტრე მღვდელს და მარცხენა სამო-

ელ მონაზონს. უთხრა სამოელმა ვახტანგს: „ეთაყვანე პირველად დიდსა მას მთავარსა ზეციისასა გრიგოლს". მივიდა ვახტანგი, თაყვანისცა და უთხრა მას გრიგოლმა: „რატომ ჰქმენი საქმენი ბოროტნი, კაცო და მოაოხრე ბანაკი ჩემი და მხეცთა შეაჭამე ცხვრის ფარა ჩემი? თუ არა ეს ორი, რომელიც გვერდით გიდგას და ეს სათნო დედაკაცი, რომელიც მარიამთან ერთად მარადის იღწვის თქვენთვის, შურს ვიძიებდი შენზე, ვითარცა შენს წინაპრებზე, რომლებიც მოელიან ცეცხლს შემწველს და არა ყოველთა განმანათლებელ ბრწყინვალებას". შემდგომ გაუწოდა ხელი საამბოროდ და თითქოს შეახო ხელი ნათლის გვირგვინს და ისეთივე გვირგვინი მისცა ვახტანგს და უთხრა: „დაადგი ეს პეტრეს". მაშინ აიღო პეტრემ იმავე გვირგვინისაგან უფრო მცირე და დაადგა სამოელ მონაზონს. ნინომ კი უთხრა ვახტანგს: „ახლა მიეახლე მეფეს და მიიღე ძღვენი შენი". მივიდა ვახტანგი მეფესთან და ეამბორნენ ურთიერთს. უჩინა მას კეისარმა ადგილი თავის საყდარზე, დაისვა გვერდით, მისცა ბეჭედი მისი ხელიდან, რომელსაც ჰქონდა თვალი ფრიად ნათელი და უთხრა: „თუ გნებავს, რომ მოგცე გვირგვინი, აღუთქვი მას, ვინც ჩვენს ზევით დგას, რომ იბრძოლებ მის მტრებთან და მიიღე მისგან გვირგვინი". მიმოიხედა ვახტანგმა და იხილა ჯვარი, რომლის მკლავებზე იდგა გვირგვინი და განსაკუთრებით ჯვრის ხილვამ შეაძრწუნა და ისეთი თავზარი დასცა, რომ დაადუმა. მაშინ ადგა ნინო და შეხედა პეტრეს და სომოელს და მათ ერთხმად თქვეს: „ჩვენ ვართ თავმდებნი, რომ ყველაზე დიდი მონდომებით გაეშუროს შენს მტერთა წინააღმდეგ, ჯვარო უძლეველო!" აიღო გვირგვინი ჯვრისაგან კეისარმა და დაადგა ვახტანგს თავზე. გამოსვლისას კი თითქოს შესძახა ეპისკოპოსმა სამ გზის და თქვა: „ვახტანგ, ვახტანგ, ვახტანგ, უმეტესად მორწმუნე იყო შენ სპარსთა ყველა მოდგმას შორის!" და ხელმეორედ - „შენ ააშენო ეკლესიები და განაწესო ეპისკოპოსები და ეპისკოპოსთა მთავარი" და კიდევ: „გვირგვინიცა წამებისა მიიღო"!

გამოვიდა იქედან ვახტაგი, ძილშივე მოუწოდა პეტრეს და სამოელს, მოუთხრო მათ თავისი ჩვენება. მათ კი თითქოს ძილშივე აუხსნეს: „რომელიც იხილე საყდარზე მსხდომი გვირგვინოსანი ნათლითა, იგი არს დიდი მოძღვარი გრიგოლი; მან რომ მოგცა მისი გვირგვინიდან, ამით მოგანიჭა ეპისკოპოსთა მთავრობა და მე რომ მივეცი ჩემი გვირგვინიდან მოყვასს ჩემსას, ნიშნავს, რომ ჩემგან ეკურთხება ეპისკოპოსად; რომელიც ნახე ოქროს გვირგვინით შემკული, იგი არს კეისარი. შენ რომ მოგცა ბეჭედი, ნიშნავს, რომ მოგცეს შენ ასული ცოლად და ყოველი მხარე ქართლისა, მისგან წართმეული, დაგიბრუნოს; ხოლო გვირგვინი ჯვრისაგან რომ მოგცა, იმის ნიშანია, რომ ჯვრის შეწევნით დიდი ბრძოლები გარდაგხდება; ხოლო მოძღვარმა ჩვენმა რომ სამგზის გიხმო, იმას ნიშნავს, რომ სამი სათხოვარი გამოითხოვა შენთვის ღმრთისაგან: 1) რომ შენი მეშვეობით განმტკიცდეს ჭეშმარიტება ქართლის კათალიკოსთა და ეპისკოპოსთაგან, 2) სძლევდე მტერს შენი აღსასრულის დღემდე, 3) აღსასრულის ჟამს წამების გვირგვინი მიიღო ბრძოლაში და მტრის ხელთ არ ჩავარდე. ყოველივე ეს აღსრულდეს შენს დაუძლურებამდე და სიბერემდე".

როცა გაიღვიძა ვახტანგ მეფემ, მადლობდა ღმერთს, რომელმაც ყოველივე გამოუცხადა. მოუწოდა მსწრაფულ პეტრეს და სამოელს და უთხრა: „არ იხილეთ?" ხოლო მათ მიუგეს: „მეფეო, ერთი მარჯვენით და მეორე მარცხენით ვიდექით, რა ჟამს შენ საყდრებზე მსხდომთა, კეისრისა და საღმრთო მწერლისა წინაშე იდექი და დედოფალი ჩვენი დაამშვიდებდა შენზე გამძვინვარებულ მოძღვარს და შეავედრებდა შენს თავს".

უთხრა მათ მეფემ: „დადუმდით წმინდანნო, რადგან ყოველივე ჩემთან ერთად გიხილავთ. აწ ვით გნებავთ თქვენ, როგორ განვაგოთ ამ ქალაქის საქმე, რომელიც შემუსვრის პირსაა? ან რა ვუყოთ ამდენ ტყვეს, რომელიც მეტია ათი ათასზე? ახლა უკვე მოისწრაფის აქეთ მაცნე, რათა გვამცნოს, რომ სპარსთა მეფე მოემართება ჯაზირეთის ქვეყნის-

კენ. მან გამოვლო ფილისტიმი და მოჰყვება კეისრის კვალს (კეისარმა მოაოხრა სპარსთა ქვეყანა და სპარსთა მეფემ ვერ გაუძლო მასთან ბრძოლას). კეისარი კი, გაიგო რა ჩვენი შემოსვლა მის ქვეყანაში, მოისწრაფის ჩვენთან საბრძოლველად. ალბათ სპარსთა მეფე მოვა ჩვენს მოსაშველებლად, ხოლო სპარსთა ლაშქარი სომხითისა და ქართლის ლაშქარზე მეტია და არავინ არის ჩვენს შორის ჭეშმარიტი მორწმუნე და ისეთი რწმენის მქონე, როგორიც დანერგა ჩვენს შორის წინაპარმა ჩვენმა მირიანმა, ან თრდატმა, დედით ნათესავმა ჩემმა. ხოლო ყოველთა ამათთა სარწმუნოება სავსეა საცთურითა. ვაითუ, აშკარად განვაცხადო სურვილი და საქმე ჩემი, გაწყრეს დედის ძმა ჩემი, ატყდეს ბრძოლა ჩვენს შორის და შევიქმნეთ დასაცინი ჩვენთა მტერთაგან. ამიტომ ასე მოვიქცევი: თუ მოვა სპა ჩვენი და მაუწყებს კეისრის მოსვლას, დავიხევთ უკან და შემდგომ ვაუწყებთ კეისარს ჩვენს განზრახვას. როცა ის მოგვიახლოვდება, მაშინ, ვითარცა გვირჩიოს სიწმინდემა შენმა, ისე მოვიქცეთ და არც ერთი ტყვე მას არ დააკლდეს". წავიდა პეტრე კეისართან, სამოელი კი დარჩა წინაშე მეფისა.

ვახტანგ მეფის და კეისრის საიდუმლო შეთანხმება

მეორე დღეს მოვიდა დესპანი და აუწყა მეფეს, რომ ბერძენთა ლაშქარი შემოვიდა კონსტანტინეპოლს. მაშინ მოუწოდა ვახტანგმა თავის დედის ძმას და ყველა მეფეს და უთხრა: „უწყით თქვენ ბერძენთა ლაშქრის სიმრავლე და ბრძოლისას მათი მზაკვრობა და ზღვაში მათი ნავების სიმარჯვე. აი, შევიდნენ ისინი სპარსეთს, გმირთა და გოლიათთა ქვეყანაში და სპარსთა ვერ გაუძლეს მათთან ბრძოლას. აწ ვშიშობ, რომ სპა მათი ნავებით მოვა, გადაგვიჭრის უკანდასახევ გზას და ამოგვწყვეტს, ვითარცა ბაკსა შიგან. ამიტომ ავიყაროთ და დავიბანაკოთ

ზღვის სამხრეთით, რათა გვქონდეს გზა ჭირისა, თუ ლხინის შემთხვევაში".

აიყარა ლაშქარი, დაბანაკებული ქალაქის ირგვლივ, გაიარა სამხრეთით ხუთი დღის სავალი გზა და დადგა სპერის მხარეს. მაშინ გამოვიდნენ ქალაქში მყოფნი, სიკვდილს მიწევნილნი და ჰმადლობდნენ ვახტანგს. მიართვეს მას ძღვენი ათასი ლიტრა ოქრო და ხუთასი სტავრა და წავიდა ერი ქალაქისა მშვიდობით სავაჭროდ, თუ სხვა საჭიროებისთვის.

მივიდა პეტრე წინაშე კეისრისა და აუწყა მას ყოველი თქმული ვახტანგის მიერ, ხოლო კეისარმა გაიხარა ფრიად და რაც ეხილა ღამის ჩვენებაში, ყოველივე აღუთქვა ვახტანგს. წარმოავლინა პეტრე მღვდელი და ამცნო აღთქმითა და ფიცითა ძლიერითა, რომ გახდის მას თანასწორად მისი მეფობისა და ორთავე სპათა ერთად დაამარცხონ ვახტანგის ლაშქარში მყოფი სპარსელები.

ვიდრე პეტრე და დესპანი მოვიდოდა ვახტანგთან, კეისარი შემოვიდა ქალაქსა კონსტანტინეს და წარმოავლინა ხუთასი ხომალდი, რომელშიც ისხდა ხუთას-ხუთასი კაცი და უბრძანა მათ, რათა დადგნენ ვახტანგის სიახლოვეს, ოღონდ ნუ დაიწყებენ ბრძოლას. თვითონ კეისარი კი გაემართა პონტოსკენ რვაასი ათასი კაცით. როცა მოუახლოვდა ვახტანგს ზღვის ლაშქარი, სპარსელებმა მოინდომეს შებრძოლება, მეფე კი აკავებდა მათ და არ უშვებდა საბრძოლველად.

მოვიდა ვახტანგის წინაშე კეისრის მოციქული და პეტრეც მასთან ერთად. მოართვეს მას ძღვენი. ჰქონდა მოციქულს საიდუმლო შეთანხმება კეისრისა ვახტანგის მიმართ და აგრეთვე სიტყვა საეროდ განსაცხადებელი და თქვა მან ცხადად: „ნუ გარბიხარ, დადექი ჩემს მოსვლამდე, რათა შენთან მყოფნი სპარსნი, რომელნიც გადარჩნენ სპარსეთში ჩვენგან ამოწყვეტას, ამოვწყვიტოთ ახლა". ხოლო საიდუმლოდ მოართვეს მას შუამდგომლად ჯვარი და გვირგვინი და შესამოსელი ტანისა მისისა და უთხრეს შემონათვალი კეის-

რისა: „როცა შევიკრიბოთ, გადმოგცე ციხე თუხარისი და მხარენი ქართლისანი".

ვახტანგმა კი უპასუხა საჯაროდ: „სხვა მიზეზით არ მოვსულვართ ამ ქვეყანაში, გარდა შენთან ბრძოლის სურვილისა. აწ მოდი აქ, თუ არა და ჩვენ მოვალთ ქალაქ კონსტანტინეს". ფარულად კი ამცნო და თქვა: „რაც არ შეშვენის შენს ღვთისმოყვარებას და რასაც შენ თვითონ არ იკადრებ, სხვას ნუ აკადრებინებ, რადგან დაუნდობლობა არ ეხასიათებს პატიოსან კაცს! აწ შენ ხელთ რომ ჩაგიგდო სპარსნი, განა არ გაცრუვდება ჩემი სახელი? თანაც მათ შორის მრავალ მათგან აქვს გულში სიყვარული ქრისტესი და შიშის გამო ვერ განაცხადებს აშკარად. ახლა ბრძანე, რომ ჩვენ ეს საქმე მშვიდობით დავასრულოთ, როგორც ივბიმიანოსმა და ყოველთა სპარსთა. ხოლო ამის შემდეგ თუ გადაწყდა ჩვენი საქმე, უფრო მოხერხებულ დროს ჩაგიგდო ხელში სპარსელები და ნუ იქნება თქვენგან საქმე უშვერი და ნუ ატყდება შფოთი თქვენგან, რათა არ გაიგმიროს მახვილით ერი თქვენი, რადგან თუმცა ლაშქარი თქვენი გალაღებულია სპარსელებზე გამარჯვებით, მაგრამ არც სპარსელები არიან შეშინებულნი, არამედ სავსენი არიან შურისგების სურვილით და ესწრაფვიან თქვენთან ბრძოლას, რომ ან დაიხოცნონ და ან იძიონ შური. ხოლო, თუ შენი ლაშქარი შენი სურვილისდა მიუხედავად დაიწყებს ბრძოლას, მე ამაში უბრალო ვიქნები".

გაგზავნა ვახტანგმა მოციქულად კეისართან ვარაზმიჰრი, მისი მამამძუძის ძმა და სამოელ მონაზონი. კეისარი მოწეულ იყო ქალაქ პონტოს და პონტოელნი გამოსულიყვნენ მისაგებებლად და შეასხამდნენ ქებას და ჰმადლობდნენ მეფე ვახტანგს, რადგან დაიხია მან უკან და არ გასწირა ისინი სასიკვდილოდ. როცა მივიდნენ ვახტანგ მეფის მოციქულები ქალაქად, მიართვეს კეისარს ძღვენი: ოთასი საწყაო მუშკი, ხუთასი სურნელი და ათასი ლიტრა საკმეველი.

ბრძოლა სპარსთა და ბერძენთა შორის

ამ ჟამად გასულიყო ვახტანგ მეფის სპა საალაფოდ. მოეწია მას ბერძენთა ქვეითი ლაშქარი, ხევთა და ქალაქთაგან შეკრებილი მხედრობითურთ, ასე სამასი ათასი. ვახტანგ მეფე კი ძალით აკავებდა თავის მეალაფე სპას, ვიდრე არ მოვიდა დედის ძმა მისი, ერისთავი სპარსთა და განრისხებულმა არ უთხრა ვახტანგს: „გველო და ჩამომავალო ასპიტისაო, არ უწყი, რომ დედა მამისა შენისა ბერძენი იყო, ნათესავი ივბიმიანოსისი? დაგძლია შენ დიდედის ბუნებამ, შეუპყრიხარ ჯვარცმულისა და მომკვდარი კაცის სიყვარულს და გსურს ჩვენი ბერძენთა ხელში ჩაგდება!" მაშინ ვახტანგმა უპასუხა: „აჰა შენ და აჰა ბერძნები, შეებრძოლე და იხილე ძალა იმ მომკვდარი კაცისა და აგრეთვე ცოცხლისა, შენი იმედისა". ჩაჰბერეს საყვირს და გავიდნენ საომრად სომხები, სპარსელები და მეფე დარუბანდისა. მეფე ვახტანგი კი ქართველთა ლაშქრითურთ დადგა განზე, საცქერლად ბრძოლისა.

შეჯდა კეისარი თეთრ სპილოზე და დაიწყო ბრძოლა ზღვის ნაპირას, ტყესთან, რიყეზე, მდინარის შესართავთან. სპარსთა ლაშქრის მისვლამდე მოიკლა ბერძენთა მიერ ოცდაშვიდი ათასი. გახურდა ბრძოლა, მოკლეს ვახტანგის დედის ძმა, ერისთავი სპარსთა, მოკლეს იპაჯაჯ, მეფე ლეკთა და მრავალნი ერისმთავარნი. იძლია ბანაკი აღმოსავლეთისა. ბერძენთა სპასალარი იყო პალეკარპოს ლოღოთელი, დისწული კეისრისა. იყო იგი ძლიერი და მოჰკლა მან სპარსთა მხნე მებრძოლები. სპარსთა ერისთავიც მანვე მოჰკლა.

მაშინ გადმოვიდა ვახტანგ მეფე ეტლიდან და თქვა: „მოხდა არა როგორც ჩვენ გვინდოდა, არამედ როგორც ღმერთს სწადდა, რადგან ჩვენ მოუწოდებდით მშვიდობისაკენ, ხოლო სპარსთა თავხედურად აგინეს ღმერთს და ღმერთმა შური იძია - მოჰკლეს ერისთავი რანისა, რომელსაც

მთელი სპარსეთი, როგორც სპარსეთის მოოხრებას, ისე იგლოვს. აწ დამდაბლდა სილაღე სპარსთა. მოიტანეთ ჯვარი და წინ წარვიძღვანოთ, რათა, რითაც ბერძნები გვძლევდნენ, მითვე იძლიონ. გაძლიერდით და ნუ ებრძვით ერთმანეთს სხვის გამო და ნუ ცდილობთ მტერთა დამარცხებას, არამედ გავერთიანდეთ და მოვიქცეთ ისე, თითქოს თქვენი ხელები, ჩემი ხელებია, რათა არ დაგვამარცხოს მტერმა სრულად. მაშინ, არა თუ აქ დავამარცხებთ და გავდენით მტერს, არამედ ვდევთ მას ადარბადაგანამდე, როგორც იდევნებიან ყორნები თავიანთ მართვეთაგან".

მოიტანა პეტრე მღვდელმა ჯვარი და მიმართა მას მეფემ: „დადექი ჩემი ერისა და მტრის შუა და უთხარი ყველას, თაყვანი სცენ ჯვარს და ამით ვძლიოთ მტერს. რომელმაც თაყვანი არ სცეს ჯვარს, ის მოკალით!" უბრძანა დემეტრეს, თავის ერისთავს და სპასპეტს ჯუანშერს, რათა თან გაჰყვენ ჯვარს. ქადაგი კი გაიძახოდა ძლიერად: „ვინც არ სცეს თაყვანი ჯვარს, მოკვდეს!" მივიდოდა ყოველი ერი, თაყვანს სცემდა და დადგებოდა წინაშე ჯვრისა. ხოლო ბორზომ, მოვაკანელმა მეფემ, თქვა: „არა დავტოვებ ცეცხლსა მწველსა და არ ვცემ თაყვანს ძელსა ფუტუროსა, რომელიც დამშვენებულია ოქროთი და ძვირფასი ქვებით". მაშინ სცა მას ლახვარი ჯუანშერ სპასპეტმა და დასცა ცხედარი მისი. შემდგომად ამისა ვერავინ იკადრა გმობა ჯვრისა და აღუთქვა ლაშქარმა ვახტანგ მეფეს: „თუ შეგვეწევა ჩვენ ჯვარი, აღარ ვიწამოთ სხვა ღმერთი გარდა ჯვარცმულისა".

ჩამოხტა მეფე ცხენიდან და თაყვანისცა ჯვარს და ყოველმა ლაშქარმა თაყვანისცა მასთან ერთად. და თქვა მეფემ: „აჩვენე ღმერთო ძალა შენი ამ ურწმუნო ერს, რათა შემოიყვანო სარწმუნოებაში. შენი მმოსავნი თუმცა დაიხოცნენ, მაგრამ ცოცხლებიც მრავლად არიან და შენგან, ღმერთო ცხოველო, არიან გაძლიერებულნი".

გამოვიდა ბერძენთა ლაშქარი ვითარცა ელვა, ხოლო პოლიკარპოს ვითარცა მგელი, სისხლით მოსვრილი და ვითარცა ლომი გამძვინვარებული იძახდა და შეურაცხჰყოფდა ვახტანგის ლაშქარს. მეფემ მიმართა თავის სპას: „ვინ არის თქვენს შორის კაცი, რომელიც შეებრძოლება მას და ღირსეული იქნება ჩემი მეფობისა?" შემოიარა ქადაგმა ლაშქარი ორგზის, მაგრამ ვერავინ გაბედა სიტყვის დაძრა. მაშინ თქვა ვახტანგმა: „საკუთარი ძალა როდი აძლიერებს კაცს, არამედ ღმერთი აძლევს მას ძალას. მე იმედი მაქვს შენი ძალისა, ღმერთო და დავითის მსგავსად ჯვრის გამოსახვით გავალ საბრძოლველად. მომეცი ძალა, როგორც დავითს გოლიათთან შერკინებისას, რამეთუ პალეკარპოსიც დაყვედრებით და შეურაცხყოფით მიუხთა შენს ჯვარს: რაჟამს იხილა ჯვარი, აღმართული ჩვენს გასაძლიერებლად, კი არ გაეცალა მას, არამედ თავის ძალაზე დაიმედებული გამოვიდა საბრძოლველად". კვლავ წარმოსთქვა ვახტანგმა: „იხილე, ღმერთო, ამპარტავანი და დაამდაბლე; იხილე შეჭირვებული და იხსენი. არ მეშინია მე პალეკარპოსის და არაფრად მიმაჩნია იგი მე, რადგან დიდია ძალა, ღმერთო, შენგან მოცემული, რითაც ვძლევ მას. მე მეშინია მხოლოდ შენი უფალო და შენ გსახავ ჩემს შემწედ." იშიშვლა ხმალი, შეახო ჯვარს, გავიდა ორთავე ლაშქარს შორის და თქვა: „მე მეფე ვარ და შენ მონა და არ ეგების ჩვენგან შენთან ბრძოლა, ვითარცა ლომისა ხართან, მაგრამ დავიმდაბლებ თავს ჩემი ერის გულისთვის, რათა ირწმუნოს მან ძალი ჯვრისა."

მაშინ გამოექანა მისკენ პალეკარპოსი, ხოლო ვახტანგი დინჯად და აუღელვებლად უახლოვდებოდა. ორივე ლაშქარმა საშინელი ხმით შეუძახა. იყო ხმა იგი, ვითარცა ხმა ქუხილისა, რომლითაც იძვროდა ქვეყანა. დასცა შუბი პალეკარპოსმა ვახტანგის ფარს, რომელიც იყო ვიგრის ტყავისა და განვლო ფარი ერთი წყრთის სიგრძეზე, რამეთუ სიმსხო შუბისა იყო ვითარცა მკლავი კაცისა. მაშინ უშვა ხელი მეფემ და დატოვა ფარი ლახვარზე აცმული, თვითონ კი მიეჭრა პალეკარპოსს პირისპირ და უხეთქა ხმალი ჩაბალახსა

ზედა და გააპო თავი მისი ვიდრე ბეჭამდე. მრე სტაცა ხელი მას თავის ნახევარში, მიიყვანა ჯვრის წინაშე და თქვა: „ასეთი იყოს ხვედრი ყოვლისა შენგან განდგომილისა.”

მაშინ შეუტიეს ვახტანგის სპათა ბერძენთა ლაშქარს და აოტნეს ისინი. მისდიეს და მოიმწყვდიეს ზღვის ნაპირას და კერაეინ გადარჩა მათგან იმათ გარდა, ვინც შეასწრო ზღვაში და ივლტოდა ნავით. იმ დღეს დაიღუპა ვახტანგის ლაშქრიდან ორმოცდასამი ათასი, ბერძენთ სპათაგან კი სამოცდათორმეტი ათასი, ხოლო ტყვედ შეიპყრეს ასოცდახუთი ათასი.

როცა შემოიქცა ვახტანგის ლაშქარი, მივიდნენ ვახტანგის დედის ძმის ვარაზ-ბაკურის ცხედართან, იგლოვეს, შებურეს ის სურნელოვანი ზეთით და ბალახით და წარგზავნეს ბარდავს.

ვახტანგის მიერ ქართლის მიწების დაბრუნება

ვახტანგ მეფემ მოუწოდა მთელ თავის ლაშქარს და უბრძანა ყველა ტყვის მოყვანა. მოიყვანეს უკლებლად. იყო მამაკაცი და დედაკაცი ერთად შვიდასოთხმოცი ათასი. გაუგზავნა ყველანი კეისარს ნასრი და ადარნასე ერისთავების ხელით და მიწერა წიგნი, რომელშიც ეწერა: „სიბრძნე ღმრთისა მიუწვდომელია და კაცთა სიბრძნესა და ნებას სძლევს ნება ღმრთისა. მე ვიცი, რომ არ იყო შენი ნება მომხდარიყო ის, რაც მოიმოქმედა პალეკარპოსმა. არც მე მეწადა ის, რაც ქნა ჩემმა დედის ძმამ. ის ორივე ბოროტის მქმნელი, ბოროტისგანვე იქნა შეპყრობილი. ამისთვის ქმნა ღმერთმა ასე, რათა მისდამი შიშმა ახალნერგნი შემოიყვანოს სარწმუნოებაში. თქვენ ღმერთის პირმშო შვილები ხართ და მარადის მისნი ხართ. აწ მწუხარება ჩემი დედის ძმის მოკვლის გამო, განვიქარვე

მე თქვენი დისწულის მოკვლით, რითაც ვიძიე შური მის მკვლელებზე. თქვენთვის ნუგეში იყოს შვიდასოთხმოცი ათასი ტყვის დაბრუნება, რომლებიც დაიხსნა ღმერთმა. თუ გნებავს მობრძანება ჩემთან, ისწრაფე, თუ არა და მოციქულის მეშვეობით განაგე საქმე ჩვენი, რადგან გვიმძიმს ჩვენ გაჩერება ამ მოოხრებულ ქვეყანაში."

მოციქულთა მოსვლამდე ფრიად მწუხარე იყო კეისარი, ხოლო რაჟამს უთხრეს, რომ ტყვეები ვახტანგმა უკლებლად განუტევაო, მაშინ გაიხარა დიდად და ყველამ უკუაგდო მწუხარება. ავიდა მეფე გემზე, სამასი ხომალდით გავიდა ზღვაში, სწრაფად გამოვიდა ზღვის ნაპირზე, მოუწოდა ვახტანგს, მისცეს ერთმანეთს აღთქმა და ფიცი და გადაწყვიტეს საქმე წინდობისა. დაუბრუნა ვახტანგს კეისარმა ქართლის მხარეები: ციხე თუხარისი, კლარჯეთი მთლიანად, ზღვიდან ვიდრე არსიანამდე და ხევები, რომლებიც ესაზღვრებიან ღადოთ.

გამოიკითხა კეისარმა საბერძნეთისადმი კუთვნილი მხარის, ზღვის პირს მდებარე ქვეყნის - აფხაზეთის შესახებ და უთხრა ვახტანგს ასე: „ეგრის წყლიდან მცირე ხაზარეთის მდინარემდე საბერძნეთის ტერიტორიაა, ალექსანდრედან მოყოლებული. აწ შენ ის დაგიპყრია მკლავითა შენითა. ახლა ის დაგვიბრუნე და, ოდეს წაიყვანო ცოლი შენი, ასული ჩემი, მაშინ მოგცე იმ ქვეყნის ნაწილი მის მზითვად." დაუწერა ეგრის წყალსა და კლისურას შუა ქვეყანა მზითვად, ხოლო აფხაზეთის დანარჩენი ნაწილი დაუბრუნა ვახტანგმა ბერძნებს.

წავიდა ვახტანგი კლარჯეთის გზით, ხოლო თავისი სპა გაუშვა სომხითის გზით. როცა მიაღწია თუხარისს, შეხედა, მოეწონა ციხე და თქვა: „ჭეშმარიტად თუ, ხარ შენ ციხე!" წამოვიდა და იხილა კლდე კლარჯეთის შუაგულში. მასზე შეფენილ სოფელს ერქვა არტანუჯი. მაშინ მოუწოდა ვახტანგმა არტავაზსს, მის ძეძუსმტეს, დაადგინა იგი ერისთავად და უბრძანა მას აგება არტანუჯის ციხისა. კიდევ უბრძანა, რათა გამონახოს იმავე ხევში ადგილი ერთი სამონასტრო, ააშენოს ეკლესია და აქცოს ისეთ მონასტრად, რო

გორი მონასტრებიც ეხილათ საბერძნეთში და უთხრა არტავაზს: „თუ გაძლიერდნენ სპარსელები და დაგვამარცხეს, თავშესაფარი ჩვენი აქ იქნება.”

არტავაზმა ააშენა არტანუჯის ციხე, ოპიზის მონასტერი და სამი ეკლესია: დაბა მერისა, შინდობისა და ახიზისა. მანვე განაახლა ციხე ახიზისა და აქცია ის მღვიმედ.

წამოვიდა ვახტანგი და მოვიდა ქალაქ მცხეთას და იყო სიხარული დიდი და ჰმადლობდნენ ღმერთს, რადგან მობრუნდა ის მშვიდობით. მაშინ მისცა საბოძვარი დიდი ერსა თვისსა.

სპარსთა მეფე, ოდეს შეიტყო ვახტანგის ბერძენთა მხარეზე გადასვლის ამბავი, გაბრუნდა სპარსეთში და მოკვდა. დაჯდა მეფედ ძე მისი. ვიდრე ის მოიწიფებოდა, გავიდა წელიწადი სამი. ვახტანგ მეფეს კი ამასობაში უშვა ცოლმა ტყუპი, ძე და ასული და გადაყვა მშობიარობას დედოფალი, ბალენდუხტი, სპარსთა მეფის ასული. ვახტანგმა უწოდა თავის ძეს სახელი სპარსულად დარჩილ, ხოლო ქართულად დაჩი.

მაშინ ვახტანგ მეფემ ვერ მოიცალა ბერძენთა მეფის ასულის ცოლად მოყვანისთვის და ვერც კათალიკოსის და ეპისკოპოსების განწესება შესძლო, რადგან მოელოდა ის სპარსთა მეფის გამოლაშქრებას, ამაგრებდა ციხეებს და ქალაქებს, ჰკაზმავდა მხედრებს და სპარსელებთან საბრძოლველად განამზადებდა მათ. მაშინ შეაგდო ვახტანგმა საპყრობილეში ბინქარან მაცთური, ეპისკოპოსი ცეცხლის მსახურთა, მოსრა და გააძევა ყოველნი ცეცხლის მსახურნი ქართლის ტერიტორიიდან.

სპარსთა მეფის გამოლაშქრება ვახტანგ გორგასლის წინააღმდეგ

სამი წლის შემდეგ გამოემართა სპარსთა მეფე ვახტანგთან საბრძოლველად, მოადგა ინდაბრიანს და დაიბანაკა მუნ. ვახტანგმა კი წარავლინა მოციქული ბერძენთა მეფესთან და ამცნო: „აი, ხელსაყრელი ჟამი, რომელიც აღმითქვამს შენთვის, რათა ჩაგიგდო ხელში სპარსნი; აჰა, შემომიშვია ისინი შუაგულ ქართლში და არიან რიცხვად სამასი ათასი. იმედი ჰქონდათ სპარსთა ლაშქრის გამრავლებისა სომხითისა და კავკასიის მეფეთა მეშვეობით, მაგრამ მათ ვერ გაბედეს სპარსელებთან შეერთება, რამეთუ აქვთ სასოება ჯვარცმულის; ხოლო დარუბანდის მეფეები იძლევნენ ეშმაკის მიერ და შეუერთდნენ სპარსთა. მე შევარსრულე აღთქმა ჩემი, რომელიც აღმითქვამს შენთვის: სადაც კი წავაწყდი ცეცხლის სახლს, დავშრიტე ფსლით; მოგვები და ჯაშუშები მათი მივეცი ბოროტ სატანჯველს; მაცთური ბინქარანი კი ჩავაგდე საპყრობილეში დასიკვდილის შიშით გარდაიხვეწყა. მან მოიყვანა ქართლში სპარსთა ლაშქარი. ეპისკოპოსად დავსვი მიქაელი, კაცი სარწმუნო. ბინქარანი კი, მოაღწია რა ქართლის საზღვარს, მოკვდა. აწ სწრაფად გამოემართოს შენი სპა, რათა დავცეთ ჯვრის ყველა მტერი და განთავისუფლდე შენ ყველა შენი მტრისაგან. თუ არ მოგვეშველები და გვძლევენ ჩვენ სპარსელები, გაძლიერდებიან ისინი და შემოვლენ შენს მიწაწყალზე შიმშატის გზით." მაგრამ, ვახტანგ მეფის მოციქულის მისვლამდე, წასულიყო კეისარი საბრძოლველად ხაზართა ქვეყანაში და ამიტომ ვერ შეძლო მოსვლა ქართლად.

მაშინ ვახტანგმა გააძლიერა მცხეთის ციხეები, შემოიკრიბა ირგვლივ მისი ლაშქრიდან გამორჩეული მებრძოლები - ასიათასი მხედარი და ასიათასი ქვეითი - და დააბანაკა ისინი დიღმიდან ქართლის კარამდე. ხოლო სპარსთა დაიბა-

ნაკეს ცხენისტერფიდან ჩალმართ. ვახტანგ მეფემ გააფართოვა მოგვთა უბნის ხიდი და მისცა სიგანე სამოცი მხარი, ლაშქართა მიმოსვლისათვის. მეფე და ჯუანშერ სპასპეტი დადგნენ მცხეთას, ხოლო ნასრი და მირდატი ჩააყენა სომხითისა და ქართლის იმ ლაშქრის სათავეში, რომელიც იდგა არმაზის მხარეს. შეებრძოლნენ სპარსნი არმაზთან განლაგებულ ლაშქარს, გაიჭრნენ მცხეთისკენ და მიადგნენ მცხეთას. შეებნენ მაშინ მათ ქართველები არაგვზე და ზოგჯერ გაივლიდნენ მტკვრის ფონს და შეებრძოლებოდნენ ერთმანეთს ტფილისის ფონთან: ხან ერთნი სძლევდნენ და ხან მეორენი.

ჰქონდა ვახტანგ მეფეს ჩაბალახი ოქროსი და გამოსახული იყო მასზე წინ მგელი და უკან ლომი. სადაც მარცხდებოდნენ ქართველები, იქით გაემართებოდა ვახტანგი და მუსრს ავლებდა სპარსთა ლაშქარს, ვითარცა ლომი კანჯართა. ვერ უძლებდნენ პარსნი მასთან ბრძოლას. ისწავლეს სპარსთა ჩაბალახი მისი, რომელზეც ეხატა მგელი და ლომი და, როგორც კი დაინახავდნენ ვახტანგს, იძახდნენ: „დურ აზ გორგასალ", რაც ქართულად ნიშნავს: „მოერიდეთ თავსა მგლისასა." ამის გამო ეწოდა ვახტანგ მეფეს „გორგასალი".

გაგრძელდა ქართველთა და სპარსთა შორის ბრძოლა ოთხ თვეს. მაშინ მოვიდა კეისრის მოციქული, მოართვა ძღვენი ვახტანგს და მოჰგვარა ოთხმოცი ათასი მხედარი ბერძენთა ლაშქრიდან. მოსწერა კეისარმა ვახტანგს: „გამიხანგრძლივდა ბრძოლა ხაკანთან. აწ მომივლენია შენთან ოთხმოცი ათასი მხედარი და მომიწერია ლეონისადმი: „უკეთუ დაგჭირდეს შენ ლაშქარი, შენს დაქვემდებარებაშია მთელი სპა მელიტენიდან ვიდრე ლამემდე და ზევით კარნუ ქალაქამდე. აგრეთვე მიბრძანებია ლეონისათვის შენს ხელქვეით ყოფნა."

დაზავება ვახტანგსა და სპარსთა მეფე ხოსროს შორის

ომაწია ბერძენთა ლაშქარმა ჯავახეთს. ხოლო, როგორც კი შეიტყო სპარსთა მეფემ ბერძნების ქართველთა საშველად მოსვლის ამბავი, იწყო მოლაპარაკება ვახტანგთან, მოუხმო მოციქულს და უთხრა: „რისთვის უნდა ამოვწყვიტოთ ერთმანეთი? ძმანი ვართ, შვილნი ნებროთისნი. თუ ცეცხლი არს ღმერთი, შეგვეწიოს იგი, ჩვენ კი გვმართებს სიყვარული წინაპართა ჩვენთა. ხოლო თვითოეული ჩვენთაგანი იმ ღმერთს ემსახუროს, რომელიც სწადდეს მის სულს."

როცა მოვიდა მოციქული და მოახსენა ვახტანგ მეფეს სპარსთა მეფის შემონათვალი, ეამა ეს ვახტანგს და მთელს მის ერს. უკან გააბრუნა მოციქული დიდი ნიჭით და შეუთვალა სპარსთა მეფეს: „გიხილავთ თქვენ ძალა ჯვრისა! ჩვენ ყველანი, ჯვარცმულის გამოჩენამდე, ვიყავით თქვენი მოხარკენი, ხოლო რაჟამს გამოჩნადა იგი, ყველა მისი თაყვანისმცემელი გახდა შენი მძლე. ბერძნები, ადრე შენი მოხარკენი, ახლა აქეთ ლაშქრავენ შენს ქვეყანას და აოხრებენ ცეცხლის ტაძრებს. აწ, თუ გვებრძვი იმისთვის, რომ გვაიძულო დატოვება სჯულისა, მოვკვდებით ჩვენ ქრისტესთვის, ვითარცა იგი მოკვდა ჩვენთვის და მან აღგვადგინოს ჩვენ; ხოლო თუ აღასრულებ შენს სიტყვს, იყოს ცეცხლი ღმერთად შენდა და იყოს ღმერთად ჩვენდა ქრისტე, მამად და უფლად შეგრაცხო შენ, რადგან, თუმცა ჩვენ პირმშონი ვართ, მაგრამ თქვენ გიპყრიათ ტახტი ჩვენთა წინაპართა."

როცა მოახსენეს ვახტანგის ნათქვამი სპარსთა მეფეს, მან შეიწყნარა იგი, გაუგზავნა გორგასალს ძღვენი დიდი და ძღვენთან ერთად ძვირფასი ქვებით შემკული გვირგვინი. დათქვეს ჟამი შეხვედრისა. აიყარა სპარსთა მეფე და უკან

დაიხია რუსთავისკენ. განთიადისას კი გამოვიდნენ სპარსნი და დადგნენ კალას ველზე (ტფილისის ქვეყანაც და კალაც მოოხრებული იყო მაშინ სპარსთაგან), ხოლო ვახტანგ მეფე დადაგა ჯაჭვს.შეხვდნენ იმავე ველზე ერთმანეთს ორივე მეფე, მოიკითხეს ერთმანეთი და დადეს აღთქმა მტკიცე თავთავის სჯულზე. მაშინ მიიწვია ტფილისად ვახტანგ მეფემ სპარსთა მეფე თვისითა ლაშქრითა და მიართვა ძღვნად: მხევალი ათასი, მონა ხუთასი, ოქრომკედით ნაქსოვი მოსასხამი ხუთასი, აბრეშუმის სამოსელი ხუთასი, დედალი ცხენი ათი ათასი, მზიდავი ცხენი ხუთასი, ჯორი სამასი, ხარი და ძროხა ოთხი ათასი, ცხვარი ათი ათასი. მესამე დღეს მივიდა სპარსთა მეფესთან გორგასალი, თან იახლა კეისრის ანთიპატი ლეონი და ითათბირეს. მაშინ სთხოვა ათიპატმა გორგასალს, რათა ჩამოაგდოს მან მშვიდობა კეისარსა და ხოსროს შორის. ეშინოდათ ბერძნებს სპარსელების: „ვაითუ, შემოიჭრნენ საბერძნეთში სპარსნი და მოაოხრონ ქვეყანა?" იმ ჟამად არავინ იყო მათთვის წინააღმდეგობის გამწევი, რამეთუ ბერძენთა მთელი ლაშქარი ხაზარეთში იყო წასული საომრად.

დაზავება სპარსთა და ბერძენთა შორის

უთხრა ხოსრომ გორგასალს: „ითხოვე ჩემგან, რაც გნებავს შენთვის, ან, თუ გინდა, სხვისთვის". ხოლო გორგასალმა მიუგო: „მნებავს, რომ დაისადგუროს მშვიდობამ შენსა და კეისარს შორის." უპასუხა ხოსრომ: „მიმძიმს შენგან ასეთი თხოვნის მოსმენა, რადგან ბერძნები, რა ჟამს იხელთებენ ხელსაყრელ დროს, არ დაგვინდობენ. მე ამიტომ ჩამოვაგდე მშვიდობა და სიყვარული ჩემსა და შენს შორის, რომ შევიდე საბერძნეთში და მათზე შური ვიძიო. მეათე დღეა მოსულია ჩემთან ხა-

ზართა მეფის მოციქული (ბერძენთა წინააღმდეგ კავშირის დასამყარებლად). შენ არ იცი მიზეზი ჩვენი მტრობისა, ახლა მოგითხრობ ჩვენს მიმართ მათი თავხედობის ამბავს და მერე აღვასრულებ შენს თხოვნას, რადგან უკვე აღგითქვი ფიცითა ძლიერითა, რომ არ მოვიქცევი შენი წადილის საპირისპიროდ". და წარმოსთქვა შემდეგი: „შენ უწყი, რომ ზღვის აქეთ ჩვენი მიწებია, ჯერ კიდევ ნოეს მიერ გამოყოფილი და ახლა ის გვებრძვის და გვეცილება ჯაზირსა და შამსა და მოოხრებულია იქ ქალაქები. შამი ჩვენი სამფლობელოა, ხოლო ჯაზირის ნახევარი, ჩვენთა წინაპართა განწესებით, შენ გერგო წილად და მიიტაცეს აწ ის ქვეყანა ბერძენთა. ამიტომ მსურდა მე შესვლა საბერძნეთში და იმ მხარეთა დაბრუნება. აწ, რომელი ნაწილიც შენი წინაპრების კუთვნილია, შენ გაუყავი მათ და შენ იცი და ბერძნებმა, ხოლო დანარჩენი ნაწილი ჯაზირისა მომცენ მე ბერძნებმა და ის, რაც ვითხოვე მე შენგან."

ვითარცა ესმა ეს ლეონ ანთიპატს, გაიხარა ფრიად, თაყვანისცა ორთავ მეფეთა და თქვა: „შენი წილი ხუთი ქალაქი ჯაზირისა შენივე იყოს, სიკილიის ნახევარს, რომელიც წაგართვით, უკან დაგიბრუნებთ და ჩვენი სიცოცხლის განმავლობაში იყოს მშვიდობა შენსა და კეისარს შორის." ხოსრომ კი წარმოსთქვა: „ვინ უწყის, დასჯერდება კი ბერძენთა მეფე ნაბჭობსა ჩვენსას?" ხოლო ლეონმა მიუგო: „რა ჟამს მაგზავნიდა კეისარი ვახტანგ მეფის დასახმარებლად, უთხრა მას მონაზონმა ერთმა, ღვთისმეტყველმა: „სურსო ღმერთს, რომ დაისდგუროს მშვიდობამ ამ სამ მეფეს შორის და აღსრულდესო ნება მისი". მაშინ კეისარმა უბრძანა მწიგნობარს დაეწერა ზავის წიგნი და, აი, აქ მაქვს დაწერილი წიგნი მისი." წაიკითხეს წიგნი იგი განმტკიცებული ფიცით: „იმაზე მეტი, რაც უბოძა სპარსთა მეფემ ივბიმიანოსს, არ მოვითხოვოთ თქვენგან". მაშინ იხმო სპარსთა მეფემ ხაზართა მეფის მოციქული, რომელიც სპარსელებს ბერძენთა წი-

ნააღმდეგ სალაშქროდ მოუწოდებდა. სპარსთა მეფემ კი აიღო ეტრატი და მიწერა ბერძენთა მეფეს სიყვარულით აღსავსე წიგნი, დაადგინა საზღვარი და, სიკილიის დაბრუნების სანაცვლოდ, მისცა ბერძნებს ფილისტიმი იერუსალიმითურთ და თქვა: „თქვენი სჯულის ქალაქია იერუსალიმი". ხოლო გორგასალს უბოძა ნიჭი დიდი: ალვა - ლიტრა სამი ათასი, ამბარი - ლიტრა ხუთასი, მუშკი - ლიტრა ხუთასი, ტაიჭი ცხენი - სამი ათასი, სამეფო სამოსელი - ათასი და სიასამური - სამი ათასი.

სპარსთა მეფის მიერ ვახტანგის ხმობა ინდოეთში სალაშქროდ

წავიდა ვახტანგი შინ. მეორე დღეს მოუვლინა სპარსთა მეფემ ვახტანგს ბარზაბანი, საკუთარი მობიდანი და შემოუთვალა: „რასაც ითხოვდი ჩემგან, აგისრულე. აწ განაგე შენი საბრძანებელი, ისე, როგორც გსურს. მიავლინე შენი წარმომადგენლები და ჩაიბარე შენი ქალაქები, რომლებიც მოგეცით შენ და კეისარს; ხოლო ბარზაბანისთვის მიბრძანებია, ეახლოს კეისარს და ჩააბაროს ჩემგან მიცემული მხარეები და ქალაქები. შენ უწყი, რომ ყოველივე ამის გამო განგვირისხდნენ სპარსი უხეცესები, რადგან ისინი ელოდნენ ჩემგან საბერძნეთის შემუსვრას, მე კი ბერძნებს ჩემი მიწებიდან ორი სამეფო გადავეცი. ახლა მინდა გთხოვო, რომ შენი და მომცე ცოლად და შენც მოხვიდე ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს მამულში, რათა მოინახულო შენი თანამეტომენი და შემეწიო ჩემი მტრების: აბაშთა, ელამთა, ჰინდოთა და სინდთა დალაშქვრაში, რადგან დიდი ბოროტება ჩაიდინეს ჩემს მიმართ და დაამდაბლეს მეფობა ჩემი. როცა მოხვალ ჩემთან, ვიტყვი მე უხუცესთა და მარზპანთა წინაშე, რომ სიყვარული ჩამოვაგდე ჩემსა და ბერძნებს შორის, რადგან ასე ინება ჩემმა ძმამ, ვახტანგ მე-

ფემ. თუმცა ქვეყნები გავეცით, მაგრამ, მათივე შემწეობით მოხარკედ გავიხადეთ ჩვენი მტრები. ამ სიტყვებით დავაცხრობ უხუცესთა გულისწურომას ბერძენთა მიმართ. აწ მნებავს, საკუთრივ შენი მოსვლა ჩემს შემწედ, ხოლო ლაშქარი შენი ადგილზევე დატოვე.''

მაშინ ვახტანგმა მოუწოდა თავის მრჩევლებს და ურჩია ლეონ ანთიპატმა შემდეგი: „დიდი სიკეთე ჰქმენი შენ ბერძენთა, უფრო მეტად კი მათ მეფეთა მიმართ, რომელთაც უპყრიათ საბერძნეთის ტახტი. შენ დაიცავი ქალაქი პონტო შემუსვრისაგან, შენ დაუბრუნე შვიდასოთხმოცი ათასი სული ტყვე და შენი მეშვეობით მიიღო კეისარმა ჯაზირი და ფილისტიმი, რომლებიც მშვიდობიანად არც ერთ ბერძენთა მეფეს არ ჩაუგდია ხელში; ამჯერად მართალია ხოსრო, რადგან, თუ არ გამოამჟღავნებ მის მიმართ კეთილგანწყობას, უვარგისად მიიჩნევს მას ერი მისი. ამასთან, მან ხომ არ მოგიწოდა ბერძენთა დალაშქვრისაკენ, რითაც გამოავლინა სრული თანხმობა შენთან. ახლა მოგცემ მე ჩემი ლაშქრისაგან ათი ათას შეჭურვილ მოლაშქრეს, თვითონ კი გავყვები შენს მოციქულს კეისართან და იქიდან შემოგიერთდები ჯაზირეთში ძლიერი სპით''.

ასე ურჩია ლეონ ანთიპატმა და ეამა მეფე ვახტანგს და ყველა მის წარჩინებულს მისი რჩევა. მისცა სპარსთა მეფეს ვახტანგმა ცოლად თავისი და სახელად მირანდუხტი, რომელიც დატყვევებული იყო ოვსთა მიერ და დაეხსნა ვახტანგს (ხვარამზე იმიტომ არ მისცა, რომ დაწინდული იყო სომეხთა პიტიახშის მიერ).

ვახტანგის სამზადისი შორეული ლაშქრობისათვის

ამაშინ მოიყვანა ვახტანგმა ძე მისი, რომელსაც ერქვა სპარსულად დარჩილ, ხოლო ქართულად დაჩი. იყო ის ხუთი წლის. დაადგა გვირგვინი და დატოვა მეფედ. მასთანვე დატოვა შვიდი წარჩინებული: ჯუანშერ სპასპეტი, მპყრობელი შიდა ქართლისა და მფლობელი ყოველთა ერისთავთა; დემეტრე, ერისთავი კახეთისა და კუხეთისა; გრიგოლი, ერისთავი ჰერეთისა; ნერსარანი, ერისთავი ხუნანისა; ადარნასე, ერისთავი სამშვილდისა; სამნაღირი, ერისთავი შიდა ეგრისა და სვანეთისა; ბაკური, ერისთავი მარგვისა და თაკვერისა. ამათ შეავედრა თავისი ძე დაჩი და უბრძანა უჯარმის აშენება და იქ აღზრდა დაჩი მეფისა, რადგან მარჯვე ადგილად მიიჩნია უჯარმა მონადირეობისა და მეცხვარეობისთვის.

თვითონ ვახტანგმა წარიტანა ოთხი მისი წარჩინებული: არტავაზი, ერისთავი კლარჯეთისა, ნასარი, ერისთავი წუნდისა, ბივრიტიანი, ერისთავი ოძრხისა და საურმაგი, მისი დიდი ეჯიბი, აგრეთვე ათი ათასი რჩეული მხედარი მისი ლაშქრიდან. ლეონ ანთიპატმა დაუტოვა ვახტანგს ათი ათასი ბერძენი თავისი ლაშქრიდან და თვითონ წავიდა კეისრის წინაშე. ვახტანგმა კი მას აახლა მოციქულად არტავაზი, ერისთავი კლარჯეთისა და გაატანა კეისართან მთელი ის ძღვენი, რაც მიეღო ხოსრო მეფისაგან. მხოლოდ სტავრები და ტაიჭები დაიტოვა თავისთვის და უბრძანა არტავაზს, რომ ჯაზირას შეერთებოდა მას ლეონ ანთიპატთან ერთად.

ვახტანგის მიერ იერუსალიმის წმინდა ადგილთა მოლოცვა

ვახტანგს ევედრნენ დედა და მისი და ხვარამზე, რომ წაეყვანა ისინი თან, რათა ელოცათ მათ იერუსალემს. წაიყვანა ისინი ვახტანგმა და გაუდგა, ხოსროსთან ერთად, ადარბადაგანის გზას. იქიდან გაემართნენ ვახტანგი, დედა და მისი და იერუსალემს, ხოსრო კი დაელოდა მათ ანტიოქიას. შევიდნენ და ილოცეს წმინდა აღდგომას. მოილოცეს ყველა წმინდა ადგილი, შეევედრნენ წმინდა აღდგომას, შეწირეს შესაწირავი დიდი და წამოვიდნენ ანტიოქიას. ხოლო ლეონი, ანთიპატი კეისრისა და არტავაზი, ერისთავი ვახტანგისი, მოვიდნენ ოცი ათასი რჩეული მხედრით და მოართვეს ხოსროს კეისრის მიერ გამოგზავნილი ენით აუწერელი ძღვენი და ვახტანგს - განძი განუზომელი. ემცნო კეისარს მოციქულთათვის თავისი სიხარული და ღმერთისადმი მადლიერება, აგრეთვე ვახტანგის არნახული ქება და მადლიერება. შემოუთვალა კეისარმა ვახტანგს: "მიბრძანებია ლეონისათვის, რომ ჰქონდეს შიში შენი და შეასრულოს ბრძანება შენი, როგორც შეასრულებდა ჩემს ბრძანებას." შეიკრიბა ვახტანგის ბრძანების ქვეშ ბერძენთა, ქართველთა და სომეხთა ორმოცდაათი ათასი რჩეული მხედრობა.

ხოსროსა და მირანდუხტის ქორწილი

ამაშინ უთხრა სპარსთა მეფემ ვახტანგს: „რადგან შენი დედა და და მგზავრობით დაღლილები არიან, შემოვიდნენ ისინიც ჩემს სამეფოში, რათა ერთობით მივეცეთ ლხინს და მერე, თუ ინებებენ ქართლში დაბრუნებას, წავიდნენ რანის გზით. ხოლო, თუ არ მოინდომებენ და ინებებენ შენს დალოდებას, დაგელოდონ ქალაქ ურაჰაში."

მოეწონა ვახტანგს ხოსროს ნათქვამი და წაიყვანა თან დედა და და მისი და გაემართნენ სპარსეთს. სპარსთა მეფემ წარგზავნა მოციქული სპარსეთის ყველა წარჩინებულის წინაშე და მოახსენა მათ ესე ყოველი და მათაც გაიხარეს დიდის სიხარულით, რადგან, როგორც ცეცხლი ისე ეგზებოდნენ ჰინდოთა, სინდელთა, აბაშთა და ჯორჯანელთა წინააღმდეგ ბრძოლის სურვილით. როცა მივიდნენ ბაღდადს, შეეგება მათ სპარსეთის ყველა წარჩინებული ფრიად გახარებული და აღასრულეს სამეფო ქორწილი და იყვნენ ექვსი თვე აუწერელ განცხრომასა და განსვენებაში. ქორწილის შემდეგ მისცა ხოსრომ დიდძალი ძღვენი ვახტანგის დედასა და დას და წამოვიდნენ ისინი ურაჰას. სპარსთა მთელი ერი კი პატივს სცემდა ვახტანგს, როგორც მათ მეფეს ხოსროს. მერე გაემართნენ მტერთან საბრძოლველად.

ვახტანგისა და ხოსროს ლაშქრობა ჯორჯანთა, ჰინდოთა და სინდთა წინააღმდეგ

თავდაპირველად შევიდნენ ჯორჯანეთს დაარბიეს და გააუკაცრიელეს. მაშინ დაემკვიდრნენ იმ ადგილებში სპარსნი, ხოლო ჯორჯნელები იქცნენ ამის შემდეგ გლეხებად და სპარსთა მებეგრეებად.

იქედან შევიდნენ ჰინდოეთს, სადაც გარდახდათ ძლიერი ორთაბრძოლები, რადგან იყო იქ წესად, ვინც დამარცხდებოდა ორთაბრძოლაში, გარბოდა მისი ბანაკი. ხოლო ვახტანგ მეფემ მოჰკლა თხუთმეტი ბუმბერაზი, რომელთაც დაემარცხებინათ სპარსთა გოლიათები. მოანდომეს ჰინდოეთში ბრძოლას სამი წელი და დაარბიეს ჰინდოეთის უმრავლესი მხარეები, მაგრამ მტკიცე ციხე-ქალაქები ვერ აიღეს, რადგან გამაგრებულები იყვნენ ისინი ძლიერი ზღუდით. გამოართვეს ხარკი ჰინდოთა მეფეს: მუშკი - ლიტრა ათასი, ამბარი იმდენივე, ალვა - ნავი ათი, თვლები იაკინთისა და ზურმუხტისა - ნავი ერთი და მასთანავე საფირონი მრავალფერი, ოქრო ასი აქლემი და ვერცხლი ათასი აქლემი.

იქიდან შევიდნენ სინდეთს. მაშინ სინდთა მეფემ გაანაწილა თავისი ლაშქარი ციხეებსა და ქალაქებში და საითკენაც გავიდოდა სპარსთა მარბიელი ლაშქარი, გამოუხტებოდნენ მას სინდი მცველები ციხეებიდან და ქალაქებიდან, დიდ ზიანს აყენებდნენ სპარსთა ლაშქარს და მოსწყვედნენ სპარსთა ურიცხვ სპას. ხოლო ქრისტეს ძალით და შეწევნით არსად არ დამარცხებულა ვახტანგის სპა და ყველგან სძლევდა მტერს. მხნე მებრძოლად წარმოჩდნენ ვახტანგის ოთხი წარჩინებული და ლეონ ბერძენი, რამეთუ დაამარცხეს მათ სინდთა მრავალი მხნედ მებრძოლი ბუმბერაზი. სინდთა მეფე კი იმყოფებოდა ქალაქ სინდიას. მაშინ ვახტანგი და ხოსრო მთელი ძალებით მიადგნენ სინდიას და დაიწყო იქ ძლიერი ბრძოლა. ყოველდღე ბრძოლის ველზე გამოდიოლა თვით სინდთა

მეფე, რადგან იყო იგი მხნე გოლიათი და შემმართებელი და გამოჰყავდა სინდთა მხედრობა და იწყებოდა შერკინება ბუმბერაზთა და ხან ესენი სჯობდნენ და ამარცხებდნენ და ხანაც ისინი. პირადად სინდთა მფემ სძლია ყველა ბუმბერაზს, რომელიც კი მას შეებრძოლა. მას და ვახტანგს კი არ მოუწიათ პირისპირ შეხვედრა მრავალი დღის განმავლობაში.

მაშინ სინდთა მეფემ ველზე, ქალაქის კარის სიახლოვეს, ღამით გაათხრევინა დიდი თხრილი, შიგნით მხედართა დასამალავად და მარჯვედ დაატანა თხრილს ზევით ამოსასვლელი გზები. შემდეგ ჩააყენა იქ ათი რჩეული მხედარი. ადრე დილით გამოგზავნა მან ერთი ბუმბერაზი. ამ დღეს ვახტანგს ხვდა წილად ქალაქის კართან დარაჯად დგომა. მიუახლოვდა მას ბუმბერაზი და უხმო ვახტანგს შესარკინებლად, რათა შეეტყუებინა და მიეგდო ჩასაფრებულ მხედრებზე. მაშინ საურმაგი, ეჯიბი ვახტანგისი გავიდა და უთხრა: „არა ხარ შენ ღირსი მეფესთან ბრძოლისა, ამიტომ მე შეგებრძოლები - მონა მონასა" და შეუტია. ხოლო სინდელი გაიქცა. მისდია საურმაგმა ჩვეულებისამებრ, რადგან უკვე მრავალჯერ გარდაეხადა ორთაბრძოლა ამ ველზე. როცა გასცდა ჩასაფრებულ მხედრებს, ისინი გამოუხტნენ ზურგით. მაშინ ის გაქცეულიც შემობრუნდა. საურმაგმა უხეთქა ოროლი მას და მოჰკლა, მაგრამ უკან მომავალმა ათმა მოჰკლა საურმაგი.

მაშინ დაედევნენ მათ თვით ვახტანგ მეფე და სამი მისი წარჩინებული: არტავაზი, ბივრიტიანი და ნასარი და მათთან ერთად ლეონ ბერძენი, ხოლო სინდელნი ივლტოდნენ. მისდიეს მათ ვახტანგმა და მისთა მოყვასთა ქალაქის კარიბჭემდე, მაგრამ სინდთა შეასწრეს და შეაფარეს თავი ქალაქს. მაშინ ვახტანგი მწუხარებით სავსე შემოიქცა და ვითარცა საყვარელ ძმას ისე იგლოვდა საურმაგის ცხედარს, რადგან ერთად იყვნენ აღზრდილნი. საურმაგი იყო ძმისწული ვახტანგის მამამძუძისა, არტავაზის მამისა, ერთგული, სანდო და ქველი.

არაკი მონათხრობი სინდთა მეფის მიერ

ამაშინ სინდთა მეფე გამოვიდა ქალაქის კარიბჭიდან, გასძახა ხმამაღლა ვახტანგს და უთხრა: „ვახტანგ მეფეო, მსგავსი ხარ შენ უგუნური ყვავის, რომელმაც იპოვა არწივისგან დაგდებული, დაჭრილი ქორი, ვერშემძლებელი აფრენისა და სიკვდილის პირას მყოფი. არ მოიქცა ის ყვავი ყვავთა წესისამებრ, რადგან საერთოდ ყვავი, როცა იხილავს ქორს, იწყებს ხმამაღლა კივილს და გააგონებს სხვებსაც. მაშინ დაესხმის თავს ყვავთა სიმრავლე ქორს და გააძევებენ მათი სამყოფელოდან, რათა უშიშრად გაატარონ თავიანთი ცხოვრება. რადგან პირუტყვმაც კი იცის რა არის სასარგებლო მისთვის."

„ყვავი კი არ მოიქცა ასე, არამედ შეიწყალა ქორი, თითქოს ყოფილიყოს მისი კეთილისმყოფელი. დაანება თავი თვისთა მართვეთა და უგროვებდა კალიას და გველს (რადგან სხვისი შეპყრობა არ შეუძლია ყვავს) და ასე ზრდიდა ქორს. როცა მოეზარდა ქორს ფრთები, გაიფიქრა ქორმა: „მრავალი დღეა რაც ვსაზრდოებ კალიითა და გველითა და არ მეძლევა ძალა მამა-დედათა ჩემთა, რადგან კალიით ვერ მოვღონიერდები. ჯერ არ შემწევს ძალა ფრინველთა შეპყრობისა და ჩემი თავის გამოკვებისა. სჯობს შევიპყრო ეს ყვავი, გამზრდელი ჩემი, შევჭამო, მოვისვენო ორი დღე, მომეცეს ძალა და დავიწყო ნადირობა ჩემთა წინაპართა წესისამებრ." აღასრულა ქორმა თავისი ჩანაფიქრი, შეიპყრო ყვავი და შეჭამა. ამის შემდეგ დიაწყო ნადირობა დიდ და სწრაფ ფრინველებზე. არავინ შეაქო ყვავი თავისი მოწყალებისთვის, არამედ უგუნურად და თავის მკვლელად იქნა მიჩნეული. არც ქორი გაიცხეს უწყალოებისა და კეთილის დაუნახაობისთვის, რადგან ასეთია ბუნება ქორისა: დაილეოდა და მოკვდებოდა ის მხოლოდ კალიათა ჭამით და მოიქცა წე-

სისამებრ და დააღწია თავი სიკვდილს. ყვავი კი არ მოიქცა თვისი ჩვეულებისდა შესაბამისად და ამიტომაც მოკვდა."

„სპარსელები, რომლებიც მუდამჟამს მტრები ყოფილან და უკუნისამდე მტრები იქნებიან ჯვარის მსახურთა, ამ ჟამად, უღონობის გამო, ლიქნით გეფიცებიან სიყვარულს და როცა ჟამი დაუდგებათ, არ გაგიხსენებენ კეთილ საქმეებს და არ დაგიფასებენ სამსახურს. ასე ბევრჯერ უქნიათ და ვიცით ჩვენ ეს ყოველივე წიგნებიდან. შენ კი, როცა იხილე სპარსნი ჩემგან დაკნინებულნი, არ მოიქეცი ისე, როგორც წესით უნდა მოქცეულიყავი. ნაცვლად იმისა, რომ გაგხარებოდა, მადლი შეგეწირა ღმრთისათვის, მოგეხმო სხვა ნათესავთათვის, აგემხედრებია მტრები მათზე და შესწეოდი სპარსთა მტრებს, აგიღია და მიგიტოვებია შენი წინაპრების საყოფელი, წამოძღოლიხარ საქრისტიანოს დიდს ლაშქარს, გამოგივლია ორი წლის სავალი გზა და მოსულხარ სპარსთა საშველად, რათა გაძლიერდნენ სპარსნი, წაგრწყმიდონ შენ და ქვეყანა შენი და ყოველნი ჯვარის მსახურნი. ჭეშმარიტად ამას იმზადებ საკუთარი თავისთვის და ამასვე უმზადებ ყოველთა ჯვარის მსახურთა. რატომ მოგითხრე მე შენ ყვავის იგავი? იმიტომ, რომ მეფე ხარ თვითმპყრობელი და ახოვანი და საკუთარი ნებით გაგიხდია შენი თავი მტრების მონად. როგორ არ გიწოდო ამის შემდეგ უგუნური?"

არაკი მონათხრობი ვახტანგ გორგასლის მიერ

ძაშინ ვახტანგმა მიუგო: „გგონია შენ, რომ ბრძნულად საუბრობ, მაგრამ ცრუობენ შენი სიტყვები. გეტყვი მე ჭეშმარიტად, რომ უგუნური ხარ და მსგავსი ბრმა თაგვისა, რომლის სამყოფელი არის მიწის ქვეშ და არ იცის მან ბრწყინვალება მზისა და მშვენიერება ველთა და ჰგონია მას, რომ ცხოვრება ყველა ქვემძრომისა მსგავსია მისი

ცხოვრებისა. ამიტომ არცა აქვს სურვილი ცისა და ქვეყნის მშვენიერების ხილვისა.

ასევე დაგხშვია შენ გონების თვალი და ყური გონებისა. არც ხედავ, არც გესმის და არც უწყი ცხოვრება სულიერი და არცა გაქვს სურვილი მიეახლო ცხოვრებას მას საუკუნოს, ნათელსა მას დაუსრულებელს და დიდებას მიუწვდომელს და არც იცნობ შენ ყოვლის შემომქმედ ღმერთს, რომელმაც შექმნა ყოველი.

მე აქ მოვსულვარ არა ამქვეყნიური დიდების საძიებლად და არც სპარსთა მეფის მსახურებისათვის, არამედ მოვსულვარ მსახურებისათვის ღმრთისა დაუსაბამოსა, სამებისა ერთარსებისა, დამბადებლისა ყოვლისა, რათა მოვიპოვო დიდება საუკუნო. ჩემი აქ მოსვლით მე გამოვიხსენი იერუსალემი, წმინდა ქალაქი, სადაც დაუდგამს ფეხი უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს და სადაც აღასრულა მან ყოველივე ჩვენთა სულთა ხსნისთვის; აგრეთვე სიმრავლე ქრისტიანთა დავიხსენი მოოხრებისაგან, რადგან ჩავარდნოდა ჟამი ხელსაყრელი სპარსთა მეფესა მოტყვევნად ყოველისა საქრისტიანოსა.

თუმცა ქვეყანა ჩემი ქრისტეს ძალით და ჩემთა სპათა სიმხნით დაცულ იყო, მაგრამ ბერძნები მოუცლელები იყვნენ და ვერ აღუდგებოდნენ წინ სპარსთა ლაშქარს. წესადაა ქრისტეს მმოსავთა შორის, რომ ჩვენი მოყვასისათვის გავწიროთ თავი, ხოლო აქ მოსვლით მრავალი ათასი სული გადარჩა წარწყმედას. იმისთვის მოვიქეცი ასე, რომ მიიღოს ღმერთმა ეს ჩემი სამსახური და შემიმსუბუქოს ჩემი ცოდვები. რაც შეეხება შენს ნათქვამს, რომ „მოძლიერდნენ რა სპარსნი ექცნენ მტრად ქრისტიანეთა", ამაზე გიპასუხებ: „მე ქრისტეს ძალითა და შეწევნითა ამჟამად ვიხსენი ქრისტიანნი დიდი ჭირისაგან და შემდგომში ღმერთი დამბადებელი მოიღებს წყალობას მის მმოსავებზე.

თუნდაც ქრისტიანთა ხსნის მიზეზი არ ყოფილიყო, მაინც მოვიდოდი სპარსთა საშველად, რადგან, ჯერ ერთი, ნა-

თესავები არიან ჩემი და მეორეც, თუმცა არ ქადაგებენ სპარსელები ჭეშმარიტ სარწმუნოებას, მაგრამ უწყიან არსებობა ღმრთისა დამბადებლისა და სწამთ ცხოვრება სულიერი. ხოლო თქვენ სრულიად უმეცარნი ხართ ღვთისა და უგუნურნი, ვითარცა ცხენი და ჯორი.

ამქვეყნიურ ცხოვრებაზეც მიუღებელია აზრები შენი. ამბობ, რომ ქორმა ღადარმა შეჭამა ყვავი, გამზრდელი მისი და აქებ მის საქციელს. ხოლო ბუნება ჩვენი ასეთია, რომ ჩვენის კეთილისმყოფელისათვის სულსაც არ დავიშურებთ. ასე ვეზიარებით მადლსა ღმრთისასა და მოვიპოვებთ ცხოვრებას საუკუნოს, ხოლო ამ წუთისოფელში კი გავხდებით ღირსნი კაცთა ქებისა. აწ ღმრთის სახელისთვის, ან მისი მცნებისთვის თუ მოვკვდებით, უკვდავებას მოვიპოვებთ და სიკვდილის წყალობით მარადიულ სიცოცხლეს დავიმკვიდრებთ".

მაშინ უთხრა სინდთა მეფემ: „ცუდად გაგვიგრძელდა საუბარი. აწ თქვი შენ, რომ, „თუ ღმრთის სახელისთვის მოვკვდები, მარადიულ სიცოცხლეს დავიმკვიდრებთ." თუ კი კაცმა იცის, რომ მომავალი მას უქადის დიდებას და სიკეთეს, განა მისგან არ ეგების ესწრაფოდეს უკვდავების მოახლოებას? რადგან შენ ჭეშმარიტად უწყი, რომ მოგელის სასუფეველი, გამოდი და შემებრძოლე, რათა ჩემი ხელით მიიცვალო და სიკვდილით დაიმკვიდრო საუკუნო ცხოვრება. თანაც ეს შენი წარჩინებულიც ხომ გყავს წინამორბედად და გაგიმზადებს შენს საყოფელს."

მაშინ მიუგო ვახტანგმა: „ახლა სიკვდილი არ მანიჭებს სიხარულს, რადგან ცოდვილი ვარ და ჯერ არ შემისრულებია სრულად მცნება ღმრთისა და არც ცოდვები ჩემი არ მომინანიებია სრულად. მაგრამ არ მეშინია მე შენგან სიკვდილისა, რადგან მწამს ქრისტეს ძალისა, რომელიც დამიცავს და დამიფარავს მე. ხოლო შენ მგმობელი მისი მოიკლა ჩემი ხელით, რამეთუ ვარ მე მონა ღმრთისა. სული შენი

კი შთაინთქება ბნელ ქვესკნელში და ჩავარდება უშრეტ ცეცხლში."

მაშინ გამოვიდა საბრძოლველად სინდთა მეფე. ხოლო ვახტანგმა შესძახა მოყვასთა თვისთა: „ევედრეთ ღმერთს და გამიმაგრეთ ზურგი." გავიდა ვახტანგი საბრძოლველად. ორთავეს მათ ხელთ ეპყრათ ჰოროლნი და დაიწყეს ჭენება ირგვლივ. ღონეს უსინჯავდნენ ერთმანეთს, რათა ეძგერებინათ ერთმანეთისათვის ჰოროლის წვერი. მაშინ აცალა სინდთა მეფემ ვახტანგს შუბის წვერის დაძგერება, აიცდინა და შეუტია, რათა სცეს ჰოროლი. ხოლო თავისი ტანის სიმხნითა და სიკისკასით აიცდინა ვახტანგმა ჰოროლი, გახტა გვერდზე, შემოუტრიალდა ვითარცა გრიგალი და სცა შუბი სინდთა მეფეს მარცხენა ბეჭში. ვერ დაიფარა სინდთა მეფე საჭურველის სიმაგრემ და დაიჭრა მძიმედ, რამეთუ განვლო ჰოროლმა წინ წყრთა ერთი. მაშინ ჩამოვარდა სინდთა მეფე. მიეჭრა ვახტანგი, გადმოიხარა, სწვდა ფეხში და თრევით მიიყვანა სპარსთა წინაშე.

სპარსელებმა ერთხმად ხოტბა შეასხეს ვახტანგს და აივსო სიხარულით სპარსთა მეფე და მთელი მისი ბანაკი. წარჩინებულები კი მოდიოდნენ და სწირავდნენ ძღვენს ვახტანგ მეფეს. სპარსთა მეფემ მოიყვანა მკურნალი ხელოვანი, რათა განეკურნა სინდთა მეფე წყლულებისაგან. სურდა სპარსთა მეფეს თავად დაჭერა სინდეთისა. ხოლო სინდთა, ნაცვლად მათისა მეფისა, გაამეფეს ძე მისი. მაშინ ვახტანგმა ურჩია სპარსთა მეფეს გაეშვა სინდთა მეფე და მისგან მხოლოდ ხარკსა და მძევლებს დასჯერებოდა, რადგან გაჭირდებოდა მთლიანად დაპყრობა სინდეთისა. დაიჯერა სპარსთა მეფემ ვახტანგის რჩევა, განუტევა სინდთა მეფე, აიღო მისგან ხარკი ორი იმდენი, რაც აეღო ჰინდოთაგან და წამოიყვანა ორი მისი შვილი მძევლად. ხოლო ხარკი, სინდთა მეფისაგან აღებული, სრულად უძღვნა ვახტანგს. მაშინ სინდთა მეფე განიმსჭვალა ვახტანგის მიმართ დიდი სიყვარუ-

ლით: პირველად იმისთვის, რომ, როცა ჩაუვარდა ვახტანგს ხელში მან არ მოჰკლა და ცოცხალი მიიყვანა სპარსთა მეფის წინაშე; შემდგომ კი იმისთვის, რომ ვახტანგის მიერვე განთავისუფლდა ტყვეობიდან და უძღვნა ვახტანგს ძღვენი უზომო.

გამოვიდნენ სინდეთიდან სინდეთს შესვლის მეოთხესა წელსა და გადარჩნენ დარბევას სინდეთის ქალაქები: სინდილა, თოფორი და კიმრაი.

სპარსთა მეფისა და ვახტანგის მიერ აბაშეთის დალაშქვრადა ვახტანგ გორგასლის ქართლში დაბრუნება

ეემდეგ ვახტანგმა, სპარსთა მეფესთან ერთად, გაილაშქრა აბაშეთს. აბაშნი სახლობდნენ ქვეყანაში, რომელსაც გარს ეკრა წყალი, დაფარული ლერწმით. რის გამოც მასში ვერ დაცურავდნენ ნავები და ვერც ცხოველები. მაშინ შეუცვალეს კალაპოტი წყალს, ხოლო ლერწმოანი დაწვეს ცეცხლით. დაარბიეს აბაშეთი. გაყო სპარსთა მეფემ აბაშნი ორად. ნახევარი დატოვა მათივე ქვეყანაში, ნახევარი კი, დაახლოებით ათასი სახლი, წამოიყვანა, დაფანტა და დაასახლა სხვადასხვა ადგილას. ამათგან წარმოსდგნენ ქურდნი, ჩამომავალნი აბაშეთიდან ტვედ წამოსხმულთა. სპარსეთში მისვლის მერვე წელს წამოვიდა ვახტანგი, მიაღწია ანტიოქიას და მოვიდა ქალაქ ურაჰაში. სპარსთა მეფემ შეაძლია ვახტანგს ცოლად ერთ-ერთი მისი ნათესავი, ხოლო ვახტანგმა თქვა: „არ ეგების ჩემგან ორი ცოლის პყრობა, რამეთუ მყავს მე ცოლი, ასული კეისრისა". ეწყინა ეს მეფე ხოსროს, მაგრამ ვერაფერი უთხრა. ხოლო ვახტანგმა მშვიდობით მყოფნი იხილა დედა

და და მისი და გამოემართა ბერძენ-სომეხთა გამყოფი საზღვრისკენ.

წავიდა ლეონ ბერძენი და სპა მისი შიმშატს, ხოლო ვახტანგმა წარავლინა მოციქული თავისი ცოლის, პეტრე კათალიკოსის და სამოელ ეპისკოპოსის წამოსაყვანად. წამოვიდა ვახტანგი ქართლად და მიეგებნენ მას ძე მისი დაჩი და მასთან ერთად ყოველნი სპასალარნი და ეპისკოპოსნი.

ვახტანგ მეფის მიერ ქართლის საეკლესიო საქმეთა განგება

როცა შეიტყო ეპისკოპოსმა, რომ წარავლინა მეფემ მოციქული კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა მოსაყვანად, შეწუხდა ფრიად, იწყო ამბოხი და შფოთი, მიუვლინა მეფეს მოციქული და შეუთვალა: „შენ დაგიტოვებია ქრისტეს სჯული და ეთაყვანები ცეცხლს.” ვახტანგმა კი შემოუთვალა: „მე ქრისტეს ძალით შევედი უცხო ქვეყნებში და სიმართლით გამოვედი ქრისტესივე ძალით და უბრალო ვარ ღმერთმა იცის. ხოლო მოციქული კი წარმივლენია კათალიკოსის და ეპისკოპოსთა მოსაყვანად.”

ვითარცა ესმა ეს ეპისკოპოსს, საბოლოოდ დარწმუნდა და იფიქრა, რომ შფოთი შეაფერხებდა ამ საქმეს და მათ მოსვლას, კრულყო მეფე და ყოველნი სპანი მისნი. ხოლო მეფემ წარმოსთქვა: „თუმცა უბრალო ვარ, მაგრამ მაინც თავმდაბლობა ეგების ჩვენგან” და მივიდა ეპისკოპოსთან და ჩამოხტა ცხენიდან, რათა ემთხვიოს ფეხთა მისთა. მან კი მოიქნია ფეხი, შეანარცხა პირსა მეფისასა ფანდაკი და შემუსრა კბილი მისი. მაშინ მეფემ უთხრა: „სითამამე ამპარტავნობისა, შედეგია ეშმაკის ცთუნებისა. შენ თუ ჩემზე ჩემი ცოდვების სიმრავლემ აგამხედრა, არა გაქვს უფლება ბოროტის ქმნისა, არამედ მხოლოდ შენდობისა, როგორც გვეუბნე-

ბა სახარება: „არა დაშრიტო სანთელი მგზნებარე, არცა გასტეხო ლერწამი დაჩეჩქვილი." ხოლო შენ გგონია, რომ შენითა სივერაგითა უარს გვათქმევინებ ჩვენ ქრისტეს სიყვარულზე. ახლა გამოჩნდა ცხადად, რომ, რაჟამს გესმა შენზე უმთავრესის ქართლში მოყვანის ამბავი, აღეგზნე ბოროტი შურით, ვითარცა იუდა პეტრეს მიმართ. რადგან შენ ხარ ვითარცა იუდა, ხოლო ეკლესია - ვითარცა პეტრე. ვერცხლისმოყვარე ხარ შენ, რადგან ხარ მოლარე ქრისტესი. აწ მიგავლინო შენ კონსტანტინეპოლის პატრიარქის წინაშე და ვითარცა ეგების, ისე განგიკითხოს."

წარავლინა ის პატრიარქთან დესპანით და მასთან ერთად კბილი თვისი და შეუთალა, რომ სწრაფად გამოეგზავნა კათალიკოსი და თორმეტი ეპისკოპოსი. მათ შორის უნდა ყოფილიყვნენ პეტრე კათალიკოსად და სამოელი ეპისკოპოსად. სხვანი კი, ვისაც თვითონ ისურვებდა. როცა ეახლა პატრიარქს მიქაელ ეპისკოპოსი, უთხრა მას პატრიარქმა: „რადგან შენს მიერ დაინთხა სისხლი, აღარ ღირს ხარ ეპისკოპოსობისა, ხოლო იმისთვის რაც აკადრე მეფეს, გეკუთვნის შენ სიკვდილი, რადგან გვასწავლის ღმერთი: „დაემორჩილეთ თქვენს მეფეებს, რამეთუ არა ცუდად აბიათ ხმალი, რამეთუ ღმერთის მიერ მთავრობს, ვითარცა ლომი ცხოვართა შორის". გააძევეს მიქაელ ეპისკოპოსი და შეაყენეს ბერად მღვიძარეთას მონასტერში.

წარავლინეს პეტრე მღვდელი და სამოელ მონაზონი ანტიოქიას და მისწერეს ანტიოქიის პატრიარქს მეფემ და კონსტანტინეპოლელმა პატრირქმა: „თავდაპირველად, ჰრომაელი დედაკაცის ნინოს მიერ ქართლის მოქცევის ჟამს, გამოეგზავნა აქეთ ეპისკოპოსი, მაგრამ შფოთი იყო სპარსთა დ ბერძენთა შორის და ეს საქმე ჯეროვნად ვერ მოეწყო. ჩვენ უწყით, რომ ქართლი და აღმოსავლეთი და ჩრდილო თქვენი წმინდა საყდრისანი არიან, როგორც განაწესეს ეს მოციქულთა სახარებაში და რასაც აქვს უპირველესი მნიშვნელო-

ბა." და მისწერეს აგრეთვე დიდი მეფის ვახტანგის მიერ ქმნილ საქმეთა შესახებ და აუწყეს, რომ: „ეპისკოპოსი, რომელიც მათ მიერ იყო განწესებული, ჩვენ უკუვაგდეთ და დღეს არის ქართლი ჭეშმარიტად ახალნერგი. აწ მათ მიერ ნათხოვი ორივე ეს პირი აკურთხე, ხოლო სხვანი თორმეტნი, ვინც შენ გენებოს, ისინი აკურთხე და ჩვენთან გამოგზავნე, რათა ჩვენ ძღვენითა და საჭირო ნივთებით, ქართლს გავისტუმროთ".

ანტიოქელმა პატრიარქმა აკურთხა თორმეტი ეპისკოპოსი და პეტრე კათალიკოსად. მოვიდნენ ისინი კონსტანტინეპოლში. მისცა მეფემ მათ დიდძალი ძღვენი და გამოატანა მათ ასული თვისი, სახელად ელენე, რომელიც მისცა მეფესა ვახტანგს. გამოაცილა ის დიდი ლაშქრით სომხითის საზღვრამდე. მიეგება მუნ ვახტანგ მეფე, ხოლო სპა ბერძენთა გაბრუნდა უკან. წამოიყვანა ვახტანგმა ელენე მცხეთას.

ააშენა მცხეთას მეფე ვახტანგმა ეკლესია სამოციქულო, სვეტი ცხოველი, სვეტის სამხრეთით იქ, სადაც აგებული იყო პირველი ეკლესია - სიონი დიდი. დასვეს მასში კათალიკოსად პეტრე, ხოლო სამოელი კი დასვეს ეპისკოპოსად მცხეთისვე საეპისკოპოსოში. დანარჩენი ეპისკოპოსები კი დასვა: ერთი - კლარჯეთს, ახიზის ეკლესიაში, ერთი - არტანს, ერუშეთს, ერთი - ჯავახეთს, წუნდას, ერთი - მანგლისს, ერთი - ბოლნისს, ერთი - რუსთავს, ერთი - ნინოწმინდას, უჯარმის კარსა, რომელიც გორგასალს აეშენებინა; ერთი ჭერემს, მის მიერვე აშენებულსა (ააშენა მან ქალაქი ჭერემი მისივე აშენებულ ორ ეკლესიას შორის), ერთი ჩელეთს, რომელიც სოფლის შუაგულს ააშენა, ერთი - ხორნაბუჯს, ერთი - აგარაკს, რომელიც არის ხუნანს იქით.

ამის შემდეგ ააშენა ეკლესია ნიქოზისა იქ, სადაც მანამდე იყო საგზებელი ცეცხლისა და დასვა ეპისკოპოსი. იქვე მარხია ცხედარი წმინდისა რაჟდენისა, რომელიც აწამეს სპარსთა, შეიპყრეს რა ვახტანგთან ბრძოლის დროს. ეს

რაჟდენი იყო მამამძუძე ვახტანგის პირველი ცოლის, სპარსთა მეფის ასულის. მოიქცა ის ქრისტიანედ და გახდა დიდად მორწმუნე. იყო რაჟდენი ძლიერი მებრძოლი, როცა შეიპყრეს იგი სპარსთა, აიძულებდნენ უარეყო სჯული ქრისტესი. ხოლო მან, წმინდანმა, აირჩია წარუვალი დიდება და ეწამა ქრისტესთვის.

ეყოლა ვახტანგს ბერძენი ცოლისაგან სამი ძე და ორი ასული. პირმშო ძეს, დაჩის, რომელიც ჰყავდა მას პირველი ცოლისაგან, მისცა ქალაქები: ჭერემი, ნეკრესი და კამბეჩოვანის მხარის ქალაქი ხორნაბუჯი, აგრეთვე ყოველი ქვეყანა მტკვრის აღმოსავლეთით. თავისი და ხვარამზე მისცა ცოლად ბაკურს, სომხითის პიტიახშს. თვით კი დაჯდა უჯარმას და დაამშვენა იგი მრავალი შენობით.

ომის დაწყება ვახტანგ მეფესა და სპარსთა მეფეს შორის

ამოხდა ხანი და მოკვდა ხოსრო, მეფე სპარსთა და ავიდა ტახტზე მის ნაცვლად ძე მისი ხოსრო. მაშინ გაძლიერებულნი იყვნენ სპარსნი, რადგან ყველა მათი მტერი დაემარცხებინათ ვახტანგის შემწეობით და გამოემართნენ ისინი ბერძნებთან საბრძოლველად. მოუვლინა სპარსთა მეფემ მოციქული გორგასალს და შემოუთვალა: „მოკვდა მამა ჩემი და ამიყვანა ტახტზე ყოველმა ერმა მისმა და ასე მიბრძანეს ქვეყნის უხუცესთა, რათა მოვიდე შენს წინაშე და დავმორჩილდე შენს ბრძანებას. შენ კი წაგვიძეხ ჩვენ, მეფეო, და იყავ წინამძღოლი ჩვენი საბერძნეთში ლაშქრობის ჟამს. მომეცი ასული შენი ცოლად, რათა ვიყო მე, ვითარცა ერთ-ერთი შენი შვილთაგანი.” როცა მოვიდა მოციქული ვახტანგის წინაშე, ვახტანგი აშენებდა ქალაქ ტფილისს და ჯერ მხოლოდ საფუძველი დაედო.

მოახსენა რა მოციქულმა შემონათვალი ხოსრო მეფისა წარმოსთქვა ვახტანგმა: „ამაზე თქმულა: „მჭედელო, გალესე მახვილი შენი, რათა მსწრაფლ განგმიროს სხეული შენი.” მაშინ ვახტანგი მიწევნილ იყო სამოც წელს. უთხრა მან მოციქულს: „უთხარით მეფესა ხოსროს, ჯერ განემზადოს ჩემთან საბრძოლველად და შემდეგ შევიდეს საბერძნეთში, რადგან რაც ხდება, ყოველივე ჯვრის ძალით ხდება და ვიცხოვროთ ჩვენც ჯვარცმულის სასოებით.” შემდეგ წარავლინა ქადაგი და ამცნო ქართლის მკვიდრთ, რათა დატოვონ სოფლები და ქალაქები, რომლებიც არ არიან სათანადოდ გამაგრებულნი და შეაფარონ თავი კავკასიონს და კახეთს, რამეთუ კახეთი ტყით იყო დაფარული და შეუვალი იყო მტრისათვის.

დაჩი მეფე და დისწული მისი გადავიდნენ კახეთს და გამაგრდნენ ლოპოტის ხევში, კლდით მოზღუდულ ქვეყანაში (იყვნენ იმ ქვეყნის მკვიდრნი ცეცხლისა და წყლის მსახურნი და საკვე იყო ის მოსახლეობით ვიდრე ნოსრამდე). გორგასლის ცოლი და შვილები გამაგრდნენ უჯარმის ხევში. წინა ციხეში ჩადგა თვით ვახტანგი და მასთან იყვნენ ჯუანშერი და ადარნასე. ხოლო მცხეთას დატოვა დემეტრე, ნერსე და ბივრიტიანი. მაშინ წარავლინა ვახტანგმა მოციქული კეისრის წინაშე და ამცნო მას ყოველი.

სპარსთა ლაშქრის მოსვლა ქართლს ვახტანგ გორგასალთან საომრად

ეოვიდა ხოსრო მეფე და შემუსრა კამბეჩოვანის ქალაქები, ჭერმის ციხე და ველის ციხე. როდესაც შემოვიდნენ კახეთში, დაიბანაკეს იორზე. ხოლო ვახტანგის ლაშქარი დაბანაკდა ციხე-ქალაქის ირგვლივ ველზე, რომელსაც ჰქვია დარფაკა.

შეიბნენ ქართველები და სპარსელები იორზე და სამი დღის განმავლობაში იბრძოდნენ. ამოწყდა ორთავე მხრიდან ურიცხვი. მაშინ ვახტანგმა მოუწოდა პეტრე კათალიკოსს და უთხრა: „უწყოდე, რომ სპარსელები ხარკის მიცემისთვის კი არ გვებრძვიან, არამედ ქრისტეს სჯულის დატოვებისთვის. აწ მე მიმაჩნია, რომ ცხოვრებას ჩემსას, ქრისტეს სახელისთვის სიკვდილი სჯობს, რათა მოვიპოვოთ სასუფეველი, რომელსაც აღგვითქვამს იგი, რამეთუ იტყვის: „რომელმან წარიწყმიდოს თავი თვისი ჩემთვის, მან ჰპოვოს სასუფეველი."

მიუგო პეტრე კათალიკოსმა: „შენ გიხილავს ისეთი საქმეები და ისეთი შეწევნა ქრისტეს მხრივ, რომელიც შენი მოდგმიდან არავის უხილავს და უწყის შენმა სიბრძნემ, რომ მტერი, ჩვენდა გამოსაცდელად მოვლენილი, ეცილება ღმერთს ჩვენს თავს, ისევე, როგორც ეცილებოდა იობის თავს. მაგრამ ღმერთი, იმათ ვისაც მოიძულებს - წარწყმედს, ხოლო ვისაც შეიყვარებს, განაღმერთებს. მოიქეცი ისე, როგორც გიკარნახოს ღმერთმა, რადგან მარტო თქვენ კი არ მოკვდებით, არამედ მოკვდავია ყველა." ამ სიტყვებით ამცნო პეტრემ მეფეს, რომ არდარჩებოდა ბრძოლის ველზე და დაუმატა: „არა მარტო ქართლი დარბეულა ურწმუნოთაგან, არამედ იერუსალიმიც, რომელიც მშობელია ყველა ნათლის შვილების.

მაშინ უთხრა მეფემ: „დადექ წმინდა რაჟდენის ეკლესიაში, რომელიც უჯარმის რაბატში ამიშენებია. ვეჭვობ, რომ შესძლონ სპარსთა უჯარმის ირგვლივ ყველა ქალაქის ძლევა, რადგან მტკიცე და ძლიერი ზღუდეები აგვიგია". ასეც მოიქცა კათალიკოსი და ყველა წმინდა ეპისკოპოსიც იქ შეიკრიბა.

ვახტანგ მეფის მიერ სპარსთა უფლისწულის ბარტამის მოკვლა

ეყო ლაშქარი ვახტანგისი ორას ორმოცი ათასი, ხოლო სპარსთა - შვიდას ორმოცი ათასი. გაყო ვახტანგმა თავისი ლაშქარი სამად: კლდის მხარეს დააყენა ქვეითნი, მეორე მხარეს დააყენა პიტიახშები, ხოლო სადაც სპარსთა მეფე იყო, იქ თვით დადგა ასი ათასი სპით.

ღამეს, ნისლისგან განცისკრებულსა ოდენ, თავს დაესხა ვახტანგი სპარსელებს. ბრძოლის წინ ვახტანგმა ასე მიმართა მთელ თავის ჯარს: „სიკვდილს გადარჩენილი ყოველი კაცი ბრძოლის ველიდან ჩვენი მტრის თავს, ან ხელს თუ არ გამოიტანს, ჩვენს მიერ სიკვდილით დაისჯება."

როდესაც ცის კარი გაიღო, შეუტია ვახტანგმა სპარსელებს, შეაღწია მეფის პალატამდე და შევიდა მეფის კარავში. სპარსთა მეფემ მოასწრო ცხენზე შეჯდომა და გაქცევა, ხოლო ვახტანგმა მოკლა ძე მისი ბარტამი და მოჰკვეთა მას თავი. მაშინ იქ მყოფ ვახტანგს ვიღაც სპარსმა სცა ისარი მკერდში. გაგრძელდა ბრძოლა შუადღემდე და სძლია ვახტანგმა სპარსელებს, მოკლა მათგან ასოცდაათ ათასამდე კაცი, ხოლო სპარსთა მოუკლეს ვახტანგს ოცდარვა ათასამდე. წამოიღეს ქართველებმა ნატყვენავი ცხენი ასი ათასი, მაგრამ სრულიად ვერ აოტეს სპარსელები, მათი სიმრავლის გამო. მაშინ აიყარა იქიდან სპარსთა მეფე და ჩადგა რუსთავს. დაუმძიმდა ჭრილობა ვახტანგს, რადგან შეეღწია ისარს ფილტვამდე. მაშინ წავიდა უჯარმას და უბრძანა ქართლის სპასალარებს, რათა თავთავიანთ ადგილებში მდგარიყვნენ.

გაიგეს სპარსთა, რომ დაუმძიმდა ვახტანგს ჭრილობა, მოაოხრეს ტფილისი და არმაზის მხარის ქართლი, ხოლო მცხეთა ვერ დაიპყრეს, მხოლოდ რაც გალავნის გარეთ იყო ის მოაოხრეს: მუხრანისა და არაგვის შესართავის მიდამოები.

ვახტანგ მეფის გარდაცვალება

ამ ჟამად მოკვდა ბერძენთა მეფე, სიმამრი ვახტანგისი და დაჯდა მეფედ ზენონი, ძე მისი. მოვიდა ზენონი სპერს, ქართლის საშველად და, როცა გაიგო ვახტანგის ჭრილობის დამძიმების ამბავი, დადგა კარნუ ქალაქს. მივიდა მუნ ხოსრო და შეიბნენ ხოსრო და კეისარი კარნიფორას. დაიხოცა ორივე მხრივ ურიცხვი, ისე, რომ მოედინებოდა სისხლის მდინარე (ამის გამო ეწოდა იმ ადგილს კარნიფორა, რაც სისხლის მუცელს ნიშნავს). ვერ სძლიეს ერთმანეთს და მობრუნდა ხოსრო ისევ ქართლს.

ვახტანგმა შეატყო, რომ მოახლოვდა აღსასრული მისი და მოუწოდა კათალიკოსს, თავის ცოლს, ვაჟებს და ყველა წარჩინებულს და თქვა: „აი, მივდივარ მე ჩემი ღმერთის წინაშე და ვმადლობ მის სახელს, რომ არ დამაშორა მის გამორჩეულ წმინდანებს. აწ გეტყვით თქვენ, რომ მტკიცედ იდგეთ ქრისტეს სჯულზე და სიკვდილს ეძებდეთ მისი სახელზე, რათა მოიპოვოთ საუკუნო დიდება.”

შემდეგ ისევ მიმართა ყველა წარჩინებულს: „თქვენ, ქართლის მკვიდრნო, გაიხსენეთ ჩემი კეთილი საქმეები, რადგან თავდაპირველად ჩემმა საგვარეულომ მოგანიჭათ ნათელი საუკუნო. მე კი ხორციელი დიდება არ მომიკლია თქვენთვის. ნუ შეურაცხყოფთ ჩემს გვარს და ნურც ბერძენთა სიყვარულს უკუაგდებთ.”

შემდეგ უთხრა თავის ძეს დაჩის: „შენ ხარ ჩემი პირმშო შვილი, შენთვის მომიცია ჩემი სამეფო გვირგვინი, ხოლო შენი ძმებისთვის მომიცია მათი წილი ქვეყანა, ტასისკარიდან და წუნდიდან, სომხითამდე და საბერძნეთამდე. რაც შეეხება აფხაზეთის მხარეს, რომელიც მოგვეცა ჩვენ, ქვეყანა ეგრისწყალსა და კლისურას შორის, იგი შენი ძმების დედის კუთვნილია და მათვე ჰქონდეთ, ერისთავობდნენ და იყვნენ შენს მემკვიდრეთა მორჩილებაში."

შემდეგ მოუწოდა ნასარს, წუნდის ერისთავს, არტავაზს, კლარჯეთის ერისთავს და ბივრიტიანს ოძრხის ერისთავს. მათ ჩააბარა ცოლი თვისი ელენე და შვილები, რომლებსაც ერქვათ ლეონი და მირდატი და ცრემლმორეულმა შეავედრა ისინი სამთავე ერისთავს.

მაშინ გაუთენდათ სასჯელის დღე წარჩინებულებს და მთელ ერს და იტყებდნენ თავსა თვისსა და იყრიდნენ თავზე ნაცარს და ნატრობდნენ სიკვდილს და მათი ტირილისა და გოდების ხმისაგან იძროდა ქვეყანა და შეჰნატროდა მორწმუნე ერი მეფეს, რომელიც ქრისტესთვის მოკვდა.

მოკვდა ვახტანგი და დაიმარხა საკათალიკოსო ეკლესიაში, ღმრთის შემწეობით აღმართულ სვეტთან.

II. ცხოვრება ვახტანგ გორგასლის შემდგომთა მეფეთა

1, 2. მეფობა დაჩისა, ვახტანგ გორგასლის ძისა და ბაკურისა დაჩის ძისა

დაჯდა ვახტანგის ტახტზე ძე მისი დაჩი, ხოლო ვახტანგის ცოლი და ორი ძე წაიყვანეს სამმა ერისთავმა და დაიკავეს მათ ქართლის დასავლეთი ნაწილი, რომელიც მისცა მათ ვახტანგმა: ზაფხულობით იმყოფებოდნენ ქალაქ წუნდაში, ხოლო ზამთრობით ოძრხეს. არ იწოდებოდნენ ისინი მეფედ, არამედ ერისთავთა მთავრად და იყვნენ მათი ძმის, მეფე დაჩის მორჩილებაში.

დაჩი მეფემ დაიწყო შენება ქართლისა, რადგან მოოხრებული იყო ქართლის ყველა ხევი, გარდა კახეთისა, კლარჯეთისა და ეგრისისა. მანვე გაასრულა ტფილისის ზღუდე და აქცია ის სამეუფო სახლად, როგორც ებრძანა ეს ვახტანგს.

მოკვდა პეტრე კათალიკოსი და დაჯდა სამოელი. მეფემ გადასცა მას მცხეთა, რადგან ასე ებრძანა ვახტანგ მეფეს. ამანვე დაჩი მეფემ მოსთხოვა კახეთის მთიულთა ქრისტეს აღიარება. ხოლო მათ არ ინებეს და განუდგა მას ნოპატის მთელი მოსახლეობა.

ვახტანგის ორი ძისაგან, რომლებიც იყვნენ ნაშობნი ბერძენი ცოლისაგან, მოკვდა ერთი, სახელად ლეონი და დარჩა მხოლოდ მირდატი. ამ მირდატს დაევაჭრა ძმა მისი, მეფე დაჩი და გაუცვალა მას ქვეყანა: მისგან აიღო ეგრისის

წყალსა და კლისურას შუა მდებარე მხარე, მირდატის დედული, ბერძენთა ტერიტორია და სანაცვლოდ მისცა ჯავახეთი, ფარავნიდან მტკვრამდე. დაიჭირა მირდატმა, ვახტანგის ძემ ქვეყანა ფარავნიდან და ტასისკარიდან ვიდრე სპერის ზღვამდე და ერისთავობდა მუნ და იყო მორჩილი დაჩი მეფისა, თავისი ძმისა. მირდატმა ააშენა ჯავახეთს წყაროსთავის ეკლესია.

მოკვდა დაჩი მეფე და დაჯდა მეფედ ძე მისი ბაკური და მოკვდა ბაკური.

3, 4. მეფობა ფარსმანისა ბაკურის ძისა და მისი ძმისწულისა აგრეთვე ფარსმანისა

დაჯდა მეფედ ძე ბაკურისი ფარსმანი. მოკვდა კათალიკოსი სამოელ და დაჯდა კათალიკოსად თავფეჩაგ. მოკვდა თავფეჩაგ და დაჯდა კათალიკოსად ჩერმაგ. ვახტანგიდან მოყოლებული აქამდე ქართლში მშვიდობა სუფევდა და მირდატის მემკვიდრენი მორჩილებდნენ დაჩის მემკვიდრეებს.

ამ ფარსმანის მეფობაში კვლავ მოვიდნენ სპარსნი, მოაოხრეს ქართლი და რანი. მას ჟამსა ბერძენნი მოუცლელნი იყვნენ, რადგანაც დასავლეთიდან ამხედრებულიყვნენ მათზე მტრები. ამიტომ არ შეეძლოთ დახმარებოდნენ ქართლს. ამის გამო ქართველთა მეფე ფარსმანმა სთხოვა სპარსთა მეფეს არ მოეოხრებინა ეკლესიები და დაეტოვებინა ქართლი ქრისტეს სჯულზე. სპარსთა მეფემ ისმინა ვედრება მისი და დაიცვა ეკლესიები. მაშინ ფარსმანმა დაუწერა წიგნი მორჩილებისა და აღუთქვა მსახურება. მაშინ წავიდა ქართლიდან სპარსთა მეფე.

ამის შემდეგ გაიყვნენ ვახტანგის მემკვიდრეები: დაჩის ჩამომავლები ემორჩილებოდნენ სპარსელებს, ხოლო მირდატის ჩამომავლები კი ბერძნებს.

მოკვდა ფარსმან მეფე და დაჯდა მეფედ ძმისწული მისი, რომელსაც ერქვა აგრეთვე ფარსმანი. იყო იგი მორწმუნე კითარცა მამის ძმა მისი და უფრო მეტად შეამკო ყველა ეკლესია.

მოკვდა კათალიკოსი ჩერმაგ და ფარსმან მეფემ დასვა საბა. ამ დროიდან აღარ მოჰყავდათ კათალიკოსი საბერძნეთიდან, არამედ ქართველები წარჩინებული საგვარეულოებიდან სხდებოდნენ კათალიკოსად. მოკვდა კათალიკოსი საბა და მეფე ფარსმანმავე დასვა კათალიკოსად ევლათი.

ამავე ფარსმანის მეფობაში მოვიდა შუამდინარეთიდან იოვანე, რომელსაც ეწოდა ზედაზნელი, განმანათლებელი ქართლისა და განმწმენდელი სჯულისა, მაშენებელი ეკლესიათა. მან და მისმა მოწაფეებმა ქმნეს მრავალი სასწაული და გააკვირვეს ყოველნი ქართველნი. აღიწერა მათი ცხოვრება და სასწაულები მათ მიერ ქმნილნი და ეს თხზულებები დაიდო ქართლის ეკლესიებში.

მირიან მეფის მეფობიდან ვიდრე ამ მეორე ფარსმანის მეფობამდე გავიდა წელი ორაორმოცდაათი და გარდაიცვალა თოთხმეტი მეფე. კათალიკოსი კი ვახტანგ მეფიდან ამ დრომდე, გარდაიცვალა რვა. მოკვდა ფარსმანი და დაჯდა მეფედ ძე მისი ბაკური.

5. მეფობა ბაკურისა ფარსმანის ძისა. ამბავი ვასქენისა და მისი ცოლისა წმინდისა შუშანიკისა

ეს ბაკური იყო მორწმუნე და ეკლესიათა მაშენებელი. მან განამრავლა ეკლესიები და მღვდლები თავის სამეფოში. გაწმინდა ქართლი ყოველგვარი ურწმუნოებისაგან. მოკვდა კათალიკოსი ევლავიოზი და დასვა მეფემ კათალიკოსად მაკარი.

ამ დროს მეფობდა სპარსეთში მეფე, სახელად ურმიზდი. მასვე ჟამსა იყო სომხითს კაცი ერთი, შვილი მთავართა, სახელად ვასქენ და ჰყავდა ცოლი, მთავართა შვილი, სახელად შუშანიკ, ასული ვარდანისი. ეუფლა ვასქენს ეშმაკი და განიზრახა მან მოქცევა ცეცხლისმსახურად. წავიდა სპარსეთს, მეფის წინაშე, დატოვა სჯული ქრისტესი და გახდა ცეცხლისმსახური. სპარსთა მეფემ წარმოგზავნა ის დიდი ძღვენით და უბოძა რანის ერისთავობა. როცა დაბრუნდა ვასქენი და გაიგო მისმა ცოლმა ეს ამბავი, აღარ ისურვა მისი ცოლობა, დაივიწყა სიყვარული თავისი ქმრის და გულმხურვალედ შეუდგა ქრისტეს მცნებათა აღსრულებას. ვასქენმა მრავალი ხერხით სცადა მისი შემორიგება: თავდაპირველად ლიქნით, ვედრებით და ნიჭთა მიცემით, შემდეგ კი აწამა სასტიკად და მოკლა შუშანიკი მისმა ქმარმა ვასქენმა, რანის ერისთავმა. ხოლო მე, სიგრძის გამო, აქ ვერ აღვწერე წმინდა შუშანიკის ღვაწლი.

მაშინ ქართლის მეფემ ბაკურმა მოუწოდა მის ყველა ერისთავს, შეკრიბა ფარულად ლაშქარი და პარვით გაემართა ვასქენზე თავდასასხმელად, რამეთუ გაეგო, რომ იდგა ვასქენი ველის კიდეზე, მტკვრის ნაპირას, სადაც მტკვარს

მიერთვის მდინარე ანაკერტისა. ასე უგრძნეულად დაესხა თავს და შეიპყრო ვასქენი. აკუწეს ვასქენი და ასონი მისნი გადმოკიდეს ხეზე. ხოლო ცხედარი წმინდისა შუშანიკისა წამოიღეს დიდი პატივით და დაფლეს ცურტავს.

მაშინ ბაკურ მეფემ წარგზავნა მოციქული სპარსთა მეფის წინაშე, აუწყა ეს ყოველი და ითხოვა მისგან შენდობა. სპარსთა მეფემ კი განსაჯა თავის გუნებაში: "თუ შევრისხავ ქართველებს, მიემხრობიან ისინი ბერძნებს" და არჩია მშვიდობა. გამოგზავნა უკან ბაკურის მოციქული კეთილი პასუხით, დაგმო ვასქენი, ყოველივე მას დააბრალა და გაამართლა ბაკურის მიერ ვასქენის მოკვლა. წარმოგზავნა რანს და მოვაკანს სხვა ერისთავი, სახელად დარელ და უბრძანა, რათა ყოფილიყო ის მეგობრულად ქართველებთან.

უმეფობის ხანა ქართლში

მოკვდა კათალიკოსი მაკარი და დასვა მეფემ კათალიკოსად სვიმონი. მოკვდა მეფე ბაკური და დარჩა მცირეწლოვანი შვილები, რომლებმაც ვერ იპყრეს მეფობა. მაშინ სპარსთა მეფემ ურმიზდმა მისცა თავის ძეს, ქასრე ამბარვეზს რანი და მოვაკანი. მოვიდა ის და დაჯდა ბარდავს. შეუთანხმდა ქართლის ერისთავებს, აღუთქვა მათ დიდი სიკეთე, დაუმტკიცა მათ მათი საერისთავოები სამემკვიდრეოდ შვილით-შვილამდე და ასე ლიქნით გადაიბირა ისინი. განუდგნენ ერისთავები ბაკურის ძეთა და ცალ-ცალკე უხდიდნენ ხარკს ქასრე ამბარვეზს.

ბაკურის შვილები დარჩნენ კახეთის მთიულეთში, ხოლო მირდატ ვახტანგის ძის მემკვიდრეები, რომლებიც მთავრობდნენ კლარჯეთს და ჯავახეთს, დარჩნენ კლარჯეთის

კლდეებში. ქართლის დანარჩენი მხარეები, სომხითი და ასფურაგანი კი დაიკავეს სპარსთა და ებრძოდნენ ბერძენთა.

მცირე ხნის შემდეგ დაიწყო დიდი შფოთი სპარსეთში, რადგან შეიჭრა სპარსეთში თურქთა მეფე. მაშინ გამოვიდნენ ბერძნებიც, შეებრძოლენ და აოტეს სპარსნი შუამდინარეთში, შევიდნენ სპარსეთს და დაიწყეს ტყვენვა მისი. მაშინ ქასრე ამბარეეზმა მიატოვა რანი და ქართლი და გაემართა თავისი მამის საშველად.

რადგან ასე მოუცლელნი იყვნენ სპარსნი, შეითქვნენ ქართლის ერისთავები, ზემონი და ქვემონი, წარგზავნეს მოციქული ბერძენთა მეფის წინაშე და თხოვეს მას, რათა ქართლის მეფეთა მემკვიდრეთაგან განეჩინა მათთვის მეფე, ხოლო ერისთავები კი თავ-თავის საერისთავოებში უნდა დარჩენილიყვნენ შეუცვალებლად. კეისარმა აღასრულა მათი თხოვნა და უჩინა მათ მეფედ ვახტანგ მეფის ძის (ბერძენი ცოლისაგან), მირდატის დისწული, სახელად გუარამი, რომელიც მანამდე მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს.

6. მეფობა გუარამ კურაპალატისა. ქართლის სამეფოს განთავისუფლება სპარსთა ბატონობისაგან

ამ გუარამს მიანიჭა კეისარმა კურაპალატობა და წარგზავნა მცხეთას. ხოლო ბაკურ მეფის შვილები, შთამომავლები ვახტანგ მეფის ძის, დაჩისა, რომელსაც მისცა ვახტანგმა მეფობა, დარჩნენ კახეთს, დაიჭირეს აგრეთვე კუხეთი და ჰერეთი იორიდან მოყოლებული, დასხდნენ უჯარმას და მორჩილებდნენ გუარამ კურაპალატს.

კეისარმა გამოუგზავნა დიდი განძი გუარამ კურაპალატს და უბრძანა, რომ იმ განძით გადმოეყვანა ჩრდილოეთიდან ლაშქარი, შეეერთებინა მისთვის ქართველთა სპა და გაეგზავნა სპარსეთის დასალაშქრად. გუარამიც ასე მოიქცა. გადმოიყვანა ოვსნი, დურძუკნი და დიდონი და ჩაუყენა მათ სათავეში ქართველი ერისთავები. შევიდა ეს ლაშქარი ადარბადაგანს და დაუწყო ტყვევნა. ასე ყოველმხრივ დიდი გასაჭირი დაატყდათ თავს სპარსელებს. მაშინ გამოჩნდა სპარსეთს კაცი ერთი სახელად ბარამ ჩუბინი. ის შეებრძოლა სპარსეთში შემოსულ თურქებს, როგორც ეს წერია „სპარსთა ცხოვრებაში", მოკლა მან საბა, თურქთა მეფე და აოტა ბანაკი მათი. ხოლო ბერძენთა ლაშქარი, რომელიც შესულიყო სპარსეთში, გამობრუნდა და წავიდა შინ. ჩრდილოელთა სპაც გუარამ კურაპალატის მიერ გაგზავნილი, ასევე გამობრუნდა უკან, რადგან, თურქებზე გამარჯვების შემდეგ, მოიცალეს სპარსთა. ამის გამო ქართველთა შორის შეიქნა ძრწოლა და შიში სპარსთა მიმართ და გუარამ კურაპალატმა იწყო გამაგრება ციხეთა და ქალაქთა.

კვლავ შეიწყალა ღმერთმა ქრისტიანები და ახალი შუღლი ჩამოაგდო სპარსეთში. ბარამ ჩუბინი განუდგა სპარსთა მეფეს, ხოლო ურმიზდ მეფეს მისმა ცოლისძმებმა დასწვეს თვალები. დაიწყეს ურთიერთშორის ბრძოლა ჩუბინმა და ქასრემ. აოტა ჩუბინმა ქასრე და ის გაიქცა საბერძნეთში. მავრიკ კეისარმა მიათხოვა მას თავისი ასული, მისცა ლაშქარი და წარგზავნა ჩუბინის წინააღმდეგ. გაიქცა ჩუბინი და ქასრემ დაიჭირა სპარსეთი.

მაშინ მავრიკ კეისარმა იშუამდგომლა ქართველთათვის ქასრეს წინაშე და უთხრა მას: „იმ ჟამიდან, როცა დააგდეს ქართველთა კერპთმსახურება, ისინი ბერძენთა მორჩილნი არიან. თუმცა, თქვენი მძლავრობის ჟამს, წახდა ქართლი, მაგრამ სიმართლით ის თქვენ არ გეკუთვნით. აწ, ვინაიდან ბრძანებითა ღმრთისითა, სიყვარულმა დაისადგურა ჩემსა და შენს შორის, იყოს ქართლი მშვიდობით და თავისუფლად, ხოლო მე ვიქნები შემწე და მზრუნველი ყოველთა ქართველთა და ყოველთა ქრისტიანეთა. დაეთანხმა სპარსთა მეფე კეისარს და განთავისუფლდნენ ქართველნი. გუარამ კურაპალატი კი მოექცა ბერძენთა მორჩილებაში.

იყო გუარამი კაცი მორწმუნე და მაშენებელი ეკლესიათა. მან დაიწყო შენება ეკლესიისა ჯვრისა პატიოსნისა. აქამდე ჯვარი აღმართული იყო ველზე, მან ამოიყვანა ეკლესია წელის სიმაღლეზე.

მეფობდა გუარამი კეთილად და უშფოთველად, მაგრამ მას აღარ შეეძლო ქართლის ერისთავთა გადაყენება ერისთავობიდან, რადგანაც მათ სპარსთა და ბერძენთა მეფეთაგან მიღებული ჰქონდათ თავთავიანთი საერისთავოების მკვიდრობის სიგელები, თუმცა კი იყვნენ ისინი გუარამ კურაპალატის მორჩილებაში.

მოკვდა კათალიკოსი სვიმონ და დაჯდა სამოელი. როდესაც მოკვდა კათალიკოსი სამოელი, დასვეს სამოელივე.

გუარამ კურაპალატმა განაახლა საფუძველი ტფილისის სიონის. საერთოდ, მორწმუნე მეფის, მირიანის ჩამომავალნი, ყველანი ეკლესიათა მაშენებელნი იყვნენ. მოკვდა გუარამ კურაპალატი.

7. ქართლის ერისთავთა მთავარი სტეფანოზი, ძე გუარამ კურაპალატისა

დაჯდა მეფედ ძე გუარამისა სტეფანოზი. მან მეფობის სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშით, არამედ ერისთავთა მთავრად იწოდებოდა. მოკვდა სამოელ კათალიკოსი და სტეფანოზმა დასვა კათალიკოსად ბართლომე. ხოლო სტეფანოზი იყო ურწმუნო და უშიში ღმრთისა, არცა რა შემატა სჯულსა და ეკლესიათა.

მის ზეობაში დიდმა შფოთმა მოიცვა საბერძნეთი: მავრიკ კეისარს განუდგა მხედარი ფოკა, მოკლა მან კეისარი მავრიკი და მისი შვილები და დაეუფლა საბერძნეთს. მაშინ კეისრის სიძემ, სპარსთა მეფემ ქასრემ იწყო მისი სიმამრისა და ცოლის ძმათა სისხლის ძიება. შევიდა საბერძნეთში და ტყვენვიდა ქვეყანას. კეისარი ფოკა ვერ აღუდგა წინ სპარსთა მეფეს. სტეფანოზი კი, ქართლის მთავარი, შეუშინდა სპარსთა მეფეს, განუდგა ბერძნებს და მიემხრო სპარსთა.

ამავე დროს ქასრემ ააოხრა იერუსალიმი და წამოიღო იქიდან ძელი ცხოვრებისა. ამის გამო მოაკლო ღმერთმა თავისი წყალობა ქასრეს, შეიპყრო იგი საკუთარმა ვაჟმა, ჩააგ-

დო საპყრობილეში და მოკვდა იქ ქასრე ბოროტი სენით შეპყრობილი.

სტეფანოზის ზეობაში მცხეთა კნინდებოდა და თბილისი ძლიერდებოდა, არმაზი ოხრდებოდა და კალა შენდებოდა. ხოლო სტეფანოზის ძმა, სახელად დემეტრე, აშენებდა ეკლესიას ჯვრისა პატიოსნისა. შეპყრობილი იყო იგი სენითა ბოროტითა და არ შეეძლო ეკლესიის კარისაგან განშორება. სტეფანოზი მთავრობდა ყოველსა ქართლსა ზედა. დაჯდა იგი ტფილისს და მორჩილებდა სპარსთა.

შემდგომად რამდენიმე წლისა, გამოჩნდა საბერძნეთში კაცი, ახლობელი მავრიკ კეისრისა, სახელად ერაკლე. ამან მოკლა კეისარი ფოკა და დაეუფლა საბერძნეთს. გაძლიერდა იგი, მოიყვანა დასავლეთიდან თურქები, შეკრიბა სპა ურიცხვი და გამოემართა სპარსეთს ძელისა ცხოვრებისა დასაბრუნებლად. თავდაპირველად შემოვიდა იგი ქართლს.

სტეფანოზმა არ ინება განდგომა სპარსთაგან, გაამაგრა ციხე-ქალაქები და თვითონ დადგა ტფილისს. მოვიდა ერაკლე მეფე და მიადგა ტფილისს. სტეფანოზი იყო ქველი მხედარი და შემმართებელი. იგი ყოველ დღე გამოდიოდა ქალაქის კარებიდან და ებრძოდა ბერძენთა. ერთ-ერთ ბრძოლაში ჩამოაგდეს სტეფანოზი და მოკლეს. დაიპყრო კეისარმა ტფილისი. კალის ციხეში დარჩნენ მებრძოლები, რომლებიც არ დამორჩილდნენ ბერძენთა მეფეს. ციხიდან ციხისთავმა აგინა მეფეს და უთხრა: „ვაცის წვერი გასხია და ვაცბოტის კისერი გაქვსო". მაშინ ბრძანა მეფემ: „თუმცაღა ამ კაცმა სიბოროტით მიწოდა ვაცბოტი, მაგრამ არ არის მისი სიტყვა მცდარი". წარმოსთქვა რა ეს, აიღო დანიელის წიგნი, იპოვა მასში ადგილი ერთი და წაიკითხა: „გამოვა დასავლეთელი ვაცი და შემუსრავს აღმოსავლეთის ვერძის რქათა". ამან გაახარა მეფე, რადგანაც განუმტკიცდა რწმენა სპარსელებზე სრული გამარჯვებისა.

ამის შემდეგ კეისარმა მოუწოდა ადარნასეს, ქართველთა მეფის ბაკურის ძეს, ვახტანგის ძის დაჩის ჩამომავალს, რომელიც ერისთავობდა კახეთს, მისცა მას ტფილისი და ქართლის მთავრობა, დატოვა მასთან ერისთავი სახელად ჯიბღა და უბრძანა ბრძოლა კალის ასაღებად, თვით კი წარემართა სპარსელებთან საბრძოლველად.

8. მთავარი ქართლისა ადარნასე ბაკურის ძე

ცოტა ხნის შემდეგ აიღეს კალა და შეიპყრეს მისი ციხისთავი. ერისთავმა ჯერ პირი აუვსო მას დრახკნითა, რადგანაც შენს მიერ ნათქვამმა სიტყვამ კეისარი გაახარაო, ხოლო შემდგომად ამისა ტყავი გახადა და გარდაბანში მდგომ კეისარს გაუგზავნა. მეფის შეურაცხყოფის გამო უქნა ასე. ასეთი სიკვდილით აღესრულენ სტეფანოზი და მისი მსახურები. იმისთვის დასაჯა ღმერთმა ასე მთავარი სტეფანოზი, რომ არ ცხოვრობდა ღმერთის ნებას მინდობილი, არამედ მორწმუნეთ ემტერებოდა და ურწმუნოთ მოყვრობდა.

მაშინ კვლავ მიიტაცეს ბერძნებმა ქართლის მიწაწყალი: სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვის სანაპირო. შვილნი სტეფანოზისანი კი დაოჩნენ კლარჯეთის კლდეებში. ხოლო დანარჩენ ქართლს დაეუფლა ადარნასე ბაკურის ძე. მეფობის სახელი ვერც მან იკადრა ხოლო ქართლის ერისთავები თავთავის საერისთავოებში მკვიდრობდნენ შეუცვლელად და მორჩილებდნენ ადარნასე მთავარს.

ერაკლე მეფე კი შევიდა სპარსეთს, მოკლა ხუასრო მეფე, დაიპყრო ბაღდადი და წამოიღო ძელი ცხოვრებისა. ქართლიდან წასვლის მეშვიდე წელს, კვლავ ჩამოიარა ქარ-

თლის გზა ერაკლე კეისარმა. ამასობაში დაემთავრებია ქართლის მთავარს ადარნასეს პატიოსანი ჯვრის ეკლესიის და ტფილისის სიონის შენება. მაშინ მანგლისის და ერუშეთის ეკლესიებიდან წარიტაცა მან ფეხთა ფიცარნი და სამსჭვალნი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესნი, რომლებიც კონსტანტინე კეისარს მიეცა მირიან მეფისათვის. შეწუხდა ადარნასე, ქართლის მთავარი, ევედრებოდა კეისარს, რათა არ წაერთმია მათთვის ეს ღვთიური განძი, მაგრამ არ ისმინა კეისარმა ვედრება მისი და მაინც წაიღო.

ადარნასეს მთავრობაში გარდაიცვალნენ სამნი კათალიკოსნი: იოვანე, ბაბილა და თაბორი. მოკვდა ადარნასე და დადგა მთავრად ძე მისი სტეფანოზი.

9. მთავარი ქართლისა სტეფანოზი ადარნასეს ძე

ეს სტეფანოზი იყო ყველა ქართლის მეფეზე და მთავარზე უმეტესად მორწმუნე, განმწმენდელი სჯულისა და მაშენებელი ეკლესიათა. მან შემოავლო ზღუდე პატიოსნისა ჯვრის ეკლესიას და აააშენა დარბაზები. დაუწესა იქ შეკრება ეკლესიის მსახურთა ყოველ პარასკევს. მართლაც იკრიბებოდნენ იქ იმ ადგილის და მხარის ეპისკოპოსები და მღვდლები კათალიკოსთან ერთად პატიოსანი ჯვრის წინაშე და ადიდებდნენ პარასკევს, ვითარცა დიდ პარასკევს. ხოლო საკათალიკოსოში ხდება შეკრება ყოველ ხუთშაბათს და ადიდებენ წმინდა სიონს, ვითარცა დიდსა ხუთშაბათს, ქრისტეს ხორცითა და სისხლითა. ხოლო მცხეთის საეპისკოპოსოში, ყოველ სამშაბათს, ხდება შეკრება და ხსენება პირველმოწამისა სტეფანესი და ყველა იმ მოწამისა, რომელიც ეწამა სპარსთა დიდი მძლავ-

რობის შედეგად, აგრეთვე აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისა, რომელმაც მოაქცია არაგვის აღმოსავლეთით მცხოვრებ მთიელთა უმრავლესობა. ხოლო პატიოსანი გვამი მისი დაფლეს მცხეთის საეპისკოპოსო ტაძარში, ეპისკოპოსთა სამარხავში. მისი სახელობის დღესასწაულს ყველა სხვა სახელობის დღესასწაულზე მეტად აღნიშნავენ და ადიდებენ ღმერთს.

არაბთა ლაშქრობების დასაწყისი

ძასსა ჟამსა გამოჩნდა მოჰამედი, ჩამომავალი ისმაელისა, მოძღვარი სარკინოზთა სჯულისა და ყოველი არაბია და იამანეთი დაიპყრო. მოკვდა მოჰამედი და დადგა მის ნაცვლად აბუბაქარი, რომელიც შევიდა სპარსეთს. იმის გამო, რომ მანამდე სპარსეთი ააოხრა ერაკლე მეფემ, აღარავინ იყო იქ წინააღმდეგობის გამწევი და დაიპყრო აბუბაქარ აგარიანმა სპარსეთი. შევიდა ბაღდადს და მძლავრობით დაატოვებინა მოსახლეობის უმრავლესობას ცეცხლის მსახურება, მოაქცია სარკინოზთა სჯულზე. მოკვდა აბუბაქარ და დადგა მის ნაცვლად ომარი, რომელიც კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა.

მაშინ მოახსენა ერაკლე მეფემ აგარიანთა შემოჭრა შამსა და ჯაზირეთში (რომელიც არის შუამდინარე). გამოვიდა ერაკლე ფილისტიმში, რათა შებრძოლებოდა მათ იქ. იყო მუნ მონაზონი ვინმე, კაცი ღმრთისა და მან უთხრა მეფეს: „ივლტოდეთ, რადგან უფალმა აღმოსავლეთი და სამხრეთი მისცა სარკინოზთა, რომელთა სახელწოდება ითარგმნება როგორც სარას ძაღლი". მონაზონის ნათქვამი დაადასტურეს ვარსკვლავთმრიცხველთა და ყოველთა მისანთა. მაშინ ააშენა ერაკლე მეფემ სვეტი და დააწერა მასზე: "მშვიდობა შუამდინარეო და ფილისტიმო, მანამ სანამ არ

გაივლის შვიდი შვიდეული. „შვიდეულის" ხანგრძლივობის განმარტება კი სარკინოზებთან დაკავშირებით იპოვეს ფილოსოფოსებმა ჰერმეს ტრისმეჯისტონის წიგნებში. აღნიშნავს ის ორასორმოცდაათ წელს.

მაშინ ბერძენთა მოდგმის წარჩინებულმა პირებმა დაიწყეს თავიანთი განძის მიწაში დაფლა, რათა მომავალში, რა ჟამს კვლავ დაბრუნდნენ ამ ქვეყანაში, იპოვონ დაფლული განძი და აღარ იწვალონ მისი წაღებისა და შემდეგ უკან დაბრუნებისთვის.

გამოიარა ერაკლე კეისარმა გზა რანისა, ხელმეორედ შემოვიდა ქართლში და უთხრა სპარსელებს, რომლებიც სარკინოზებს გამოქცეულნი ქართლს იყვნენ შემოლტოლვილნი: „რადგან იცით, რომ დასრულდა მეფობა თქვენი, დატოვეთ ეს ჩრდილოეთის მხარე და შემოდით ჩემს ქვეყანაში". მართლაც, მათ დაფლეს მათი განძი და დატოვეს ეს ქვეყანა. ზოგი გაჰყვა ერაკლეს, ხოლო ზოგი შეჩერდა და აღწერა ყველა საგანძურის გუჯრები. გუჯრებში აღწერეს მათი მოდგმის მოსახლეობა და მათთვის კუთვნილი მიწები. შეინახეს ეს გუჯრები, რათა მომავალში, როცა კვლავ მოვიდოდნენ ბერძნები, ამ გუჯრების მიხედვით მოეძებნათ მათი შთამომავლები და გაეყოთ მათთვის მიწები და განძი.

10. მეფე მირი ძე სტეფანოზ მთავრისა. არაბთა მიერ ქართლის სამეფოს დალაშქვრა

სტეფანოზს ჰყავდა ორი ძე, არჩილი და მიჰრი. გაპყო მან მისი სამეფოს ყოველი ხვასტაგი: საგანძური ოქროსი, ვერცხლის და თვალთა პატიოსანთა. ქონების ნახევარი წაიღო ეგრისში და თან წაიყვა-

ნა პირმშო ძე თვისი მიჰრი, ხოლო ნახევარი მისცა არ-ჩილს, უმრწემესს ძეს. არჩილმა უმეტესი საგანძური დაჰ-ფლა კახეთის ხევში, ხოლო ჭურჭელი ოქროსი და ვერ-ცხლის - უჯარმის ხევში. ქართლისა და ჯავახეთის საგან-ძური კი დაფლა გორაზე, რომელიც ერაკლე კეისარმა განა-ჩინა თავისი იმ განძის სამალავად, თან რომ ვერ წაიღო. სახელი ამ გორისა არის ტანთიო, რაც ითარგმნება რო-გორც „მთა ოქროსი". დაადო იმ ადგილს თილისმა, რათა ვერვის შეძლებოდა იქიდან განძის გამოღება. ხოლო ქარ-თლის ეკლესიათა მთელი საგანძური დაფლა მცხეთას, დიდი სიონის ტაძრის სამალავში. მცირე ხნის შემდეგ არჩილიც გადავიდა ეგრისში.

მოაღწია აგარიანმა ამირამ ქართლად და ერქვა მას მურვან ყრუ. იყო ის ძე მომადისი, ხალიფას ნათესავთაგანი. წარმოავლინა ის ეშიმმა, ამირმუმლმა ბაღდადელმა, აბდალ - მალიქის ძემ. ამიტომ ეწოდა მეორე სახელად ყრუ, რომ არ უგდებდა ყურს მრჩეველთა სიტყვას.

ქართლში მურვან ყრუს მოსვლის ჟამს კათალიკოსი იყო თაბორი. მაშინ ყველა მთავარი და პიტიახში, ერისთავ-თა და წარჩინებულთა ჩამომავალი, იოტა კავკასიის მთებში და იმალებოდნენ იქ ტყეებსა და ღრეებში. მოიარა ყრუმ მთელი კავკასია და დაიპყრო კარი დარიალისა და დარუბან-დისა. შემუსრა ქართლის ქვეყანაში ყველა ქალაქი და ციხე-თა უმრავლესობა.

როდესაც შეიტყო მურვან ყრუმ, რომ ქართლის მეფეე-ბი და ყველა მათი ნათესავი, იმყოფებოდნენ ეგრისში და იქიდან გადასულიყვნენ აფხაზეთში, დაედევნა მათ და შემუს-რა ყველა ქალაქი და სიმაგრე ეგრის ქვეყანაში. მათ შორის სამგალავნიანი ციხე-გოჯი. განვლო კლისურის მხარეში აგე-ბული ზღუდე, გადალახა კლისურა, რომელიც იმ ჟამად იყო საზღვარი საბერძნეთსა და საქართველოს შორის და შემუს-რა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი. შემდეგ მოადგა ანაკოფიის

ციხეს, სადაც ასვენია ხატი ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა (ხატი იგი შექმნილია არა კაცის ხელით, არამედ ზეგარდმო შთაგონებით და არვინ უწყის, თუ ვინ იპოვა იგი მოსული იმ გორის თავზე, რომელსაც აკრავს სამხრეთით ზღვა და ჩრდილოეთიდან ჭალაკი წყალუხვი). მაშინ ანაკოფიაში იმყოფებოდნენ ქართლის მეფეები მირი და არჩილი (მამა მათი კი გარდაცვლილი იყო და დამარხული ეგრისში). ერისთავი კეისრისა ლეონი შესული იყო სობღის ციხეში, რომელიც აღმართულია ოვსეთის გადასასვლელზე. არავინ იპოვებოდა ყრუსთან ბრძოლის შემძლებელი, რამეთუ სპა მისი იყო უმრავლესი ეგრისის ჭალაკებისა.

მაშინ უთხრა არჩილმა თავის ძმას, მირს: „შემუსვრის პირსაა მიტანებული ეს ციხე-ქალაქი და, თუ ჩაგვიგდებს ხელთ ამირა აგარიანი, გამოიკითხავს ჩვენს მიერ დაფლული და დამარხული იმ საგანძურის ამბავს, რომელიც შეუძენიათ ღმრთივ განბრძნობილ მეფეებს მირიანს, ვახტანგს და მათ შვილებს, რომელთა ჩამომავალნიც ვართ ჩვენ. ამირა მოგვთხოვს აგრეთვე ერაკლე მეფის მიერ დამალულ განძს, რომელიც აღწერილი დავდევით უჯარმის ორ კოშკს შორის. იქვეა ორი გვირგვინი ზურმუხტისა და იაგუნდ-ძოწეულით შემკული, ჩვენი წინაპრის დიდი ვახტანგ მეფის ინდოეთიდან და სინდეთიდან გამოტანილი. ყოველივე ეს აღნუსხული და დაცულია ჩემს გონებაში. შენ წაიღე ორი გვირგვინი ოქროსი და ანთრაკისა, ერთი მირიან მეფისა და მეორე ვახტანგისი, რომელიც თავის დროზე მიუძღვნა სპარსთა მეფემ გორგასალს, იმ ოქროსა და ვერცხლთან ერთად, ხუთასი სახედარი და ორიათასი ქვეითი მეომარი ზურგით რომ ეზიდებოდა. შენ და მამაჩემმა დასდეთ ეს გვირგვინები ქუთაისსა და ციხე-გოჯს, ხოლო მე ჩემი გვირგვინები, ტყვიის გუჯრებთან ერთად, ცალკე დავმალე. თუ ჩვენ მოვკვდებით, მთელი ეს განძი ყველასათვის დაფარული დარჩება. ბერძენთა კვლავ გაძლიერებისა და შემოსვლის დროს, კეისარი მოიკითხავს

ჩვენ მემკვიდრეებს, რათა მისცეს მათ მეფობა და ეს განძიც. ამიტომ, ნუ შევიქმნებით ჩვენ მიზეზი ქართლისა და საბერძნეთის მოოხრებისა, არამედ გავიდეთ და შევებრძოლოთ ზღვის მხრიდან და, თუ, ინებოს ღმერთმა, ერთმა აოტოს ათასი და ორმა ათი ათსი".

ქართველთა და აფხაზთა მიერ სარკინოზთა ძლევა

ეივიდნენ მირი და არჩილი ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ხატის წინაშე, თაყვანი სცეს მუხლმოყრით და შეევედრეს: „მივდივართ სარკინოზებთან საბრძოლველად შენი ძის, ჩვენი ღმერთის, იმედით. გვიშუამდგომლე მის წინაშე და თან გაგვაყოლე შენი წყალობა."

ახლდა მირსა და არჩილს მცირე სიმრავლე მათი ტაძრეულისა, ერისთავთა და პიტიახშთა ჩამომავალი ათასამდე კაცი, ხოლო აფხაზთა ლაშქრიდან - მებრძოლი ორი ათასი. მაშინ, ჯერ კიდევ გათენებამდე, მოავლინა უფალმა სარკინოზებზე ხორშაკი სამხრეთული და შეპყარა აგარიანთ ლაშქარს ფაღარათი სისხლიანი. იმავე ღამეს ეჩვენა არჩილს ანგელოზი უფლისა, რომელმაც უთხრა: „წადით და შეებრძოლეთ აგარიანთა, რადგან მოვუვლინე მათ სენი სასტიკად მომსვრელი, როგორც კაცთა ისე პირუტყვთა. როდესაც გახვალთ, გაიგონებთ მათი ბანაკიდან ვაებისა და ტირილის ხმას. ხოლო თქვენ გამხნევდით და გაძლიერდით ღვთის სასოებით." ვითარც გათენდა, მართლაც მოესმათ მათ სარკინოზთა ბანაკიდან ხმა ტირილისა და გოდებისა. მაშინ ღმერთის წყალობის მოიმედენი გავიდნენ მირი და არჩილი მტერთან საომრად და შეებრძოლნენ მათ. მისცა ღმერთმა ძლევა ქრისტიანთა მცირერიცხოვან ლაშქარს, ამოწყდა სარკინოზთაგან მუცლის სენისაგან ოცდათხუტმეტი ათასი, ხოლო

მახვილით - სამი ათასი. ტყესავით მოიცელა სარკინოზთა ცხენები და ჩაჰყარეს ისინი ზღვაში. ხოლო ქრისტიანთაგან იმ დღეს მოკლეს კაცი სამოცი და დაიჭრა მირი შუბით ფერდში.

მაშინ იხილა აგარიანმა ერთმა ჩვენება, თითქოს ეტყოდა მოციქული მათი: „მოგვცა ღმერთმა გამარჯვება ჩვენ ათი მეფის აღსრულებამდე, ასე უთხრა აბრაამს და აგარს ღმერთმა, მაგრამ მოერიდეთ წმინდა ეკლესიებს და ღმრთის მსახურებს, როგორც ეს გამცნეთ ჩემს ყურანში." მაშინ მსწრაფლ აიყარენ აგარიანნი, გაბრუნდნენ უკან და როცა გაიარეს ციხე-გოჯი და დაიბანაკეს ორ მდინარეს შორის, დაასხა წვიმამ ფიცხელმა და ადიდნენ სასტიკად მდინარეები. პატარა მდინარემ მიაშურა აბაშთა ლაშქარს და წაიღო მათგან ქვეითი მეომარი ოცდასამი ათასი. დიდი მდინარე მიუვარდა მხედრებს, რომელთა ბანაკი გაეშალათ ტყიან ალაგას. მოლაშქრეთაგან ზოგი გაიქცა, ზოგიც ხეზე აძვრა. წაიღო წყალმა ცხენი ოცდათხუთმეტი ათასი. ამის შემდეგ სახელად ეწოდა ამ ორ მდინარეს, ერთს - ცხენის წყალი და მეორეს - აბაშა.

აიყარნენ იქიდან სარკინოზები, გამოიარეს გურიის გზა და გაიარეს სპერი. მათი სიმრავლის გამო დიდად არ დააჩნდათ დანაკლისი. მათ ადრევე დააჭრეს ცხენებს კუდები, რადგან ტალახის გამო უჭირდათ ცხენებს სიარული.

ბიზანტიის კეისრის, ქართლის მეფეთა და აფხაზთაერისთავის შეთანხმება

ამ ჟამად აოხრდა ქვეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა. აღარ იპოვებოდა არც რაიმე შენობა და არც საჭმელი კაცთათვის და პირუტყვისთვის. წარავლინეს მოციქული მირმა, არჩილმა და ლეონ აფხაზთა ერისთავმა ბერძენთა მეფის წინაშე და აუწყეს ყო-

ველი, რაც მოახდინა ღმერთმა მათი ხელით. მან კი გამოუგზავნა ორი გვირგვინი და გუჯარი მირსა და არჩილს და მოსწერა მათ: „თქვენი იყო მეფობა ქართლში აღსავსე სიმხნითა და სიბრძნითა. მართალია, ჩვენთან ერთად იდევნებით ჯვარის მსახურების გამო, მაგრამ ჩვენი ხელახლა მობრუნების ჟამს, რაც აღთქმული გვაქვს ჩვენ ღმერთის მიერ, ჩვენთან ერთად განდიდდებით. იდექით მტკიცედ თქვენს სიმაგრეებში, სანამ არ გაივლის მათი ბატონობისთვის განკუთვნილი სამასი წელიწადი, რამეთუ ორასორმოცდამეათესა წელს დაიყოფა სამეფო მათი, ხოლო მესამასე წლის გასრულებისას კვლავ მოეცემა ძალა ჩვენს მეფობას და შევმუსრავთ აგარიანებს. მაშინ ყველა მათ მიერ ამაღლებული დამდაბლდება და ჩვენი მადიდებელი კი ამაღლდება".

ლეონს კი ბერძენთა მეფემ მოსწერა შემდეგი: „ყოველთვის ქართლის მიწაწყალს ჩვენგან ადგა ენება, ხოლო მათ მეფეთაგან კი ჩვენს მიმართ მუდამ იყო თანადგომა და რგება. ჩვენს სამეფო ტახტს მათ მესამედ გაუწიეს სამსახური: პირველად მაშინ, როცა ნათელ იღეს ჩვენ ხელთაგან; მეორედ, როცა შემუსვრისაგან გადაარჩინეს დიდი ქალაქი პონტო და ჩვენსა და სპარსთა შორის ჩამოაგდეს მშვიდობა, რადგან მაშინაც ვახტანგ მეფის შუამდგომლობისა და ხმლის შემწეობით დაიბრუნა ჩვენმა სამეფომ პრალესტინა და ორი ნაწილი ჯაზირეთისა; ახლა კი, ღმერთს რომ მაგათი ხელით არ დაებრკოლებინა ეს ბოროტი მტერი, შემოაღწევდა ის კონსტანტინეპოლამდე. ნებროთის შვილთა შორის წარჩინებულყვნა ღმერთმა ისინი, რათა არ მოაკლდეს მათ მოდგმას ბრძენი, შორსმჭვრეტელი და მებრძოლი. ამას მოგვითხრობს ჩვენ გუჯარი, რომელშიც აღწერილი არიან გამოჩენილი მეფეები მათი ტომებიდან და ქვეყნებიდან. ხოლო შენთვის მომიცემია აფხაზეთის ერისთავობა, აგრეთვე შენთა შვილთა და მომავალთათვის უკუნისამდე, მაგრამ კეთილად უნდა ემსახურო და პატივისცე ქართლის მეფეებს და მათ

ერს. ამიერიდან აღარ ხელგეწიფება ვნება მათი მიწაწყლისა, ეგრისისა, როგორც მათი მანდ ყოფნის დროს, ისე მანდედან გასვლის შემდეგ.

მეფე მირის სიკვდილი

ძირს დაუმძიმდა ჭრილობა და მიიწია სიკდილის პირს. მაშინ მიმართა თავის ძმას არჩილს: „მივდივარ მე, ძმაო, ჩვენს წინაპრებთან, წამიღე და დამფალი წინაპართა სასაფლაოზე. შენ კი გაუწყებ, თუ სად არის ჩემს მიერ დამალულ საგანძურთა ადგილი. მე არა მყავს ძე მემკვიდრე, არამედ მყვანან შვიდნი ასულნი. ამრიგად ახლა შენ ხარ ჩვენი საგვარეულოდან მემკვიდრე მეფობისა. შენ თავად უწყი, რომ ჩვენს ასულებს არ ვაძლევდით ცოლებად ჩვენს ერისთავებს, არამედ ვათხოვებდით მათ მეფეებზე, ანდა სპარსთა მეფეთა ჩამომავლებზე, რომლებიც ჩვენთან მოვიდოდნენ საცხოვრებლად, ისევე, როგორც ფეროზს მიათხოვა მირიანმა ასული თვისი. აწ, რადგან შემცირებულია საგვარეულო ჩვენი, ვინაიდან შენ ხარ უცოლო და მე ვარ უძეო და, რადგან მოჰყავდათ ხოლმე ჩვენს წინაპრებს ცოლად თავის ერისთავთა ასულები, მიათხოვე შენც ჩვენს ერისთავებს ჩემი ასულები და გაუყავი მათ ქართლის ქვეყანა: ნახევარი აიღე შენ და ნახევარი მიეცი მათ. რაც მე მქონდა საუხუცესოდ, შენთვის მომიცემია და გქონდეს საუხუცესოდ: ეგრისი, სვანეთი, თაკვერი, არგვეთი და გურია. ჩემს ასულებს მიეცი კლარჯეთი და შუა მთიულეთი, რათა ამ მძიმე ჟამს იქ იყვნენ შეფარებულები. მამა ჩვენი, რომელიც მოკვდა ამ შფოთიან დროში და ვერ დავკრძალეთ მცხეთას, გადაასვენე და დაჰფალი ქუთაისის საყდარში, რათა იყოს ის ჩვენი სამემკვიდრეო უფლების მამოწმებელი. შენ კი დადექი აქ და გქონდეს ბერძნებთან კეთილი ურთიერთობა, ვიდრე გაივლიდეს ეს შავბნელი დრო". მოკ-

ვდა მირი, წამოასვენეს მცხეთას და დაკრძალეს ზემო ეკლესიაში, კარის შესავალთან.

11. მეფე არჩილი ძე სტეფანოზისა, ძმა მეფე მირისა

არჩილმა მოუწოდა ქართლის ერისთავებს და მიათხოვა მათ თავისი ძმისწულები: ერთი მისცა თავისი მამის ძმისწულს, გუარამ კურაპალატის შვილს, რომელსაც ეპყრა კლარჯეთი და ჯავახეთი;

მეორე - პიტიახშს, ფეროზის ნათესავს, რომელიც მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს;

მესამე - ნერსე ნერსიანს, რომელიც იყო წარჩინებული ვახტანგ მეფისა;

მეოთხე - ადარნასე ადარნასიანს და ამ ორს გაუუო ზენა სოფელი, რომნლიც არის ქართლი;

მეხუთე - ვარზმანს (ის იყო ჩამომავალი ბარდავის სპარსთა ერისთავისა, ვახტანგ მეფის დედის მამისა). მისცა მას ქვეყანა კოტმანიდან ქურდის ხევამდე;

მეექვსე - ჯუანშერ ჯუანშერიანს, მირიან მეფის ძის, რევის ჩამომავალს და მისცა მას ჯვარი და ხერკი, ყოველი მთიულეთი, მანგლისის ხევი და ტფილისი.

არჩილის ნაწილი იყო ცალკე გამოყოფილი ყველა ამ ხევებისგან.

იხილეს რა, რომ ჯუანშერს უმეტესი წილი ერგო, ეწყინათ სხვებს მცირედ. ამის შემდეგ არჩილმა განუტევა ისინი ცოლებითურთ თავთავიანთ მხარეებში.

აფხაზთა მთავრის შემოსვლა ქართლის მეფის ქვეშევრდომობაში

მაშინ მოუწოდა არჩილმა ლეონს და უთხრა: „კურთხეულ იყავ შენ უფლის მიერ, რამეთუ კეთილი მასპინძლობა გაგვიწიე ჩვენ და გვამყოფე მშვიდობით შენს მიწა-წყალზე. ახლა კვლავ დაიწყო მოშენება ჩვენმა მიწა-წყალმა კლისურიდან მოყოლებული აღმართ. მეც წავალ და დავსახლდები ციხე-გოჯსა და ქუთათისს. აწ, ნაცვლად შენი ჩემდამი კეთილად სამსახურისა, მთხოვე შენთვის რაც გენებოს".

ხოლო ლეონმა მიუგო: „მომცა მე კეისარმა თქვენი, სიმხნის წყალობით, ეს ქვეყანა სამემკვიდრეოდ. ამიერიდან არის ეს მამული ჩემი - კლისურიდან დიდი ხაზარეთის მდინარემდე, სანამდეც მისწვდების წვერი კავკასიისა. მიმიჩნიე მეც შენთა მონათ შორის, იმათ შორის, ვინც დღეს ღირსია იწოდებოდეს შენს შვილად და ძმად. არ მინდა მიწა-წყლის ნაწილი შენგან, არამედ ეს ჩემიც შენი იყოს."

მაშინ მიათხოვა არჩილმა ლეონს ძმიწული მისი გურანდუხტი და მისცა გვირგვინი, რომელიც ბერძენთა მეფეს გამოეგზავნა მირისთვის. და დადეს აღთქმა და ფიცი საშინელი, რომ არ იქნებადა მომავალში მტრობა მათ შორის, არამედ დაემორჩილებოდა სამუდამოდ ლეონი არჩილს.

წამოვიდა არჩილი და დამკვიდრდა ეგრისს, შორაპნამდე და განაგო ყოველნი ციხენი და ქალაქნი და ააშენა ციხე გურიისა და საბერძნეთის საზღარზე. ასე გავიდა წელიწადი თორმეტი და დაიწყო მოშენება ქართლმა. მაგრამ მცხეთა ისე იყო აოხრებული, რომ არ ვარგოდა მეფეთა სამყოფელად. ამიტომ გადმოვიდა რა არჩილი ეგრისიდან, დაჯდა ხიდრის ნაციხარზე.

ბაგრატოვანთა მოსვლა ქართლს

ამაშინ მოვიდა არჩილთან მთავარი ერთი, ჩამომავალი დავით წინასწარმეტყველისა, სახელად ადარნასე, ძმისწული ადარნასე ბრმისა (მისი მამა დამოყვრებული იყო ბაგრატიონებთანვე და ბერძენთა მიერ დადგინებულ იყო სომხეთის მხარეთა ერითსავად, ხოლო მურვან ყრუს შემოსევის ჟამს, ის ჩასულა გუარამ კურაპალატის შვილებთან კლარჯეთს და იქ დარჩენილა). ითხოვა ადარნასემ არჩილისგან შეწყალება და უთხრა: „თუ ინებებ და მიმიჩნევ შენს ქვეშევრდომად, მაშინ მომეცი ქვეყანა." მისცა მას არჩილმა შულავერი და არტანი.

ამის შემდეგ მოვიდა არჩილი კახეთში და ყველა მის ტაძრეულს მიუბოძა კახეთი და აზნაურებად ჰყო ისინი. ააშენა ეკლესია საძმორს, შეირთო ცოლი, ასული გუარამ კურაპალატისა (ის იყო ჩამომავალი ვახტანგ მეფისა ბერძენი ცოლისაგან), დაჯდა წუქეთს, ააშენა კასრი და ლაკვასტის ხევში ააშენა ციხე. დახვდნენ მას წუქეთს მთავრები, რომელთათვის ვახტანგ მეფეს ებოძა წუქეთი და იყო მათ შორის ერთი, რომელიც ერისთავობდა თუშებზე, ხუნძებზე და მთის ყველა წარმართზე, სახელად აბუხვასრო. არ ინება მისთვის წუქეთის ჩამორთმევა. ააშენა არჩილმა აგრეთვე ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს, ორთა წყალთა შუა, ხოლო ნუხპატელნი იმჟამად იყვნენ წარმართნი და მხეცის ბუნებისანი. მურვან ყრუს მოესრა სიმრავლე მათი. არჩილმა ისინი იძულებით მონათლა.

იმ ჟამად მძლავრობდნენ სარკინოზები რანის ქვეყანაში. დაეპყრათ გაზირი და სომხითი და ებრძოდა მასლამა ბერძნებს. მაშინ სამი ძმა, ძმისწულები ადარნასე ბრმისა, რომელსაც დასწვეს თვალები, წამოვიდნენ ტარონიდან და არჩილის ბრძანებით დაემკვიდრნენ შაკიხად, რადგან მთელი კავკასიისპირეთი, რანის მხარეს, უმკვიდრო და აოხრებული

იყო, ხოლო ჰერეთი და კახეთი, ჭალაკთა და ტყეთა გამო, უფრო გადარჩენილიყო აოხრებას. დაემკვიდრა იქ სამივე ძმა და დაიჭირეს მიწაწყალი გულგულამდე.

მასვე ჟამს ვიღაც პიტიახშები არ შეუშვეს კლარჯეთში. მაშინ მათი ნახევარი წავიდა სხვა მხარეს, დაიპყრა კლდე ერთი ტაოში, რომელსაც ერქვა კალმახი და ააშენეს იქ ციხე. ნაწილი ამ პიტიახშებისა კი მოვიდა კახეთში არჩილთან. ერთ მათგანს არჩილმა მიათხოვა ქალი აბუხვასროს მემკვიდრეთაგან, რადგან დაქვრივებული იყო ის ქალი და აღარ ჰყავდა ქმარი და მიუბოძა წუქეთი, ციხით და კასრითურთ.

აღარ შემოჭრილან სარკინოზები ქართლში მურვანყრუს წასვლიდან სამოცდაათი წლის განმავლობაში. ამ დრომდე ისინი აღარშემოსევიან ქართლს, არამედ მიიღებდნენ ხარკს ერისთავთაგან.

ჰყავდა არჩილს ძე ორი, ჯუანშერი და იოვანე და ასული ოთხი: გურანდუხტი, მარიამი, მირანდუხტი და შუშანი.

ანდერძი: *წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა, ვიდრე ვახტანგამდე იწერებოდა დრო და დრო; ვახტანგ მეფიდან აქამდე კი აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმა, წმინდის არჩილის ძმისწულის ქმარმა, მირიანის ძის რევის ჩამომავალმა. ამის შემდეგ მომავალმა თაობამ აღწეროს, როგორც იხილოს და, როგორც მის ღმრთივ განბრძნობილ გონებას მისმა თანამედროვე ეპოქამ მოუთხროს*

ლეონტი მროველი

წამება წმინდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისა. რომელიც იყო მეფე ქართლისა

ვითარ გარდახდა წელიწადი ორმოცდაათი, კვლავ მოვიდა აგარიანი ჭიჭნაუმ, ძე მოჰამედისი. მოაოხრა და შემუსრა მან ყოველი ნაგებობა ქართლისა და გაემართა კახეთში შესასვლელად, რათა მოეოხრებინა და მთლად უმკვიდრო გაეხადა. და იყო შიში დიდი მეფეთა, მთავართა და მთელ ერს შორის. წინააღმდეგობის გაწევა კი არ შეეძლოთ, რადგან, თუმცა მრავალ ჟამს გაევლო ყრუს მიერ ამ ქვეყნის აოხრებიდან, მაგრამ ჯერაც ვერ აღედგინა მას თავისი ძალა.

წმინდა არჩილმა განიზრახა თვისითა გონებითა და გულისა სიმხნითა, რომ მისულიყო ჭიჭნაუმთან და ეთხოვა, მისთვის ქვეყნისათვის მშვიდობა, ეკლესიათა შეურყეველად დაცვა და ადამიანთა დაუსჯელობა სჯულისთვის. ასე, ღმერთზე მინდობილმა,გადაწყვიტა არჩილმა საკუთარი თავისა და სულის დადება ქრისტიანთა გადასარჩენად. ადგა და ეახლა ჭიჭნაუმს, რომელსაც ეწოდებოდა სახელად ასიმი.

ასიმმა, როცა გაიგო მისი მისვლა, სიხარულით მიეგება და დიდი დიდებით მოიკითხა. დაყვეს ის ერთი დღე ერთად. შეაქო ასიმმა სიკეთე მისი, მოეწონა ახოვანება მისი ტანისა და მშვენიერება მისი სახისა. მცირე ხნის შემდეგ და დაუწყო ლიქნით საუბარი, აღუთქვამდა დიდ ჯილდოს, ურჩევდა ქრისტეს სჯულის დატოვებას და სარკინოზთა სარწმუნოებაზე მოქცევას. მაგრამ წმინდა არჩილი არ აჰყვა სრულებით ამ ცდუნებას, არამედ, მტკიცემ თავის განზრახვაში, მიუგო და უთხრა: „ამოად ნუ ირჯები! მე რომ ვისმი-

ნო შენი და უარვყო ქრისტე, ღმერთი ცხოველი და ჭეშმარიტი, რომელმაც ჩვენი ხსნისთვის ხორციელი სიკვდილი დაითმინა, უწყოდე, რომ მოვკვდები ისეთი სიკვდილით, რომლითაც მივეცემი საუკუნო სატანჯველს. ხოლო, თუ შენ მომკლავ, მაშინ აღვდგები, ვითარცა ღმერთი ჩვენი და მის მსგავსად მოვიპოვებ დიდებას."

ესმა რა ეს ყოველი ურჯულო ასიმს და იხილა მისი უტეხი სიმტკიცე, ფრიად გაუკვირდა. უბრძანა მისი შეპყრობა და საპყრობილეში შეყენება, რათა ძალით მოექცია, რადგან არ სურდა მისი სიკვდილით დასჯა, მისი მშვენიერი სახისა და ახოვანი ტანის გამო. შეაყენეს არჩილი საპყრობილეში. ის კი აკურთხებდა ღმერთს და ითხოვდა მისგან შეწევნას, რათა ღმერთის მოწყალებით დაემკვიდრებინა დაუსრულებელი ნათელი ყველა იმ წმინდანთა შორის, რომელთაც ღმრთისათვის სიკვდილით მოიპოვეს უკვდავება.

მაშინ წარსდგა ასიმის წინაშე მთავარი ერთი გარდაბნელი, რომელიც მოქცეულიყო სარკინოზთა სჯულზე (მისი მამის ძმა მოეკლათ წანართა და ის მკვლელები კი მშვიდობით გაეშვა არჩილის პაპას, მეფე ადარნასეს,ამიტომ შური იძია გარდაბნელმა) და უთხრა ასიმს: „არ უწყი შენ, თუ ვინ არის ეს არჩილი? ეს არის სტეფანოზის ძე, დიდი მეფის ვახტანგის ჩამომავალი, ქასრეს ძის მირიანის საგვარეულოდან. ის იმყოფებოდა თავის მამასთან, როდესაც მარხავდნენ ქართლის სამეფოს საგანძურს. მან ისიც იცის, თუ სად გადამალა ერაკლე მეფემ თავისი საგანძური, რადგან ერაკლე უჩვენებდა მას სადაც მარხავდა."

ესმა რა ეს ყოველი ასიმს, მოუწოდა კვლავ არჩილს და უთხრა: „აქამდე მომწონდი შენი მშვენიერების გამო, რადგან ფრიად ქმნულკეთილი ხარ. ხოლო ახლა მითხრეს, რომ შენ ჩამომავალი ხარ დიდთა მეფეთა ხვასროანთა, რითაც კიდევ უფრო მეტად ამაღლდი ჩემს თვალში და, თუ შეისმენ ჩემს სიტყვას, შენს სამეფოს შენვე დაგიტოვებ და

შენი წინაპრების საგანძურს შენვე მოგანიჭებ. ოღონდ ჯერ მიჩვენე საგანძურნი ბერძენ მეფეთა, მოიქეცი ჩვენს სჯულზე და იქმენ სარკინოზად. მაშინ გაგხდი ქართლის ქვეყანის სპასალარად, ქართლის ერის მეფედ და უფლად."

მიუგო მას წმინდა არჩილმა: „უწყოდე, რომ მე ასაკით მცირე ვიყავი, როცა ეს ქვეყანა გაიარა ერაკლე მეფემ, ხოლო ჩემმა მამამ და ძმამ დაფლეს მთელი საგანძური იმ ციხეში, საიდანაც გამობრუნდა ყრუ ამირა და ახლა ის ციხე ბერძნებს უპყრიათ. მე კი არ დავტოვებ ჩემს უფალ ღმერთს, არც გავცვლი წარუვალ დიდებას ამქვეყნიურ, მსწრაფლ წარმავალ კეთილდღეობაზე."

მაშინ ჰკითხა ასიმმა: „მაშ შენ მომსწრე იყავი სარკინოზთა აფხაზეთში დამარცხებისა?" მიუგო წმინდა არჩილმა:"მე ვიყავი იქ მაშინ, რა ჟამსაც დასცნა ისინი ღმერთმა." ჰკითხა ასიმმა: „რომელმა ღმერთმა დაამარცხა სარკინოზები?" მიუგო წმინდა არჩილმა: „ღმერთმა ცხოველმა, რომელიც არის შემოქმედი ცისა და ქვეყნისა და რომელიც მოვიდა . ქვეყნად ზეცით, კაცთა მოდგმის ხსნისთვის და თავისი სიკვდილით აღგვადგინა და უკვდავება მოგვანიჭა. მან დასცა და დაამდაბლა ისინი." მაშინ უთხრა ასიმმა წმინდა არჩილს: „ვისი ღმერთიც მოკვდავია და ვისაც ცხოვრების სასოება ამ მოკვდავის მიმართ აქვს, ჯერ არს იმისი სიკვდილიც!" და უბრძანა თავის მოკვეთა და სიკვდილით დასჯა წმინდისა არჩილისა. არ მოერიდა სარკინოზი მის სიკეთეს და არც მისი წარჩინებული დიდების შერცხვა. გაიყვანეს არჩილი გარეთ და მოჰკვეთეს მას თავი მირკანის თვეში, რომელიც არის მარტი. ამ თვის ოც რიცხვში შეავედრა არჩილმა თავისი სული ღმერთს დამბადებელს და აირჩია სიკვდილი უკვდავების მომატყუებელი, საწუთოს მცირე ჟამის მეფობა შეცვალა საუკუნო სიხარულით და გახდა ღირსი წმინდა და ახოვან მოწამეთა გუნდთან ერთად ღმერთის წინაშე წარ-

დგომისა და მათთან ერთად, გვირგვინოსანი, იხარებს წმინდა სამების წინაშე.

ხოლო როცა აღესრულა წმინდა მოწამე არჩილი, მოვიდნენ იმ ღამეს გოდეოძიანნი ტბელნი და მათთან ერთად სხვა წარჩინებული აზნაურები და მოიპარეს წმინდა მოწამის არჩილის გვამი, წამოიღეს, დიდი პატივით შემურეს და დამარხეს ნეტკორას, მის მიერ აშენებულ ეკლესიაში. ხოლო არჩილის ცოლმა იმ აზნაურებს, რომლებმაც მოიტანეს დასაკრძალად წმინდა არჩილის გვამი, მიუბოძა კახეთში სოფლები სამკვიდროდ.

ანდერძი: *ეს ამბავი არჩილის წამებისა იყო ასე სულ მცირედ აღწერილი, რადგან ჟამთა შლილობის გამო საკადრისად ვერავის აღეწერა.*

არჩილის წამება, მეფეთა ცხოვრება და ნინოს მიერ ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა.

ბოლოთქმა

„ქართლის ცხოვრების" II ტომის წინამდებარე გამოცემაში ქვეყნდება ადაპტირებული ტექსტი ქართული მატიანეების ამ კრებულის მეორე თხზულებად მიჩნეული ნაწილისა, რომელიც ასახავს საქართველოს ისტორიას V-ის შუა წლებიდან VIII-ის შუა წლებამდე და რომლის ავტორადაც, „ქართლის ცხოვრების" ერთ-ერთი ანდერძ-მინაწერის მიხედვით, ითვლება ჯუანშერ ჯუანშერიანი.

თხზულების ტექსტი წინამდებარე გამოცემაში ორ ნაწილადაა გაყოფილი: 1.„ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა" და 2. „ცხოვრება ვახტანგ გორგასლის შემდგომთა მეფეთა". თვით ავტორს, როგორც ჩანს, ორივე ეს ნაწილი ერთ მთლიან თხზულებად ჰქონდა გააზრებული და დაწერილი, თუმცა კი მისი განსაკუთრებული ინტერესის საგანი ყოფილა ქართველთა დიდი მეფის ვახტანგ გორგასლის ცხოვრება. ჯუანშერის მიზანი იყო მისი დროის ქართველებისთვის და მომავალი თაობებისთვის ჯეროვნად წარმოეჩინა ვახტანგ გორგასლის დიდი ღვაწლი ქვეყნის წინაშე.

„ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა" ისტორიულ-ბიოგრაფიული ჟანრის თხზულებაა და ასახავს ვახტანგის ბიოგრაფიის სამ ქრონოლოგიურ მონაკვეთს:

1. ვახტანგის უახლოესი წინაპრების (პაპის, მამის) მეფობა;

2. ვახტანგის მეფობა ყრმობის ასაკში, დედის რეგენტობით;

3. ვახტანგის ერთმართველობის ხანა.

ჯუანშერი თხზულების მეორე ნაწილში, შედარებით სქემატურად, ზოგადად, აღწერს ვახტანგის შემდგომი მეფეების ისტორიას (ზოგიერთი მეფისას მხოლოდ ერთი წინადადებით. როგორც ჩანს, მისთვის ნაკლებად იყო ცნობილი ამ პერიოდის ფაქტობრივი მასალა, ან, არ მიიჩნევდა აღნიშნუ-

ლი მეფეების მოღვაწეობას იმდენად მნიშვნელოვნად, რომ დეტალურად მოეთხრო მათ შესახებ.

ამრიგად, ჯუანშერის თხზულების ორივე ნაწილი ერთად, მართალია არა თანაბარი სისრულით, მაგრამ მაინც, ასახავს საქართველოს ისტორიის საკმაოდ ვრცელ და ამასთან სხვა წყაროებში ნაკლებად გაშუქებულ პერიოდს. ამდენად ის, ძირითადი საისტორიო წყაროა აღნიშნული პერიოდის საკვლევად. ცხადია, მას ისევე, როგორც შუასაუკუნეების სხვა ნარატიულ წყაროებს (და მათ შორის „ქართლის ცხოვრების" სხვა მატიანეებს), ახასიათებს ბევრი ნაკლი (ანაქრონიზმები, უნებლიე თუ გამიზნული ფაქტობრივი შეცდომები, ტენდეციურობა და სხვ.) და ამდენად, V-VIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის წარმოსაჩენად აუცილებელია, რა თქმა უნდა, ჯუანშერის ცნობების კრიტიკული ანალიზი (ოღონდ არა ჰიპერკრიტიკული, ე.ი. გადაჭარბებულად უნდობელი).

ჯუანშერმა თავისი თხზულება გაიაზრა და დაწერა, როგორც უკვე არსებული მატიანის – „ქართლის ცხოვრების" (ანუ როგორც ჯუანშერის ანდერძი უწოდებს „ქართველთა ცხოვრების") გაგრძელება, მისი შემადგენელი ნაწილი. ამდენად, ჩვენც ეს ძეგლი უნდა განვიხილოთ როგორც არა ცალკე თხზულება, არამედ – როგორც „ქართლის ცხოვრების" შემადგენელი ნაწილი (ისევე, როგორც მატიანეთა ამ კრებულში შესული ყოველი თხზულება).

თხზულების ავტორის სახელს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გვაუწყებს „ქართლის ცხოვრების" ტექსტის ერთ-ერთი ანდერძ-მინაწერი და, ამდენად ის ეჭვს არ იწვევს. სადაოა მხოლოდ ჯუანშერის მოღვაწეობის პერიოდი, რადგანაც ერთის მხრივ ამ სახელით ცნობილია სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრები რამდენიმე პირი, ხოლო მეორეს მხრივ, თვით თხზულების შემადგენლობა და მასში დაცული რეალიები ამ

ძეგლის და მისი სხვადასხვა ნაწილის დათარიღებაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს მკვლევართა შორის.

ჯუანშერის იდენტიფიკაციაზე და მისი ცხოვრების პერიოდზე მკვლევართა მიერ გამოთქმულია ძირითადად სამი თვალსაზრისი:

1. ჯუანშერი V ს-ის მოღვაწეა, ვახტანგ გორგასლის სპასპეტი (ვ. გოილაძე).

2. ის VIII ს-ის მოღვაწეა, არჩილ II-ის ძმისწულის ქმარი (გ. ანჩაბაძე, მ. სანაძე)

3. ის XI ს-ის მოღვაწეა (ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა და სხვ. მკვლეავარები).

რაც შეეხება ჯუანშერის თხზულების შედგენილობას, ამ საკითხზეც გამოიკვეთა ძირითადად სამი თვალსაზრისი:

1. ჯუანშერს ეკუთვნის მხოლოდ თხზულების პირველი ნაწილი – „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა" (ვ. გოილაძე, გ. წულაია, გ. ანჩაბაძე).

2. ჯუანშერს ეკუთვნის მხოლოდ თხზულების მეორე ნაწილი „ცხოვრება ვახტანგის შემდგომთა მეფეთა" (პ. ინგოროყვა, გ. მელიქიშვილი).

3. ჯუანშერს ეკუთვნის თხზულების ორივე ნაწილი (ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე).

გაჩნდა გამოთქმა – „ფსევდო ჯუანშერი" თხზულების მეორე ნაწილის ავტორის აღსანიშნავად (გ.წულაია, ე.ხოშტარია, გ. ანჩაბაძე)

გამოითქვა თვალსაზრისი ლეონტი მროველისა და ჯუანშერის ერთ პიროვნებად იდენტიფიკაციის შესახებ (ნ. ბერძენიშვილი, ა. ბოგვერაძე).

თითოეული ეს თვალსაზრისი სამეცნიერო ლიტერატურაში შემაგრებულია ანგარიშგასაწევი არგუმენტებით.

ჯუანშერის იდენტიფიკაციისათვის ძირითადი წყაროა „ქართლის ცხოვრების" ზემოხსენებული ანდერძ-მინაწერი, რომელიც იხსენიებს მას, როგორც VIII ს-ის მემატიანეს

(თუმცა, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია თვით ჯუანშერის თხზულების მონაცემები ამ ძეგლის, ან მისი ცალკეული ნაწილების დასათარიღებლად).

ანდერძი გვამცნობს: *„წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა, ვიდრე ვახტანგამდე, აღიწერებოდა ჟამითი ჟამად; ხოლო, ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე, აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან – ძმისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისმან, ნათესავმან რევისმან, მირიანის ძისამან. მიერითგან შემდგომთა მომავალთა ნათესავთა აღწერონ, ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ჟამმან უწყებად მისცეს გონებასა მათსა ღმრთივგაბრძნობილსა."*

ანდერძიდან ჩანს შემდეგი:

1. ჯუანშერი ყოფილა მისივე თხზულების მესამე ნაწილში („ცხოვრება მეფისა არჩილისა") მოხსენიებული VIII ს-ის დასაწყისის მოღვაწე არჩილ ერისმთავრის (არაბთა მიერ წამებულის და წმინდანად შერაცხულის) ძმის (წინამორბედი ერისმთავრის) - მირის ასულის ქმარი, ე. ი. VIII ს-ის დასაწყისის მოღვაწე;

2. ჯუანშერს გაუგრძელებია „ქართლის ცხორება" ვახტანგ გორგასლის მეფობიდან, ვიდრე თავის დრომდე, ე.ი. არჩილ ერისმთავრის ცხოვრება-მოღვაწეობის პერიოდის ჩათვლით (რომლის თანამედროვე ის თვითონ ყოფილა);

3. ჯუანშერი უანდერძებს მის შემდგომ მემატიანეებს („მომავალთა ნათესავთა"), რომ გააგრძელონ მისი ნაღვაწი და აღწერონ თავიანთი თანამედროვე მოვლენები („ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ჟამმან მისცეს გონებასა მათსა").

ამრიგად, თითქოს სადავო აღარაფერი რჩება: თხზულება დაუწერია VIII ს-ის მოღვაწეს, ჯუანშერ ჯუანშერიანს, მას გაუგრძელებია ჟამითი-ჟამად დაწერილი „ქართლის ცხოვრება", ვახტანგ გორგასლიდან მოყოლებული არჩილ ერისმთავრის ცხოვრების ჩათვლით და იმედი აქვს, რომ მის

შემდეგ „ქართველთა ცხოვრებას" გააგრძელებენ სხვა ავტორები.

მაგრამ, მკვლევართა ნაწილი, გამომდინარე თვით ჯუანშერის თხზულებაში არსებული ანაქრონიზმებიდან, კრიტიკულად განიხილავს აღნიშნულ ანდერძს და არ იზიარებს მის მონაცემებს თხზულების დათარიღებაზე და მისი ავტორის იდენტიფიკაციაზე. კერძოდ, ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ ჯუაანშერის თხზულება, მასში დაცული რეალიების მიხედვით, არ შეიძლება იყოს დაწერილი XI ს-ზე ადრე. იგულისხმება ცნობა პაჭანიკების შესახებ, ქ. ბაღდადის მოხსენიება, ინფორმაცია იოანე ზედაზნელის ქართლში მოსვლაზე, „წინასწარმეტყველება", რომ არაბთა ბატონობა 300 წელი გაგრძელდება (რაც „post factum" ხდება ხოლმე) და სხვ.

რაც შეეხება ანდერძის ცნობას ჯუანშერის ვინაობაზე, ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ ანდერძის ის ნაწილი, რომელის მიხედვითაც ჯუანშერი არჩილის ძმისწულის ქმარი იყო, გვიანდელი ჩამატებულია.

ვფიქრობთ, მაინც, რომ ჯუანშერის ანდერძის შინაარსი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს მისი ცხოვრების თარიღად VIII საუკუნეს: თუნდაც რომ ანდერძის ის ნაწილი, სადაც ჯუანშერი არჩილის ძმისწულის ქმრად არის გამოცხადებული გვიანდელ ჩამატებად მივიჩნიოთ, მაინც ცხადია, რომ ანდერძში ჯუანშერი VIII ს-ის დასაწყისის მოღვაწედ იგულისხმება. აშკარადაა ნათქვამი, რომ ჯუანშერმა თავისი ისტორიული თხზულება დაასრულა თავისი დროის – VIII ს-ის დასაწყისის ამბებით („ვიდრე აქამომდე"). ასეთ დასკვნას ამაგრებს „ქართლის ცხოვრების" სომხურ თარგმანში დაცული ჯუანშერის ანდერძიც, სადაც ვკითხულობთ: „მოპოვებულ იქნა ეს მოკლე თხრობა (იგულისხმება „არჩილის წამება") არეულობის დროს და დაიდვა წიგნში, რომელსაც ეწოდება „ქართლის ცხოვრება", რომელიცაა ქართლის ის-

ტორია. იპოვა ეს ჯუანშერმა, დაწერილი ვახტანგ მეფემდის, ხოლო აქამდის თვით შემატა ჯუანშერმა, მერმისი კი მიანდო (თავის) დროზე მხილველთა და დამხვდურთა."

ამრიგად, ჯუანშერის ანდერძის სომხური ტექსტიც გვამცნობს, რომ ჯუანშერმა აღწერა ქართლის ისტორია ვახტანგ გორგასლიდან მოყოლებული არჩილის ცხოვრების ჩათვლით („აქამდის"), შემდეგ კი, თხრობის გაგრძელება მიანდო მომდევნო ეპოქის ავტორებს. ანდერძიდან ჩანს აგრეთვე, რომ არჩილის წამების აღწერა ჯუანშერს არ ეკუთვნის, ე. ი. მისი თხრობის დასასრულს არჩილი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. არჩილის წამებისადმი მიძღვნილ ანდერძში აღნიშნულია: „წიგნი ესე წამებისა მისისა (იგულისხმება არჩილი) იპოვა ესრედ მცირედ აღწერილი, რომელი ჟამთა შლილობითა ჯერისამებრ ვერვის აღეწერა".

როგორც ვხედავთ, არჩილის წამების მცირე რედაქცია განუვრცია და „ქართლის ცხოვრებაში" ჩაურთავს მემატიანეს (ალბათ – ლეონტი მროველს, როგორც გვამცნობს მისი ანდერძი). ჯუანშერი რომ არჩილის წამების ჟამს ცოცხალი ყოფილიყო, უნდა ვიფიქროთ, რომ ის თვითონ აღწერდა მის წამებას. ეს ფაქტი განსაზღვრავს ჯუანშერის თხზულების დაწერის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად VIII ს-ის დასაწყისს.

„ქართლის ცხოვრებაში" შესული ყოველი მატიანე, განიცდიდა შევსება-რედაქტირებას მომდევნო მატიანის ავტორისგან. პირველი ასეთი რედაქტირება, როგორც ჩანს, განახორციელა ჯუანშერმა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მან არა მარტო დაწერა V-VIII ს-ის დასაწყისის ისტორია, არამედ გარკვეული შესწორებები შეიტანა „ქართლის ცხოვრების" ვახტანგ გორგასლის წინა პერიოდის ამსახველ ტექსტში.

ერთ ასეთ შესწორებად ჩანს, ამ ტექსტში „ხაზართა" წარმოჩენა, როგორც ჩრდილოეთ კავკასმაში მოსახლე სხვადასხვა ხალხების გამაერთიანებელი სახელისა. ხაზარები ჩრდილოეთ კავკასიაში გამოჩნდნენ VII ს-ში, მათი სახელ-

მწიფო – სახაკანო, რომელიც VII ს-ის შუა წლებში წარმოიქმნა ქვემო ვოლგისპირეთში და ჩრდილოეთ კავკასიაში, არსებობდა X ს-ის მეორე ნახევრამდე. ბუნებრივია, რომ VIII ს-ში მცხოვრებმა ჯუანშერმა იცის ხაზართა სახელმწიფოს არსებობა და ქრონოლოგიურად გადააქვს მისი არსებობა მთელ წინა პერიოდზე: არა მარტო ვახტანგ გორგასლის ეპოქაზე, არამედ – ვახტანგ გორგასლამდეც. მისი წარმოდგენით ვახტანგ გორგასლის დროს ოსების მოკავშირეები იყვნენ ხაზარები, რომლებიც მათ მეზობლად სახლობდნენ უძველესი დროიდან (ფარნავაზ მეფის დროს და კიდევ ბევრად ადრეც). ამგვარად, აშკარაა, რომ ჯუანშერმა მის დროს (VIII ს-ში) ხაზართა სახელმწიფოს არსებობა გააკრცელა მთელ წინა პერიოდზე და ჩართო ხაზარები „ქართლის ცხოვრების" ვახტანგამდელი პერიოდის ამსახველ ნაწილშიც.

საფიქრებელია, რომ „ქართლის ცხოვრების" ძველ ნაწილში ჯუანშერის ჩართულია კონცეფცია მირიანის და, შესაბამისად, მის მომდევნო მეფეთა სასანური წარმოშობის შესახებ, რადგანაც თვით ჯუანშერის თხზულებას, წითელი ზოლივით გასდევს ეს კონცეფცია.

ამასთანავე, აშკარაა, რომ ჯუანშერმა განახორციელა მთლიანად „ქართლის ცხოვრების" მანამდე არსებული ტექსტის რედაქტირება და გაერთიანება. ამან მისცა საფუძველი „ქართლის ცხოვრების" ერთ-ერთ მკვლევარს (ა. ბოგვერაძე), რომ „ქართლის ცხოვრება" არჩილ მეფის წამების ჩათვლით, ერთი ავტორის თხზულებად მიეჩნია. მართლაც, თუ შევადარებთ ჯუანშერის თხზულებას ვახტანგ გორგასლამდე პერიოდის ამსახველ ტექსტს, აშკარაა მათ შორის ენობრივი და სტილისტური მსგავსება. მსგავსება მიდის იქამდე, რომ ზოგჯერ, მსგავსი მოვლენები ორივე თხზულებაში, ერთიდაიგივე წინადადებებითაა აღნიშნული.

ასეთი მსგავსება ჯუანშერის თხზულებისა ვახტანგ გორგასლამდე პერიოდის ამსახველ „ქართლის ცხოვრების" ტექსტთან, რომელიც, ჯუანშერისავე ანდერძის მიხედვით, იწერებოდა „ჟამითი-ჟამად", ცხადია, აიხსნება იმითი, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯუანშერმა განახორციელა „ქართლის ცხოვრების" მანამდე არსებული ტექსტის შესწორება, რედაქტირება და გამთლიანება.

თვით ჯუანშერის თხზულების შევსება-შესწორება განახორციელა „ქართლის ცხოვრების" მომდევნო მემატიანემ ე. წ. „მატიანე ქართლისას" სავარაუდო ავტორმა – ლეონტი მროველმა.

ერთ-ერთი შესწორება გამოიხატა იმაში, რომ ლეონტი მროველის ეპოქისთვის (XI ს.) მიუღებელი იყო ჯუანშერის კონცეფცია ოსეთის მეზობლად ხაზარების მოხსენიების შესახებ:

აღწერს რა ვახტანგის ომს ოსებთან, ჯუანშერი აღნიშნავს: „მაშინ მეფეთა ოვსეთისათა შეკრიბნეს სპანი მათნი და მოირთეს ძალი ხაზარეთით და მოეგებნენ მდინარესა ზედა" (ქ-ცა, I, გვ.151), ასევე: „მაშინ ოვსთა, რომელ ჰყვეს ნიჯადნი ხაზართანი მათ თანა, ერთი კაცი გოლიათი, სახელით თარხან. გამოვიდა ესე თარხან ხაზარი" (იქვე). ლეონტი მროველი, ნაცვლად ხაზარებისა, ოსების მოკავშირედ და მეზობლად ასახელებს პაჭანიკებს: ვახტანგ გორგასალი ოსების დარბევის შემდეგ გადავიდა მათ მეზობელ პაჭანიკეთში (და არა ხაზარეთში): „განვიდეს პაჭანიკეთს, რამეთუ მაშინ მუნ იყო პაჭანიკეთი მოსაზღვრეთ ოვსეთისა, მდინარესა მას ოვსეთისა წიაღ და ჯიქეთიც მუნვე იყო. შემდგომად ჟამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიკნი და ჯიქნი თურქთაგან და წარვიდეს პაჭანიკნი დასავლეთით... და მოტყუევნა ვახტანგ პაჭანიკეთი და ჯიქეთი და შეიქცა" (იქვე, გვ. 156-157).

ამგვარად, ჯუანშერის შემსწორებელმა (ლეონტი მროველმა?), იცის რა, რომ XI ს-ის ბოლოს ოსეთის მეზობლად

არავითარი ხაზარეთი არ იყო, ხაზარეთის ნაცვლად დაასახელა პაჭანიკები, რომლებიც იმ დროისთვის უკვე განდევნილნი იყვნენ ოსთა სამეზობლოდან დასავლეთით, თურქთა (როგორც ჩანს ყივჩაღების) მიერ. პაჭანიკების განდევნა, როგრც ცნობილია, მოხდა 1034 წელს და, როგორც უკვე აღვნიშნეთ ეს ფაქტი გახდა ერთ-ერთი არგუმენტი ჯუანშერის თხზულების XI ს-ით დათარიღებისა.

რის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ XI ს-ის ქართველი მემატიანე, რუისის ეპისკოპოსი ლეონტი მროველი (მოხსენებულია ქვაჯვარის 1066 წლის წარწერაში) არის ავტორი VIII-XI სს-ის პერიოდის ამსახველი „ქართლის ცხოვრების" მატიანისა, რომელსაც ი. ჯავახიშვილმა პირობითად უწოდა „მატიანე ქართლისა"? ასეთ ვარაუდს მხარს უჭერს შემდეგი:

ლეონტი მროველის ანდერძ-მინაწერში აღნიშნულია, რომ მან აღწერა „არჩილის წამება", „მეფეთა ცხოვრება" და „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა". „არჩილის წამება" და „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა" დავას არ იწვევს: ესაა „ქართლის ცხოვრებაში" ლეონტი მროველის მიერ ჩართული ორი თხზულება. გასარკვევია მხოლოდ, თუ „ქართლის ცხოვრების" რომელ მონაკვეთს გულისხმობს „მეფეთა ცხოვრება". გამოთქმულია მოსაზრება, რომ „მეფეთა ცხოვრება" ლეონტი მროველის ანდერძში გულისხმობს „ქართლის ცხოვრების" უძველეს ნაწილს, სადაც აღწერილია საქართველოს ისტორია ვახტანგ გორგასლამდე (ივ. ჯავახიშვილი). მაგრამ ასეთ დასკვნას ეწინააღმდეგება ორი გარემოება: 1. ჯუანშერის ანდერძის მიხედვით ვახტანგამდე „ქართლის ცხოვრება" დაწერა არა ლეონტი მროველმა, არამედ ის იწერებოდა „ჟამითი-ჟამად" სხვადასხვა ავტორების მიერ; 2. ლეონტი მროველი XI ს-ის მემატიანეა (1066 წლის წარწერა), რომელსაც ხელთ ჰქონდა VIII ს-მდე ისტორიის ამსახველი „ქართლის ცხოვრების" ტექსტი. ამიტომ ბუნებრი-

ვია დავასკვნათ, რომ ლეონტი მროველი გააგრძელებდა ჯუანშერის თხრობას და დაწერდა VIII-XI სს-ის ისტორიის ამსახველ მატიანეს.

ამდენად, უნდა დავასკვნათ, რომ ლეონტი მროველის ანდერძში მოხსენიებული „მეფეთა ცხოვრება" გულისხმობს VIII-XI სს-ის პერიოდის ამსახველ საისტორიო თხზულებას, ანუ იმას, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი პირობითად უწოდა „მატიანე ქართლისა".

საერთოდ, სახელწოდება „მეფეთა ცხოვრება" სავსებით შეესაბამება „ქართლის ცხოვრებაში", შესული ყოველი მატიანის არსს, რადგანაც თითოეული მათგანის თხრობა ასახავს მეფეთა ისტორიას. ამდენად შეიძლება „მეფეთა ცხოვრება" მთლიანად „ქართლის ცხოვრების" სინონიმადაც ვიგულისხმოთ.

ამრიგად, ვფიქრობთ, რომ ლეონტი მროველმა გააგრძელა ჯუანშერის თხზულების ტექსტი VIII ს-დან XI ს-მდე („მეფეთა ცხოვრება"), შეიტანა ზოგიერთი შესწორება ჯუანშერის თხზულებაში (ხაზარები შეცვალა პაჭანიკებით და სხვ. მსგავსი); ჩართო „ქართლის ცხოვრებაში" ორი წმინდანის ცხოვრება: „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა", რომელიც ჩართო „მირიანის ცხოვრებაში" და ამით ის შუაზე გახლიჩა და „არჩილის წამება".

ასეთი სახე მიიღო „ქართლის ცხოვრებამ" XI ს-ში, ლეონტი მროველის მიერ მისი „შესწორება" და შევსება-რედაქტირების შემდეგ.

ე. წ. „მატიანე ქართლისას" „მეფეთა წიგნად" იხსენიებს XIV ს-ის მემატიანე ე.წ. „ჟამთააღმწერელი". გვამცნობს რა რაჭის ერისთავ კახაბერ კახაბერის-ძის განდგომას დავით რუსუდანის-ძისგან, მემატიანე აღნიშნავს: „... კახაბერი, რომელი იყო თესლით ბოროტი (იგულისხმება ბაღვაშთა საგვარეულო, რომლის განშტოება იყო კახაბერისძეები), ვითარ გუაუწყებს წიგნი მეფეთა, ბაღუაშისა და ნათესავთა

მისთა" (ქ~ცხ, I, 268). აქ „ჟამთააღმწერელი", ცხადია, გულისხმობს VIII-XI სს-ის პერიოდის ამსახველ თხზულებას „ქართლის ცხოვრებაში", ე. წ. „მატიანე ქართლისას", სადაც მოთხრობილია ბაღვაშთა ბრძოლების ისტორია სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ X-XI სს-ში. ამ თხზულებას „ჟამთააღმწერელი" უწოდებს „მეფეთა წიგნს", რაც მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ, ლეონტი მროველის ანდერძში მოხსენიებული „ცხოვრება მეფეთა" გულისხმობს არა „ქართლის ცხოვრების" ძველ ნაწილს ვახტანგ გორგასლამდე, არამედ VIII-XI სს-ის პერიოდის ამსახველ თხზულებას.

ასეთი სახე მიიღო „ქართლის ცხოვრებამ", ჩვენი აზრით, XI ს-ში, ლეონტი მროველის მიერ მისი „შესწორება" და შევსება-რედაქტირების შემდეგ.

განმარტებები

ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა

მეფობა არჩილისა მირდატის ძისა

ქართველთა მეფე მირდატი ბრძოლაში შეიპყრეს სპარსთა... ქართველთა მეფე მირდატი, ვარაზ-ბაკურის ძე, მეფობდა დაახლ. 398-99 წწ. იმ ხანად ირანში სუფევდა არეულობა, რაც ირანის შაჰის იეზდიგერდ I-ის (399-421) ტახტზე ასვლით დასრულდა. იეზდიგერდმა ქართლზე სპარსთა შერყეული ბატონობის აღდგენა განიზრახა და მირდატის წინააღმდეგ გამოილაშქრა. ბრძოლა მოხდა გარდაბანთან. მირდატი ტყვედ ჩავარდა (399 წ.) და შემდეგ ირანში გარდაიცვალა. ირანელებმა ქართლი საგამგებლოდ ალბანეთში მჯდომ ირანის მოხელეს დაუქვემდებარეს. ასეთი ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა. სამი წლის შემდეგ (402 წ.) ქართლის აზნაურებმა, ისარგებლეს მომენტით, როცა ირანის შაჰი აღმოსავლეთით მტრებთან ბრძოლით იყო დაკავებული და ქართლში გაამეფეს არჩილი.

მეფე არჩილი (402-426 წწ.). არჩილი „ქართლის ცხოვრების" ძველი ციკლის, ანასეულ, ჭალაშვილისეულ და მარიამისეულ ნუსხებში მირდატის ძმისწულად და თრდატის ძედ არის დასახელებული, მაგრამ „ქართლის ცხოვრების" სხვა ნუსხებში, მაგ. რუმიანცევისეულ, თეიმურაზისეულ, დადიანისეულ ნუსხებში და, რაც მთავარია, „ქართლის ცხოვრების" სომხურ თარგმანში, რომელიც XII ს. 50-იან წლებშია შესრულებული და ყველა ჩვენს ხელთ არსებულ ნუსხებზე უფრო ადრინდელია, არჩილი მირდატის ძედ იწოდება. ამიტომ, ამ შემთხვევაში არ მივსდევთ „ქართლის ცხოვრების" ყაუხჩიშვილისეულ გამოცემას და არჩილს მირდატის ძედ მივიჩნევთ.

არჩილმა მოიყვანა ცოლი საბერძნეთიდან, ჩამომავალი ივბიმიანოს მეფისა, სახელად მარიამი.

„საბერძნეთის" ქვეშ აქ იგულისხმება აღმოს. რომის იმპერია, ანუ მოგვიანებით ბიზანტიის იმპერია. ივბიმიანოსად კი იწოდება იმპერატორი იობიანი (363-364 წწ.)

სპარსთა მეფის ერისთავი, რომელიც რანს და მოვაკანს ერისთავობდა და არჩილის გამეფებამდე განაგებდა ქართლსაც.

ირანის მოხელეები, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში განაგებდნენ ალბანეთს, იყვნენ სასანიანთა ირანის ერთ-ერთი ცნობილი საგვარეულოს (გუშნასპთა) წარმომადგენლები და მემკვიდრეობით ფლობდნენ ამ სახელოს. მათი რეზიდენცია იყო ჯერ ქ. განაკი, ჰოლო მოგვიანებით ქ. ბარდავი (რომლის დაარსება მიეწერება ირანის შაპს პეროზს 459-484 წწ.) ამიტომ „ქართლის ცხოვრებაში" ისინი ბარდაველ ერისთავებად იწოდებიან.

მან (საუბარია დედოფალ საგდუხტზე) ააშენა სიონი სამშვილდისა.

როგორც ვხედავთ, „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, სამშვილდის სიონის მაშენებლად დასხელებულია ვახტანგ გორგასლის დედა, დედოფალი საგდუხტი. შესაძლოა, ქ. სამშვილდეში თავდაპირველად სიონი მართლაც საგდუხტ დედოფლის ბრძანებით აშენდა, მაგრამ იმ ძველი ტაძრის კვალი დღეს აღარ არსებობს. ამჟამად სამშვილდის ნაქალაქარის აღმოსავლეთ ნაწილში შემორჩენილია სამშვილდის სიონის ნანგრევები, რომლის აშენების თარიღზე მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ტაძრის დასათარიღებლად მნიშვნელოვან საყრდენს ქმნის საამშენებლო წარწერა. მეცნიერთა ერთი ნაწილი წარწერას, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ათარიღებს X ს. და მასში მოხსენიებულ პირებს, კონსტანტინეს და ლეონს, X ს-ში. მოღვაწე აფხაზთა მეფეებად - კონსტანტინე ბაგრატის ძედ და მის შვილიშვილ ლე-

ონ გიორგის ძედ მიიჩნევს. მეცნიერთა მეორე ნაწილი კონსტანტინეს და ლეონს ბიზანტიის იმპერატორებად მიიჩნევს და, ამდენად, ტაძარს და წარწერას VIII ს. 70-იანი წლებით ათარიღებს.

საგდუხტმა.....დატოვა ცეცხლის მსახურება. საგდუხტი, როგორც წარმომადგენელი ალბანეთის მმართველი ირანული საგვარეულოსი (გუშნასპთა საგვარეულო), რა თქმა უნდა, აღზრდილი იყო მაზდეანური, ზოროასტრული (ცეცხლ-თაყვანისმცემლობა) სარწმუნოებით. მაგრამ, „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ქართლის უფლისწულზე, მირდატზე დაქორწინების შემდეგ, ის გასცნობია ქრისტიანულ სარწმუნოებას და უარუყვია მაზდეანობა.

მობიდან ეპისკოპოსი. „ქართლის ცხოვრება" მას ასე ახასიათებს: ის იყო: „წარმოშობით სპარსი, მოსაჩვენებლად აღიარებდა მართლმადიდებლობას, სინამდვილეში კი იყო მოგვი უსჯულო... ... წერდა ყოველგვარი საცთურებით აღსავსე წიგნებს." როგორც ცნობილია, V საუკუნეში და შემდგომაც ქრისტიანულ სამყაროში ერთმანეთს ებრძოდა ორი დიდი ქრისტიანული მიმდინარეობა: მონოფიზიტობა (აღიარებდა ქრისტეს ერთ ბუნებას და ნებას - ღვთაებრივს) და დიოფიზიტობა (აღიარებდა ქრისტეს ორ ბუნებას და ნებას – ღვთაებრივს და ადამიანურს). მიუხედავად იმისა, რომ 451 წ. ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მონოფიზიტობა მწვალებლობად გამოცხადდა, ბრძოლა ამ ორ მიმდინარეობას შორის ბიზანტიის იმპერიაში კვლავაც გრძელდებოდა. ირანი, ბიზანტიის საპირისპიროდ, როგორც ამიერკავკასიაში, ისე ბიზანტიის მოსაზღვრე ირანის პროვინციებში, ყოველმხრივ ხელს უწყობდა მონოფიზიტური მრწამსის გამარჯვებას. მობიდანიც, როგორც ჩანს, მონოფიზიტი იყო და წერდა მონოფიზიტური მრწამსის თხზულებებს. ეს ქართველი იტორიკოსისთვის, როგორც დიოფიზიტური (მართლმადიდებლური) მოძღვრების აღმსარებლისთვის, იმდენად

მიუღებელი იყო, რომ ის მობიდანს უსჯულო მოგეს უწოდებს, ანუ მაზდეანური სარწმუნოების მსახურთ უთანაბრებს.

მეფობა მირდატისა არჩილის ძისა

მეფე მირდატი. დაახლ. 426-438 წწ. მირდატმა, ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში, ცოლად მოიყვანა რანის (მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ალბანეთი) ირანელი მოხელის, ბარზაბოდის ასული საგდუხტი. დაქორწინების შემდეგ მან მამისგან საუფლისწულოდ მიიღო ქ. სამშვილდე, მისი საერისთავო ქვეყნით და მეუღლითურთ იქ დასახლდა. ამგვარად ის არჩილის გარდაცვალებამდე (დაახლ. 426 წ.) სამშვილდის საერისთავოს განაგებდა. საგდუხტმა, ჯუანშერის ცნობით, აქ ააშენა სამშვილდის სიონი.

ითხოვა მეფისგან საურმაგ სპასპეტმა აღსაზრდელად ვახტანგი. მამის, მირდატის გარდაცვალებისას ვახტანგ გორგასალი შვიდი წლის ყრმა ყოფილა, ე. ი. ის (438 - 7) 431 წ. დაბადებულა. ქართლის სამეფოში, ფარნავაზიანთა დინასტიის გამგებლობის ხანაში, ჩვევად ყოფილა უფლისწულთა გაძიძება ქართლის მსხვილ აზნაურთა და გამგებელთა ოჯახებში. ვინაიდან სპასპეტი ფარნავაზიანთა ქართლში იყო შიდა ქართლის გამგებელი და მეფის შემდეგ მეორე პირი, ტახტის მემკვიდრის აღზრდა, ძირითადად, სწორედ სპასპეტის ოჯახში ხდებოდა. როგორც ჩანს, თხზულების დაწერის დროისთვის (ე. ი. VIII ს. დასაწყისისთვის), თუ ქვემოთ მოყვანილი ფრაზა შემდეგდროინდელ გადამწერთა ჩართული არაა, აღნიშნული ტრადიცია უკვე მოშლილი ყოფილა. სხვა შემთხვევაში ავტორს არ დასჭირდებოდა მკითხველისთვის სპეციალური განმარტება: „რადგან წესი იყო, რომ მეფეთა შვილნი წარჩინებულთა სახლებში აღიზრდებოდნენო."

წავიდა საგდუხტი... თავის მამასთან, გაიშიშვლა თავი, მოიყარა მუხლნი, ამოიყარა ძუძუნი თვისნი, განერთხა მის წინაშე, ემთხვია ტერფზე...

აღნიშნული ადგილი ძვირფას ეთნოგრაფიულ წყაროს წარმოადგენს IV - VI სს. და უფრო გვიანი ხანის საქართველოს ყოფითი კულტურის შესასწავლად. აქ აღწერილია სრულიად რეალისტური სურათი, ადათი, ვასალის სიუზერენის წინაშე დამცირება - თხოვნისა (თუნდაც ეს სიუზერენი, როგორც ამ შემთხვევაში, მკვიდრი მამა ყოფილიყო). მსგავსი რიტუალი დამახასიათებელი იყო საქართველოს ყოფითი ურთიერთო-ბებისთვის შუასაუკუნეებში და ეს სხვა წყაროებითაც დასტურდება.

ბარზაბოდმა წარმოგზავნა ცეცხლის მსახურნი მცხეთას ..... და დასახლდნენ მოგვთას. ანტიკური პერიოდისა და ადრეული შუასაუკუნეების ქ. მცხეთა, ანუ „დიდი მცხეთა", წარმოადგენდა საკმაოდ მოზრდილ ქალაქს, რომელიც თავისთავად შედგებოდა ერთმანეთისაგან გალავნით გამიჯნული პატარა უბნებისაგან. ეს უბნები გამოცალკა-ვებულები იყვნენ, ან ეთნიკურ-რელიგიურ საფუძველზე, მაგ. „ჰურიათ უბანი", ანუ ებრაელთა უბანი, "მოგვთა უბანი", ანუ სპარსთა, მაზდეანური მრწამსის მოსახლეობით დასახლებული უბანი; ან პროფესიული ნიშნით, მაგ. „სარკინე" - მეტალურგთა, ხელოსანთა დასახლება (შესაძლოა ტერმინ „სარკინეს" გაგება სხვანაირადაც: „შერკინების"- ჭიდაობის ადგილი) დ. ა. შ. ამ შემთხვევაში საუბარია იმაზე, რომ ბარზაბოდის მიერ გამოგზავნილი მაზდეანური სარწმუნოების მქადაგებელი პირები, იგივე მოგვები (ცეცხლის მსახურნი) დასახლდნენ ქ. მცხეთის მოგვთა უბანში, ანუ სპარსული მოსახლეობით დასახლებულ უბანში.

წარჩინებულთაგან არავინ უგდებდა მათ ყურს, ხოლო წვრილი ერთაგანი მრავალი მოიქცა ცეცხლის მსახურებაზე. აქ საუბარია იმაზე, რომ სპარსთა, მოგვთა, ქადაგებას ქართლში არ ჰქონდა წარმატება გაბატონებულ სოციალურ ფენებში (წარჩინებულები და აზნაურები), რომელებიც წარმართავდნენ იმ პერიოდის ქართლის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და იდეოლოგიურ გეზს. ჩანს, ქართლის წარჩინებულთა სოციალურ-პოლიტიკური ინტერესები, ბიზანტიურ-დასავლურ სამყაროსთან კავშირზე იყო ორიენტირებული. რაც შეეხება მოსახლეობის დაბალ ფენებს, ანუ „ქართლის ცხოვრების" ენით „წვრილ ერს", ისინი უპირისპირდებიან გაბატონებულ ფენებს და თავშესაფარს განსხვავებულ იდეოლოგიაში, ამ შემთხვევაში ცეცხლ-თაყვანისმცემლობაში ეძებენ.

ოვსთა და ბერძენთა მიერ ქართლის დალაშქვრა

მტკვრის სათავიდან ვიდრე ხუნანამდე დაარბიეს ქართლი. აქ საუბარია ოსთა დიდ მარბიელ ლაშქრობაზე. ოსებს დაურბევიათ ქართლის სამეფოს მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ ციხე-ქალაქებიდან აუღიათ მხოლოდ ქ. კასპი. ეს ლაშქრობა მომხდარა, ჯუანშერის მიხედვით, მაშინ, როცა ვარაზბანგი ყოფილა 10 წლის, ე. ი. დაახლ 441 წ. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ოსთა ამ ლაშქრობის ქვეშ ჯუანშერი უნდა აღწერდეს 441 წ. ბიზანტიის იმპერიის წაქეზებით, ირანის ჩრდილო პროვინციების დარბევის მიზნით, კავკასიის ჩრდილოეთ ველებში მომთაბარე ჰუნების მიერ განხორციელებულ ძლიერ, მარბიელ ლაშქრობას, მათი ბელადების ვასიხისა და კურსიხის მეთაურობით.

გადარჩნენ ხევნი ქართლისანი: კახეთი, კლარჯეთი და ეგრისი. ქართლის სამეფო ადმინისტრაციულად იყოფო-

და როგორც საერისთავოებად, ასევე ხევებად. საერისთავოს („ქვეყანას") განაგებდა ერსთავი, ხოლო ხევს - ხევისუფალი. „ხევი" იხმარებოდა, როგორც მსხვილი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის აღსანიშნავად, ასევე უფრო ვიწრო მნიშვნელობით, მაგ. ქართლის სამეფოს ხევები იყო: კახეთი, კლარჯეთი, ეგრისი, თვით ქართლიც. თითოეული ეს მხარე იყოფოდა უფრო წვრილ ხევებად, მაგ. „ხევნი კახეთისანი", „ხევნი კლარჯეთისანი". ისინი, თავის მხრივ, იყოფოდნენ კიდევ უფრო წვრილ ხევებად, მაგ.: „ხევნი უჯარმისანი".

მას ჟამსა გამოვიდნენ ბერძენნი აფხაზეთიდან, რადგან ბერძენთა ჰქონდათ მიტაცებული ეგრისის წყალს ქვემოთ მთელი მხარე. დაიპყრეს ეგრისის წყლიდან ციხე-გოჯამდე. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით (იხილეთ წიგნი I გვ.4), თარგამოსის რვა შვილთაგან ერთ-ერთის, ეგროსის, ანუ დასავლურ-ქართველურ ტომების წილხვედრი ქვეყანა იყო მთელი დასავლეთი საქართველო და ჩრდილოეთიდან მას საზღვრავდა „მდინარე მცირისა ხაზარეთისა (ახლანდ. მდ. ყუბანი), სადამდესაც აღწევს წვერი კავკასისა". ამ შემთხვევაში კი საუბარია იმაზე, რომ ბერძნებმა მიიტაცეს ეგრისის წყლის ჩრდილოეთით მდებარე ეგრისის ტერიტორია, ეგრისის მხარე - აფხაზეთი, მაგრამ ამასაც არ დასჯერდნენ, ისარგებლეს რა ვახტანგ გორგასლის სიმცირით და ქართლის სამეფოს დასუსტებით, ისინი გადმოვიდნენ ეგრისის წყალს, რომელიც იმ ჟამად საზღვარი ყოფილა ბიზანტიასა და ქართლის სამეფოს შორის და დაიპყრეს ეგრისის დიდი ნაწილი, მის მთავარ ქალაქ ციხე-გოჯამდე.

წაგვართვა (ღმერთმა) მხარე ჩვენი ბერძენთა ძალითა, ვითარცა წაართვა მეფე ვარაზ-ბაქარს, ბერძენთავე ძალითა, კლარჯეთი. აქ საუბარია იმაზე, რომ ღმერთმა დასაჯა ქართლის ერი და წაართვა მათ ბერძენთა, ანუ ბიზანტიელთა მეშვეობით მათი სამეფოს დიდი ნაწილი - ეგ-

რისი ციხე-გოჯამდე. ბიზანტიელთა მიერ ეგრისის დაკავება უნდა მომხდარიყო დაახლ. 442-443 წწ.

ქართლის მეფე ვარაზ-ბაქარი, რომლის მეფობაში რომის იმპერიის მიერ მიტაცებულ იქნა ქართლის სამეფოს სამხრეთი ტერიტორია - კლარჯეთი, „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ყოფილა „ურწმუნო და მოძულე სჯულისა". შესაძლოა „ქართლის ცხოვრება" მას ასე ახასიათებს პროირანული ორიენტაციის გამო. ირანის შაჰის შაბურ II-ის (309-379 წწ.) მმართველობის პერიოდში, როგორც ცნობილია, გამწვავდა ბრძოლა ირანსა და რომის იმპერიას შორის ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის, რასაც ფაქტიურად ამ ორ იმპერიას შორის ქართლის სამეფოს ორად გაყოფა მოჰყვა. ვარაზ-ბაქარს (ბერძნული წყაროების ასფაგური) ზურგს უმაგრებდა ირანი და ის ინარჩუნებდა მეფობას მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქართლში, რომელიც ირანის გავლენის სფეროდ გამოცხადდა. ამავე პერიოდში რომი დაეუფლა კლარჯეთს და მის ციხეებს (უფრო დაწვრილებით ვარაზ ბაკურის მეფობის ხანაზე იხილეთ „ქართლის ცხოვრება" წიგნი I, გვ. 85-86; იქვე, განმარტებები, გვ. 137-138.).

ვახტანგის მეფობის დასაწყისი

როცა შეიქმნა ვახტანგი თხუთმეტისა წლისა, მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა. აქ აღწერილია უძველესი სურათი სამეფო კარზე გამართული თათბირისა, რომელსაც იწვევდნენ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საქმეების გადასაწყვეტად ქართლის, ხოლო შემდეგ საქართველოს მეფეები. სამეფო თათბირში მონაწილეობდნენ საერო და სასულიერო უმაღლესი ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები. განსაზღვრული იყო თუ სად, მეფისაგან რა დაშორებით და რომელ მხარეს (მარცხნიდან, თუ მარჯვნიდან) სხდებოდნენ თათბირში მონაწილე პირები. თხზულებიდან ვგებულობთ,

რომ თათბირის მონაწილენი ვახტანგს შეუკრებია „ქალაქად", ანუ დედაქალაქ მცხეთაში. აქ სპეციალურად ამ შემთხვევისთვის მოუმზადებიათ შენობა. როგორც ჯუანშერი მოგვითხრობს, საგანგებო მაღალ ტახტზე (საყდარზე) დამჯდარა მეფე, ტახტებზე დამსხდარან ქართლის სპასპეტი და ორივე ეპისკოპოსი (იგულისხმება, როგორც მაზდეანური სარწმუ-ნოების მოგვთა თავი, ასევე ქართლის მთავარეპისკოპოსი, ამ შემთხვევაში მიქაელი). სელებზე, ანუ სკამებზე - ერისთავები, ხოლო ათასისთავები, ასისთავები და „ყოველი ერი", ანუ რიგითი მხედრები კი ფეხზე წამომდგარნი ესწრებოდნენ სამეფო თათბირს. ვახტანგმა თათბირზე განსახილველად გამოიტანა ორი საკითხი: 1. ხელისუფლების საკითხი (პირადად იწყებს ქვეყნის მართვას) და 2. ოსეთზე ლაშქრობის საკითხი.

მსგავსი ნებროთ გმირისა... ნებროთი, ბიბლიური მამამთავარი, ქამის შვილიშვილი (ნოე, ქამი, ხუსი, ნებროთი). „ქართლის ცხოვრების" მიხედვით ის იყო ხალხთა პირველი მეფე და უძლიერესი პიროვნება (უფრო დაწვრილებით იხ. „ქართლის ცხოვრება," წიგნი I, განმარტებები, გვ.114).

სიბრალული ჩემი დისა განლევს გულსა....იგულისხმება ვახტანგის უმცროსი და მირანდუხტი, რომელიც, ჯუანშერის მიხედვით, ოსებმა გაიტაცეს ქართლზე თავდასხმის დროს.

მირიანი, ვახტანგის მამის ძმისწული, მირიანის ძის რევის ჩამომავალი. პირველი ქრისტიანი მეფის, მირიანის ორი ვაჟიდან - რევიდან და ბაქარიდან (იგივე ბაკური) წარმოდგა ფარნავაზიანთა დინასტიის ორი შტო: რევიანები და ბაქარიანები. რევის მეუღლე იყო სომეხთა მეფის თრდატ III - ის ასული სალომე, ქართული წყაროების მიხედვით, სალომე უჯარმელად ცნობილი. ამიტომ უწოდებს ჯუანშერი რევ მირიანის ძეს თრდატ სომეხთა მეფის სიძეს. ჯუანშერი მირიანს უწოდებს ვახტანგის მამის ძმისწულს, რადგანაც ამ

შემთხვევაში „მამა" იხმარება წინაპრის მნიშვნელობით. ვინაიდან ჯუანშერის მიხედვით, ვახტანგის „მამა", ანუ წინაპარი, ბაქარ მირიანის ძე იყო, ამდენად მირიანი, როგორც რევ მირიანის ძის ჩამომავალი, ვახტანგის „მამის" ძმისწულად იგულისხმება.

ლაშქრობა ოვსეთს. ქართველთა და ოვსთა გოლითების ორთაბრძოლები

ოსეთზე ლაშქრობა ვახტანგს უნდა წამოეწყო 446 - 47 წწ.

მეფენი კავკასიისანი. იგულისხმებიან ჩრდილო-კავკასიელ მთიელთა გამგებლები.

მაშინ ოვსეთის მეფეებმა შეიერთეს ძალა ხაზარეთით. ჯუანშერს თავისი დროის სინამდვილე გადააქვს ვახტანგის ცხოვრების პერიოდზე. V-ს. შუა წლებში კავკასიის ჩრდილო-ეთით ჰუნები მომთაბარეობდნენ და მათი ადგილი ხაზარებმა, ჰუნების ევროპაში გადანაცვლების შემდეგ, VII ს. დაიკავეს. მაგრამ ჯუანშერი, როგორც VIII ს. მ. ჯაჯაწე, არ იცნობს ჰუნებს. მის დროს კავკასიის ჩრდილოეთით არსებობდა ძლიერი ხაზართა სახელმწიფო. ამიტომ ის ჰუნებს, ხაზართა სახელწოდებით ცვლის.

მიეგებნენ მდინარეზე, რომელიც გაივლის დარიალანს. ამ მდინარესაც ჰქვია არაგვი. იგულისხმება მდ. თერგი. ეს ადგილი კარგი მოწმობაა იმისა, რომ: 1. „ქართლის ცხოვრების" ვახტანგ გორგასლის ცხოვრებამდელი ნაწილი და ჯუანშერის „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება" სხვადასხვა ავტორთა დაწერილია, ვინაიდან „ქართლის ცხოვრების" უძველესი ნაწილი მდ. თერგს უწოდებს ლომეკს (იხ. „ქართლის ცხოვრება", წიგნი I, გვ.4; აგრეთვე გვ. 151.). 2. ასევე ძნელი წარმოსადგენია ამ თხზულებათა ავტორების ერთ საუკუნეში მოღვაწეობა (როგორც „ბოლოთ-

ქმაში" აღვნიშნეთ, ისტორიკოსთა ერთი ნაწილი ჯუანშერს ლეონტი მროველის თანამედროვედ, ანუ XI ს. მოღვაწედ მიიჩნევს.). ერთ ეპოქაში მოღვაწე ორ ისტორიკოსს საეჭვოა, რომ სხვადასხვა სახელწოდებით სცნობოდა საქართველოსთვის ისეთი მნიშვნელოვანი მდინარე, როგორიც იყო თერგი და ერთს ის ლომეკად, ხოლო მეორეს კი არაგვად (უფრო ზუსტად ოსეთის არაგვად) მოეხსენებინა.

შვიდი დღე მდინარეზე ორთაბრძოლობდნენ გოლიათები. როგორც ჯუანშერის „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში", ისე „წარმართ მეფეთა ცხოვრებებში" და „მირიანის ცხოვრებაში", ანუ „ქართლის ცხოვრების" უძველეს ნაწილში, ხშირად გვხვდება დეტალური აღწერა „ბუმბერაზთა" შერკინებების. „ბუმბერაზები", „გოლიათები", ანუ მძიმედ შეჭურვილი, განსაკუთრებული საბრძოლო გამოცდილების, განსაკუთრებული ძალისა და სახელის მქონე რაინდები, ჩვეულებრივი მოვლენა იყო ადრეულ და განვითარებულ შუასაუკუნეებში, როგორც კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის, ასევე ევროპის ქვეყნებისთვის. ასეთ ბუმბერაზ-რაინდთა ორთაბრძოლები ხშირად გადამწყვეტ გავლენას ახდენდა მთელი ბრძოლის მიმდინარეობაზე. ამდენად „ქართლის ცხოვრებაში" გოლიათთა ორთაბრძოლების აღწერა არ არის გაზლაპრებული თხრობა, არამედ ასახავს ამ პერიოდისთვის დამახასიათებელ ბრძოლების რეალურ სურათს.

ქართველთა და ოვსთა ბრძოლა და ოვსთა დამარცხება

გაემართა ვახტანგის ლაშქარი გამზადებული საომარი წყობით: წინ მიდიოდნენ ცხენ-თოროსანნი და ჯაჭვ-ჩაბალოხოსანნი, უკან - ქვეითნი, ხოლო ქვეითთა უკან - სიმრავლე მხედართა. აქ აღწერილი ადრე შუასაუკუნეების ქართული ლაშქრის საბრძოლო წყობა, წარმოდგე-

ნას გვიქმნის V ს. ქართლის სამეფოში სამხედრო ხელოვნების განვითარების დონეზე. ამდენად „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში" ოსებთან ბრძოლის აღნიშნული და მთელი მომდევნო პასაჟები, თხზულებაში დაცულ ბრძოლებისა და ომების ამსხველ სხვა მსგავს პასაჟებთან ერთად, უძვირფასეს წყაროს წარმოადგენს ქართული სამხედრო ხელოვნების განვითარების ისტორიის კვლევისათვის. როგორც ამ აღწერიდან ჩანს, ავანგარდში მიდიოდა მძიმედ შეჭურვილი მხედრობა - ჯავშანში ჩამჯდარი ცხენებით (ცხენ-თოროსანნი) და ჯავშან-მუზარადით შემოსილი (ჯაჭვჩაბალახოსანნი) მხედრები, უკან მიჰყვებოდა ქვეითი ლაშქარი და სულ ბოლოს, მსუბუქად შეიარაღებული მხედრობა - ნაკლებად შეჯავშნული, სამაგიეროდ, სიმსუბუქის გამო, მოძრაობაში ნაკლებად შეზღუდული და შეტევის დროს უფრო სწრაფი და მოძრავი.

მას ახლდა ორი მხედარი: არტავაზ ძუძუსმტე, ძე საურმაგ სპასპეტისა და ბივრიტიანი სეფეწული. ქართლის სპასპეტი საურმაგი, როგორც ჯუანშერი მოგვითხრობს, იყო ვახტანგ გორგასლის მამამძუძე, ე.ი. მის ოჯახში და მისი მეთვალყურეობის ქვეშ იზრდებოდა დაბადებიდან ვახტანგი. შესაბამისად საურმაგის ვაჟი, არტავაზი, ვახტანგს ერგებოდა ძუძუსმტედ (პალესტინის წარწერის გამოთქმით ძუძეულად). ასე ეწოდებოდა აღმზრდელი - მამამძუძის ვაჟს. რა თქმა უნდა, ძუძუსმტესა და უფლისწულს (ხოლო შემდეგ მეფეს) შორის სავარაუდებელია განსაკუთრებული სიახლოვე, რაც მათი საერთო ბავშვობიდან მომდინარეობდა. შესაბამისად, მამამძუძის ოჯახი და მისი ვაჟები - ძუძუსმტეები, ქართლის მეფეების, ამ შემთხვევაში ვახტანგის, საყრდენს წარმოადგენდნენ მათი მოღვაწეობის მანძილზე.

სეფეწული. ამ შემთხვევაში წარჩინებული, შესაძლოა სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელიც.

ოსეთის დარბევის შემდეგ ვახტანგი თავისი სპით გავიდა პაჭანიკეთში. პაჭანიკების მოხსენიება ჯუანშერის ეპოქაში, ანუ VIII ს-თვის, რა თქმა უნდა ანაქრონიზმია. პაჭანიკები იყვნენ თურქულენოვანი მომთაბარე ტომები, რომლებიც კავკასიის ჩრდილოეთით მდებარე სტეპებში გამოჩდნენ IX ს-დან. ვახტანგ გორგასლის ხანაში კი კავკასიის ჩრდილოეთით, ოსთა მეზობლად მომთაბარეობდნან ჰუნები. ჯუანშერის მოღვაწეობის პერიოდში აღნიშნულ ტერიტორიაზე ვინაიდან ხაზართა სახელმწიფო იყო გადაჭიმული, ჯუანშერი ჰუნებს, ხაზარებით ცვლის. ასევე იქცევა შემდეგი ხანის გადამწერ-რედაქტორიც (შესაძლოა ლეონტი მროველი) და მის დროს უკვე არარსებულ ხაზარებს, პაჭანიკებით ცვლის, მაგრამ ის ამ თავისი რედაქციის კვალს მაინც გვიტოვებს, ვინაიდან ამ ჩანაცვლებას თანმიმდევრულად არ ანხორციელებს და ზოგჯერ ხაზარებსაც ტოვებს.

ვახტანგ მეფის ლაშქრობა აფხაზეთს

წარმოგზავნა დაი მისი მირანდუხტ..... დარიალის გზით, თვით კი.....გაემართა აფხაზეთისაკენ. ოსთა ტყვეობიდან განთავისუფლებული მირანდუხტი ვახტანგმა გამოგზაენა დარიალის ხეობით, თვითონ კი ჩრდილოეთ კავკასიიდან გადავიდა დასავლეთ საქართველოში და იქ, აფხაზეთში, დაუწყო ბრძოლა ბიზანტიელებს. ჩრდილოეთ კავკასიიდან ეგრისსა და აფხაზეთში გადასასვლელი გზები კარგად იყო ცნობილი ბიზანტიის სახელმწიფო მოღვაწეებისთვის და ამ გადასასვლელებს ისინი თავიანთი მიზნებისთვის იყენებდნენ კიდეც. ბიზანტიელი ისტორიკოსი მენანდრე ერთ-ერთ ასეთ გადასასვლელს „დარინის გზას" უწოდებს. აღნიშნული ლაშქრობა აფხაზეთსა და ეგრისში ვახტანგს დაახლ. 448 - 450 წლებში უნდა განეხორციელებინა.

ბერძენთა მეფე ლეონ დიდი. იგულისხმება ბიზანტიის იმპერატორი ლეონ I (457 - 474 წწ.). ეს ანაქრონიზმია (დაშვებული ან თვით ჯუანშერის ან გადამწერის მიერ). ვახტანგის აფხაზეთსა და ეგრისში ლაშქრობის პერიოდისთვის ბიზანტიის იმპერატორი იყო თეოდოსიუს მცირე (408 - 450 წწ.).

ვახტანგმა წარტყვენნა ყოველნი ციხენი აფხაზეთისანი ვიდრე ციხე-გოჯამდე. ციხე-გოჯი - დასავლურ ქართული სახელმწიფოს, ეგრისის (ბიზანტიური წყაროების ლაზიკა, ლაზთა ქვეყანა) დედაქალაქი. ბერძნულ წყაროებში მოიხსენიება არქეოპოლისის (ძველი ქალაქი) სახელწადებით. „ქართლის ცხოვრების" ჯუანშერამდელი ნაწილი საერთოდ არ იცნობს გეოგრაფიულ ტერმინს „აფხაზეთს" და ხმარობს მხოლოდ „ეგრისს". ჯუანშერი „აფხაზეთს" უწოდებს ეგრისწყლის ჩრდილოეთით მდებარე მხარეს, რომელიც, მისი თქმით, ბერძნებს მიუტაცნიათ, ანუ ეგრისისთვის წაურთმევიათ. როდესაც ბერძნები (ბიზანტიელები) გადმოდიან ეგრისწყალს და იპყრობენ ეგრისს, ანუ ლაზთა ქვეყანას ციხე-გოჯამდე, ხდება შესაბამისად „აფხაზეთის," როგორც პოლიტიკურ-გეოგრაფიული მცნების შინაარსის გაფართოვება. ასეთ შემთხვევაში „აფხაზეთის" ქვეშ იგულისხმება ლაზთა ქვეყნის ბერძენთა მიერ დაპყრობილი მთელი ტერიტორია. ასეთი ფართე გაგებით ტერმინი „აფხაზეთი" ჯუანშერთან მხოლოდ ზემოთ მოყვანილ ფრაზაში იხმარება. აქამდეც და შემდგომაც „აფხაზეთს" ჯუანშერი უწოდებს მხოლოდ ეგრისწყლის ჩრდილოეთით მდებარე მხარეს, რომელსაც ბიზანტიელები არიან დაუფლებულნი. ეს ფაქტიც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ჯუანშერი VIII ს. დასწყისის ისტორიკოსია და არა XI ს-ისა, როცა „აფხაზეთი" მთელ დასავლეთ საქართველოს გულისხმობდა.

გასცა განძი ერსა თვისსა და წარჩინებულ ქმნა მხედარნი... აქ ასახულია ფეოდალური სახელმწიფოსთვის ტიპიური სურათი, როდესაც მეფე, წარმატებული ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ, უნაწილებს ლაშქარს ომში მო-

პოვებულ ნადაელს, ფულს, ძვირფასეულობას, სამოსელს, კარვებს, საბრძოლო იარაღს. რა თქმა უნდა, ლომის წილი მეფესთან დაახლოებულ, ლაშქრის არისტოკრატიულ და შეძლებულ ნაწილს, მძიმედ შეჭურვილ მხედრობას ერგებოდა. მათ ხომ მეტი საშუალებაც ჰქონდათ ბრძოლაში თავის გამოჩენისა და წარმატებისა. რაც შეეხება „მხედართა წარჩინებას", ეს უფრო სოფლების, მიწების და ციხეების ბოძებას და გააზნაურებას გულისხმობდა. ამის ერთ-ერთი მაგალითია არჩილ მეფის ცხოვრებაში მემატიანის თხრობა: „დახვდნენ მას (არჩილ მეფეს) წუქეთს მთავრები, რომელთათვისაც ვახტანგ მეფეს ებოძა წუქეთი" (იხ. აქვე: „ბაგრატოვანთა მოსვლა ქართლს", გვ.52).

სპარსთა მეფემ მისცა ასული მისი ცოლად, ხოლო მზითვად - სომხითი და ყოველნი მეფენი კავკასიისანი. სპარსთა მეფეს ჯუანშერი უწოდებს ურმიზდს. ამ სახელის ქვეშ იგულისხმება ირანის შაჰი იეზდიგერდ II (438 - 457 წწ.). მის ასულს, რომელიც ვახტანგმა შეირთო ცოლად (ბალანდუხტი), ჯუანშერის ცნობით, მზითვად მოჰყოლია სომხითი, აგრეთვე ქართლის მეფე გამხდარა ირანისადმი დაქვემდებარებული კავკასიელი მთიელი ტომების „ზედამხედველი". ეს ფუნქცია ჰქონდა რანის და მოვაკანის (ალბანეთის) ირანელ მოხელეს. ამ უფლებამოსილებით ვახტანგის აღჭურვა, ირანზე დაქვემდებარებულ იმიერ და ამიერკავკასიელ ავტონომიურ მმართველთა შორის ქართლის მეფის დაწინაურებაზე, მისთვის კავკასიაში ირანის შაჰის მიერ პირველობის მინიჭებაზე მეტყველებს.

სპარსთა მეფემ მოუწოდა ვახტანგს კეისართან ბრძოლისაკენ. საუბარია ბიზანტია - ირანის ომზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა 453 - 456 წწ. (უფრო დაწვრილებით იხ. აქვე, გვ.122).

ვახტანგ მეფე და ქართლის სამეფო საგვარეულო

პირველი მორწმუნე მეფე მირიანი. საუბარია ქართლის სამეფოს პირველ ქრისტიან მეფეზე, მირიანზე, რომელიც მეფობდა ქართლში დაახლ. 294 - 362 წწ.

ბაქარ მირიანის ძე. ბერძნულ-რომაული წყაროების ბაკური, მეფე მირიანის უმცროსი ვაჟი. მირიანის გარდაცვალების დროს მისი უფროსი ვაჟის და თანამოსაყდრის რევის გარდაცვლებისა და რევის ვაჟის თრდატის მცირეწლოვანების გამო, ტახტს ბაქარი ეუფლება. „ქართლის ცხოვრება" ბაქარიანთა თვალსაზრისის გამომხატველია. შესაძლოა ამიტომ არის ხაზგასმული, რომ მირიანმა ბაქარს გვირგვინი საკუთრი ხელით დაადგა. ამით მემატიანეს სურს, ქართლის ტახტზე ბაქარიანთა უფლებას, მეტი ლეგიტიმურობა შესძინოს. ის მიიჩნევს, რომ: ბაქარის გამეფება თვით მირიანის სურვილით მოხდა, ამდენად რევ მირიანის ძის ჩამომავალთა პრეტენზიები ქართლის ტახტზე უკანონოა, ტახტის კანონიერი მემკვიდრე ბაქარ მირიანის ძის შტოა (იხ. აგრეთვე „ქართლის ცხოვრება", წიგნი I, განმარტებები გვ. 137-138).

მირიან მეფიდან ვახტანგ მეფემდე ... ... გასული იყო წელიწადი ასორმოცდაჩვიდმეტი. „ქართლის ცხოვრების" I წიგნში მირიან მეფესთან დაკავშირებით, უკვე გვქონდა გამოთქმული თვალსაზრისი, რომ მემატიანე მირიანის მეფობას რამდენიმე ათეული წლით უკან სწევს, რათა შესაძლებლობა მიეცეს მირიანი, საკუთარი კონცეფციის შესაბამისად, სასანიანთა ირანის პირველი შაჰის, არდაშირის ვაჟად გამოაცხადოს. ამდენად, ვითომდა, 157 წლიანი შუალედი მირიანის მეფობის დასასრულიდან, ვახტანგი მეფობის დასაწყისამდე, არ შეესაბამება სინამდვილეს. დროის ეს მონაკვეთი ბევრად უფრო მცირე უნდა ყოფილიყო და, როგორც ჩანს, დაახლ. ერთი საუკუნით განისაზღვრება.

ჭეშმარიტი სჯულის მიმდევარი ეპისკოპოსი ..... ხოლო სხვები შემშლელნი წესისანი. ჭეშმარიტი სჯულის მიმდევარ ეპისკოპოსებში იგულისხმებიან დიოფიზიტური, მართლმადიდებლური მრწამსის მქონე ღვთისმსახურები. დიოფიზიტური მრწამსი 451 წ., IV მსოფლიო საეკლესიო კრებაზე გამოცხადდა ერთადერთ სწორ მრწამსად, ანუ მართალმადიდებლობად. კრების ჩატარების ადგილისდა მიხედვით მართლმადიდებლურ მრწამსს, ქალკედონურსაც უწოდებენ. წესის შემშლელ ეპისკოპოსებში იგულისხმებიან, მსოფლიო საეკლესიო კრებებზე სხვადასხვა დროს დაგმობილი და მწვალებლობად გამოცხადებული ქრისტიანული მიმდინარეობების მქადაგებლები, ანუ ყველა არამართლმადიდებელი: ნესტორიანები, მონოთელიტები, მონოფიზიტები და სხვ.

ვახტანგ გორგასლის ლაშქრობა საბერძნეთს

დიდი ხნის განმავლობაში ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეული არ იყო, თუ ბიზანტია-ირანის რომელ ომზე იყო ჯუანშერთან ამ შემთხვევაში საუბარი. ამჟამად ქართულ ისტორიოგრაფიაში მიიჩნევენ, რომ აღნიშნულ ომს ადგილი უნდა ჰქონოდა 453 - 456 წწ. ამ ომში მონაწილეობდნენ კავკასიის ირანისადმი დაქვემდებარებული ქვეყნები, მაგ.: ქართლის მეფე ვახტანგი, მისი ბიძა ალბანეთის გამგებელი ვარაზ-ბაკური, სომხეთის პიტიახშები, დარუბანდის მეფე და სხვ. ვახტანგს ირან-ბიზანტიას შორის გაჩაღებულ ომში, გარდა ირანის შაჰისადმი ვასალური მოვალეობის შესრულებისა, საკუთარი მიზნებიც ჰქონდა: ბიზანტიის მიერ მიტაცებული ქართლის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორიის - კლარჯეთის დაბრუნება.

წარემართა ვახტანგი საბერძნეთისაკენ და მივიდა სომხითს და შეუერთნენ მას პეროჟა-კაფას ციხესთან,

რომელიც აეგო ზემოთხსენებულ ფეროზს, სომხითის ერისთავები....

1. ომის დაწყებისთანავე, ვახტანგი, ჯუანშერის მიხედვით, გაემართა საბერძნეთისაკენ (იგულისხმება ბიზანტია). საბერძნეთისაკენ ის წასულა სომხითზე გავლით. ეჭვს არ იწვევს, რომ ჯუანშერი „სომხითის" ქვეშ სწორედ სომხეთს გულისხმობს (და არა ქვემო ქართლს რა მნიშვნელობითაც იხმარებოდა ეს ტოპონიმი უფრო გვიანდელ ქართულ წყაროებში). ტექსტში იქვე ჩამოთვლილია „სომხითის" ერისთავები, რომლებიც ვახტანგს შეუერთდნენ და მათი დასახელებისას ჯუანშერი ჩამოთვლის სომხურ პროვინციებს: სიუნიეთი, ასფურაგანი, ტარონი. ამდენად აშკარაა, რომ ვახტანგი სამშვილდის გზით გადასულა სომხეთში. აქვე ქართლისა და სომხეთის საზღვარზეა საგულვებელი პეროჟა-კაფაც, რომელიც ჯუანშერის მიხედვით აუშენებია ფეროზს.

2. ზემოთხსენებული ფეროზი. ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის, მირიანის სიძე, ასულის ქმარი, ირანელი და ირანის მოხელე-გამგებელი. ფეროზს მირიანის დროს ეპყრა საგამგებლოდ ტერიტორია ხუნანიდან ბარდავამდე. ის და მისი მხარის მოსახლეობა მირიანის დროს ცეცხლთაყვანისმცემლებად დარჩენილან და არ მონათლულან. მირიანის ვაჟს ბაქარს გაუცვლია ფეროზისთვის ტერიტორია და ძველი საგამგებლო ტერიტორიის ნაცვლად, მიუცია საერისთავოდ მხარე სამშვილდიდან აშოცამდე. ამდენად ფეროზის სამფლობელოები უშუალოდ ესაზღვრებოდნენ სომხურ პროვინციებს.

ბიზანტიისკენ ქვემო ქართლზე და სომხეთზე გამავალი გზა უძველესი დროიდან იყო ცნობილი: ატენი, თრიალეთი, აშოცი, ერევანი, კარნუ-ქალაქი. ნიშანდობლივია, რომ პეროჟა-კაფასთან შეერთებული ქართულ-სომხური ლაშქარიც სწორედ კარნუ ქალაქისკენ მიემართება. ჯერჯერობით დაუდგენელია, სად მდებარეობდა ფეროზის მიერ აგებული პე-

როჟა-კაფა. ერთი რამე კი ეჭვს არ იწვევს, ის მდებარეობდა აშოცის სიახლოვეს. შესაძლებელია იგივე ციხე-ქალაქი იგულისხმება IX ს. არაბი გეოგრაფის ალ-ბალაზურის "ფირუზიკობადის კარის" სახელის ქვეშ. არაბი ავტორის ცნობით აღნიშნული ციხე მდებარეობდა საქართველო-ბიზანტიის საზღვარზე. ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს საწინააღმდეგო თვალსაზრისი, რომ პეროჟა-კაფა, ისევე, როგორც „ფირუზიკობადის კარი", უნდა იყოს სომხურ წყაროებში დასახელებული პეროზკავატი. ასე კი ეწოდებოდა ქ. ბარდავის (ალბანეთის ცენტრალური ქალაქი) დამცველ ციხე-სიმაგრეს.

გრიგოლის მიერ აშენებული ქალაქიდან. იგულისხმება სომეხთა განმანათლებელი გრიგოლ პართელი (იხ. აქვე, გვ 126).

თრდატი, დიდი თრდატის ჩამომავალი. დიდი თრდატი, სომეხთა პირველი ქრისტიანი მეფე, თრდატ III (298-330) არშაკუნიანი, რომლის მეფობაში სომხეთში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა 301 წ. (იხ. აქვე, გვ.126).

კარახპოლა - კარნუ ქალაქი, ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ქ. არზრუმი. V ს. შუა წლებში ეს ქალაქი ბიზანტიის საზღვრებში შედიოდა და იყო, როგოც ამას გვამცნობს ჯუანშერი, მაღალი ზღუდით მოზღუდული, კარგად გამაგრებული სასაზღვრო ქალაქი. შემდგომ ბერძნებმა იმპერატორ თეოდოსიუსის (408-450) პატივსაცემად, ქალაქს სახელი შეუცვალეს და მას თეოდოსიოპოლი უწოდეს.

წავიდა ვახტანგი პონტოსკენ და გზაზე მოაოხრა სამი ქალაქი: ანძორეთი, ეკლეცი და სტერი. მოადგა ლაშქარი ზღვის ნაპირზე დიდ ქალაქს - პონტოს. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია თვალსაზრისი ქ. სტერის ქ. ამისოსთან (ამჟამად თურქული შავიზღვისპირა ქალაქი სამსუნი), ქ. პონტოს კი ბერძნულ შავიზღვისპირა ქ. სინოპესთან (ამჟამად თურქული ქალაქი სინოპი) იდენტიფი-

კაციის შესახებ. სინოპეს ძველი ქართული სახელწოდება ქ. პონტო უნდა წარმოქმნილიყო იმ უძველეს ეპოქაში, როცა სინოპე იყო პონტოს სამეფოს დედაქალაქი. ქ. სინოპესთან ვახტანგ გორგასლისა და რანის გამგებლის, ვარაზ-ბაკურის კოალიციური ლაშქარი სამი თვე მდგარა. ამ პერიოდში მარბიელი რაზმები დასავლეთის მიმართულებით, ზღვის სანაპიროს გაყოლებით აწყობდნენ ლაშქრობებს, რომელთა დროს უნდა მიეღწიათ მათ, როგორც ამას ჯუანშერი გვამცნობს, კონსტანტინეს ქალაქამდე, ანუ კონსტანტინოპოლამდე. საერთოდ კოალიციური ლაშქრის მარშრუტი, როგორც ჩანს, იყო შემდეგი: კარნუ-ქალაქი-ახლანდ. არზრუმი, ქ. ანძორეთი - ქ. ნეოკესარია, ქ. ამისო – ქ. სამსუნი, ქ.პონტო – ქ. სინოპე.

წინაპარი ჩემი მირიანი, ოდეს შემოჰყვა სპარსთა მეფეს... იგულისხმება ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი, რომელსაც, „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ირანის შაჰთან ერთად, ულაშქრია რომის იმპერიის წინააღმდეგ (უფრო დაწვრილებით ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ „ქართლის ცხოვრება", წიგნი I, გვ.38-43; იქვე, განმარტებები, გვ.131, 3; 137, 3.)

ბრძოლა იმ მეფეებს გარდახდათ ანძიაძორს, სადაც აწ არის საფლავი დიდისა მოძღვრისა გრიგოლისა. ანძიაძორი უნდა იყოს იგივე ჯუანშერის მიერ დასახელებული ანძორეთი, რომელიც იდენტიფიცირებულია ბიზანტიურ ქალაქ ნეოკესარიასთან. ნეოკესარიაში იყო დაკრძალული ცნობილი პონტოელი საეკლესიო მოღვაწე გრიგოლ სასწაულთმოქმედი, რომელიც 270 წ. გარდაიცვალა.

არა გსმენიათ სასწაულნი, რომელნიც მოიწია კონსტანტინე მეფეზე ჯვრის წინ წამძღვარებით. იგულისხმება რომის იმპერატორი კონსტანტინე დიდი (306 – 337 წწ.), რომელმაც, გადმოცემის თანახმად, ომი მოიგო ირანელებთან იმით, რომ საბრძოლველად მიმავალმა წინ წარიმძღვარა ქრისტეს ჯვარი.

ან სასწაულნი, რომელნიც გარდახდა ბერძენთა მეკერპე მეფეს ივლიანეს, როგორ მოჰკლა იგი ზეციურმა ისარმა? იგულისხმება რომის იმპერატორი იულიანე განდგომილი (361–363 წწ.). იულიანე იყო კონსტანტინე დიდის ძმისშვილი. 345-351 წწ.-ში იმყოფებოდა გადასახლებაში კაპადოკიაში, სადაც ფილოსოფოს მაქსიმუსის გავლენით ქრისტიანობა უარყო. იმპერატორად გახდომის შემდეგ, აღადგინა წარმართობა, დევნიდა ქრისტიანობას, დაიღუპა სპარსელებთან ბრძოლაში. ლეგენდის თანახმად ის განგმირა ზეციურმა ისარმა.

ბერძენთა მეფე ივბიმიანოსი. რომის იმპერატორი იობიანი (363-364 წწ.)

სომხითის მკვიდრნი არშაკუნიანნი. საუბარია სომხეთის მმართველ დინასტიაზე, რომელიც სომხეთში მეფობდა ახ. წ. 63 წლიდან. დინასტია მოდის პართული (ელინისტური ირანი, წარმოიქმნა ძვ. წ. III ს. შუა წლებში) სამეფო სახლის გვერდითი შტოდან. არშაკუნიანთა სომხეთში გამეფება ირანსა და რომს შორის დადებული 63 წ. ზავის შემდეგ მოხდა და ეს აქტი, ორივე სახელმწიფოს მხრიდან, სომხეთზე პროტექტორატის საკითხის გადაწყვეტაში, გარკვეულ კომპრომისთან იყო დაკავშირებული. პირველი მეფე აღნიშნული დინასტიიდან სომხეთში იყო პართიის მეფის, ვალარშ I-ის ძმა, თრდატ I (66-78 წწ.). არშაკუნიანები მეფობდნან სომხეთში 428 წ.-მდე, სანამ ირანმა არ გააუქმა მეფობა სომხეთში.

პიტიახშნი ბივრიტიანნი. ქვემო ქართლის წარჩინებულთა საგვარეულო, ზოგი მოსაზრებით – ბაგრატიონები, რაც საეჭვოა.

საქმენი გრიგოლ პართელისა და მისი მოწინააღმდეგისა თრდატ მეფის არშაკუნიანისა. გრიგოლ განმანათლებელი იგივე გრიგოლ პართელი (დაახლ. 239-326 წწ.). სომხეთში ქრისტიანობის გამავრცელებელი და სომხუ-

რი ქრისტიანული ეკლესიის ფუძემდებელი. მისი ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ ცნობებს გვაწვდის V ს. სომეხი ისტორიკოსი აგათანგელოსი თავის „სომხეთის ისტორიაში". თრდატ მეფე არშაკუნიანი, იგივე სომხეთის მეფე თრდატ III თავდაპირველად ქრისტიანობის დაუნდობელი მტერი იყო. მისი ბრძანებით გრიგოლ პართელი სასტიკად აწამეს. გადმოცემის თანახმად, ურწმუნო თრდატი ღმერთმა დასაჯა და ტახად აქცია, ხოლო გრიგოლ პართელის სასწაულის წყალობით ის ისევ კაცად იქცა. ამას მოჰყვა თრდატის გაქრისტიანება და სომხეთში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება (301 წ.).

ჩამომავალნი ვართ ნებროთ გმირისა. ბიბლიური მამამთავარი, ხუსის (ქუშის) შვილი, ქამის შვილიშვილი (ნოე→ ქამი→ ხუსი→ ნებროთი). (უფრო დაწვრილებით იხ. „ქართლის ცხოვრება", წიგნი I, განმარტებები გვ. 114). „ქართლის ცხოვრების" პირველი თხზულების დასაწყისი ნაწილი („ამბავი რვათა ძმათა თარგამოსიანთა"), ნებროთს ხალხთა პირველ მეფედ მიიჩნევს. ბაბილონის გოდოლის დანგრევისა და ენათა აღრევის შემდეგ ნებროთი სპარსულად ალაპარაკდა და იქცა სპარსთა მოდგმის მამამთავრად. ამ შემთხვევაში, აღნიშნული ფრაზით, ჯუანშერი ხაზს უსვამს ვახტანგის ირანულ წარმომავლობას: მირიანი, „ქართლის ცხოვრების" პირველი ქრისტიანი მეფე, „მირიანის ცხოვრების" მიხედვით, ხომ ირანის შაპის არდაშირის ძე იყო. ამდენად, ვახტანგი, როგორც მირიანის ძის ბაქარის (ბაკური) ჩამომავალი, ნებროთის ჩამომავალიც იყო.

ვიდრე არ აღმართა ქალაქის ზღუდეზე ციხკენ აზიდული სამი დღის სავალი გოდოლი. ტექსტში ვრცლადაა საუბარი ნებროთის სიძლიერეზე, მის მიერ ასურეთში (უძველესი სახელმწიფო შუამდინარეთში, მდ. ევფრატსა და ჯილას, იგივე მდ. ტიგროსს შორის) ქ. ბაბილონის აშენებაზე. შემდეგ მოთხრობილია ბიბლიური ლეგენდა ბაბილონის

გოდოლის, ცაში აღმავალი კოშკის, მშენებლობის შესახებ, რის გულისთვისაც ღმერთმა დასაჯა ადამიანთა მოდგმა და ისინი სხვადასხვა ენაზე აალაპარაკა, რათა ერთმანეთის ლაპარაკი ვერ გაეგოთ. საინტერესოა, რომ ვახტანგი აქ, თავისი სიტყვების ჭეშმარიტების დასასა-ბუთებლად, ასახელებს, ვითომდა ფარნავაზიანთა სახლის საკუთრებაში მყოფ, უძველეს წიგნს - „ნებროთის წიგნს". აღნიშნულ წიგნზე მითითება არის „ნინოს მიერ ქართლის მოქცევაშიც" (იხ. „ქართლის ცხოვრება" წ.I,.გვ. 64). რადგან „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა" „ქართლის ცხოვრებაში" ლეონტი მროველის ჩართულია (იხ. „ქართლის ცხოვრება" წ.I, გვ. 112-113.), საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჯუანშერის „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაშიც" ეს ვრცელი მსჯელობა, ვითომდა „ნებროთის წიგნიდან" ამოკითხული, აგრეთვე ლეონტი მროველის ჩართულია.

უკანასკნელ ჟამს კი მოვა მეუფე ცისა. იგულისხმება ქრისტეს მეორედ მოსვლა და განკითხვის დღე.

ამ წიგნის გაცნობით შეიწყნარა ჩვენმა წინაპარმა, მირიანმა, ნინოსაგან სახარება ქრისტესი. „ნინოს მიერ ქართლის მოქცევის მიხედვით", ქართლის მეფე მირიანი, როცა გაეცნო „ნებროთის წიგნს", ირწმუნა ქრისტეს მცნების ჭეშმარიტება და უნდოდა ქრისტიანობის აღიარება, მაგრამ ის აცდუნა ეშმაკმა და სანამ ნადირობისას, უცაბედად ჩამოწოლილ ბურუსსა და უკუნ სიბნელეში, სასწაულებრივად არ გადარჩა, მანამ არ აღიარა ქრისტეს სჯული.

გრიგოლ ღვთისმეტყველი. იგივე გრიგოლ ნაზიანზელი ცხოვრობდა დაახლ. 330-390 წწ. წარმოშობით იყო კაპადოკიის ქალაქ ნაზიანზიდან. დიდი ბერძენი საეკლესიო მოღვაწე, მოაზროვნე, პოეტი, ერთი პერიოდი სათავეში ედგა კონსტანტინეპოლის საეპისკოპოსო კათედრას.

ეკლესია ხორცთა უფრო მნიშვნელოვანია ღმრთისათვის. იგულისხმებიან მორწმუნე ადამიანები. საუბარია

იმაზე, რომ ქრისტიანი, ღვთისმოსავი ადამიანის სულის გადარჩენისთვის მოღვაწეობა უფრო მნიშვნელოვანია ღმერთისთვის, ვიდრე ქვით ნაშენი ეკლესიების დაცვა.

აბელი. ბიბლიური პერსონაჟი, ადამის მეორე ვაჟი, უწყინარი და უცოდველი მწყემსი, რომელიც შურის ნიადაგზე მოჰკლა მისმა უფროსმა ძმამ კაენმა.

ნოე. ბიბლიური პერსონაჟი, ღვთისმოსავი და ღმრთისმოშიში პიროვნება. მის ცხოვრებაში მოავლინა ღმერთმა წარღვნა და ამოწყვიტა ადამიანთა მოდგმა, ხოლო ნოე კი წინასწარ გააფრთხილა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. ნოემ ააგო კიდობანი, რომელშიც ჩასხდნენ ის და მისი ოჯახის წევრები და გადაურჩნენ წარღვნას.

ზაქარია ბარუქის ძე. ბიბლიური პერსონაჟი.

ესაია. ძველებრაელი პოლიტიკური და რელიგიური მოღვაწე, ცნობილი როგორც წინასწარმეტყველი. ცხოვრობდა დაახლ. ძვ. წ. 759 - 698 წწ.

აიღე და წარწყმიდე ყოველი ჩამომავალი მათი ტიტოსის და სპასიანოსის ხელით. სპასიანოსი, რომის იმპერატორი ვესპასიანე ახ.წ. 69 - 79 წწ., ფლავიუსთა დინასტიის დამაარსებელი. ტიტუსი - მისი ვაჟი, რომის იმპერატორი ახ. წ. 79 - 81 წწ. ახ. წ. 66 - 73 წწ-ში მიმდინარეობდა ებრაელთა აჯანყება, რომელიც სასტიკად იქნა ჩახშობილი ვესპასიანეს მიერ. იმპერატორ ნერონის გარდაცვალების შემდეგ, იუდეაში მოპოვებული დიდი წარმატების ფონზე, რომის მხედრობამ ვესპასიანე აირჩია იმპერატორად (69 წ.). ვესპასიანეს ლაშქრობაში იუდეველთა (ებრაელთა) წინააღმდეგ, მონაწილეობას იღებდა მისი ვაჟი ტიტუსი. ვესპასიანეს იმპერატორად გამოცხადების შემდეგ, ტიტუსი იუდეაში მომქმედი ჯარის მთავარსარდლად დაინიშნა. მან ჩაახშო აჯანყება, აიღო იერუსალიმი და დაანგრია (70 წ.).

მოსე. ებრაული სარწმუნოების ფუძემდებელი, მოციქული და წინასწარმეტყველი, ებრაელთა ეგვიპტელთა ტყვე-

ობიდან განმანთავისუფლებელი და მათი ძველ სამშობლოში, ქანაანში დამაბრუნებელი. დაიბადა დაახლ. ძვ. წ. 1570 წ.

ივბიმიანოსი და ივლიანე უკეთური. იხ აქვე, განმარტებები გვ. 125 და გვ.126.

მეფენი კეთილად ხსენებულნი: დავით, სოლომონ, კონსტანტინე. **დავითი** იუდეველთა და ისრაელთა (ებრაელთა) გაერთიანებული სამეფოს დამაარსებელი და პირველი მეფე. მის დროს ებრაულმა სახელმწიფომ დიდ სიძლიერეს მიაღწია. დავითი დაიბადა დაახლ. ძვ. წ. 1085 წ. მეფობდა დაახლ. ძვ. წ. 1055-1015 წწ.; **სოლომონი,** დავითის ძე, ებრაელთა მეფე. მეფობდა დაახლ. ძვ. წ. 1015-975 წწ., განთქმული თავისი სიბრძნითა და მართლმსაჯულებით. მის მეფობაში ქვეყანამ დიდ ეკონომიკურ და კულტურულ წარმატებებს მიაღწია.

კონსტანტინე. რომის იმპერატორი კონსტანტინე დიდი (306-37 წწ). მისი იმპერატორობის პერიოდში ქრისტიანობა რომის იმპერიაში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. (უფრო დაწვრილებით იხ. „ქართლის ცხოვრება", წიგნი I, განმარტებები, გვ. 135).

ვახტანგ მეფის სიზმარი

იმყოფებოდა ქალაქ კონსტანტინეს. ქ. ქონსტანტინოპოლი (იხ. აქვე, გვ. 191).

მის ფერხთით იჯდა ნინო. იგულისხმება ქართლის განმანათლებელი წმინდა ნინო.

ეთაყვანე .....დიდსა მას მთავარსა გრიგოლს. იგულისხმება ქრისტიანული მოძღვრების დიდი მოღვაწე, სომხური ეკლესიის ფუძემდებელი, გრიგოლ პართელი (იხ. აქვე, გვ.126).

ეს სათნო დედაკაცი, რომელიც მარიამთან ერთად მარადის იღწვის თქვენთვის. იგულისხმებიან წმინდა ნინო და მარიამ ღვთისმშობელი.

ვახტანგ,.....უმეტესად მორწმუნე იყო შენ სპარსთა ყველა მოდგმას შორის. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ, მირიანის ირანის შაჰის არდაშირის ძედ გამოცხადების გამო, „ქართლის ცხოვრება" მთელ მის შთამომავლობას ნებროთიანელებად, ნებროთის (ანუ სპარსთა) მოდგმისად მიიჩნევს. ამ კონცეფციის შესაბამისად, ვახტანგ გორგასალიც სპარსთა მოდგმისაა.

თრდატმა, დედით ნათესავმა ჩემმა. იგულისხმება მირიან მეფის ძის რევის ძე, რომელსაც „ქართლის ცხოვრება" ახასიათებს, როგორც მორწმუნეს და ბრძენს. მის ქალზე დაქორწინდა ვახტანგ გორგასლის წინაპარი ვარაზ-ბაქარი.

გაწყრეს ჩემი დედის ძმა. იგულისხმება ბიზანტიასთან ომში ირანის მიერ გამოყვანილი კოალიციური ლაშქრის მხედართმთავარი, ალბანეთის ირანელი გამგებელი, ვარაზ-ბაკური, ვახტანგის დედის, საგდუხტის ძმა.

ვახტანგ მეფის და კეისრის საიდუმლო შეთანხმება

გადმოგცე ციხე თუხარისი და ქართლის სხვა მხარეები. ქართლის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთი მხარე, კლარჯეთი, ციხე თუხარისითურთ, წაართვეს რომაელებმა ქართლის მეფე ვარაზ-ბაკურს (იხ. აქვე, გვ.112-113), ხოლო ვახტანგის ყრმობაში ბიზანტიელებმა დაიჭირეს დას. საქართველოს (ეგრისის, ლაზეთის) ტერიტორია, ციხე-გოჯამდე. ამ მხარეების ქართლისთვის უკან დაბრუნებას ჰპირდება ბიზანტიის იმპერატორი ვახტანგს.

მათ შორის მრავალ მათგანს აქვს გულში სიყვარული ქრისტესი და შიშის გამო ვერ განაცხადებს აშკარად. ეს გამონათქვამი, რომელსაც ჯუანშერი ვახტანგს

მიაწერს. კარგად შეესაბამება V-VII სს-ში ირანში არსებულ სიტუაციას. მართლაც, აღნიშნულ პერიოდში ქრისტიანობა საკმაოდ სწრაფად იკიდებს ფეხს ირანის მოსახლეობაში. არსებობს თვალსაზრისი, რომ არაბთა მიერ ირანის დაპყრობა და ისლამიზაცია რომ არა, ირანში ქრისტიანობა გაიმარჯვებდა.

ივბიმიანოსი. იხ. აქვე გვ. 126.

ვარაზ-მიჰრი, მამამძუძისა მისისა ძმა. როგორც ჯუანშერი გვამცნობს ვახტანგის მამამძუძე იყო ქართლის სპასპეტი საურმაგი, ამდენად ვარაზ-მიჰრი საურმაგ სპასპეტის ძმაა.

ბრძოლა სპარსთა და ბერძენთა შორის

ირანელთა და ბიზანტიელთა ბრძოლა 456 წ ქ. ამისოსთან (ახლანდ. ქ. სამსუნი თურქეთში) უნდა მომხდარიყო. ირანელების მხრიდან, როგორც ვიცით, 453 - 456 წწ. საბრძოლო მოქმედებას ხელმძღვანელობდა ირანის მარზპანი ალბანეთში, ვახტანგის ბიძა ვარაზ-ბაკური. კოალიციურ ლაშქარში შედიოდნენ ქართლის მეფე ვახტანგი, სომხეთის პიტიახშები: სივნელი არევ, ასფურაგნელი ჯუანშერ, ტაროვნელი ამაზასპ, თრდატ არშაკუნიანი (ანუ სომხეთის იმ მხარეების გამგებლები, რომლებიც აღნიშნული ხანისთვის იმყოფებოდნენ ირანის ბატონობის ქვეშ), აგრეთვე: მოვაკანეთის (მტკვრის მარცხენა სანაპიროს ალბანეთის) მეფე - ბორზო, მეფე ლეკთა (იგივე დარუბანდის მეფე) იპაჯაჯ. პირველ შეტაკებაში ქართველთა მხედრობას მონაწილეობა არ მიუღია, რასაც კოალიციური ლაშქრისთვის სავალალო შედეგი მოჰყოლია, მაგრამ შემდეგ ეტაპზე ბრძოლაში ჩაბმულა ქართველთა მხედრობა ვახტანგის მეთაურობით და ბრწყინვალე გამარჯვებისთვის მიუღწევიათ.

მაშინ არა თუ დავამარცხებთ და გავდევნით მტერს, არამედ ვდევთ მათ ადარბადაგანამდე. აქ აშკარად გვიანდელი აღრევაა: ადარბადაგანის ნაცვლად თავდა-

პირვე-ლად რაღაც სხვა გეოგრაფიული პუნქტი, შესაძლოა კონსტან-ტინოპოლი ეწერებოდა, სხვაგვარად გაუგებარია, რატომ უნდა ედევნათ ქართველებს დამარცხებული ბერძნები ადარბადა-განამდე (ახლანდ. ჩრდილოეთ ირანი, ანუ სამხრეთ აზერბაიჯანი).

ხოლო ბორზომ, მოვაკნელმა მეფემ თქვა: „არ დავტოვებ ცეცხლსა მწველსა." მოვაკანის მეფე, ტექსტის მიხედვით, ცეცხლთაყვანისმცემელია (მაზდეანური სარწმუ-ნო-ების მიმდევარი), რაც, აღნიშნულ პერიოდში, ალბანეთში (როგორც რანში, ისე მოვაკანში) მაზდეანური სარწმუნოების გავრცელებაზე მიუთითებს.

მომეცი ძალა, როგორც დავითს, გოლიათთან შერ-კინებისას. იგულისხმება ებრაელთა მეფე დავითი (იხ. აქვე, გვ. 129-130).

ვახტანგის მიერ ქართლის მიწების დაბრუნება

ხოლო თქვენ ღმერთის პირმშო შვილები ხართ. აქაც და სხვა შემთხვევებშიც ჯუანშერი მკვეთრად გამოხა-ტული პრობერძნული ორიენტაციის პიროვნებად გვევლინება. ის ვახტანგის პირით ცდილობს მკითხველი დაარწმუნოს ბერძენთა განსაკუთრებულობაში. ღმერთის პირმშო, ანუ უფ-როს, მემკვიდრე შვილად ბერძნების გამოცხადებით ჯუან-შერს სურს ხაზი გაუსვას ქრისტიანული სარწმუნოების წი-ნაშე ბერძენთა განსაკუთრებულ დამსახურებას, ღმრთის მი-ერ მათ გამორჩეულობას.

დაუბრუნა ვახტანგს კეისარმა ქართლის მიწა-წყა-ლი. ვახტანგის მიერ ბიზანტიის ლაშქრის დამარცხების შემდეგ, ვახტანგსა და ბიზანტიის იმპერატორს შორის სეპა-რატული (ირანისგან განცალკევებით) ზავი იდება. ირანსა და ბიზანტიას შორის ომის პერიოდში (453 - 456 წწ), ბი-ზანტიის იმპერატორი იყო მარკიანე (გარდაიცალა 457 წ. იანვარში), მაგრამ, როგორც ჩანს, მარკიანეს ავადმყოფობის გამო (ის, ზაფხულიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე,

ლოგინად იყო ჩავარდნილი), ბოლო ბრძოლას ქ. ამისოსთან, რომელიც 456 წ. შემოდგომაზე გაიმართა, მომავალი იმპერატორი ლეონ I ხელმძღვანელობდა. როგორც ჩანს, სწორედ ლეონ I და ვახტანგს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ქართლის სამეფომ ადრე, მეფე ვარაზ-ბაქარის დროს, დაკარგული ქართული ტერიტორიები დაიბრუნა: ციხე თუხარისი და კლარჯეთი მთლიანად, ზღვიდან ვიდრე არსიანის მთებამდე და ხევები, რომლებიც ესაზღვრებიან ღადოს მთას (აქ დასახელებული გეოგრაფიული სახელწოდებები იხ. აქვე ეთნიკურ და გეოგრაფიულ ტერმინთა განმარტებებში).

გამოიკითხა კეისარმა საბერძნეთის ტერიტორიის საკითხი, რომელიც არის აფხაზეთი.... წყაროში აფხაზეთი შემოსაზღვრულია ეგრისის წყლიდან, ვიდრე მდინარემდე მცირისა ხაზარეთისა, ანუ მდ. ღალიძგიდან მდ. ყუბანამდე. ამდენად ესაა ტერიტორია, რომელიც, „ქართლის ცხოვრების" მიხედვით ეგროსის წილხვედრი ქვეყნის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთს შეადგენდა. აღნიშნულ ტერიტორიას, ამ ძეგლის მიხედვით, ბერძნები ალექსანდრე მაკედონელის ხანაში დაპატრონებიან. ჯუანშერის ცნობით, ბიზანტიის იმპერატორი ლეონი ვახტანგს მზითვის სახით აძლევს აფხაზეთის ნაწილს, მხარეს ეგრის წყალსა და კლისურას შორის, დანარჩენს კი იტოვებს თავისთვის.

სპარსთა მეფემ როცა შეიტყო, რომ ვახტანგი მიემხრო ბერძნებს, გაბრუნდა სპარსეთში და მოკვდა. დაჯდა მეფედ ძე მისი. ირანის შაჰი, იეზდიგერდ II გარდაიცვალა 457 წ. „ქართლის ცხოვრების" სომხურ თარგმანში აღნიშნული ადგილი ასე იკითხება: „გაიგო რა სპარსთა მეფემ ბერძნებთან მის მიერ (იგულისხმება ვახტანგი) დადებული აღთქმის შესახებ, განრისხდა ფრიად, წამოვიდა პირადად ლაშქრით საბერძნეთს და იქვე მოკვდა. გამეფდა მისი ძე..."

სპარსთა მეფის გამოლაშქრება ვახტანგ გორგასლის წინააღმდეგ

იეზდიგერდ II გარდაცვალების შემდეგ (გარდაიც. 457 წ.), ირანში ატყდა შინაომი (457 - 459 წწ.) მის უფროს ვაჟს ჰორმიზდსა და უმცროს ვაჟს პეროზს შორის, რომელიც პეროზის გამარჯვებით და 459 წ. ტახტზე ასვლით დამთავრდა. ერთი წელი პეროზს, რა თქმა უნდა, ქვეყნის მოწესრიგებისთვის და ძალების მოკრებისთვის დასჭირდებოდა. აქედან გამომდინარე სწორი უნდა იყოს ჯუანშერი, როცა აღნიშნავს, რომ სპარსელები ქართველთა დასასჯელად იეზდიგერდის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ მოვიდნენო. ამდენად პეროზი ქართლში 460 წ. უნდა შემოჭრილიყო. პეროზის ქართლში შემოჭრის უშუალო საბაბი ირანის წინააღმდეგ ვახტანგის აშკარა აჯანყება იყო: მან გააძევა ქართლიდან ირანელები (ცეცხლის მსახურნი) და მათი მღვდელთმოძღვარი ბინქარან ეპისკოპოსი.

460 წ. დაწყებული ომი ირანსა და ქართლს შორის ფაქტიურად ირან-ბიზანტიის ომი იყო, რომელშიც ვახტანგი ბიზანტიის მხარედ გვევლინება. ლეონ I-ის ხაზარეთში ლაშქრობის გამო, ბიზანტიას, ომის დაწყებისთანავე, ვერ აღმოუჩენია ვახტანგისთვის ქმედითი დახმარება. ომმა გაჭიანურებული ხასიათი მიიღო (4 თვე გასტანა). საბოლოოდ ბიზანტიელებმა მაინც მოახერხეს ვახტანგის დასახმარებლად 80.000-იანი ლაშქრის გამოგზავნა. როცა ლაშქარი ჯავახეთს მოადგა, პეროზმა გადაწყვიტა ვახტანგთან დაზავება.

ლეონი, ანთიპატი კეისრისა. ანთიპატი კეისრის ნაცვალს ნიშნავს. ჯუანშერის ცნობით ლეონი განაგებდა ბიზანტიის ტერიტორიას „მელიტენიდან ვიდრე ლამემდე და მოღმართ ვიდრე კარნუ ქალაქამდე" (სწორედ აქედან უნდა გამოეყვანა მას ვახტანგის მოსახმარებლად ჯარი). V ს. ბი-

ზანტიის იმპერიის სამხედრო ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს იყო სომხეთის დუქსის საგამგებლო ტერიტორია, რომელშიც შედიოდა პოლემონის პონტო და სომხური მიწები. სომხეთის დუქსის საგამგებლო ტერიტორია კი იყო ერთ-ერთი იმ თერთმეტი პროვინციიდან, რომლებიც ქმნიდნენ ბიზანტიის იმპერიის მსხვილ სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულს, აღმოსავლეთის დიოცეზს - პონტიკას. სომხეთის დუქსის, ამ შემთვევაში ლეონ ანთიპატის. განკარგულებაში მართლაც იმყოფებოდა დაახლ. 60-80 ათასიანი ქვეითი ლაშქარი.

შიმშატის გზა. ქ. შიმშატი (იგივე არშამოშატა) ბიზანტია-სომხეთის საზღვარზე, მდ. არცანია-ევფრატის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა. „შიმშატის გზის" ქვეშ იგულისხმება ირანიდან ბიზანტიისაკენ და შემდეგ სომხეთსა და ქართლისაკენ მიმავალი უძველესი მაგისტრალის ერთი მონაკვეთი.

მოგვთა უბანი. ქ. მცხეთას ერთ-ერთ უბანთაგანი, რომელიც ამ პერიოდში სპარსელებით იყო დასახლებული.

ხაკანი. ხაზართა სახელმწიფოს მმართველის, მეფის ტიტული.

დაზავება ვახტანგსა და სპარსთა მეფე ხოსროს შორის

ყოველნი მეფენი ვიყავით თქვენი მოხარკენი ჯვარცმულის გამოჩენამდე. აქ საუბარია იმაზე, რომ ქრისტეს გამოჩენამდე, უფრო ზუსტად კი ქრისტიანობის გავრცელებამდე, ქართლის სამეფო და კავკასიის სხვა გამგებლებიც იყვნენ ირანის მოხარკეები. ამით ჯუანშერს ხაზი უნდა გაუსვას, თუ როგორი ძლიერი იყო ირანი ქრისტეს მოსვლამდე და რა ძალა შეჰმატა ქრისტიანობამ მის ყოფილ მოხარკე ქვეყნებს.

თუმცა ჩვენ პირმშონი ვართ, მაგრამ თქვენ გიპყრიათ ტახტი წინაპრისა ჩვენისა. ამ შემთხვევაშიც ჯუანშერი „მირიანის ცხოვრების" ტექსტს მისდევს, რომლის მიხედვითაც მირიანი ირანის შაჰის უკანონო, მაგრამ უფროსი შვილი იყო (მხევალი ქალისაგან). ვახტანგი, როგორც მირიანის ჩამომავალი, შეახსენებს შაჰს, რომ ის ჩამომავალია ირანის შაჰის უფროსი ძის (პირმშონი ვართ), თუმცა მისი წინაპრის, მირიანის მამის, ირანის შაჰის ქასრე არდაშირის ტახტი უპყრია მას, პეროზს. მსგავსი პასაჟები ამყლავნებენ იდეოლოგიურ ერთობას „მირიანის ცხოვრებასა" და „ვახტანგის ცხოვრებას" შორის, რაც მათ საერთო რედაქტორს უნდა გულისხმობდეს.

საზავო პირობები: აღმოს. რომის იმპერიასა და ირანს შორის 363 წ. (იმპერატორ იობიანის, ანუ ჯუანშერის მიხედვით ივბიმიანოსის მიერ) დადებული ზავის მიხედვით დადგენილი სასაზღვრო ხაზი ფაქტიურად არაბთა შემოსევამდე არ შეცვლილა. ამ შემთხვევაშიც ჯუანშერი არ ცდება, როცა აღნიშნავს, რომ აღდგა ივბიმიანოსის (იობიანის) დროს დადგენილი საზღვარი.

ჯაზირის ნახევარი ჩვენი წინაპრების განწესებით შენ გვხვდა წილად. აქ ისევ მითითებაა „მირიანის ცხოვრების" იმ პასაჟზე, სადაც მოთხრობილია მირიანის და ირანის შაჰის, ბარტამის დაზავების ამბავი (იხ. „ქართლის ცხოვრება", წიგნი I, გვ. 40.). ოღონდ ჯუანშერი ტექსტს ზუსტად არ იმეორებს: „მირიანის ცხოვრების" მიხედვით, ირანის შაჰმა, ბარტამმა, თავის „ძმას" მირიანს არგუნა ჯაზირეთი მთლიანად და შამის ნახევარი (ანუ ჩრდილოეთ შუამდინარეთი და სირიის ნახევარი), ჯუანშერთან კი მხოლოდ ჯაზირის (ჩრდ. შუამდინარეთი) ნახევარზეა საუბარი. ამგვარად, ზემოთ აღნიშნული ფრაზით, ირანის შაჰს პეროზს სურს უთხრას ვახტანგს, რომ ძველ დროში, მათი წინაპრების (მირიანის და ბარტამის) ხანაში, ქართლის სამეფოს და

ამდენად, აშკარად მის მეფეს ვახტანგს, ერგო ჯაზირის ნახევარი. ეს საკითხი საერთოდ უკეთეს შესწავლას მოითხოვს. აღნიშნული ინფორმაციის ხელაღებით უარყოფა, ალბათ, არ შეიძლება. შესაძლოა ფარნავაზიანთა საგვარეულოს, როგორც, ირანზე დაქვემდებარებული ქვეყნების მმართველ საგვარეულოებს შორის, ერთ-ერთ ყველაზე ძველ და გავლენიან საგვარეულოს, მართლაც ჰქონდა, მირიანის ეპოქიდან მოყოლებული, გამოყოფილი შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც ირანის სამეფო კარს შუამდინარეთიდან შემოსდიოდა ხარაჯისა და გადასახადების სახით.

ნახევარი სიკილიისა. პალესტინის ერთი ნაწილის ძველი სახელწოდება.

ფილისტიმი იერუსალიმითურთ. პალესტინა ქ. იერუსალიმით.

სპარსთა მეფის მიერ ვახტანგის ხმობა ინდოეთში სალაშქროდ

მობიდანი. იგივე მობედი, ზოროასტრული სარწმუნოების სასულიერო პირი.

რათა მოინახულო შენი ნათესავები. აქაც, როგორც სხვა ძემთხვევაში არა ერთხელ, ხაზი ესმება ვახტანგის ირანულ წარმომავლობას (ვახტანგი მირიანის ჩამომავალია, მირიანი კი, "მირიანის ცხოვრების" მიხედვით, ირანის შაჰის ძეა, ამდენად, "ქართლის ცხოვრების" კონცეფციით, ქართლის მეფეები სასანიანთა დინასტიის გვერდით შტოს ეკუთვნიან).

მარზპანი. ქვეყნის, მხარის, ოლქის მმართველი სასანიანთა ირანში.

უხუცესები. იგულისხმება ირანის გავლენიან საგვარეულოთა წარმომადგენლები.

სომეხთა პიტიახში. პიტიახში სომხეთში სანაპირო ოლქის მმართველს ეწოდებოდა. საკუთრივ ტერმინი სპარსუ-

ლი წარმოშობისაა. სასანიანთა კარზე ირანის ეს უმაღლესი რანგის მოხელეები მეფის ნაცვლის, ოლქის მმართველის ფუნქციას ასრულებდნენ. სომხეთში, ზოგი მეცნიერის აზრით, ოთხი საპიტიახშო (საბდეშხო) იყო. ქართლის სამეფოს სომხეთიდან აკრავდა გუგარქის საბდეშხო, რომელშიც ქართული ისტორიული ოლქებიც შედიოდნენ. ვახტანგის დის, ხვარამზის საქმრო და შემდეგ მეუღლე, სომხითის პიტიახში ბაკური, შესაძლოა, სწორედ ქართლის სამეფოს მეზობელი საპიტიახშოს, გუგარქის ბდეშხი - პიტიახში ყოფილიყო.

დიდი ეჯიბი. ეჯიბი არაბული სიტყვაა და ნიშნავს მეფის მეკარეს, კარისკაცს - ჰაჯიბ. XI ს. სელჩუქთა სახელმწიფოში „დიდი ეჯიბი" სასახლის მსახურთა უფროსი იყო, ანუ სულთნის კარზე ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობა ეკავა. იგივე მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი ეს ტერმინი ამ შემთხვევაშიც. ვინაიდან ტერმინი არაბული წარმოშობისაა, ვახტანგის დროს ის ხმარებაში ვერ იქნებოდა (არაბები საქართველოში მხოლოდ VII ს 50-იან წწ-ში მკვიდრდებიან) . ჯუანშერს, როგორც ჩანს, მის დროს გავრცელებული ტერმინი გადააქვს ვახტანგ გორგასლის ხანაში.

ვახტანგის მიერ იერუსალიმის წმინდა ადგილთა მოლოცვა

შეევედრნენ წმინდა აღდგომას. აღდგომის სავანე, გოლგოთა, წმინდა ადგილი იერუსალიმში, სადაც, ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, ჯვარს აცვეს ქრისტე. უფრო დაწვრილებით იხ. აქვე, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა განმარტებები გვ. 181.

ვახტანგის და ხოსროს ლაშქრობა აბაშთა, ჯორჯანთა, ჰინდოთა და სინდთა წინააღმდეგ

V ს II ნახ. ირანის შაჰი პეროზი ორჯერ ლაშქრობს აღმოსავლეთში ჰუნების წინააღმდეგ. პირველ ლაშქრობაში, რომელსაც 460 - 68 წწ ჰქონდა ადგილი, პეროზი მძიმე ომებს აწარმოებდა ჰუნ კიდარიტების წინააღმდეგ, რომელთა გაერთიანებაში ქუშანებიც შედიოდნენ. სწორედ ამ ლაშქრობაში ახლდა მას ვახტანგი. ჯუანშერის ცნობითაც ბრძოლები რვა წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და ირანის შაჰის გამარჯვებით დასრულდა. იმავე წელს პეროზი დამარცხდა ჰეფთალებთან და ტყვედ ჩავარდა. ვახტანგი ქართლში 468 წ. დაბრუნდა. ჰუნთა წინააღმდეგ პეროზის ლაშქრობითა და მათი დამარცხებით ბიზანტიაც ისე სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული, რომ წყაროების მონაცემებით, ბიზანტიელები ირანს ფულადი სახსრებითაც კი ეხმარებოდნენ. ჯუანშერი დამატებით ცნობებს გვაწვდის ჰუნების წინაამდეგ ომში ირანის მხარეზე ბიზანტიელთა მონაწილეობის შესახებ: კეისარს შაჰისთვის თავის მხედრობაც კი მიუშველებია. დიდი ხნის განმავლობაში ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯუანშერის ცნობები ვახტანგის შუა აზიასა და ინდოეთში ლაშქრობის შესახებ, უფრო გვიან შეთხზულად და ისტორიულ რეალობას მოკლებულად იყო მიჩნეული. უახლესი გამოკვლევების შედეგად ნათლად წარმოჩნდა, რომ აღნიშნული მასალა რეალობას შეესაბამება და ნდობის ღირსია. საფიქრებელია, რომ ვახტანგის მიერ V ს. 60-იან წლებში შუა აზიასა და ინდოეთში გადახდილი ბრძოლების ასეთი დეტალური აღწერისას, VIII ს. ისტორიკოსი ჯუანშერი, ვახტანგის თანადროულ წყაროს ემყარება.

ჰინდოეთი. 461 წ. გურგანში (ჯორჯანეთი. იხ.) ჰუნთა დამარცხების შემდეგ, ირანის შაჰი პეროზი (459-484) ინდოეთში, იქიდან კი სინდეთში (იხ. გვ. 199) შეჭრილა.

ჰინდოეთად ჯუანშერთან იგულისხმება ირანის აღმოსავლეთით მდებარე ქუშანთა სახელმწიფო, რომელშიც იმხანად ჰუნები ბატონობდნენ.

წამოვიდა ვახტანგი, მიაღწია ანტიოქიას და მოვიდა ქალაქ ურჰაში. ამ შემთვევაში ანტიოქიის ქვეშ იგულისხმება ქ. ნისიბისი, რომელსაც წყაროებში „მიგდონიის ანტიოქიასაც" უწოდებდნენ. როგორც ცნობილია, ალექსანდრე მაკედონელის სარდალმა სელევკ I (ძვ. წ. 358-280 წწ.), რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სელევკიდების დინასტიას, თავისი დაარსებული ქალაქებიდან (70-ზე მეტი) 16 ქალაქს მამის, ანტიოქოსის პატივსაცემად, ანტიოქია უწოდა. ერთ-ერთი იყო ანტიოქია მდ. მიგდონზე, იგივე ქ. ნისიბისი. 363 წ. რომაელთა მარცხისა და ირანთან დადებული ზავის შემდეგ, ქ. ნისიბისი ირანის საზღვრებში მოექცა.

ვახტანგი.....გამოემართა ბერძენ-სომეხთა გამყოფი საზღვრისკენ. ვახტანგის მეფობის ხანაში ბიზანტია-სომხეთის საზღვარზე მხოლოდ პირობითად შეიძლება საუბარი. სინამდვილეში, მას შემდეგ რაც ბიზანტიელებმა გააუქმეს და შეიერთეს სირიის სომხეთი (სოფენის ტერიტორია), ხოლო ირანელებმა 428 წ. გააუქმეს მათ დაქვემდებარებაში მყოფი სომხეთის სამეფო, ბიზანტიასა და სომხეთს შორის დამოუკიდებელი საზღვრის შესახებ საუბარი აღარ შეიძლება, ეს უკვე იყო საზღვარი ირან-ბიზანტიას შორის. ტრადიციულად კი სომხეთის სამეფოსა და ბიზანტიას შორის საზღვარი ქ. ურჰას (იგივე ქ. ედესა, ახლანდ. ქ. ურფა თურქეთში) ჩრდილოეთით ქ. შიმშატის ახლოს უნდა ყოფილიყო.

ვახტანგ მეფის მიერ ქართლის საეკლესიო საქმეთა განგება

ვახტანგის გადაწყვეტილებას ქართლის ეკლესიის ავტოკეფალური მოწყობისა და პეტრეს კათალიკოსად კურთხევის შესახებ, ქართლის მთავარეპისკოპოს, მიქაელსა და ვახტანგს შორის კონფლიქტი მოჰყვა. ვახტანგი იძულებული

შეიქმნა მიქაელი ქართლიდან გაეძევებინა და დასასჯელად კონსტანტინეპოლში გაეგზავნა. კონფლიქტის მიზეზთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს. ისტორიკოსთა ნაწილი კონფლიქტს კონფესიურ საფუძველზე აღმოცენებულად მიიჩნევს: როგორც ცნობილია 451 წ. ქალკედონში, ბიზანტიის იმპერატორის მარკიანეს მიერ მოწვეულ მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, მონოფიზიტური მიმდინარეობა მწვალებლობად გამოცხადდა და მართლმადიდებლობად მიჩნეულ იქნა დიოფიზიტური მრწამსი (იხ. აგრეთვე აქვე, გვ. 121-122). ირანი თავის დაქვემდებარებაში მყოფ ამიერკავკასიის ქრისტიანულ სახელმწიფოებში, ბიზანტიის საწინააღმდეგოდ, მხარს უჭერდა მონოფიზიტობას და პოლიტიკური მძლავრობის პერიოდებში, აიძულებდა ქართლის ეკლესიის მესვეურებს ეღიარებინათ მონოფიზიტობა.

არის თვალსაზრისი, რომ ვახტანგი იყო მონოფიზიტი და მიქაელი – დიოფიზიტი; სხვა თვალსაზრისით, პირიქით, ვახტანგი იყო დიოფიზიტი და მიქაელი მონოფიზიტი. უფრო რეალური ჩანს, რომ კონფლიქტს პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია თვით ჯუანშერის ცნობები: ისტორიკოსის თანახმად, მიქაელი იყო ჭეშმარიტი მღვდელი და ვახტანგის აღმზრდელი, ამავე დროს ფრიად პატივმოყვარე და ძალაუფლების მოსურნე პიროვნება. გასაკვირი არაა, რომ ის იყენებდა იმ პირად გავლენას, რომელიც ჰქონდა ვახტანგზე, როგორც თავის აღზრდილზე და თავი დამოუკიდებლად და მეფეზე უფრო მაღლა ეჭირა. პოლიტიკურად მოძლიერებული და ირანის შაჰთან ერთად შორეული ლაშქრობებიდან დიდი სახელითა და დიდებით ქართლში დაბრუნებული მეფისთვის, მიქაელის ამბიციურობა აუტანელი შეიქმნა, რამაც შეიძლება დააჩქარა ვახტანგის მიერ ადრევე ჩაფიქრებული გეგმის სისრულეში მოყვანა. ხელშემწყობი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით (ირანისთვის ბევრად უფრო მისაღები უნდა ყოფილიყო ქართული ქრისტიანული ეკლესია თვითმმართვე-ლური, ავტოკეფალური

უფლებებით, ვიდრე მისი მოქიშპე ქვეყნის, ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი საპატრიარქოებისადმი ორგანულად დაქვემდებარებული), ვახტანგმა გადაწყვიტა ქართლის ეკლესიის სტრუქტურული რეორგანიზაცია, საკათალიკოსოს დაარსება და ამ ახლად დაარსებული საკათალიკოსოსთვის ავტოკეფალური უფლე-ბების მოპოვება. პირველ კათალიკოსად კი თავისი მეგობრის, პონტოელი ბერის, პეტრეს კურთხევა. რეფორმის სისრულეში მოყვანის შემდეგ, ქართლის მთავარეპისკოპოსი მიქაელი იერარქიულად ქართლის კათალიკოსზე - პეტრეზე ხდებოდა დაქვემდებარებული. სწორედ ამან გაამწარა და ამბოხებამდე მიიყვანა მიქაელი. მიქაელის ქართლიდან განდევნა 468 წ. თარიღდება.

აღეგზნა ბოროტი შურით ვითარცა იუდა პეტრეს მიმართ. იუდა ისკარიოტელი, ქრისტეს მოწაფე, რომელმაც გასცა ქრისტე; პეტრე, ქრისტეს საყვარელი მოწაფე, შემდგომში ქრისტიანობის გამავრცელებელი და მოციქული.

მისწერეს ანტიოქიის პატრიარქს..... ვუწყით, რომ ქართლი და აღმოსავლეთი და ჩრდილო თქვენი წმინდა ეკლესიისანი არიან. საკათალიკოსოს დაარსებამდე და ავტოკეფალიის (საეკლესიო თვითმმართველობის) მოპოვებამდე, ქართლის ეკლესიის იერარქიული დაქვემდებარების შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა თვალსაზრისი იყო გამოთქმული. ბოლო ხანებში დამაჯერებლად იქნა დასაბუთებული, რომ ქართლის ეკლესია ავტოკეფალიის მოპოვებამდე იერარქიულად ექვემდებარებოდა ანტიოქიის საპატრიარქოს. 451 წ. ქალკედონის მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ უპირატესი უფლებები მიიღო და „ახალ რომად" იქნა აღიარებული, მას დაექვემდებარა აღმოსავლეთის ეპარქიათა უმრაავლესობა. ამდენად ჯუანშერთან ზუსტადაა ასახული იმჟამინდელი ვითარება საეკლესიო მმართველობის სფეროში: ქართლის ეკლესია საკათალიკოსოდ გარდაქმნის უფლებას კონსტანტინეპოლის საპატრიარქოდან იღებს, რომელიც თვის მხრივ „შუამდგომლობს" მას ანტიოქიის პატრიარქთან. ამ უკანასკნელზე კი

უშუალოდ იყო დამოკიდებული გადაწყვეტილების მიღება ქართლის ეკლესიის, როგორც მისდამი დაქვემდებარებული ეკლესიის მიმართ.

გარდა საკათალიკოსოს დაარსებისა და მისთვის ავტოკეფალური უფლების მოპოვებისა, ვახტანგმა, ჯუანშერის მიხედვით, საფუძვლიანი საეკლესიო რეორგანიზაცია ჩაატარა ქართლში: მან 12 ეპარქია - საეპისკოპოსო კათედრა დააარსა, რისთვისაც ქვეყანაში გაიშალა მნიშვნელოვანი სააღმშენებლო მოღვაწეობა, აშენდა მთელი რიგი საეპარქიო ტაძრებისა. ახლადკურთხეული ქართლის პირველი კათალიკოსი, პეტრე, 12 ახლადკურთხეულ ეპისკოპოსთან ერთად მოვიდა ქართლში დაახლ. 468 - 69 წწ. რა თქმა უნდა, საეკლესიო მოღვაწეთა ეს დასი მხარს უჭერდა მეფის ხელისუფლების განმტკიცებას.

წმინდა რაჟდენი. ვახტანგ გორგასლის პირველი მეუღლის - ირანის შაჰის ასულის ბალანდუხტის აღმზრდელი. რაჟდენმა ქრისტიანობა მიიღო, რისთვისაც ის დაახლ. 460 წ. ირანელებმა აწამეს. ვახტაგმა მისი ნეშტი ნიქოზის კათედრალურ ტაძარში დაკრძალა. ქართულმა ეკლესიამ რაჟდენი წმინდანად შერაცხა. დაიწერა მისი ღვაწლისა და წაების ამსახველი ჰაგიოგრაფიული თხზულება.

მისი და ხვარამზე მისცა ცოლად ბაკურს, სომხითის პიტიახშს (იხ. აქვე, გვ.138).

ომის დაწყება ვახტანგ მეფესა და სპარსთა მეფეს შორის

მოკვდა ხუასრო და ავიდა ტახტზე მის ნაცვლად ძე მისი ხუასრო. აქ „ხუასრო" ზოგადი ტერმინია სასანიანთა დინასტიის ირანის შაჰების აღსანიშნავად. 484 წ. ჰუნ-ეფტალიტებთან ომში დამარცხდა და ბრძოლას შეეწირა ირანის შაჰი პეროზი (459-484 წწ.). პეროზის გარდაცვალების შემდეგ, ირანის ტახტზე ადის შაჰი ვალარში (484 -

488). ვალარში სუსტი მმართველი იყო და ამიერკავკასიის აჯანყებული ქვეყნების მიმართ მკაცრი ღონისძიებები არ გამოუყენებია, პირიქით, მთელ რიგ დათმობებზე წავიდა. ვითარება მკვეთრად შეიცვალა ირანის ახალი შაჰის კავად I-ის (488 - 531 წწ.) მმართველობის ხანაში. კავადმა 490 - 91 წწ. ომი განაახლა ბიზანტიასთან. ჯუანშერის მიხედვით, ამ მიზნით კავადს ელჩი გამოუგზავნია ვახტანგისთვის, ელჩის პირით მისთვის ბიზანტიის წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობა მოუთხოვია და ვახტანგის ასულის ცოლად შერთვის სურვილი გამოუთქვამს. ვახტანგს მისთვის მტკიცე უარი შეუთვლია და ირანელების დასახვედრად ლაშქრის სამზადისი დაუწყია.

გადავიდნენ კახეთს და გამაგრდნენ ლოპოტის ხევში... იყვნენ იმ ქვეყნის მკვიდრნი ცეცხლისა და წყლის მსახურნი. სხვა წყაროებითაც დასტურდება, რომ, ქართლის სამეფოს მიერ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების შემდეგაც, კახეთის ცალკეული რეგიონებისა და აგრეთვე ისტორიული ჰერეთის მოსახლეობა დიდხანს რჩებოდნენ წარმართებად. ლოპოტის ხევთან დაკავშირებით კი იხ. აქვე, გვ. 191-192.

მეორე მხარეს დააყენა პიტიახშები და სპასპეტი. სპასპეტი ქართლის სამეფოში მთავარსარდალი და ერისთავთა მთავარი იყო. ის ტრადიციულად იყო აგრეთვე ტახტის მემკვიდრის მამამძუძე (აღმზრდელი). სპასპეტის საგამგებლო მხარე იყო შიდა ქართლი.

პიტიახში. ქართლის სამეფოში აღნიშნულ სპარსულ სამოხელეო ტერმინს რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდა: 1. შეესატყვისებოდა ქართულ ტერმინს „ერისთავს" (ერისთავი, უძველესი ქართული ტერმინი, მომდინარეობს პირველყოფილი თემური წყობილების ხანიდან, როდესაც ის ერის, ანუ ჯარის მეთაურს აღნიშნავდა. სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგ, ერისთავი მეფის მოხელედ და სამხედრო-ადმინის-

ტრაციული ერთეულის, საერისთავო „ქვეყნის" გამგებლად გვევლინება. ამავე დროს ის სარდლობდა საერისთავოდან გამოყვანილ ლაშქარს), 2. „ქართლის პიტიახში"- მეფის მოხელე მთელი ქვეყნის მაშტაბით; 3. ირანელი პიტიახში, შაჰის წარმომადგენელი ქართლში (იხ. აგრეთვე გვ. 138).

მას ჟამსა ბერძენთა მეფე, სიმამრი ვახტანგისი, მოკვდა და დაჯდა მეფედ ზენონი. იმპერატორი ზენონი (474 - 491 წწ.) იყო იმპერატორ ლეონ I-ის სიძე (მისი ასულის არიადნას ქმარი) და არა ძე, როგორც ეს ჯუანშერს ჰგონია.

შეიბნენ ხუასრო და კეისარი კარნიფორას. აღნიშნული ბრძოლა ირანის შაჰ კავადსა და ბიზანტიის კეისარს ზენონს შორის, ისევე, როგორც ვახტანგის ბოლო ბრძოლა ივრის პირას და ვახტანგის გარდაცვალება 491 წლით თარიღდება და, როგორც ჩანს, საკუთრივ ზენონის გარდაცვალებას მცირე ხნით წინ უსწრებდა.

ჩემმა საგვარეულომ მოგანიჭათ ნათელი საუკუნო. ვახტანგი ამ სიტყვებით ხაზს უსვამს მისი საგვარეულოს, ანუ ფარნავაზიანთა საგვარეულოს დამსახურებას ქართლის სამეფოს გაქრისტიანების საქმეში.

უთხრა თავის ძეს დაჩის: ... შენთვის მომიცემია ჩემი სამეფო გვირგვინი, ხოლო შენი ძმებისთვის მიმიცია მათი წილი ქვეყანა. ვახტანგს, როგორც ჯუანშერი გვამცნობს, მეორე ცოლისგან, ბიზანტიის კეისრის ასულის ელენესგან, ჰყავდა ორი ვაჟი, ლეონი და მირდატი. მათ სამკვიდროდ (საუფლისწულოდ) გადასცა ვახტანგმა ქართლის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე სამი საერისთავო: წუნდის, კლარჯეთის და ოძრხის. გარდა ამისა, მათვე დარჩათ მათი დედის, ელენე დედოფლის მზითვში მიღებული მხარე, აფხაზეთის ნაწილი - ქვეყანა ეგრის წყალსა და კლისურას შორის. როგორც შემდგომ „ქართლის ცხოვრების" ტექსტიდან ვგებულობთ (იხ. „მეფობა დაჩისა,

ვახტანგ გორგასლის ძისა."), ლეონი ადრევე გარდაიცვალა და ამ მხარის ერთად-ერთი მფლობელი გახდა მირდატი. მირდატს დაჩიმ გაუცვალა ტერიტორია და აფხაზეთის სანაცვლოდ მას ჯავახეთი მისცა. ამდენად მირდატს დაექვემდებარა სამცხე, ჯავახეთი და კლარჯეთი, რაც ქართლის სამეფოს მთელი ტერიტორიის თითქმის მესამედს შეადგენდა.

მოკვდა ვახტანგი და დაიმარხა საკათალიკოსო ეკლესიაში. იგულისხმება სვეტიცხოვლის ტაძარი.

ცხოვრება ვახტანგ გორგასლის შემდგომთა მეფეთა

1, 2. მეფობა დაჩის, ვახტანგ გორგასლის ძის და ბაკურისა დაჩის ძის

მეფე დაჩი. ვახტანგ გორგასლის ძე პირველი ცოლის, ირანელი ქალის ბალანდუხტისაგან. დაიბადა დაახლ. 455 წ., გამეფდა 491 წ. და მეფობდა დაახლ. 15 წელი, ე.ი. გარდაიცვალა დაახლ. 506 წ. დაჩიმ განასრულა თბილისის ზღუდის მშენებლობა და აქცია ის, მამის ანდერძის თანახმად, ქართლის სამეფოს სატახტო ქალაქად, ანუ „ქართლის ცხოვრების" ენით რომ ვთქვათ, „სამეუფო სახლად". მცხეთა კი დარჩა კათალიკოსის სამყოფელ ქალაქად, „წმინდა დედაქალაქად".

მირდატი. დაჩის ნახევარძმა. ფლობდა სამ საერისთაოს: წუნდის, ოძრხის და კლარჯეთის. მას მეფე არ ეწოდებოდა არამედ - ერისთავთა მთავარი. ფორმალურად ქართლის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მყოფი ამ სამთავროს მთავარი, მირდატ ვახტანგის ძე, დაჩი ვახტანგის ძის პირველობას აღიარებდა, მაგრამ ფაქტიურად ქართლის

სამეფოდან მისი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის გამოყო-ფისათვის ნიადაგი უკვე მომზადებული იყო.

მეფე ბაკური დაჩის ძე. როგორც უკვე აღვნიშნეთ მეფე დაჩი გარდაცვალა დაახლ. 506 წლისთვის. ამდენად, ბაკური გამეფდა 506 წ. ბაკურს, როგორც ჩანს, ხანგრძლივად არ უმეფია. მატიანემ არაფერი შემოგვინახა მისი მეფობის შესახებ.

3, 4. მეფობა ფარსმან ბაკურის ძისა და მისი ძმისწულისა აგრეთვე ფარსმანისა

ფარსმან ბაკურის ძე. მეფობდა დაახლ. 526 წლამდე. ბაკურის ხანმოკლე მეფობის შემდეგ, მისი ძე ფარსმანი ახალგაზრდა ავიდა ტახტზე და შედარებით ხანგრძლივად იმეფა. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ მისი მეფობის პერიოდში ქართლში სამი კათალიკოსი გამოიცვალა: „მოკვდა კათალიკოსი სამოელ და დაჯდა კათალიკოსად თავფეჩაგ; მოკვდა თავფეჩაგ და დაჯდა კათალიკოსად ჩერმაგ". მისი მეფობის ხანაში ისევ გააქტიურდა ირანი. ირანის შაჰმა კავად I-მა (488 -531 წწ.) დაახლ. 518-20 წლებში ილაშქრა ქართლში (ეს ლაშქრობა, როგორც ჩანს, მოხდა გურგენის აჯანყებამდე - 523 წლამდე), რასაც ქართლში ირანის ბატონობის დამძიმება მოჰყვა. თუ ფარსმან მეფისთვის ქართლის მოსახლეობის ცეცხლთაყვანისცემაზე გადასვლა კავადს კატეგორიულად არ მოუთხოვია, გურგენისადმი წაყენებულ მოთხოვნებში ირანის შაჰი უკომპრომისო აღმოჩნდა: ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ცნობით, გურგენისაგან ირანის შაჰი კატეგორიულად ითხოვდა მაზდეანობაზე გადასვლას. ვინ იყო პროკოპი კესარიელთან იბერიის მეფედ დასახელებული გურგენი, როდესაც სხვა ბიზანტიელი ავტორების ცნობით (თეოფანე ჟამთააღმწერელი, იოანე მალალა) იბერიაში ძამანარძოსი და ქართული წყაროების მონაცემებით („ქართლის ცხოვრება", „მოქცევაი ქართლისა",

„შიო მღვიმელის ცხოვრება") ფარსმანები მეფობდნენ? ამ საკითხზე ქართლის სამეფოს ისტორიის მკვლევართა შორის ერთგვაროვანი აზრი არ იყო. გამოთქმულია მოსაზრება, რომ გურგენი იყო არა ქართლის მეფე, არამედ ბიზანტიის მოსაზღვრე, ქართლის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე სამი საერისთაოს მთავარი, მირდატ ვახტანგის ძის ჩამომავალი. ამას მხარს უჭერს, როგორც ჩანს, ის ფაქტიც რომ, ბიზანტიურ წყაროებში გურგენად წოდებული, 570-იანი წლების ირანის წინააღმდეგ მიმართული ქართლის აჯანყების მეთაური („ქართლის ცხოვრების" მიხედვით – გუარამი), აგრეთვე ფარნავაზიანთა კლარჯეთული შტოს წარმომადგენელია. ამდენად გურგენი სწორედ გორგასლიანთა კლარჯეთულ შტოში გავრცელებული სახელი ჩანს.

ამგვარად ირანის შაჰის კავადის მიერ შევიწროებული გურგენი 523 წ. აჯანყებულა ირანის წინააღმდეგ და თავისი სამფლობელო ბიზანტიისთვის დაუქვემდებარებია. როგორც ჩანს, ამ თავის მოქმედებაში გურგენი მარტო არ ყოფილა. ცოტა ხნით ადრე იგივე გზას დასდგომია ლაზთა (ეგრისის) მეფე წათე, რომელიც აგრეთვე განდგომია ირანის შაჰს, წასულა კონსტანტინოპოლში, დაქორწინებულა იქ ბერძენ ქალზე, მონათლულა და ბიზანტიის კეისრის იუსტინეს მფარველობაში შესულა. ამდენად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ წათე და გურგენი შეთანხმებულად მოქმედებდნენ და გამოხატავდნენ საქართველოს დასავლეთის და სამხრეთ დასავლეთის მხარეების ტრადიციულ პროდასავლურ ორიენტაციას, რაც ამ მხარეების რომაულ-ბიზანტიურ სამყაროსთან მჭიდრო კავშირებით იყო განპირობებული. ბიზანტიური წყაროები აღნიშნავენ, რომ წათეზე განრისხებული კავადი ლაზებზე აპირებდა გალაშქრებას, მაგრამ მას გურგენის აჯანყებამ ერთგვარად შეუშალა ხელი და ცოტა ხნით შეაფერხა. 528 წ. კი ირანელები ეგრისში შეიჭრენ, სადაც წათეს გარდა აქვე გამოქცეული გურგენიც ეგულებოდათ. აჯანყების დაწყებამდე გურგენი ბიზანტიის კეისარს დაკავშირებია და მისი დახმარების მოიმედე ყოფილა, მაგრამ, როგორც ბიზან-

ტიური წყაროები მოგვითხრობენ, ბიზანტიას მისთვის ქმედითი დახმარება ვერ აღმოუჩენია, რის გამოც გურგენი მთელი თავისი ოჯახით და მომხრეებით იძულებული გამხდარა ბიზანტიაში გადასახლებულიყო. ჯუანშერთან საკუთრივ გურგენის აჯანყებაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ, ქართლის სამეფოს ორ ნაწილად გახლეჩასა და სამხრეთ-დასავლეთით წარმოქმნილი ფაქტიურად დამოუკიდებელი ქართული სამთავროს პრობიზანტიური ორიენტაციის შესახებ მისი ცნობა, კარგად ასახავს იმჟამინდელ ვითარებას და ბერძნულ წყაროებზე უფრო ზუსტ ინფორმაციას გვაწვდის. ჯუანშერი აღნიშნავს, რომ ფარსმან ბაკურის ძის მეფობის ხანაში, ირანის შაჰის ქართლში ლაშქრობის შემდეგ: „დაჩის ჩამომავლები ემორჩილებოდნენ სპარსელებს, ხოლო მირდატის ჩამომავლები ბერძნებს."

532 წელს ირანსა და ბიზანტიას შორის დაიდო „უვადო ზავი", რითაც ფაქტიურად ისევ აღდგა 523 წლამდე არსებული საზღვრები. ყველაზე დიდი დავა ზავის დადების პერიოდში მიმდინარეობდა ბასიანში მდებარე ბოლო-ციხესა და აჭარის სამხრეთით მდებარე „ოქროსმადნიანი მთების" (პერანგის მთების) ირგვლივ, რომლებიც გურგენმა, როგორც ჩანს აჯანყების დაწყებისთანავე გადასცა ბიზანტიელებს. ყოველ შემთხვევაში ისინი ზავის დადების წინ ბიზანტიელებს ეპყრათ და ხოსრო მოითხოვდა მათ გადაცემას (ეს ფაქტიც მიუთითებს, თუ რომელ რეგიონში მიმდინარეობდა ირანის საწინააღმდეგო აჯანყება და შესაბამისად, იბერიის რომელი მხარის გამგებელი იყო გურგენი).

532 წ. ზავმა ვერ გადაწყვიტა ირან-ბიზანტიას შორის არსებული სადაო საკითხები, ამიტომ ორივე სახელმწიფომ მომავალი, გადამწყვეტი ომისთვის იწყო გამალებული მზადება. 526 წლისთვის, გარდაიცვალა, როგორც ჩანს, ქართლის მეფე ფარსმან ბაკურის ძე და ტახტზე ავიდა მისი ძმისწული, აგრეთვე ფარსმანი (ფარსმან VI. ბიზანტიელი ისტორიკოსი იოანე მალალა მას იხსენიებს 531 წლისთვის ძამანარძეს სახელწოდებით). ბიზანტიასთან გამალებული სა-

ომარი მოქმედებებისთვის მზადების პერიოდში, ირანის შაჰი კიდევ უფრო ზღუდავს ქართლის მეფის უფლებებს, რაც ახალ მეფეს ბიზანტიასთან კავშირის შეკვრისკენ უბიძგებს. ფარსმანის ასეთი განწყობით ბიზანტიის კეისარიც სარგებლობს და მას კავკასიის ჩრდილოეთით მცხოვრები ხასკუნთა ტომების (გამოთქმულია თვალსაზრისი მათი ჩერქეზებთან იდენტიფიკაციის შესახებ – ოსური გამოთქმით – კასგონ) წინააღმდეგ საერთო ლაშქრობას სთავაზობს.VI ს. ოცდაათიანი წლების შუა ხანებში ფარსმანის მიერ ხასკუნთა წინააღმდეგ მოწყობილი ძლევამოსილი ლაშქრობის შესახებ მოგვითხრობს „შიო მღვიმელის ცხოვრება", სადაც ვკითხულობთ: „...მიუძღვნა ნიჭი დიდი იუსტინიანოს ფარ-სმანს, ქართველთა მეფესა და ევედრა, რათა შეეწიოს მხედრობასა მისსა ყოვლითა ძალითა თვისითა და ბრძოლა უყოს ტასკუნთა. ისმინა უკუე ფარსმან ვედრება ბერძენთა მეფისა ... ... წარვიდა და შეწევნითა ღმრთისითა დაიმორჩილა ნათესავი იგი ტასკუნთა და მთავარნი მათნი ყოველნი შეპყრობილნი წარავლინა წინაშე იუსტინიანესა, მერმე მოიქცა თვისადვე სამეუფოდ."

ბიზანტიისადმი გაწეული ამგვარი სამსახურის შემდეგ, ფარსმანი თვით გაემგზავრა კოსტანტინოპოლში, სადაც ის დიდი ზეიმით და პატივით იქნა მიღებული. ირანთან მოახლოებული ომის წინ ფაქტია ბიზანტიის კეისარს, იუსტინიანეს (527- 565 წწ.), ამიერკავკასიაში ქართლის მეფის მოკავშირეობა ფრიად სასურველად მიაჩნდა. გარდა პოლიტიკური კავშირისა, ბიზანტიაში ყოფნისას ფარსმანმა მნიშვნელოვანი პრივილეგიები გამოითხოვა ქართული ეკლესიისთვის და მიიღო კიდეც. როგორც ჯუანშერი გვამცნობს: „ამ დროიდან აღარ მოჰყავდათ კათალიკოსი საბერძნეთიდან, არამედ ქართველები, წარჩინებული საგვარეულოებიდან, სხდებოდნენ კათალიკოსად."

ამით, შეიძლება ითქვას დასრულდა ქართული ეკლესიის თითქმის საუკუნოვანი ბრძოლა დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობისათვის. ვახტანგ გორგასლის მიერ წა-

მოწყებული ეს მნიშვნელოვანი საქმე VI-ს. 30-იანი წლების შუა ხანებში დაასრულა მისმა ჩამომავალმა ფარსმანმა.

ფარსმანის იუსტინიანესთან მოკავშირეობა-დამეგობრებას ირანის შაჰი ვერ შეეგუებოდა. ამდენად 540 წ., ბიზანტიასთან ომის დაწყებისთანავე, ის პირველ რიგში შეეცდებოდა ქართლის მეფის, ფარსმანის, მოცილებას, რაც განახორციელა კიდეც: „ევსტათე მცხეთელის მარტვილობაში" 40- იანი წლების დასაწყისისთვის ქართლის მეფე აღარ ჩანს. სავარაუდოა ხოსრო ანუშირვანმა ამ დროისთვის ქართლში მეფობა გააუქმა.

ამავე ფარსმანის მეფობაში მოვიდა შუამდინარეთიდან იოვანე, რომელსაც ეწოდა ზედაზნელი. აქ საუბარია ასურელ მამათა ქართლში მოსვლაზე. წყაროებში მათი რიცხვი თორმეტსა და ცამეტს შორის მერყეობს, მაგრამ სინამდვილეში, ისინი მეტნი უნდა ყოფილიყვნენ. სირიიდან მოსულმა მამებმა დიდი რელიგიურ-კულტურული საქმიანობა გააჩაღეს ქართლის სამეფოში. მათ ქრისტიანობა განამტკიცეს და გაავრცელეს ქვეყნის იმ მხარეეებში (განსაკუთრებით მთის მოსახლეობაში), სადაც წარმართობა ჯერ კიდევ მძლავრობდა. ასურელ მამათა ამ რელიგიურ-კულტურული მისიის სულისჩამდგმელი იყო იოანე ზედაზნელი. ისტორიამ შემოგვინახა ასურელ მამათა სახელები: შიო მღვიმელი, იოსებ ალავერ-დელი, ანტონ მარტყოფელი, თათე სტეფანმწმინდელი, პიროს ბრეთელი, იასე წილკნელი, ისიდორე სამთავნელი, მიქაელ ულუმბოელი, ზენონ იყალთოელი, ელია დიაკონი და სხვ.

5. მეფობა ბაკურისა, ფარსმანის ძისა. (ამბავი ვასქენისა და მისი ცოლისა წმინდისა შუშანიკისა)

ბაკურ ფარსმანის ძე. ჯუანშერის ცნობით, ფარსმანის შემდეგ, მეფობდა მისი ძე ბაკური, მაგრამ მემატიანემ მისი მეფობის შესახებ ფაქტიურად არაფერი იცის. თუ ის საერთოდ მეფობდა, მისი მეფობა ფრიად ხანმოკლე უნდა ყოფილიყო. ვარსქენის და შუშანიკის ამბის ბაკურის მეფობის პერიოდთან დაკავშირება კი ანაქრონიზმია და მემატიანის შეცდომას წარმოგვიჩენს: შუშანიკის წამებას ადგილი ჰქონდა ვახტანგ გორგასლის მეფობის ხანაში.

უმეფობის ხანა ქართლში

ქასრე ამბარვეზი. ირანის შაჰი (ხოსრო II ფარვიზი) 591-628 წწ. ტახტზე ავიდა მისი მამის ირანის შაჰის ჰორმიზდ IV-ის (579 - 590 წწ.) ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ. საინტერესოა, რომ ტახტზე ასვლის წინ ხოსრო ფარვიზი, ირანში დაწყებული არეულობის გამო, მართლაც გამორბის რანში, ბარდავში, საიდანაც ის ქართლისა და ამიერკავკასიის სხვა გამგებლებს მისი მხარდაჭერისკენ მოუწოდებს. ამდენად ჯუანშერი ამ შემთხვევაშიც სწორ ინფორმაციას გვაწვდის, თუმცა შეცდომით აკავშირებს ამ ამბებს ქართლში მეფობის გაუქმების პერიოდთან.

დაიწყო დიდი შფოთი სპარსეთში, რადგან შეიჭრა სპარსეთში თურქთა მეფე. თურქი ტომების შემოჭრას ირანში ადგილი ჰქონდა 588 წ.

მეფობა გუარამ კურაპალატისა. ქართლის სამეფოს განთავისუფლება სპარსთა ბატონობისაგან

გუარამ კურაპალატი. ბერძნული წყაროების გურგენი. ერისმთავრობდა ქართლში დაახლ. 579 - 590 წწ. შემორჩენილია მონეტა მისი ერისმთავრობის პერიოდში მოჭრილი წარწერით „გნ", რაც ადასტურებს, რომ მისი სახელი სინამდვილეში გურგენი იყო. შესაძლოა „გუარამი" გურგენ ერისმთავრის სახელის გვიანდელი სახეცვლილება იყოს და ბაგრტიონთა დინასტიის ფარნავაზიანთა დინასტიასთან დაკავშირების ცდას ასახავდეს. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით გუარამი ვახტანგ გორგასლის უმცროსი ძის, მირდატის დისწულია, ე.ი. ვახტანგ გორგასლის შთამომავალია (ბერძენი ცოლისაგან) ქალის ხაზით. უმეფობის ხანა, როგორც ჩანს, ქართლში დიდხანს არ გაგრძელებულა. აჯანყებამ ირანის წინააღმდეგ მთელი ამიერკავკასია მოიცვა. პირველმა გამოსვლამ იფეთქა სომხეთში 571 წ. ქართლში აჯანყებას გურგენ-გუარამი ედგა სათავეში. ქართველებმა დაამარცხეს ირანელი სარდალი გოლონ მიჰრი და დახმარება სთხოვეს ბიზანტიის კეისარს იუსტინე II-ს (565 - 578 წწ.). ბიზანტიელთა ჩარევა აჯანყებულთა მხარეზე, ირან-ბიზანტიის ახალ ომში გადაიზარდა. 579 წ. ჰორმიზდ IV შესძლო თავის მხარეზე გადაებირა აჯანყების მეთაურები, გურგენ-გუარამი კი ქართლის გამგებლად სცნო.

ბარამ ჩუბინი. ბაჰრამ ჩუბინი ჰორმიზდ IV-ის კარზე სახელგანთქმული სარდალი. 588 წ. მისი მეთაურობით ირანის ლაშქარმა დაამარცხა შუა აზიიდან შემოჭრილი თურქული ტომები.

ღმერთმა .... ახალი შუღლი ჩამოაგდო სპარსეთში. 588 წ. თურქებზე გამარჯვებით მოპოვებული დიდი სახელით გათამამებული **ბაჰრამ ჩუბინი** აუჯანყდა ჰორმიზდ

IV-ს, ჩამოაგდო ის ტახტიდან და თავი შაჰად გამოაცხადა. ბაპრამ ჩუბინის წინააღმდეგ ბრძოლასა და ტახტის დაბრუნებაში ჰორმიზდის ვაჟს, ხოსრო II ფარვიზს („ქართლის ცხოვრების" მიხედვით ქასრე ამბარვეზს) დაეხმარა ბიზანტიის კეისარი მავრიკიოსი (582-602 წწ.). მან თავისი ასული მიათხოვა ბიზანტიაში თავშეფარებულ ირანელ უფლისწულს და ჯარიც მიაშველა, ბაპრამ ჩუბინის წინააღმდეგ საბრძოლველად. ტახტზე ასვლის შემდეგ, ხოსრომ ზავი დადო ბიზანტიასთან (591 წ.) და მადლიერების ნიშნად მნიშვნელოვანი ტერი-ტორიები დაუთმო. მათ შორის ქართლიც ბიზანტიელთა მფარველობის ქვეშ მოექცა.

ეკლესია ჯვრისა პატიოსნისა. იგულისხმება მცხეთის ჯვრის ტაძარი.

7. ქართლის ერისთავთა მთავარი სტეფანოზი ძე გუარამ კურაპალატისა

სტეფანოზ ერისმთავარი, გურგენ-გუარამის ძე. ერისმთავრობდა დაახლ. 591-602/03 წწ. მისი ერისმთავრობის პერიოდში ქართლის სამეფო მნიშვნელოვნად გაძლიერდა. ინტენსიურად მიმდინარეობდა დედაქალაქის, თბილისის გაფართოება-გამაგრება. მისივე მმართველობის დროს აშენდა მცხეთის ჯვრის ტაძარი. სტეფანოზ ერის-მთავრის რელიეფური გამოსახულება შემორჩენილია ტაძრის აღმოს. ფასადზე. „ქართლის ცხოვრება" სტეფანოზს ურწმუნოს უწოდებს, რაც, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეესაბამება. სტეფანოზის „ურწმუნო" პიროვნებად დახასია-თების მიზეზი გარკვეულია ქართულ ისტორიოგრაფიაში და შიომღვიმის მონასტრის მიმართ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით აიხსნება: იმის გამო, რომ შიო მღვიმის მონასტრის ბერებმა სათანადო, „მეფური" პატივით არ მიიღეს სტეფანოზი, განრისხებულმა ქართლის ერისმთავარმა მონასტერს წაართვა ფარსმან მეფის მიერ შეწირული ორი აგარაკი.

მის ზეობაში დიდმა შფოთმა მოიცვა საბერძნეთი: მავრიკ კეისარს განუდგა მხედარი ფოკა. ფოკა ბიზანტიელი სარდალი. მან 602 წელს ტახტდან ჩამოაგდო კეისარი მავრიკიოსი და თავი იმპერატორად გამოაცხადა (602 – 610 წწ.). ეს ირან-ბიზანტიის ახალი ომის საბაბი გახდა: ირანის შაჰი ხოსრო II, ვითომდა თავისი სიმამრის ტახტიდან ჩამოგდებისა და მკვლელობისთვის შურისძიების მიზნით, შეიჭრა ბიზანტიაში. მან თავდაპირველად დიდ წარმატებასაც მიაღწია. ირანელთა წინსვლის შეჩერება და ომში ძირეული გარდატეხის შეტანა მხოლოდ ჰერაკლე კეისარმა შეძლო (610-641 წწ.).

შეიპყრო იგი (იგულისხმება ირანის შაჰი ხოსრო II) **საკუთარმა ვაჟმა და ჩააგდო საპყრობილეში.** 628 წ. ბიზანტიასთან განცდილი მარცხის გამო, ირანის დედაქალაქში ქტეზიფონში, მოხდა გადატრიალება ხოსრო II -ის ვაჟის კავადის მეთაურობით. ხოსრო II ტახტიდან ჩამოაგდეს და მოკლეს. ჯუანშერი ხოსროს ასეთ სიკვდილს, ქ. იერუსალემის აღების გამო, მასზე დატეხილ ღვთის რისხვად მიიჩნევს.

შემდგომად რამდენიმე წლისა, გამოჩნდა საბერძნეთში კაცი..... სახელად ერაკლე. ჰერაკლე კეისარი, ბიზანტიის იმპერატორი 610-641 წწ. მან, ფლოტზე და სახმელეთო ლაშქარზე დაყრდნობით, აიღო კონსტანტი-ნოპოლი, ტახტიდან ჩამოაგდო და სიკვდილით დასაჯა ფოკა და თავი კეისრად გამოაცხადა.

ერაკლემ მოიყვანა დასავლეთიდან თურქები. კასპიის ზღვასა და ჩინეთს შორის VI ს-ში წარმოიქმნა მომთაბარე თურქულ ტომთა გაერთიანება - თურქული ხაკანატი. 588 წ. თურქული ხაკანატი დაიშალა ორ ნაწილად: აღმოსავლეთის და დასავლეთის ხაკანატებად. ხაკანატის სათავეში მდგომ პირს ეწოდებოდა ხაკანი. დასავლეთის ხაკანატი შუა აზიისა და ვოლგისპირეთის ტერიტორიას მოიცავდა. ამდენად, „ქართლის ცხოვრებამ" შემოგვინახა უნიკალური ცნობა ბიზანტიის იმპერატორის, ჰერაკლეს კავშირის შესახებ დასავლეთის თურქებთან, მათი დარუბანდით შემოყვანი-

სა და თბილისის ალყაში გამოყენების შესახებ. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით საქართველოში მოსულ თურქთა ლაშქარს სათავეში ედგა ჯიბღა (ჯიბღუ). ჯიბღუ-იაბღუ კი, ხაკანის შემდეგ მეორე პირის სახელწოდება იყო თურქთა ხაკანატში.

ჰერაკლე კეისარმა თურქებთან ერთად ორჯერ შემოარტყა ალყა თბილისს: 627, 628 წწ. 628 წ. აპრილში, მამის მოკვლის შემდეგ, კავადმა ზავი დადო ბიზანტიის იმპერატორთან, რის შემდეგაც ბრძოლა თბილისის შენარჩუნებისთვის განწირული იყო. შემოდგომაზე ქალაქი თურქებმა (სხვა წყაროები ასახელებენ ხაზარებს. საქმე ისაა, რომ ხაზარები აღნიშნული პერიოდისთვის დასავლეთ თურქთა სახელმწიფო გაერთიანებაში შედიოდნენ. ამდენად ჯუანშერი საკმაოდ ზუსტად ასახავს არსებულ ვითარებას) აიღეს და გაძარცვეს.

„ქართლის ცხოვრება" 627-28 წწ. თბილისისთვის ბრძოლებში ქართლის ერისმთავრად ასახელებს სტეფანოზს, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. სომხურ საისტორიო წყაროში, „ეპისტოლეთა წიგნში", რომელშიც შესულია სომეხ-ქართველთა 606-608 წწ. საეკლესიო განხეთქილების ამსახველი წერილები, ქართლის ერისმთავრად მოხსენებულია ადარნასე. მცხეთის ჯვრის ცნობილ წარწერაში ადარნასე ვიპატოსის ტიტულით (ბიზანტიის საიმპერატორო კარზე არსებული ტიტული) სტეფანოზის შვილად გვევლინება. ამდენად, ჰერაკლეს მიერ თბილისის აღების დროს, სტეფანოზი უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი იყო და ერისმთავრობა მის ძეს ადარნასეს ეპყრა.

თბილისის აღების დროს იბერთა მთავრის („არხონ"-ის) ტყვედ ჩავარდნის შესახებ გვამცნობს VIII ს-ის მიწურულისა და IX ს-ის დასაწყისის ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოფანე ჟამთააღმწერელი (ქრონოგრაფი), რომელიც ამ მთავარს უწოდებს ვარსამუსას (ვარსამუშა). აშკარაა, რომ ის იყო ირანელების მომხრე ერთ-ერთი ქართველი წარჩინებული, რომელიც, ირანელებთან ერთად, იცავდა თბილისს

ბიზანტიელებისა და თურქებისგან და ტყვედ ჩავარდა ამ ბრძოლაში (თუმცა ბიზანტიური წყარო არაფერს ამბობს მისი დაღუპვის შესახებ). შესაძლოა ჯუანშერისთვისაც ცნობილი იყო, რომ თბილისის აღების დროს დაიღუპა ერთ-ერთი ქართველი მთავარი და მან ის მიიჩნია ერისმთავრად. მაგრამ, რადგან ჯუანშერი ამ დროის ქართლის ერისმთავრად შეცდომით თვლიდა სტეფანოზს, ამიტომ, გააიგივა დაღუპული მთავარი სტეფანოზ ერისმთავართან.

დანიელის წიგნი. დანიელი ერთ-ერთი ბიბლიური წინასწარმეტყველი. ბიბლიური ტრადიციის თანახმად, ცხოვრობდა ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორ II -ის ხანაში (ძვ.წ. 604-562 წწ.). მას მიეწერება სამნაწილიანი წიგნი „წინასწარმეტყველება დანიელისა"

8. მთავარი ქართლისა ადარნასე

ადარნასე ერისმთავარი. ქართლის ერისმთავარი სტეფანოზ I-ის შემდეგ, დაახლ. 605/6 წლიდან. „ქართლის ცხოვრებისა" და „მოქცევაი ქართლისაის" ქრონიკის გარდა. მოიხსენიება „ეპისტოლეთა წიგნში" და მცხეთის ჯვრის წარწერებში. „ქართლის ცხოვრებაში" ადარნასე შეცდომითაა მიჩნეული გორგასლიანთა კახური შტოს (დაჩის) შთამომავალ, ბაკურის ძედ. სინამდვილეში ის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტეფანოზ I-ის ძე იყო. ამ თვალსაზრისს, გარდა მცხეთის ჯვრის წარწერებისა, მხარს უჭერს თუნდაც მისი ვაჟის, ადარნასეს მომდევნო ქართლის ერისმთავრის, სახელი – სტეფანოზი (სტეფანოზ II), რომელსაც, ტრადიციისამებრ, პაპის სახელი ერქვა. „ქართლის ცხოვრების" სომხურ თარგმანში, სადაც ხშირად შემოკლებულია ცალკეული ცნობები, ეს ადგილიც შემოკლებულად არის თარგმნილი: აღნიშნულია, რომ ადარნასე იყო დაჩის გვარიდან და აღარაა დაკონკრეტებული, რომ ის იყო გორგასლის შთამომავალი და ბაკურის ძე. ჯუანშერის შეცდომა ადარნასეს წარმომავლობა-

ზე უნდა აიხსნებოდეს მისი სურვილით – დაუკავშიროს ის სამეფო დინასტიას.

ერაკლე მეფე კი შევიდა სპარსეთს, მოკლა ხოსრო მეფე. როგორც ჩანს, „ქართლის ცხოვრების" ტექსტი თავდაპირველად ამ ცნობას არ შეიცავდა. რაზეც ორი გარემოება მიგვანიშნებს: 1. ტექსტში ჯუანშერი ხოსრო II-ის მიმართ ყველგან ხმარობს „ქასრეს". ეს ადგილი ერთადერთი შემთხვევაა „ხოსროს" ხმარებისა; 2. ჰერაკლე კეისარს არ მოუკლავს ხოსრო, ის მისი ვაჟის მეთაურობით განხორციელებული გადატრიალების მსხვერპლი გახდა (იხ. აქვე, განმარტებები, გვ. 156.). წინა გვერდზე ჯუანშერი იძლევა სწორ ინფორმაციას ხოსროს დაღუპვასთან დაკავშირებით (იხ. აქვე, გვ. 75.). ერთიდაიგივე ავტორს ძნელი წარმოსადგენია ხოსროს სიკვდილის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია მოეწოდებინა.

ერეკლე მეფემ მძლავრობით წაიღო მანგლისისა და ერუშეთის ეკლესიებიდან ფეხთაფიცარნი...., რომლებიც მიეცა მირიან მეფისათვის კონსტანტინე კეისარს. აქ საუბარია იმ წმინდა რელიკვიებზე (ფიცარი, რომელზედაც ქრისტე იყო მიჭედილი და ლურსმნები, რომლითაც ის იყო მიჭედილი), რომლებიც „ნინოს მიერ ქართლის მოქცევის" მიხედვით, ქართლის მკვიდრთ, მათი გაქრისტიანებით გახარებულებმა, გამოუგზავნეს კონსტანტინე კეისარმა და ელენე დედოფალმა (იხ. წიგნი I, გვ. 74.).

9. მთავარი ქართლისა სტეფანოზი ადარნასეს ძე

სტეფანოზ II, ერისმთავარი. გამგებლობდა ქართლში VII ს. შუა წლებში. მისი ერისმთავრობის დროს გამოჩნდნენ არაბები ამიერკავკასიასა და საქართველოში. კერძოდ, ქართლის სამეფო დალაშქრა არაბმა სარდალმა ჰაბიბ-იბნ-მასლამამ. ამ ლაშქრობის შედეგად ქართლის ერისმთავარ სტეფანოზსა და ჰაბიბ-იბნ-მასლამას შორის დაიდო ხელშეკრულება – „დაცვის სიგელი", რომელიც სახალიფოზე ქართლის სამეფოს ვასალურ დამოკიდებულებას გულისხმობდა.

დიდი პარასკევი. იგულისხმება ქრისტიანული დღესასწაული

საკათალიკოსოში ხდება შეკრება ყოველ პარასკევს. იგულისხმება მცხეთის საკათალიკოსო ტაძარი, ანუ სვეტიცხოვლის ტაძარი.

დიდი ხუთშაბათი. ქრისტიანული დღესასწაული.

ხოლო მცხეთის საეპისკოპოსოში ხდება შეკრება...იგულისხმება სამთავროს ტაძარი, რომელიც იყო მცხეთის ეპარქიის საეპიკოპოსო საყდარი.

პირველ მოწამე სტეფანესი და ყველა იმ მოწამისა, რომელიც აწამეს სპარსთა დიდი მძლავრობის ჟამს. „მოქცევაი ქართლისას" მიხედვით „სპარსთა დიდი მძლავრობის ხანა" მთავრდება ჰერაკლე კეისრის მიერ თბილისის აღებით, ანუ 628 წ.. მის დასაწყისად კი მიჩნეულია ფოკას მიერ კეისარი მავრიკიოსის მოკვლის შემდეგ, ხოსრო II ფარვიზის მიერ დაწყებული ფართო მაშტაბიანი შეტევა ბიზანტიის იმპერიისა და მისი ქვეშევრდომი ქვეყნების (მათ შორის ქართლის) წინააღმდეგ. 602 წ. ბიზანტიასთან საომარი მოქმედებების დაწყებასთან ერთად, ხოსრომ წამოიწყო ირანელი წარმოშობის ქრისტიანთა საყოველთაო დევნა. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ამ ანტიქრისტიანული

კომპანიის პირველი მსხვერპლი ქართლში გამხდარა ვინმე სტეფანე, ამიტომ უწოდებს მას მემატიანე „პირველმოწამეს".

აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსი. ერთ-ერთი იმ ასურელ მამათაგანი, რომლებიც მოვიდნენ ქართლში VI ს. შუა წლებში (იხ. აქვე, განმარტებები, გვ., 151-152).

მოჰამედი ჩამომავალი ისმაელისა. მაჰმადი – ისლამის რელიგიური მოძღვრების შემქმნელი. დაიბადა დაახლ. 570 წ., არაბეთის ნახ. კუნძულის ქ. მექაში, გარდაიცვალა 632 წ. ქ. მედინაში. წარმოშობით იყო არაბული კურაიშიტთა ტომის ბანუჰაშიმის გვარიდან. გადმოცემის მიხედვით, მას 610 წ. მთავარანგელოზმა ჯიბრაელმა (გაბრიელი) ქ. მექის ახლოს ჰირის მთაზე უკარნახა წმინდა წიგნი „ყურანი" და დაავალა ხალხისთვის მისი გაცნობა. მუჰამედმა შესძლო ახალი რელიგიური მოძღვრების ირგვლივ არაბი ტომების გაერთიანება და ისლამური, თეოკრატიული სახელმწიფოს შექმნა. როდესაც „ქართლის ცხოვრების" მემატიანე აღნიშნავს, **რომ მოჰამედი ჩამომავალია ისმაელისა**, გულისხმობს ბიბლიურ გადმოცემას, იმის შესახებ, რომ საერთოდ არაბი ხალხი სათავეს იღებს ებრაელთა ლეგენდარული წინაპრის აბრაამის ვაჟის ისმაელისაგან, რომელიც აბრაამს ეყოლა ეგვიპტელი მხევალი ქალის აგარისაგან. აქედანვე წარმოსდგება არაბთა კიდევ ერთი სახელწოდება – აგარიანები.

აბობაქარი. იგივე აბუბექრი, იყო მაჰმადის (მუჰამედი) გარდაცვალების შემდეგ, ისლამური თემის მიერ არჩეული პირველი ხალიფა (ხალიფა ნიშნავს მუჰამედის მოადგილეს დედამიწაზე). მისი ხალიფობის პერიოდში (632-634 წწ.), არაბები იწყებენ პირველ დაპყრობით ლაშქრობებს: 633 წ. შეიჭრენ ირანში, ხოლო 634 წ. პალესტინაში.

დაიპყრო აბობაქარ აგარიანმა სპარსეთი...შევიდა ბაღდადს. აბუბექრთან დაკავშირებით ქ. ბაღდადის ხსენება

ანაქრონიზმია. არაბული ქ. ბაღდადი დაარსა ჰალიფა მანსურმა 762 წ. და აქცია სახალიფოს დედაქალაქად.

სარკინოზი – სარას ძაღლი. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სიტყვა „სარკინოზის" ბერძნულ გააზრებასთან. სარა – აბრაამის მეუღლე, ხოლო „კინ" ნიშნავს ბერძნულად ძაღლს.

ჰერმეს ტრისმეჯისტონის წიგნები. ჰერმეს ტრისმეჯისტონი, ანუ ჰერმეს სამგზის დიდებული. დაკავშირებულია ბერძენთა ღვთაება ჰერმესთან, რომელიც მიჩნეულია იყო ყოველგვარი საიდუმლო მოძღვრების მფარველად. მისი სახელით ცნობილ წიგნებში ის გვევლინება არა ღვთაებად, არამედ ბრძენ ადამიანად, რომელიც ღებულობს საიდუმლო მოძღვრებას ღვთისაგან და გადასცემს მას კაცობრიობას. ამ წიგნებში გადმოცემულია თეოსოფია, ასტროლოგია, ასოების, საუკუნეთა, შვიდეულის და მისი დღეების კაბალისტიკური ახსნა-განმარტებები.

სანამ არ გაივლიან შვიდნი შვიდეულნი. ტექსტიდან ჩანს რომ მემატიანისთვის ცნობილია იმ ჟამად მოარული ახსნა ჰერმეს ტრისმეჯისტონის წიგნების მეშვეობით არაბთა ბატონობისთვის განკუთვნილი პერიოდისა, ანუ შვიდი შვიდეულისა, რომელიც, „ქართლის ცხოვრების" ტექსტის მიხედვით უდრიდა ვითომდა ორასორმოცდაათ წელს.

10. მეფე მირი, ძე სტეფანოზ მთავრისა. არაბთა მიერ ქართლის სამეფოს დალაშქვრა.

მეფე მირი. ქართლის ერისმთავარი, ძე სტეფანოზ II-ის. ერისმთავრობდა ქართლის სამეფოში VII ს-ის II ნახევარში. მისი ძმა არჩილი კი ერისმთავრობდა VII ს-ის ბოლოსა და VIII ს-ის დასაწყისში. ამავე პერიოდში ბიზანტიის მძლავრობით შეწუხებულმა ლაზთა სახელმწიფოს („ქართლის ცხოვრების" მიხედვით ეგრისი) მმართველმა სერგი

ბარნუკისძემ თავისი ქვეყანა არაბებს დაუქვემდებარა (697 წ.). ეს დაქვემდებარება, სავარაუდოა, ქართლის ერისმთავართა მეშვეობით ხორციელდებოდა. ამდენად, „ქართლის ცხოვრების" ცნობები ბარნუკისა და არჩილის ეგრისში მოღვაწეობისა და იქაური საქმეების განგებისა, არ უნდა იყოს რეალობას მოკლებული.

აგარიანი იხ. გვ. 161.

მურვან ყრუ ძე მომადისი. არაბი სარდალი მერვან იბნ მუჰამედი. სახალიფოს მიერ სპეციალურად გამოგზავნილი კავკასიის ჩრდილოეთით მდებარე ხაზართა სახელმწიფოს წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც ეცილებოდა არაბებს ამიერკავკასიას. ხაზარებთან წარმატების მისაღწევად მურვან ყრუს ესაჭიროებოდა ზურგის გამაგრება, ანუ ამიერკავკასიის და მათ შორის ქართული ქვეყნების მტკიცედ დამორჩილება. მის ლაშქრობებს, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ადგილი ჰქონდათ 735-37 წწ. და გამოირჩეოდნენ უკიდურესი სისასტიკით. ამ სისასტიკიდან და შეუბრალებლობიდან მომდინარეობს მერვანის ქართული მეტსახელი „ყრუ".

მურვან ყრუს ლაშქრობების შედეგად შეიცვალა ქართლში არაბების ბატონობის ხასიათი: შეიქმნა თბილისის საამირო (საამირო მომდინარეობს არაბული სიტყვიდან ამირა – პროვინციის, მხარის მმართველი-გამგებელი), რომელიც ადმინისტრაციულად ექვემდებარებოდა დვინის ვალს. ამგვარად ქართლის სამეფო სახალიფოსადმი ვასალურად დაქვემდებარებული ქვეყნიდან მის პროვინციად იქცა.

ხალიფა. არაბთა სახელმწიფოს მმართველი, გაიაზრებოდა, როგორც მუჰამედის მოადგილე დედამიწაზე. თავდაპირველად, მუჰამედის გაარდაცვალების შემდეგ, ეს თანამდებობა არჩევითი იყო. ხალიფას ირჩევდნენ მუჰამედის უახლოეს თანამოაზრეთა და თანამებრძოლთა წრიდან. ხალიფა ალის (მუჰამედის სიძე) მოკვლის შემდეგ 661 წ. ხალიფას ტახტი ხელში ჩაიგდო მუავიამ ომაიანთა საგვარეულოდან.

ეს საგვარეულო სახალიფოს მართავდა 661-750 წწ. შემდგომ ხალიფას ტახტი დაიმკვიდრა აბასიანთა საგვარეულომ. არაბთა სახელმწიფოში – სახალიფოში, ხალიფა აერთიანებდა უმაღლეს სასულიერო და საერო მმართველობას. ამდენად, სახალიფო თეოკრატიული სახელმწიფო იყო.

ეშიმი ამირმუმლი ბაღდადელი. ხალიფა ჰიშამი, ძე აბდალ-მალიქისა (724-743 წწ.)

ჰიტიახში იხ. აქვე, გვ. 138.

კეისრის ერისთავი ლეონი. საუბარია აფხაზთა მთავარ ლეონ I-ზე, რომელიც, „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, გვევლინება ბიზანტიის მოხელე-გამგებლად. ტერმინი „ერისთავი", აქ სწორედ ამ მნიშვნელობითაა ნახმარი – ბიზანტიის მიერ დანიშნული მხარის გამგებელი.

საგანძურისას, რომელიც შეძენილია ღმრთივ განბრძნობილი მეფეების მირიანის, ვახტანგის და მათი შვილების მიერ. იგულისხმება ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი, დაახლ. III–ს-ის ბოლო – IV ს-ის I ნახ. და ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი V ს-ის II ნახ.

მოგვთხოვს აგრეთვე იმ განძს, რომელიც დამალა ერაკლე მეფემ. **იგულისხმება ბიზანტიის კეისარი ჰერაკლე (610-641 წწ.).**

ქართველთა და აფხაზთა მიერ სარკინოზთა ძლევა.

სარკინოზი. იხ. გვ. 162.

ტაძრეული. მეფის, მთავრის სასახლის - ტაძრის მოხელე-მსახურები, რომლებიც ლაშქრობის შემთხვევაში პატრონის გვარდიას შეადგენდნენ.

აბრაამი და აგარი. იხ. აქვე, გვ 161.

ყურანი. მუსლიმთა საღმრთო წიგნი, დაწერილი მაჰმადის მიერ ღვთის შთაგონებით.

ლეონ აფხაზთა ერისთავი. იხ. აქვე, გვ. 164 - კეისრის ერისთავი ლეონი.

მეორედ, როცა შემუსვრას გადაარჩინეს დიდი ქალაქი პონტოსი. იგულისხმება ვახტანგ გორგასლის ლაშქრობა ბიზანტიაში, სპარსელებთან ერთად, როცა მან ალყა მოხსნა პონტოს ქალაქს და გადაარჩინა სპარსელების მიერ შემუსვრას (იხ. აქვე, ტექსტი, გვ. 33, განმარტებები, გვ. 124).

ნებროთის შვილთა შორის წარჩინებულ ყვნა ღმერთმა ესენი. იგულისხმებიან ქართველები. მემატიანე აქ ასახავს თვალსაზრისს, რომ ქართველები იყვნენ შთამომავლები ნებროთისა, „რომელი იყო პირველი მეფე ყოვლისა ქვეყანისა" (ქ. ცხ., I, გვ. 6).

სანამ არ გაივლის მათი ბატონობისთვის განკუთვნილი სამასი წელი. მემატიანე აქ განსაზღვრავს არაბთა ბატონობისათვის განგების მიერ განკუთვნილ ვადას 300 წელს. ეს „წინასნარმეტყველება" კეისრის მიერ წარმოთქმული ღვთის ჩაგონებით, აფიქრებინებს მკვლევარებს, რომ მატიანის ავტორი ჯუანშერი ცხოვრობდა XI ს-ში, როცა უკვე დასრულებული იყო არაბთა ბატონობა და ამდენად, ცნობილი იყო ამ ბატონობის ხანგრძლივობაც. ამ „წინასწარმეტყველების" ავტორი ალბათ, მართლაც, XI ს-ში ცხოვრობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს იყო არა თვით ჯუანშერი, არამედ – მისი თხზულების გვიანდელი რედაქტორი.

შენთვის კი მიბოძებია ერისთავობა აფხაზეთისა... მაგრამ კეთილად უნდა ემსახურო და პატივი სცე ქართლის მეფეებს და მათ ერს. ამიერიდან აღარ ხელგეწიფება მათი და მათი მიწა-წყლის ვნება ეგრისში. მემატიანე აქ ცდილობს ხაზი გაუსვას ქართლის ერისმთავართა ლეგი-

ტიმურ უფლებას ეგრისის მფლობელობაზე. აქ გამოსჭვივის აგრეთვე აფხაზთა მთავრის ბისწრაფება, ბიზანტიაზე დაყრდნობით, გაბატონდეს ეგრისში, რისთვისაც ისინი ებრძვიან ქართლის ერისმთავრებს.

საუხუცესო. სამეფო დინასტიაში, დიდებულთა საგვარეულოში, ან საგვარეულოს ცალკეულ ოჯახში უფროსი წევრის წილი. ტექსტში დას. საქართველოს მხარეები დასახელებულია ქართლის ერისმთავრის „საუხუცესოდ", რითაც მემატიანეს სურს კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვას, რომ ქართლის ერისმთავარი არა მარტო განაგებდა დას. საქართველოს, არამედ ის (აფხაზთა საერისთავოს გამოკლებით) შეადგენდა მის დომენს – „საუხუცესოს". მომაკვდავი მირი არჩილს სთხოვს მათი მამა გადაასვენოს ქუთაისის საყდარში, რითაც განამტკიცებს დას. საქართველოში (ეგრისში) მათი საგვარეულოს მფლობელობის მემკვიდრეობით უფლებას".

ზემო ეკლესია მცხეთაში. იგულისხმება სამთავროს საყდარი.

11. მეფე არჩილი ძე სტეფანოზისა, ძმა მირისა

მეფე არჩილი. ქართლის ერისმთავარი, მისი ძმის – მირის შემდეგ, ძე სტეფანოზ II-ისა. ჯუანშერი ქართლის ერისმთავრებს ხან მთავრებს უწოდებს, ხან მეფეებს, განსხვავებით „მოქცევაი ქართლისაგან", სადაც ყველა მათგანი ერისთავად მოიხსენიება და მათი გამგებლობა მკვეთრად გამიჯნულია მეფობის პერიოდიდან. ჯუანშერი პირველ ერისმთავარს გუარამს კვლავ მეფეს უწოდებს და ამრიგად, მიიჩნევს, რომ გუარამით აღდგა ქართლში მფობა, თუმცა, ხაზს უსვამს მისი ხელისუფლების განსხვავებას ქართლის ადრინდელი მეფეებისგან: აღნიშნავს, რომ ის იყო კეისრის ვასალი

კურაპალატი და არ შეეძლო ერისთავთა გადაყენება, რომ-ლებიც ამრიგად, მისი მოხელეები კი აღარ იყვნენ, არამედ – მხარის მემკვიდრეობით გამგებლები. ჯუანშერმავე იხმარა პირველად პოლიტიკური ტერმინი – „ერისთავთა მთავარი", რითაც მიგვანიშნა, რომ აღდგენილი ქართლის საახელმწი-ფოს მეთაური ქვეყნის ერთპიროვნული გამგებელი კი აღარ იყო, როგორც ადრე, არამედ – „პირველი თანასწორთა (ერისთავთა) შორის". ჯუანშერის მიერ შემოღებული აღნიშ-ნული ტერმინიდან გაჩნდა სამეცნიერო ლიტერატურაში ტექ-ნიკური ტერმინი – „ერისმთავარი", აღდგენილი ქართლის სახელმწიფოს მეთაურის აღსანიშნავად. საერთოდ, ძველ ქართლში მეფე მთავარიცაა. ის მთავრობს, ე.ი. განაგებს ქვეყანას. ეს კარგად ჩანს ჯუანშერის თხზულებაში ვახტანგ გორგასალთან დაკავშირებით, რომელშიც აღნიშნულია, რომ ის მთავრობს თავის სამეფოში (ქართ. ცხ., I, გვ.197). მი-რიც და არჩილიც ჯუანშერთან მეფეებად იწოდებიან, ხოლო მათ მამაზე – სტეფანოზ II-ზე აღნიშნულია, რომ ის იყო „უმეტეს ყოველთა ქართლის მეფეთა და მთავართა" (ქართ. ცხ. I, გვ. 228).

არჩილის ერისმთავრობის დროზე მკვლევართა შორის თვალსაზრისები მერყეობს VII ს-ის ბოლოდან VIII ს-ის ბო-ლომდე. ეს გამოწვეულია „ქართლის ცხოვრებაში" არჩილის ცხოვრების სამნაირი დათარიღებით: 1. ჯუანშერი, მისი თხზულების გვიანდელ რედაქტირებამდე მირსა და არჩილს მიიჩნევს VII ს-ის შუა წლების ერისმთავრის სტეფანოზ II-ის ძეებად; 2. ჯუანშერის გვიანდელ რედაქტორს მირისა და არჩილის ცხოვრება გადააქვს მურვან ყრუს შემოსევის (735-737 წწ.), ხანაში. 3. ლეონტი მროველის "არჩილის წამება-ში" კი არჩილი მურვან-ყრუს შემოსევიდან 50 წლის შემ-დგომი ხანის (ე.ი. VIII ს-ის მიწურულის) მოღვაწედ ჩანს.

რადგან ჯუანშერის თხზულებაში, მის გვიანდელ რე-დაქტირებამდე, მირი და არჩილი სტეფანოზ II-ის ძეებად იხსენიებიან, ხოლო მურვან ყრუს შემოსევის ხანასთან მათი

დაკავშირება აშკარა ანაქრონიზმად ჩანს, ამდენად, არჩილის ერისმთავრობა უნდა დათარიღდეს VII ს-ის II ნახევრიდან VIII ს-ის დასაწყისამდე. XVIII ს-ის ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი ამ დროს განსაზღვრავს 668-718 წლებით (როგორც ჩანს, ჯუანშერზე დაყრდნობით).

ჯუანშერის ტექსტში ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული ქრონოლოგიური შეუსაბამობა გვაფიქრებინებს, რომ ეს ტექსტი თავდაპირველად მთავრდებოდა სტეფანოზ II-ის ერისმთავრობით, ხოლო სტეფანოზის ძეების – მირისა და არჩილის ცხოვრება გადააბა ამ ტექსტს გვიანდელმა რედაქტორმა (სავაარაუდოა ლეონტი მროველმა) და დაუშვა ანაქრონიზმი: სტეფანო II-ის ძეების ცხოვრება გადაიტანა მისგან ერთი საუკუნის მოშორებით.

ამ მოსაზრებას ისიც უჭერს მხარს, რომ „მოქცევაი ქართლისაის" ქრონიკა და ჯუანშერის თხზულება ქრონოლოგიურად ემთხვევიან ერთმანეთს სტეფანოს II-ის ერისმთავრობის ჩათვლით. ამის შემდეგ კი „მოქცევაი"-ში მოცემულია ერისთავთა (resp. ერისმთავართა) და კათალი-კოსთა მხოლოდ ჩამონათვალი, „ქართლის ცხოვრებაში" კი იწყება „მირისა და არჩილის ცხოვრება".

არჩილმა მოუწოდა ქართლის ერისთავებს და მიათხოვა მათ ძმისწულები. „სიძე ერისთავების" ამ კონცეფციაში ასახულია ახალი ეტაპი ერისთავთა პოლიტიკურ სტატუსში: ისინი ამიერიდან მეფის მოხელეები კი აღარ არიან, არამედ – სამეფო სახლთან დაკავშირებული პირები – მეფის სიძეები და ამდენად, საერისთავო ქვეყნის დამოუკიდებელი, მემკვიდრეობით გამგებლები.

ერთი (იგულისხმება მირის ასულებიდან ერთი) **მისცა თავისი მამის ძმისწულს გუარამ კურაპალატის შვილს, რომელსაც ეპყრა კლარჯეთი და ჯავახეთი.** მემატიანე აქ არჩილის წინაპრად („მამა" აქ გულისხმობს წინაპარს) მიიჩნევს ვახტანგ გორგასლის ძეს დაჩის, ხოლო კლარჯეთისა

და ჯავახეთის ერისთავს – დაჩის ნახევარძმის მირდატის (ვახტანგ გორგასლის ვაჟი ბერძენი ცოლისაგან) დისწულის – ქართლის პირველი ერისთავის გუარამ კურაპალატის შთამომავლად („შვილი" აქ გულისხმობს შთამომავალს). მემატიანე აქაც იმეორებს მცდარ კონცეფციას, რომ გუარამ კურაპალატის (იგივე გურგენის) შთამომავლობა სტეფანოზ I-ის შემდეგ აღარ ფლობდა ერისმთავრობას, არამედ მას დაეუფლა გორგასლიან დაჩის შთამომავლობა, რომელსაც ვითომდა ეკუთვნოდნენ ადარნასე, სტეფანოზ II და მისი ძეები მირი და არჩილი.

მეორე (მისცა) პიტიახშს, ფეროზის ნათესავს, რომელიც მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აშოცს. ფეროზთან დაკავშირებით იხ. აქვე, გვ. 123; პიტიახშთან დაკავშირებით კი გვ. 145, გვ.138.

ზენა სოფელი, რომელიც არის ქართლი. ზენა სოფელი გულისხმობს შიდა ქართლს, რომელსაც ფართე მნიშვნელობით „ქართლიც" ეწოდებოდა.

მეხუთე (მიათხოვა) ვარზმანს. მას მისცა ქვეყანა კოტმანიდან ქურდის ხევამდე. კოტმანი, იგივე კოდმანი – ველი, აგრეთვე მდინარე ქვემო ქართლის აღმოსავლეთ ნაწილში; ქურდის ხევი – ქვემო ქართლის უკიდურესი აღმოსავლეთი მხარე.

მეექვსე (მიათხოვა) ჯუანშერ ჯუანშერიანს. მას მისცა: ჯვარი, ხერკი, ყოველი მთიულეთი, მანგლისის ხევი და ტფილისი. მხარეები ქვემო ქართლში, თბილისიც მდებარეობდა ისტორიულ ქვემო ქართლში.

ხევი – ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული ძველ საქართველოში, რომელსაც განაგებდა ხევის-უფალი. იხ. აგრეთვე აქვე, გვ. 111-112.

აფხაზთა მთავრის შემოსვლა ქართლის მეფის ქვეშევრდომობაში

დაიწყო მოშენება ჩვენმა მიწა-წყალმა კლისურიდან მოყოლებული აღმართ. მემატიანე კვლავ ხაზს უსვამს, რომ მდ. კლისურა ჰყოფდა ქართლის ერისმთავართა და აფხაზთა მთავრის სამფლობელოებს, რომ ლეონს ეპყრა აფხაზეთი და აფშილეთი, ხოლო ქართლის ერისმთავრებს ეგრისი, ციხე-გოჯით და ქუთაისით.

მიათხოვა არჩილმა ლეონს ძმისწული მისი გურანდუხტი და მისცა გვირგვინი. ისევე, როგორც ქართლის ერისთავები, ლეონ აფხაზთა მთავარიც დინასტიურად დაუკავშირდა ქართლის მეფე-ერისთავებს და ამით განიმტკიცა თავისი ძალაუფლება. მაგრამ, განსხვავებით „სიძე-ერისთავებისაგან" ლეონმა არჩილისაგან გვირგვინიც მიიღო (ბერძენთა მეფის მიერ გამოგზავნილი), რითაც მემატი-ანემ ხაზი გაუსვა, რომ ლეონი არჩილის მოხელე-ერისთავი კი არ იყო, არამედ ვასალი მთავარი.

ციხე-გოჯი. იხ. ეთნიკურ და გეოგრაფიულ სახელთა განმარტებები.

წამოვიდა არჩილი და დაემკვიდრა ეგრისს, შორაპნამდე. აქ ეგრისი ნახმარია ფართე მნიშვნელობით, აღნიშნავს მთელ დას. საქართველოს.

ბაგრატოვანთა მოსვლა ქართლს

ბაგრატოვანნი. ბაგრატიონთა ერთი საგვარეულო სახლი მეფობდა სომხეთში V ს-დან 1042 წლამდე, ხოლო მეო-

რე საგვარეულო სახლი – საქართველოში VIII ს-ის ბოლოდან XIX ს-მდე. იყო თუ არა სომეხ და ქართველ ბაგრატიონთა შორის გენეტიკური კავშირი და რომელი მხარიდან იყვნენ ისინი, ამ საკითხზე მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. სომხეთში ამ გვარის ფორმა იყო ბაგრატ-უნი, ე.ი. ბაგრატი და სომხური სუფიქსი „უნი". ქართულში, ჯერ – ბაგრატოვანი და ბაგრატუნიანი, ხოლო XVI ს-დან – ბაგრატიონი. საქართველოში პირველ ბაგრატიონად, თანადროული წყაროების მიხედვით, ჩანს ქართლის უკანასკნელი ერისმთავარი – აშოტ კურაპალატი, რომელმაც არაბთა მძლავრობის შედეგად, IX ს-ის დასაწყისში, დატოვა თბილისი, დაემკვიდრა არტანუჯს და საფუძველი დაუდო ახალ ქართულ სამთავროს – ქართველთა საკურაპალატო-სამეფოს (ტაო-კლარჯეთის სამთავრო). XI ს-ის ქართველი ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე ქართლის ერისმთავრებს, გუარამიდან მოყოლებული ბაგრატიონებად მიიჩნევს, მაგრამ ეს არ დასტურდება.

დავით წინასწარმეტყველი. ბიბლიური პერსონაჟი (იხ. აქვე, გვ. 130). ბაგრატიონთა შესახებ ქართულ, სომხურ და ბიზანტიურ მწერლობაში გავრცელებული ლეგენდის მიხედვით, ბაგრატიონები იყვნენ დავით მეფის (წინასწარმეტყველის) შთამომავლები. რითაც ისინი ცხადდებოდნენ ღვთაებრივი წარმომავლობისად.

ადარნასე ბრმა. სომხური ვერსიის მიხედვით (რომელიც შემოგვინახა XIII ს-ის სომეხმა ისტორიკოსმა ვარდან აღმოსავლელმა), სომხეთის წარჩინებულებმა – მამიკონიანებმა 758 წელს დააბრმავეს აშოტ ბაგრატუნი, რომელსაც ჰყავდა ორი ვაჟი – ვასაკი და სუმბატი. ვასაკმა და მისმა შვილმა ადარნასემ სათავე დაუდეს ქართველ ბაგრატიონებს, ხოლო სუმბატმა – სომეხ ბაგრატიონებს. ჯუანშერის თხზულებაში ეს სომხური ვერსია აისახა შეცვლილი სახით:

აშოტ ბრმა შეცვლილია ადარნასე ბრმის სახელით, ხოლო ქართლში მოსული ადარნასე გამოცხადებულია ადარნასე ბრმის ძმისწულად. საერთოდ, მთლიანად ეს ვერსია, მომდინარე სომხური წყაროებიდან, მცდარია: სომხეთში ბაგრატუნები, როგორც აღვნიშნეთ, დამკვიდრდნენ არა VIII ს-დან, არამედ V ს-დან, ხოლო პირველი ქართველი ბაგრატიონის აშოტ კურაპალატის კავშირი სომეხ ბაგრატუნებთან სხვა წყაროებით არ დასტურდება და შესაბამისად ეს საკითხი შემდგომ შესწავლას მოითხოვს.

გუარამ კურაპალატის შვილები. ქართლის პირველი ერისმთავრის გურგენ-გუარამის შთამომავლები. იხ. აქვე, გვ. 154.

თუ მიმიჩნევ შენს მკვიდრად. ტერმინი „მკვიდრი" გამოხატავდა ტერმინების: „მწირი", „ტყვე", „უცხო", „გარეთმოსული" საპირისპირო ცნებას. მკვიდრობა ქვეყნის სრულუფლებიან მოქალაქეობას ნიშნავდა. მკვიდრ მოსახლეობას სამეფოს კანონი და ტრადიცია იცავდა, იმ დროს, როდესაც არამკვიდრი, უცხო, ტყვე, მოკლებული იყო ასეთ დაცვას. „მკვიდრობის" მინიჭება „უცხოს"-თვის, მისი გამორჩევის, მისთვის პატივის მიგების ტოლფასი იყო. „მკვიდრად მიჩნევა", „მკვიდრად ქცევა" უკავშირდებოდა მეფის, მთავრის მიერ ასეთი პირისთვის ყმა-მამულის წყალობას.

მოვიდა არჩილი კახეთში და მის ტაძრეულებს მიუბოძა კახეთი და აზნაურებად ჰყო ისინი. „ტაძრეული" – მეფის სასახლის-ტაძრის (სპარსული ტერმინია) მომსახურე პერსონალი და ტაძარში მყოფი მეფის ვასალები-მოლაშქრეები (ანალოგიური ტერმინებია: „სახლ-ეული", „მ-სახური", „დარბაზის ერი" და სხვ.). აქ ასახულია ქართლის სამეფოში ფეოდალიზაციის პროცესის გარკვეული ეტაპი - ყმა-მამულის ბოძების საფუძველზე ვასალიტეტის ფორმირება. სამეფო სასახლის - ტაძრის მომსახურე პერსონალი, მე-

ფის კმაყოფაზე მყოფი მოლაშქრე-მსახურები გამოდიან ტაძრიდან და ხდებიან ყმა-მამულის მფლობელი ვასალი-აზნაურები. ასეთი ყმა-აზნაურები და მათი ოჯახები თავს ირჩენენ მათთვის ბოძებულ მამულში მსხდომი მწარმოებლის (მიწის მუშაკთა, გლეხთა) ექსპლუატაციის ხარჯზე, სანაცვლოდ კი ძველებურად განაგრძობენ სიუზერენის (მეფის, მთავრის) სამსახურს. ფეოდალიზაციის ამ ეტაპს ქართლის სამეფოში ადგილი ჰქონდა VI-VIII სს-ში (ტერმინი „ტაძარი" მომდევნო პერიოდში შეიცვალა სპარსული ტერმინით – „დარბაზი").

წუქეთის ერისთავი, რომელიც განაგებდა თუშებს, ხუნძებს და მთის ყველა წარმართს. წუქეთი – კახეთის მთის მხარე, რომლის მოსახლეობა არჩილის დროს, მემატიანის ცნობით, ჯერ კიდევ წარმართები იყვნენ (იხ. აგრეთვე, გვ. 185, 205).

ნუხპატელნი იმჟამად იყვნენ წარმართნი და მხეცის ბუნებისანი. ნუხპატი – კახეთის მთის მხარის ისტორიული თემი, რომლის მოსახლეობა, არჩილის დროს (ე.ი. VII-VIII სს-ის მიჯნაზე), მემატიანის აზრით, ასევე წარმართები (არაქრისტიანები) იყვნენ. „მხეცის ბუნებისანი" – აქ მემატიანე გულისხმობს მთის მოსახლეობაში ჯერ კიდევ გვაროვნულ-თემური წყობილების არსებობას და ბარის „ცივილიზაციისაგან" მოწყვეტილობას, მისგან განსხვავებულ ყოფას, რასაც ფეოდალური სამყაროს წარმომადგენელი მემატიანე უარყოფითად აღიქვამდა. აქ ჩანს ფეოდალური იდეოლოგიის დაპირისირება თემურ-გვაროვნულ წყობილებასთან.

ებრძოდა მასლამა ბერძენებს. მასლამა „ქართლის ცხოვრებაში" იხმარება არაბთა სარდლის ზოგად სახელად. შესაძლებელია ეს ტენდენცია დაკავშირებულია არაბთა სარდლის ჰაბიბ-იბნ მასლამას სახელთან, რომელმაც პირველად დახარკა ქართლი 650–იან წლებში და მისცა ერისმთავარ სტეფანოზ II-ს ე.წ. „დაცვის სიგელი". თუმცა „ქართლის

ცხოვრების" მემატიანეები ამ ფაქტს არ იხსენიებენ. აღნიშნულ შემთხვევაში კი, როგორც ჩანს, საუბარია არაბთა მიერ 715-17 წწ-ში კონსტანტინოპოლის ალყაზე.

ქალი აბუხვასროს მემკვიდრეთაგან. ქალი წუქეთის ერისთავ აბუხვასროს საგვარეულოდან. არჩილმა, როგორც ჩანს, აბუხვასროს შემდეგ წუქეთში ახალი ერისთავი განაწესა და მის ლეგიტიმურობის გასამტკიცებლად (მემატიანის აზრით) აბუხვასროს გვარის ქალზე დააქორწინა.

აღარ შემოჭრილან სარკინოზები ქართლში მურვან ყრუს წასვლიდან სამოცდაათი წლის განმავლობაში. საქართველოში არაბთა პირველი ლაშკრობების შემდეგ (VII ს-ის 40-50-იანი წლები) მათი ახალი ლაშქრობები მართლაც დაიწყო დაახლოებით 50 წლის შემდეგ (VII ს-ის ბოლოდან) და, როგორც ჩანს, მემატიანემ ეს იცის. ოღონდ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჯუანშერის თხზულებაში არაბთა პირველ ლაშქრობად შეცდომით მიჩნეულია მურვან-ყრუს შემოსევა (იხ. აქვე, გვ.167-168).

სამი ძმა, ძმისწულები ადარნასე ბრმისა..... დაემკვიდრნენ შაკიხად. აქ მემატიანე ისევ იმეორებს ადრე გადმოცემულ ვერსიას ბაგრატიონთა ერთი შტოს სომხეთიდან ქართლში მოსვლის შესახებ. უფრო დაწვრილებით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. აქვე, გვ. 171-172. **შაკიხი** – იგივე შაქი იხ. აქვე, გვ. 202.

დაიპყრო ერთი კლდე ტაოში, რომელსაც ერქვა კალმახი და ააშენა იქ ციხე. იხ. აქვე, გვ. 189.

ფამება წმინდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისა. რომელიც იყო მეფე ქართველთა

აგარიანი ჭიჭნაუმ მოჰამედის ძე, რომელსაც ასიმი ერქვა. ეს არის ხალიფა ჰარუნ-ალ-რაშიდის (786-809 წწ.) მიერ VIII-IX სს. მიჯნაზე დანიშნული სარდალი ჰაზიმ ხუზაიმა. ამ სარდლის სახელის დაკავშირება ქართლის ერისმთავარ არჩილთან, სტეფანოზ II-ის ძესთან ანაქრონიზმია. შეცდომა, რა თქმა უნდა, მომდინარობს გვიანდელი რედაქტორისაგან, სავარაუდოა, ლეონტი მროველისაგან, რომელმაც, ანდერძ-მინაწერის მიხედვით, მოკლე თხზულება „არჩილის წამებისა" განავრცო და ჩასვა „ქართლის ცხოვრების" ტექსტში შესაბამის ადგილას.

სარკინოზთა სარწმუნოება. ისლამი. სარწმუნოება, რომელიც მუჰამედმა (მაჰმადმა) უქადაგა არაბებს. იხ. აქვე, გვ. 161.

მთავარი ერთი გარდაბნელი. გარდაბანი, ქვემო ქართლის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე, მტკვრის სამხრეთით, თბილისამდე. IX-X სს-ში შედიოდა კახეთის სამთავროში.

წანარნი. კახეთში ჩამოსახლებული მთიელი ტომები, რომლებმაც, VIII ს-ის II ნახევარში საფუძველი დაუდეს კახეთის სამთავროს - საქორეპისკოპოსოს. მათ დამარცხებები აგემეს არაბებს და განდევნეს კახეთიდან. არბული წყაროები კახელებს აიგივებენ წანარებთან (იხსენიებენ მათ სანარიელებად). წანართა ეთნიკური კუთვნილებაზე მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა: ნაწილი მათ მიაკუთვნებს ჩრდილო-კავკასიურ (დაღესტნურ) მოდგამას, ნაწილი კი მათ კახეთის მთიანეთში მოსახლე ქართველურ ტომად მიიჩნევს, რაც უფრო სავარაუდოა.

მეფე ადარნასე, არჩილის პაპა. იგულისხმება ქართლის ერისმთავარი ადარნასე სტეფანოზ I-ის ძე (უფრო დაწვრილებით მის შესახებ იხ. აქვე, გვ. 158).

დიდნი მეფენი ხვასროანნი. ქართლის სამეფო დინასტია მირიანიდან მოყოლებული. იგულისხმება მცდარი ვერსია მირიან მეფის სპარსეთის სამეფო დინასტიისადმი (ხვასროანთა) კუთვნილების შესახებ.

სპასალარ გყო ქართლის ქვეყანაში. მემატიანე აქ ხაზს უსვამს, რომ არაბი სარდალი ქართლს გნიხილავს სახალიფოს პროვინციად და მის მეფეს თვლის არაბთა მოხელე-სპასალარად.

ჩემმა მამამ და ძმამ დაფლეს მთელი საგანძური იმ ციხეში, საიდანაც გამობრუნდა ყრუ ამირა. იგულისხმება ანაკოფიის ციხე, სადაც, მურვან ყრუს (არაბი ამირა, რომელმაც დალაშქრა ქართლი და ეგრისი 735-37 წწ-ში. იხ. აქვე, გვ.163.) შემოსევის დროს, თვშეფარებულნი იყვნენ ქართლის ერისმთავრები არჩილი და მისი ძმა მირი და რომელიც შემდეგ ეპყრათ ბიზანტიელებს.

ერეკლე მეფე. ბიზანტიის კეისარი ჰერაკლე (610-641 წწ.).

გოდერძიანნი. კახეთის დიდებულთა საგვარეულო, რომელშიც ხშირად მეორდება სახელი გოდერძი. აქედან – გვარსახელი გოდერძიანი (შეადარეთ: მარუშ-იანი, დად-იანი, ლიპარ(ი)ტ-იანი, ორბელ-იანი და სხვ.). XI ს-ის 40-იან წლებში იხსენიება ამ საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენელი კახეთის ერისთავთ-ერისთავი – გოდერძი, მისი დისწული შტორის ერისთავია (კახეთში), ხოლო გოდერძის ძე გუარამი – ბეჭის ციხის პატრონია.

გოდერძიანნი ტბელნი. გოდერძიანთა საგვარეულო განშტოება, რომელიც ფლობდა კახეთის ტბეთს. ტბეთიდან წარმოებული გვარსახელი – ტბელი გვხვდება აგრეთვე შიდა ქართლში IX-X სს-ში და შავშეთში. შავშეთის ტბეთიდან წარმოიქმნა ეპისკოპოსთა ზედწოდება ტბელი და მტბევარი. შავშეთის ტბელთა გვარსახელი შემდეგ დამკვიდრდა პირის სახელად აბუსერისძეთა გვარში (საერთოდ, ტოპონიმი ტბეთი, ტბისი, წარმოქმნილი ტბიდან გავრცელებული იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში).

გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა განმარტებები

ა

აბაშა. მდინარე მარტვილისა და აბაშის რაიონში, მდ. ტეხურის მარცხენა შენაკადი.

აბაშეთი, აბაშნი. ჯუანშერთან აბაშებში ქუშანთა ტომები იგულისხმებიან, აბაშეთში კი სისტანი, ქვეყანა ირანსა და ავღანეთს შორის. ამჟამად ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეულია, რომ „აბაშთა" სახელწოდებაში შუასაუკუნეების ქართულ წყაროებში ხშირად ქუშანები იგულისხმებიან და არა მხოლოდ ეთიოპელები, როგორც ეს ადრე იყო მიჩნეული.

აბოცი. იხ. წ. I, გვ. 143.

ადარბადაგანი. იხ. წ. I, 143.

ანაკოფია. შუასაუკუნეების ციხე-ქალაქი საქართველოში, აფხაზეთში, დღევანდელი ახალი ათონის ტერიტორიაზე. VII-VIII სს-ში აბაზგთა საერისთავოს პოლიტიკური ცენტრი. VIII ს-ის ბოლოს ლეონ II-მ დასავლეთ საქართველოს სამეფოს („აფხაზთა სამეფოს") დედაქალაქად ქუთაისი გამოაცხადა, მაგრამ ანაკოფიას მაინც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ანტიოქია. 1. ქ. ნისიბისის ძველი სახელწოდება – მიგდონიის ანტიოქია. 2. თანამედროვე ანთაქია (იხ. წ. I, გვ. 143)

ანძიაძორი, ანძორეთი. ქ. ნეოკესარია.

არაბია და იამანეთი. არაბეთის ნახ. კუნძულის არაბეთი.

არაგვი. იგულისხმება, როგორც მდ. არაგვი, ასევე მდ. თერგი (ოვსეთის არაგვი, იხ. აქვე, განმარტებები, გვ. 115-116).

არგვეთი. დღევანდელი ზემო იმერეთი.

არმაზი. ქართლის უზენაესი წარმართული ღვთაება ძვ. წ. IV ს. ბოლოდან, რომლის კერპი აღმართული იყო მცხეთის ახლოს, მთაზე. სახელწოდება მომდინარეობს ხეთურ-ნესიტური მთვარის ღვთაების სახელიდან – არმა. 2. „ქართლის ცხოვრების" ცნობით „ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქვა" (ქართ. ცხ.I, გვ. 25).

არმაზის მთა. იხ. წ I, გვ. 144.

არმაზი ქალაქი. იხ. წ I, გვ. 144.

არსიანის მთა. იხ. წ I, გვ. 144.

არტანი. იხ. წ I, გვ. 144.

არტანუჯი. ციხე-ქალაქი ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მდ. არტანუჯის წყლის მარცხენა ნაპირზე, ამჟამად სოფელია თურქეთის საზღვრებში (თურქებმა ეს მხარე დაიპყრეს XVI ს-ში). ჯუანშერის ცნობით ის "აადგო ვახტანგ გორგასალმა. IX ს-ში არტანუჯი განაახლა აშოტ ბაგრატიონმა. X ს-ში ის მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი და კლარჯეთის დედაქალაქი იყო. XIII-XVI ს-ში შედიოდა სამცხის ათაბაგების სამთავროში.

ასფურაგანი. (ვასპურაკანი) სომხეთის ერთ-ერთი ისტორიული მხარე შუასაუკუნეებში. X ს-ში აქ შეიქმნა სომხეთის დამოუკიდებელი სამეფო (908-922 წწ.), რომელსაც განაგებდა არწრუნთა დინასტია. 922 წლიდან ის ანისის ბაგრატუნთა სამეფოს (შირაკის) ვასალი ხდება. 1021 წ. თურქ-სელჩუკებისგან შევიწროებულმა ვასპურაკანის მეფემ სენექერიმმა თავისი სამეფო ბიზანტიას გადასცა.

აფშილეთი. აფშილეთის მხარე თავდაპირველად მოიცავდა დღევანდელ გალის რაიონს. V-VII სს-ში აფშილებმა ჩრილოეთით გადაინაცვლეს, სოხუმის რაიონში. ჯუანშერი მათ მთავარ ქალაქად ასახელებს ცხუმს (სოხუმს). აფშილებს პირველად იხსენიებს I ს. რომაელი მწერალი გაიუს სეკუნდუს პლინიუსი. აფშილეთი თავდაპირველად ეგრისის

(ლაზიკის) სამეფოში შედიოდა, ხოლო VIII ს-ში ის შევიდა აბაზგიის სამთავროს შემადგენლობაში, რის შემდეგაც, წყაროებში, აფშილეთი და აფშილი აღარ იხსენიება. აფშილების ეთნიკურ კუთვნილებაზე მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა: მკვლევართა ნაწილი მათ მიიჩნევს მეგრულ-ჭანური წარმომავლობის ერთ-ერთ ტომად, მეორე ნაწილი კი – აფხაზების წინაპრებად.

აფხაზეთი. საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული მხარე შავი ზღვისპირეთში. პირველად ქართული წყაროებიდან იხსენიება ჯუანშერის თხზულებაში. ეთნონიმ „აფხაზის" ეტიმოლოგიაზე მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა, ასევე აზრთა სხვადასხვაობაა ქართულ წყაროებში მოხსენიებული ძველი აფხაზების ეთნიკურ კუთვნილებაზე. მკვლევართა ერთი ნაწილი მათ მიიჩნევს მეგრულ-ჭანური კუთვნილების ერთ-ერთ ტომად, ხოლო მეორე ნაწილი – თანამედროვე აფხაზების (აფსუების) წინაპრებად. თანამედროვე აფხაზების (აფსუების) ენა განეკუთვნება აფხაზურ-ადიღურ, ანუ ჩრდილო-კავკასიის დასავლური ნაწილის ენათა ჯგუფს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ აფსუების ჩამოსახლება საქართველოს (ეგრისის) ტერიტორიაზე დაიწყო XVII ს-დან და ქართველებმა მათზე გაავრცელეს ადგილობრივ მოსახლე ქართველური ტომის - აფხაზების სახელი. არსებობს სხვა თვალსაზრისიც: აფხაზურ-ადიღეური წარმოშობის ჩრდილო კავკასიური ტომების შემოღწევა და ჩამოსახლება (როგორც ზღვის სანაპირო ზოლით, ასევე დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კავკასიონის გადმოსასვლელებით) ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე იწყება ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში და გრძელდება ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში. იმ ხანად, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-კულტურული განვითარების უფრო მაღალი დონის გამო, ხდება აღნიშნული ტომების ასიმილაცია ქართველური ტომების მიერ და მათი ქართვე-

ლიზაცია. უფრო მოგვიანებით (XVI-XVII სს.), ქართული სახელმწიფოებრიობის დაკნინებისა და ბარის მოსახლეობის შესუსტება-შემცირების ფონზე, იწყება ახალი ტალღა, ჩრდილო კავკასიური, ადიღეური ტომების ჩამოსახლებისა და იმჟამად ვითარდება პირუკუ პროცესი: მათ მიერ ადგილობრივი ქართული მოსახ-ლეობის ასიმილაცია-აფსუიზაციისა, რასაც ხელს უწყობს იმავდროულად, აღნიშნულ მხარეში ოსმალეთის გაბატონება და ისლამის გავრცელება.

VIII ს-ის ბოლოს აფხაზთა მთავრმა ლეონ II დაიქვემდებარა ლაზთა სამეფოს ტერიტორია და დედაქალაქი ქუთაისში გადმოიტანა. დასავლეთ საქართველოს ამ ახლადჩა-მოყალიბებულ ქართულ სახელმწიფოს, მმართველი დინასტიის ტომობრივი კუთვნილების მიხედვით, „აფხაზთა სამეფო" ეწოდა.

აღდგომის ეკლესია. ეკლესია იერუსალიმში, იმ ადგილზე, სადაც თქმულების მიხედვით, ჯვარს აცვეს და დაფლეს ქრისტე. აქ, IV ს-ში, იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა (306-337) ააგო ბაზილიკური ეკლესია, შემდეგ კი ააგეს მრგვალი ეკლესია. ამ ადგილს უწოდებდნენ „წმინდა გოლგოთას და აღდგომას". ეს იყო მთელი კომპლექსი, სადაც შედიოდა აღდგომის ეკლესია, გოლგოთა და ქრისტეს საფლავი. ამ კომპლექსის პატრონობას ერთმანეთს ეცილებოდნენ სხვადასხვა ქვეყნები, მათ შორის - საქართველოც, რომლის გავლენაც აქ გაიზარდა XI-XII სს-ში. წყაროების ცნობით, ქართველებმა XIV ს. 20-იან წლებში მოიპოვეს ქრისტეს საფლავის კლიტე და ერთი საუკუნის მანძილზე ფლობდნენ მას.

ახიზა. ციხე ისტორიულ კლარჯეთში, მდ. არტანუჯისწყლის მარცხენა ნაპირზე (ამჟამად თურქეთშია). ჯუანშერის ცნობით ის განაახლა ვახტანგ გორგასლის ძუძუმტემ არტავაზმა (V ს.). მანვე ააგო ეკლესია, სადაც ვახტანგ გორგასალმა განაწესა კლარჯეთის ეპისკოპოსი.

ბ

ბარდავი. ძვ. ქალაქი ისტორიული აზერბაიჯანის სამხრეთ ნაწილში, ყარაბაღის ველზე, დღევანდელი ქ. ბარდის ახლოს. V ს-ში ალბანეთის სამეფოს დედაქალაქია. VIII ს-ის დასაწყისში არაბებმა დაიპყრეს. არაბთა ბატონობის ხანაში ის მსხვილი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი იყო. განუწყვეტელი ომებისა და რბევის შედეგად ქალაქი დაკნინდა და სოფლად იქცა.

ბაღდადი. არაბული ქალაქი მდ. ტიგროსის სანაპიროზე, ამჟამად ერაყის რესპუბლიკის დედაქალაქი. დააარსა 762 წ. ხალიფა ალ-მანსურმა და აქცია სახალიფოს დედაქალაქად. ეტიმოლოგიურად, ფიქრობენ, რომ წარმოდგება ორი ძველი სპარსული სიტყვიდან: "ბაგა" – ღმერთი და "დად" – ნაბოძები. ძველ ქართულ წყაროებში ზოგჯერ იხსენიება ბაბილონის სახელითაც. ჯუანშერის თხზულებაში ბაღდადის მოხსენიება ირანის დედაქალაქად, ვახტანგ გორგასლის დროს, შეცდომაა. ამ დროს ირანის დედაქალაქი იყო ქტეზიფონი.

ბერდუჯი. მტკვრის მარჯვენა შენაკადი, ამჟამად აზარბაიჯანშია და იწოდება ძეგამ-ჩაიდ. მდ. ბერდუჯი ძველად იყო საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი სახელმწიფო საზღვარი ალბანეთ-რანთან.

ბოლნისი. 1.ქალაქი ქვემო ქართლში, მდ. მაშავერის შუა დინებაზე. 2. სოფელი ბოლნისის რაიონში, მდ. ბოლნისის წყლის მარცხენა ნაპირზე. აქ მდებარეობს ბოლნისის სიონის სამნავიანი ბაზილიკა, სადაც, ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასალმა განაწესა ეპისკოპოსი. ტაძარი, მისი საამშენებლო წარწერის მიხედვით, ააგო დავით ეპისკოპოსმა 479-494 წწ.

გ

გაზირი. იგივე ჯაზირი – შუამდინარეთი, მესოპოტამია.

გარდაბანი. იხ. წ.I, გვ.146; აგრეთვე, აქვე, გვ. 175.

გულგულა. იხ. წ.I, გვ.146.

გურია. ისტორიული მხარე დას. საქართველოში (მოიცავდა ახლანდ. ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის რ-ბს). შუასაუკუნეებში (XV ს-მდე) ის იყო ჯერ სამეფო დომენი, ხოლო XV ს-დან, 1828 წლამდე – სამთავრო, რომელსაც განაგებდნენ გურიელები. ჯუანშერის ცნობას, რომ ერისმთავარმა მირმა, სიკვდილის წინ, გურია საუხუცესოდ (ე.ი. უშუალოდ პირად საკუთრებაში) დაუტოვა თავის ძმას არჩილს (რომელიც მირის შემდეგ გახდა ქართლის ერისმთავარი), სხვა მონაცემებთან ერთად, ადასტურებს ის ფაქტიც, რომ გურია XV ს-მდე იყო არა საერისთავო (ე. ი. სახელმწიფო საკუთრება), არამედ სამეფო (საერისმთავრო) დომენი (სეფე-ქვეყანა). ჯუანშერის ცნობით, არჩილს, გურიისა და საბერძნეთის (ე. ი. ბიზანტიის) საზღვარზე, აუგია ციხე. ამ ცნობის მიხედვით არ ჩანს, თუ რომელ ციხეს გულისხმობს მემატიანე.

დ

დარიალი. იხ. წ. I, გვ. 146-147.

დარუბანდი. ქალაქი ჩრდილოეთ კავკასიაში კასპიის ზღვის სანაპიროზე, ახლანდელი დერბენდი (ქალაქის სახელწოდება მომდინარეობს სპარსული ენიდან და ნიშნავს: „დახშე კარი"). ქართულ წყაროებში ეწოდება აგრეთვე „ჩორ". VII-IX სს-ში ქალაქი არაბთა სახალიფოში შედიოდა. XVI ს-დან

ირანის სამფლობელო იყო. 1747 წ. ირანს გამოეყო ცალკე სახანოდ. 1813 წ. შეუერთდა რუსეთს. ამჟამად მდებარეობს დაღესტნის ავტ. რესპუბლიკაში.

დარუბანდის ზღვა. კასპიის ზღვა.

დიღომი. სოფელი თბილისის ქვაბულში, დიღმისწყლის (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში. წყაროებში ზოგჯერ ეწოდება დიღუამიც. XI ს-ში აქ აიგო წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია. XVI ს-ში დიღომი იყო ქართლის მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია.

ე

ეგრისი. იხ. წ. I, გვ. 147.

ეგრისწყალი. ძველი სახელწოდება დას. საქართველოს მდინარისა. ვარაუდით უნდა იყოს მდ. ენგური, მდ. ოხოჯა, ან მდ. ღალიძგა (აფხაზეთში).

ევფრატი. მდინარე თურქეთში, სირიასა და ერაყში (სახელწოდება არამეულია, სიტყვა სიტყვით – ტკბილი წყალი). სათავეს იღებს სომხეთის მთიანეთში, ორი ტოტით უერთდება მდ. ტიგროსს, რომელიც ერთვის სპარსეთის ყურეს. ევფრატისა და ტიგროსის შუამდინარეთი უძველესი ცივილიზაციის ერთ-ერთი კერა იყო. ევფრატის ნაპირზე გაშენებული იყო ქ. ბაბილონი. ჯუანშერი აქ გადმოსცემს ბიბლიურ ლეგენდას ხალხთა წარმოქმნისა და განსახლების შესახებ.

ეკლეცი. 1. მტკვრის მარჯვენა შენაკადი სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. აქ დაბანაკდა საქართველოს ლაშქარი შამქორის ბრძოლის წინ (1195 წ.).

2. ქალაქი სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიაში, შედიოდა ჯერ პონტოს სამეფოში, ხოლო შემდეგ – ბიზანტიაში.

ელამნი. ელამი - ძველი სახელმწიფო წინა აზიაში (ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისი – ძვ. წ. VII ს.) მდე-

ბარეობდა ირანის ზეგანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (თანამედროვე ხუზისტანში). დედაქალაქი იყო სუსა. ეს იყო წინა აზიაში პირველი სახელმწიფო, შუმერისა და აქადის შემდეგ. ძვ. წ. VII ს. ბოლოს დაიპყრო ჯერ მიდიამ, ხოლო შემდეგ – აქემენიდურმა ირანმა.

ერუშეთი. იხ. წ. I, გვ. 148.

ვ

ველისციხე. მდებარეობდა ისტორიულ ჰერეთში. ამჟამად – სოფელია გურჯაანის რაიონში, ალაზნის ველზე, მდ. ჭერემისხევის (ალაზნის მარჯვენა შენაკადი) ნაპირას.

ზ

ზედაზენი. მთა, საგურამოს ქედზე, აქ, წარმართულ ხანაში, აღმართული ყოფილა ზადენის კერპი, ვარაუდობენ, რომ ზადენის წარმართული ღვთაება მცირეაზიურ-ხეთური წარმოშობისაა და ქართლში დაამკვიდრეს მცირე აზიიდან მოსულმა მესხებმა. ქართლის მეოთხე მეფემ ფარნაჯომმა ზედაზნის (ზედა ზადენის) ძირში, ახლანდ. სოფ. წიწამურთან ააგო ციხე და აღმართა ზადენის კერპი. VI ს-ში ერთ-ერთმა ასურელმა მამამ იოანემ აქ დაარსა მონასტერი.

ზენა სოფელი. იგულისხმება შიდა ქართლი.

თ

თაკვერი. იხ. წ. I, გვ.148.

თიანეთი. დაბა აღმოსავლეთ. საქართველოში, მდ. ივრის მარჯვენა ნაპირზე. VIII-Xსს-ში კახეთის სამთავაროს ცენტრი.

თოფორი. ქალაქი სინდეთში (იხ.)

თრიალეთი. იხ. წ. I, გვ.148.

თურქნი. იხ. წ. I, გვ.148.

თუშები – თუშეთი. ისტორიული მხარე აღმოს. საქართველოს მთიანეთში. ახლანდ. ახმეტის რაიონის ჩრდილო ნაწილი, ალაზნის იქით, მდ. ანდის, ყოისუს ზემო წელზე. ის მოიცავდა ოთხ ისტორიულ თემს: წოფა, გომეწარი, ჩაღმა და პირიქითა თუშეთი. V ს-დან თუშეთი ქართლის სამეფოს ნაწილი იყო. ჯუანშერის ცნობა მოწმობს, რომ VIII ს-ში თუშეთი ღუნძეთთან ერთად, წუქეთის საერისთავოში შედიოდა. კახეთის სამთავროს (საქორეპისკოპოსოს) წარმოქმნის შემდეგ თუშეთი წარმოადგენდა მისი ადმინისტრაციული მხარის – პანკისის საერისთავოს შემადგენელ ნაწილს (VII-XI სს.). საქართველოს ერთიან სამეფოში (XI-XV სს.) თუშეთი კახეთის საერისთავოში შედიოდა. საქართველოს სამეფო სამთავროებად დაშლის შემდეგ ის წარმოადგენდა კახეთის სამთავროს ერთ-ერთ სამოურავოს (XV-XVIII სს.). ეპარქიულად ის შედიოდა ალავერდის საეპისკოპოსოში. თუშებს მკვლევარები ერთ-ერთ აღმოსავლურ-ქართულ ტომად მიიჩნევენ.

თუხარისი. ისტორიული ციხე-ქალაქი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ტაოსა და კლარჯეთის საზღვარზე, ამ ჟამად თურქეთშია. „ქართლის ცხოვრების" ცნობით ის დაარსა ქართველთა ერთ-ერთმა ეთნარქმა, მცხეთოსის შვილმა ოძრახოსმა, მდ. ჭოროხზე. IV ს-ში აქ ეკლესია ააგო ქართლოს მეფემ მირდატმა. ამავე საუკუნეში ბიზანტიამ მიიტაცა კლარჯეთი, თუხარისიანად. ჯუანშერის ცნობით ბერძნებმა (ე.ი. ბიზანტიამ) ეს მხარე დაუბრუნა ვახტანგ გორგასალს (V ს. II ნახევარში). IX-X სს-ში თუხარისი შედიოდა ქართველთა საკურაპალატო-სამეფოში (ტაო-კლარჯეთი). საქართველოს ერთიან სამეფოში (XI-XV სს.) ის წარმოადგენდა ერთ-ერთ საერისთავოს, მისი ერისთავები იყვნენ ჯაყელები. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ ის შედიოდა სამცხე-საათაბაგოს სამთავროში. XVI ს-ში აღნიშნული ტერიტორია დაიპყრო ოსმალეთმა.

ი

იამანეთი. თანამედროვე იემენი, არაბეთის ნახ. კუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, წითელი ზღვის სანაპიროზე. ამჟამად – იემენის არაბთა რესპუბლიკა. არაბული სახელწოდება – „ალ-იამან," სიტყვა-სიტყვით მარჯვენა მხარეს ნიშნავს. 629-630 წლებში ეს მხარე შევიდა არაბთა სახალიფოს შემადგენლობაში. ამას გულისხმობს ჯუანშერის ცნობა, რომ მუჰამედმა, ისმაელის შთამომავალმა, „სარკინოზთა სჯულის მოძღვარმა, დაიპყრო ყოველი არაბია და იამანეთი."

ინდაბრიანი. (ინდობრიანი) ჯუანშერის მიხედვით, ვახტანგ გორგასლის დროს (V ს.) ეს გეოგრაფიული ადგილი იყო თბილისის ახლოს. სხვა წყაროებში ის არ იხსენიება. ეტიმოლოგიურად ის ნაწარმოები ჩანს გვარსახელიდან და მიუთითებს ამ საგვარეულოს სამყოფელ მხარეს.

ინდოეთი, ჰინდონი. იხ. აქვე, გვ. 140.

იერუსალემი. იხ. წ. I, გვ.149.

იორი. მდინარე აღმოს, საქართველოში, კახეთში. სათავეს იღებს კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მწვერვალ ბორბალოსთან.

ისრაიტელი. ისრაელის სამეფოს მცხოვრები (იხ. წ. I, გვ.149).

კ

კავკასია, კავკასიის წვერი. კავკასიაში აქ იგულისხმება ჩრდილოეთი (იმიერ) კავკასია, რომელიც, ამიერკავკასიასთან ერთად, დალაშქრა მურვან-ყრუმ. კავკასიის წვერში კი იგულისხმება კავკასიონის ქედის დასავლეთი კიდე. სახელწოდება კავკასია პირველად გვხვდება ძვ.წ.VI ს. ბერძენი დრამატურგის ესქილეს ტრაგედიაში – „მიჯაჭვული

პრომეთე". კავკასიონის ქედი (გადაჭიმულია ტამანის ნახ. კუნძულიდან – აფშერონის ნახ. კუნძულამდე) სამ ნაწილად იყოფა: დას. კავკასიონი (იალბუზამდე), ცენტრალური კავკასიონი (იალბუზსა და მყინვარწვერს შორის) და აღმოს. კავკასიონი (მყინვარწვერის აღმოსავლეთით). კავკასიონის უმაღლესი მწვერვალია იალბუზი (5.642 მ), ამიტომაც „ქართლის ცხოვრების" ცნობით, კავკასიას სპარსნი იალბუზს უწოდებდნენ. სამხრეთ ამიერკავკასიაში, შავი ზღვიდან არაქსის ხეობამდე გადაჭიმულია მცირე კავკასიონი.

კალა. ციხე და უბანი შუასაუკუნეების თბილისში, ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. წავკისისწყლის მარცხენა ნაპირზე. **კალის ველი,** როგორც ჩანს, მოიცავდა მდ. წავკისისწყლის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიას (დღევ. თავისუფლების მოედანი, პუშკინის, დადიანის და ბარათაშვილის ქუჩები). კალისა და თბილისის (მდ. წავკისისწყლის მარჯვენა სანაპიროს) გაერთიანების შემდეგ კალა ეწოდებოდა მხოლოდ ქალაქის ციხეს, რომელსაც შემდგომში ნარიყალას და შურის ციხესაც უწოდებდნენ.

კალმახი, კალმახის ციხე. საქართველოს ისტორიული მხარის – ტაოს ციხე. ჯუანშერის ცნობით აუგიათ VIII ს-ში, არჩილ ერისმთავრის დროს. საქართველოს ერთიან სამეფოში თავდაპირველად მას განაგებდა კალმახის ერისთავი. XI ს-ში სულა კალმახის ერისთავმა ციხე თავის სამკვიდრო მამულად აქცია და კალმახელად იწოდა. ის გახდა დამფუძნებელი ციხისჯვარელთა გვარისა (ბაგრატ IV-ის მიერ მისთვის სამცხეში ციხისჯვარის ბოძების შემდეგ), ციხისჯვარელებმა კი, ჯაყის ციხის ბოძების შემდეგ, სათავე დაუდეს ჯაყელ-ციხისჯვარელთა საგვარეულოს.

კამბეჩოვანი. იხ. წ. I, გვ.150.

კარახპოლა. მდებარეობდა სამხრეთ ამიერკაკასიის ისტორი-ულ მხარეში – კარინში, რის გამოც, სომხური და ქართული წყაროები მას კარნუ-ქალაქად (კარინის ქალაქად) იხსენიებენ. V ს-ის შუა წლებში ის ბიზანტიის საზღვრებში შედიოდა და, ჯუანშერის ცნობით, კარგად გამაგრებული

სასაზღვრო ქალაქი იყო. ბერძნებმა ქალაქს სახელი შეუცვალეს, და, იმპერატორ თეოდოსიუსის (408-450) საპატივცემლოდ, თეოდოსიოპოლი (თეოდოსის ქალაქი) უწოდეს. ამჟამად თურქეთშია და ეწოდება ქალაქი არზრუმი.

კარნიფორა. სამხრეთ ამიერკავკასიის ისტორიული მხარის, კარინის, ველი. ჯუანშერის ეტიმოლოგია, თითქოს ეს ტოპონიმი აღნიშნავს „სისხლის მუცელს", მცდარია. ის ნიშნავს სწორედ კარინის ველს („ფორ" სომხურად – ველი). კარნიფორა (კარინის ველი) ქართველებმა დალაშქრეს დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს და გაათავისუფლეს მისი ციხეები თურქებისაგან.

კარნუ-ქალაქი. კარინის ქალაქი, იგივე კარახპოლა (იხ.)

კასპი. ქართლის სამეფოს უძველესი ქალაქი, დღევანდ. ქ. კასპის ტერიტორიაზე. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით ის დაარსა ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქის მცხეთოსის შვილმა უფლოსმა. „მოქცევაი ქართლისაის" ცნობით, ძვ. წ. IV ს-ში ქართლში 4 ქალაქი იყო, მათ შორის – კასპი. ვახტანგ გორგასლის დროს (V ს.) კასპს განაგებს სპასალარი (სპასალარები განაგებდნენ საერისთავო მხარის ნაწილს), რომელსაც ქართლის მეფე მირდატმა (ვახტანგ გორგასლის მამა) აღსაზრდელად მისცა თავისი ქალი მირანდუხტი. XV-XVIII სს-ში კასპი შედიოდა ამილახვრების სათავადოში.

კასრი. დასახლებული პუნქტი ისტორიული ჰერეთის ერთ-ერთ მხარეში – წუქეთში (იხ.). ჯუანშერის ცნობით ის დააარსა ერისმთავარმა არჩილმა (VIII ს.). კასრის ეკლესია წყაროში იხსენიება 1312 წელს. გამოთქმულია თვალსაზრისი კასრის იგივეობისა ამჟამინდელ დაბა კახთან (მდებარეობს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე). დაბა კახში ამჟამად შემორჩენილია კასრის ეკლესიის ნანგრევები.

კახეთი. იხ. წ. I, გვ.150.

კიმრა. ქალაქი სინდეთში (იხ.).

კლარჯეთი. ისტორიული მხარე სამხრეთ-დასავლეთ საქართ-ველოში, მოიცავდა მდ. ჭოროხის ქვემო დინების აუზს, არსიანის ქედიდან შავ ზღვამდე. მისი ცენტრი თავდა-

პირველად იყო თუხარისი, ხოლო შემდეგ – ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებული არტანუჯი (იხ.), რომელიც IX ს-ში, განახლებული აშოტ ბაგრატუნის მიერ, იქცა ქართველთა საკურაპალატოს (ტაო-კლარჯეთის) ცენტრად. ამჟამად ეს მხარე თურქეთის საზღვრებშია.

კლარჯეთის ბოლო. შავი ზღვის სანაპირო.

კლარჯეთის ერისთავი. „ქართლის ცხოვრების" ცნობით (იხ. წ.I.) ქართლის მეფე ფარნავაზმა (ძვ. წ. IV ს-ის ბოლო - ძვ. წ. III ს.) კლარჯეთი დააწესა თავისი სამეფოს ერთ-ერთ საერისთავოდ. ჯუანშერის ცნობით ვახტანგ გორგასლის დროსაც (V ს.) კლარჯეთი საერისთავო მხარე იყო და მისი ერისთავი იყო ვახტანგის ძუძუსმტე არტავაზი.

კლისურა. მდ. კელასურის ძველი სახელწოდება. აქ, VI ს-ში ბიზანტიელებმა ააგეს ზღუდე, მთიელი ტომების თავდასხმებისგან თავდასაცავად. კედლის სიგრძე იყო 160 კმ., სისქე – 1,5 მ. მასში ჩატანებული იყო კოშკები, სიმაღლით – 7 მ. კედელი იწყება სოხუმის აღმოსავლეთით, 5 კმ.-ს მანძილზე, მდ. კელასურის შესართავთან, უხვევს მდ. კოდორისკენ და აღწევს მდ. ენგურის შესართავს. ჯუანშერის ცნობით მდ. კლისურა ყოფილა საზღვარი საბერძნეთსა (ე. ი. ბიზანტიასა) და საქართველოს შორის.

კონსტანტინე ქალაქი. ქ. კონსტანტინოპოლი, ბიზანტიის დედაქალაქი 1453 წ-მდე. სახელი ეწოდა იმპერატორ კონსტანტინე დიდის (306-337 წწ.) საპატივცემულოდ. 1453 წ. ქალაქი აიღო და თურქ-ოსმანთა სახელმწიფოს დედა-ქალაქად აქცია სულთანმა მეჰმედ ფათიჰმა. ამჟამად ქ. სტოამბოლი თურქეთში.

კოტმანი. იგივე კოდმანი. ველი, აგრეთვე მდინარე ქვემო ქართლის აღმ. ნაწილში.

კუხეთი. იხ. წ. I, გვ.150.

ლ

ლაკვისტის ხევი. ერთ-ერთი მხარე ისტორიულ წუქეთში (იხ.), სხვა წყაროებში არ იხსენიება.

ლამე. აქ იგულისხმება კარნუ-ქალაქის (დღევანდ. არზრუმი) დასავლეთით ძველ ავტორებთან დასახელებული ლიმენი.

ლოპოტის ხევი. ერთ-ერთი მხარე შუასაუკუნეების კახეთში (ეხლანდელი თელავის რაიონში). აქ, ჯუანშერის ცნობით, ერისმთავარმა არჩილმა (VIII ს-ის დასაწყისი) ააგო ციხე, რომლის ნანგრევები შემორჩენილია მდინარეების გონჯას-ხევისა და ლოპოტისწყლის შესაყარში. VI ს-ში აქ ქრისტიანობას ქადაგებდა ერთ-ერთი ასურელი მამა – ანტონ მარტყოფელი. VIII ს-ის 30-იან წლებში ეს მხარე დაარბია-მურვან-ყრუმ, მაგრამ, ლოპოტის ციხე ვერ აიღო.

მ

მაგუგეთი. ბიბლიური პერსონაჟის „გოგის" სამშობლო ქვეყანა – „მაგოგი". მან გაილაშქრა წმინდა მიწის წინააღმდეგ, მაგრამ უფალმა ის დაამარცხა. ფიქრობენ, რომ „მაგოგი" (მაგუგეთი) აღნიშნავს სკვითეთს, ვრცელ ქვეყანას კავკასიისა და კასპიის ზღვის ჩრდილო-აღმოსაელეთით.

მანგლისი. ეკლესია, ხევი. იხ. წ. I, გვ.151

მარგვი. იხ. წ. I, გვ.151.

მელიტენე. ისტორიული ქალაქი მცირე აზიაში, კარინის მხარის დასავლეთით, შედიოდა ბიზანტიის იმპერიაში. ამჟამად თურქეთშია.

მერე. დაბა ისტორიულ კლარჯეთში, სადაც ვახტანგ გორგასლის ძუძუსმტემ არტავაზმა ააგო ეკლესია. ამჟამად

თურქეთშია. ტოპონიმი მერე საქართველოს სხვა კუთხეებშიც იხსენიება ძველ წყაროებში.

მთიულეთი. იხ. წ. I, გვ.151.

მოგვთა. ქ. მცხეთის ერთ-ერთი უბანი ძველად, დასახლებული მაზდეანური სარწმუნოების მიმდევრებით – მოგვებით, ანუ სპარსელებით. ამ უბანს ჰქონდა მოგვეთის ხიდი და მოგვთა კარი.

მოვაკანი. იხ. წ. I, გვ.151.

მუხნარი. იხ. წ. I, გვ.151.

მღვიძარეთის მონასტერი. ერთ-ერთი მონასტერი ანტიოქიის საპატრიარქოში (სირია), სადაც აღკვეცეს ბერად ქართლის მთავარეპისკოპოსი მიქაელი.

მცირე ხაზარეთის მდინარე. იხ. წ. I, გვ.151.

მცხეთა. აღმოს. საქართველოს ისტორიული ქალაქი, მტკვრის და არაგვის შესაყართან, მტკვრის ორივე და არაგვის მარჯვენა სანაპიროზე, დღევანდელი ქ. მცხეთის ადგილზე. ქართლის სამეფოს პირველი დედაქალაქი (ძვ.წ. IV ს-დან – ახ.წ. VI ს-მდე). ქართლის ქათალიკოს-პატრიარქის რეზიდენცია შუასაუკუნეებში (V - XVIII სს.). მცხეთის ტერიტორია, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, დასახლებული ჩანს ძვ. წ. III ათასწლეულიდან. „ქართლის ცხოვრების" ცნობით, ის დააარსა ქართველების ლეგენდარული ეთნარქის ქართლოსის ვაჟმა მცხეთოსმა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ტოპონიმი „მცხეთა" წარმოდგა მცირე აზიიდან ძვ. წ. VIII ს-ში ქართლში დასახლებული მესხთა ტომიდან (მოსხები, მუშქები).

ანტიკური ხანის „დიდი მცხეთა" შედგებოდა რამდენიმე უბნისაგან: საკუთრივ მცხეთა, არმაზი, მოგვთა, სარკინე, წიწამური (რომაული წყაროების სევსამორა) და სხვ. თითოეულ ამ უბანს ჰქონდა გალავანი და ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ ხიდებით. ეს ციხე-სიმაგრეები ქმნიდნენ ერთიან თავდაცვით სისტემას, სადაც მთავარი იყო არმაზციხე

– მეფის რეზიდენცია მაღალ მთაზე. არმაზისხევში იყო ქართლის პიტიახშების (ქართლის მეფის დიდი მოხელე) რეზიდენცია.

მცხეთაში დაიწყო თავისი მისიონერული მოღვაწეობა ქართლის განმანათლებელმა – წმინდა ნინომ (IV ს.). შუასაუკუნეებში აქ მიმდინარეობდა ინტენსიური საკულტო მშენებლობა: აიგო სვეტიცხოვლის ტაძარი (IV ს-ში ხის, V ს-ში – ქვის. არც ერთი აღარ შემოგვრჩა), სამთავროს წმ. ნინოს ეკლესია (IV ს., გადაკეთდა XIX ს-ში), ჯვრის ტაძარი (VI-VII სს. მიჯნა), სვეტიცხოველი (XI ს.), სამთავრო (XI ს.) და სხვ.

VIII ს-ში ქალაქი დაარბია მურვან-ყრუმ, დაანგრია არმაზ-ციხე, XV ს-ის დასაწყისში კი თემურ-ლენგმა.

XIX ს-ის 70-იანი წლებიდან მოყოლებული მცხეთის ცალკეულ უბნებზე ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები და მოპოვებულ იქნა მდიდარი მასალა მცხეთისა და მთლიანად ქართლის სამეფოს ისტორიის შესასწავლად.

ნ

ნეკრესი იხ. წ. I, გვ. 152.

ნილოსი მდინარე ეგვიპტეში. იხსენიება ბიბლიაში. ნილოსმა უდიდესი როლი შეასრულა ძველი ეგვიპტური ცივილიზაციის წარმოქმნასა და აყვავებაში.

ნინოწმინდა სოფელი საგარეჯოს რაიონში, გომბორის მთისწინეთზე, სადაც, ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასალმა დაარსა საეპისკოპოსო კათედრა. აქ, VI ს-ში აგებულ იქნა ტაძარი, რომელიც გადაუკეთებიათ XI-XII და XVI სს. დაინგრა 1824 და1848 წწ. მიწისძვრის დროს. ნინოწმინდის სამრეკლო XVI-XVIII სს-ის აგურის ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშია. ნინოწმინდაში შუასაუკუნეებში მოღვაწე-

ობდნენ ცნობილი მწიგნობრები: არსენ ნინოწმინდელი (X-XI სს.), მიტროფანე და იოანე ნინოწმინდელები და სხვ.

ნიქოზი. გორის რაიონის (შიდა ქართლი) სოფლების: ზემო და ქვემო ნიქოზის ძველი ერთიანი სახელწოდება. აქ, ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასალმა (V ს.), წარმართული სამლოცველოს (ცეცხლით საგზებლის) ადგილზე აააგო ტაძარი და განაწესა ეპისკოპოსი. სოფელ ზემო ნიქოზში შემოგვრჩა ორი ძველი ეკლესია: 1) ღვთაების ტაძარი – საეპისკოპოსო კათედრალი, აგებული V ს-ში; 2) მთავრაანგელოზის ეკლესია, აგებული X ს-ში. ღვთაების ტაძარზე შემოგვრჩა ორი ასომთავრული წარწერა: ერთი აშენების თანადროული (V ს.) და ერთიც X ს-ის. პირველი წარწერა, გვამცნობს, რომ ნიქოზის კათედრალი აუგია "პირველეპისკოპოს" ეზრას (და არა ვახტანგ გორგასალს, როგორც მიიჩნევს ჯუანშერი. საერთოდ, კათედრალურ ტაძრებს, როგორც წესი აგებდნენ ეპისკოპოსები და არა მეფეები). ნიქოზელის ეპარქიაში შედიოდა: მდ. ლიახვის ზემო წელი, დვალეთი და მთიანი რაჭა. ნიქოზის კათედრალი მდებარეობდა „დვალეთის გზაზე".

ნოსრა, ნოსორნა. სოფელი ისტორიულ კახეთში (დღეს აღარ არსებობს). XI ს-ის დასაწყისში სოფ. ნოსორნა მელქისედეკ კათალიკოსს შეუძენია და მცხეთის საკათალიკოსო მამულისთვის შეუმატებია.

ნოპატი, ნუხპატი. ციხე-ქალაქი კახეთის ისტორიულ მხარეში – წუქეთში (იხ.). შესაძლოა ის იყოს შემდეგდროინდელი ნუხა – აზერბაიჯანში. ქალაქი აუშენებია ერისმთავარ არჩილს (VIII ს.) და გაუქრისტიანებია ნუხპატელნი, რომლებიც მანამდე წარმართები ყოფილან.

ნოტკორა. სოფელი ისტორიულ კახეთში, სხვა წყაროებში არ იხსენიება, დღეს აღარ არსებობს.

ო

ოვსეთი. იხ. წ. I, გვ. 152.

ოპიზა. მდებარეობს ისტორიულ კლარჯეთში (იხ.), ამჟამად თურქეთშია, ართვინის აღმოსავლეთით, 80 კმ. დაშორებით, მდ. იმერხევის მარჯვენა სანაპიროზე. ოპიზის მონასტრის მშენებლობის ეტაპებზე და მშენებელთა ვინაობაზე მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ჯუანშერის ცნობით ის ააგო ვახტანგ გორგასლის(V ს.) ძუძუსმტემ არტავაზმა. „ქართლის ცხოვრების" მომდევნო თხზულების (ე. წ. „მატიანე ქართლისას") ცნობით, ოპიზის მონასტერი განაახლა აშოტ I კურაპალატის უმცროსმა ვაჟმა გუარამმა (IX ს.). ოპიზის განახლებაზე – „მეორედ აშენებაზე" ცნობას გვაწვდის მასზე შემორჩენილი X ს-ის I ნახევრის სამი ქტიტორული წარწერა. სამივეში ქტიტორად იხსენიება აშოტი, ხოლო ერთ-ერთში ის იწოდება კურაპალატად. ეს არის ადარნასე ქართველთა მეფის ძე აშოტ კურაპალატი (გარდაიცვალა 954 წ.)

ოპიზაში, სხვადასხვა დროს, ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწენი და მწიგნობრები: გრიგოლ ხანძთელი, მიქელ პარეხელი, გიორგი მთაწმინდელი(IX-X სს.), ათანასე ოპიზელი (XIII ს.), ილარიონ ოპიზარი (XIII ს.), ოქრომჭედლები ბექა და ბეშქენ ოპიზარები (XII ს.) და სხვ.

ოძრხე. იხ. წ. I, გვ. 152.

პ

პალესტინე. პალესტინა – ისტორიულ მხარე წინა აზიაში. დასახლებული იყო პალეოლითის ხანიდან. მხარის სახელ-

წოდება მოდის ინდოევროპული წარმოშობის ტომების – ფილისტიმელებისაგან, რომლებმაც ამ ქვეყნის სანაპირო ზოლი დაიკავეს ძვ. წ. XII ს-ში (ძველ ებრაული ფილიშთიმი – პალესტინელები). პალესტინის დანარჩენ ნაწილში, ძვ. წ. XI ს-ში შეიქმნა ისრაელ-იუდეველთა სამეფო, რომელიც ძვ. წ. 928 წ. ორ სამეფოდ გაიყო: ისრაელის სამეფოდ (ძვ. წ.928-722) და იუდეველთა სამეფოდ (ძვ. წ. 928-586). შემდგომ ხანაში პალესტინა არა ერთხელ დაუპყრიათ. ის შედიოდა აქემენიანთა ირანის, ალექსანდრე მაკედონელის, პტოლე-მეების, სელევკიდეების, რომის, ბიზანტიის, სელჩუკთა, თურქ-ოსმანთა იმპერიების შემადგენლობაში. გაეროს დადგენილებით პალესტინის ტერიტორიაზე 1948 წ. აღდგა ისრაელის სახელმწიფო.

პალესტინაში, იუდას უდაბნოში, 1952 წ. იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ აღმოაჩინა ქართული მონასტრის ნაშთი, რომლის იატაკი შემკულია მოზაიკით შესრულებული სამი ასომთავრული წარწერით. ამ წარწერებიდან ორს გ. წერეთელი ათარიღებს V ს-ის I ნახევრით და, ამდენად, მიიჩნევს დღემდე შემორჩენილ უძველეს ქართულ წარწერად (ბოლნისის წარწერაზე ნახევარი საუკუნით ადრინდელად). ეს თვალსაზრისი არაა საყოველ-თაოდ გაზიარებული: მკვლევართა ნაწილი აღნიშნულ წარწერებს უფრო გვიანი ხანით (VI ს-ით) ათარიღებს.

პაჭანიკეთი, პაჭანიკნი. იხ. წ. I, გვ. 152-153.

პეროჟა-კაფა. ციხე-ქალაქი ქართლისა და სომხეთის საზ-ღვარზე, რომელიც, ჯუანშერის ცნობით, აუშენებია რანის ერისთავს ფეროზს. სხვა წყაროებში არ იხსენიება (იხ., აქვე, განმარტებები, გვ. 122-123).

პონტო. ბერძნული შავი ზღვისპირა ქალაქი სინოპე (დღეს თურქული ქალაქი სინოპი).

რანი. იხ. წ. I, გვ. 153.

რუსთავი. ძველი ქართული ქალაქი, იხ. წ. I, გვ. 153.

საბერძნეთი. ამ სახელწოდების ქვეშ წყაროში იგულისხმება აღმოსავლეთ რომის იმპერია, ანუ ბიზანტია.

სამშვილდე. იხ. წ. I, გვ. 153.

სამშვილდის სიონი. იხ. აქვე, გვ. 107-108.

საქართველო. ჯუანშერის თხზულება ქრონოლოგიურად (VIII ს.) პირველი წყაროა, სადაც იხსენიება ტერმინი „საქართველო". თუ ეს ტერმინი ჯუანშერის ტექსტში გვიანდელი გადამწერ-რედაქტორის ჩამატებული არ არის, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ უკვე VIII ს-ში გარდა ტერმინისა „ქართლი", რომელიც გულისხმობდა ქართველი ტომების ეთნიკურ-კულტურულ-რელიგიურ ერთობას, გაჩნდა აგრეთვე „საქართველო", როგორც ამ ტომების სახელმწიფოებრივი ერთობის აღმნიშვნელი, სადაც იგულისხმებოდა, როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი საქართველო და დაფიქსირებული იყო საზღვარი ბიზანტიასთან მდ. კლისურზე (დღ. კელასური). ჯუანშერის თხზულების შემდეგ „ქართლის ცხოვრებაში" ტერმინი „საქართველო" და „ყოველი საქართველო" (ადრე: „ყოველი ქართლი") პირველად იხსენიება დავით აღმაშენებლის ისტორიაში.

საძმორი. ისტორიულ-გეოგრაფიული პუნქტი კახეთში. იხსენიება მხოლოდ ჯუანშერთან, დღეს აღარ არსებობს.

სვეტიცხოველი. XI ს-ის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ქ. მცხეთაში, ყველაზე დიდი საეკლესიო ნაგებობა სა-

ქართველოში, დღემდე შემორჩენილთა შორის. ქართლის პატრიარქთა კათედრალი V-XVIII სს-ში. აქ, ჯერ კიდევ მირიან მეფემ, წმინდა ნინოს რჩევით, ხის ტაძარი ააგო, ვახტანგ გორგასალმა კი – ქვის კათედრალი და დასვა აქ პირველი პატრიარქი პეტრე. დაზიანებული ბაზილიკის ადგილას, კათალიკოსმა მელქისედეკმა 1010-1029 წლებში ააგო ახალი ტაძარი (ხუროთმოძღვარი – არსუკისძე). სვეტიცხოვლის მხატვრობა განახლებულია გვიანშუასაუკუნეებში. ტაძარი თემურლენგის შემოსევის შედეგად დაზიანდა. განაახლა საქართველოს მეფემ ალექსანდრე I-მა (XV ს-ის I ნახ.). ტაძრის გალავანი 1787 წ. ააგეს ერეკლე II-ის ბრძანებით. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილია IV დაV სს-ში აგებული საძირკვლის კვალი და ტაძრის გეგმა.

სივნიეთი. სომხეთის ერთ-ერთი ისტორიული მხარე სიუნიქი. მდებარეობდა სომხეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (ზანგეზურის ტერიტორიაზე). X-XII სს-ში აქ არსებობდა სომხური სამეფო. 1170 წ. დაიპყრეს სელჩუკებმა, XIII ს-ში – მონღოლებმა.

სიკილია. პალესტინის ნაწილის ძველი სახელწოდება.

სინდეთი. ისტორიული მხარე პაკისტანის სამხრეთ-აღმო-სავლეთ ნაწილში, მდ. ინდის ქვემოწელზე, კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ძვ. წ. III-II ათასწლეულებში აქ იყო პრტოინდური სახელმწიფო. ძვ. წ. VI ს-ში დაიპყრო აქემენიდურმა ირანმა, IV ს-ში – ალექსანდრე მაკედონელმა, VIII არაბებმა. ამჟამად პაკისტანის ერთ-ერთი პროვინციაა.

სინდია, სინდილა. სინდეთის ისტორიული ქალაქები.

სიონი ტფილისისა. ღვთისმშობლის მიძინების, საპატრიარქო, ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი თბილისში, მტკვრის მარჯვენა დაბალ სანაპიროზე, აგებული VI ს-ის II ნახევარში, ქართლის ერისმთავრების მიერ. ტაძარი გარეშე მტრებმა ბევრჯერ დაანგრიეს, რამდენჯერმე განახლებულ იქნა, უკა-

ნასკნელად – XIX ს-ის დასაწყისში. იმავე საუკუნის შუა წლებში ხელახლა მოიხატა რუსი მხატვრის გ. გაგარინის ესკიზების მიხედვით.

სიონი დიდი. იგულისხმება მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარი.

სპარსეთი. ირანის სახელწოდება 1935 წლამდე, როცა ამ სახელმწიფოს ოფიციალურად ეწოდა ირანი. სპარსელ ტომებს (ფარსები) გაბატონებული მდგომარეობა ეჭირათ აქემენიდურ სახელმწიფოში. შემდგომში სპარსეთის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე არაბი, თურქი და მონღოლი ტომები. VII ს-მდე სპარსელები ზოროასტრიზმს (მაზდეანობა) მისდევდნენ. VII ს-ში არაბების მიერ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ აქ გავრცელდა ისლამის შიიტური მრწამსი.

სპერი, სპერის ზღვა. იხ. წ. I, გვ. 154.

სტერი. ქალაქი ამისო, ამჟამად ქ. სამსუნი თურქეთში.

სვანეთი. იხ. წ. I, გვ. 154.

ტაო, ტაოსკარი. იხ. წ. I, გვ. 154.

ტ

ტარონი. სომხეთის ერთ-ერთი ისტორიული მხარე.

ტასისკარი. იხ. წ. I, გვ. 154.

ტაშირი. იხ. წ. I, გვ. 154.

ტონთიო. ისტორიული სოფელი ჯავახეთში. ჯუანშერის ცნობით ბიზანტიის კეისარმა ჰერაკლემ (610-641 წწ.) საქართველოში ლაშქრობის დროს ქართლისა და ჯავახეთის საგანძური დაფლა „გორს", რომელსაც ეწოდა ტონთიო (ბერძნულად „ოქროს მთა"). ვახუშტი ბატონიშვილმა (XVIII ს.) აქ მოხსენებული „გორი" გაიგო არა მთის მნიშვნელობით, როგორც ამას გულისხმობდა ჯუანშერი, არამედ, როგორც ქალაქი გორი, რის შემდეგაც დამკვიდრდა მცდარი თვალსაზრისი, რომ ქ. გორის ადრინდელი სახელწოდება

იყო ტონთიო. სინამდვილეში, როგორც უკვე აღნიშნეთ, ტონთიო ჯავახეთის ერთ-ერთი სოფელია. ის იხსენიება XI ს-ის დოკუმენტში – მელქისედეკ კათალიკოსის დაწერილში, რომლის ცნობით ეს სოფელი სვეტიცხოვლის საყდრისთვის შეუძენია კათალიკოსს. ამჟამად სოფელი აღარ არსებობს.

ტფილისი. იხ. წ. I, გვ. 154.

ურაჰა. ისტორიული ქალაქი წინა აზიაში, იგივე ედესა, ამჟამად ქ. ურფა სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში.

უჯარმა. იხ. წ. I, გვ. 155.

უჯარმის კარი. ჯუანშერი "უჯარმის კარს" უწოდებს ნინო-წმინდას, რომელიც მდებარეობდა ქ. უჯარმის ახლოს (იხ. ნინოწმინდა)

ფარავანი. იხ. წ. I, გვ. 155.

ფილისტიმი. პალესტინა (იხ.).

ქართლი. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული მხარე, ფართე გაგებით – მთელი აღმოსავლეთი და სამხრეთი საქართველო, VIII-X სს-ში – მთელი საქართველო. „საქართველოს" წინამორბედი ტერმინი. ეტიმოლოგიურად მას უკავშირებენ ან სატომო სახელს (ქართი), ან ინდოევროპულ „ქართას" (შემოღობილი ადგილი, საიდანაც წარმოიქმნა ზოგ ინდოევროპულ ენაში ქალაქის სახელწოდება, შეადარ. „გრად", „გოროდ", ზოგში კი ბაღის სახელწოდება, მაგ. „გარდენ", „გართენ"). „ქართლის ცხოვრების" მიხედვით სა-

ხელწოდება უკავშირდება ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქის ქართლოსის სახელს. ქართლი ერქვა თავდაპირველად ქართლოსის პირველსაცხოვრებელს – მთას. ქართლი იყოფოდა სამ ისტორიულ მხარედ: შიდა ქართლი („ზენა სოფელი"), ქვემო ქართლი და ზემო ქართლი (მესხეთი). ქართლის ჰეგემონობით ჩამოყალიბდა აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფო, რის შედეგაც ამ ტერმინმა მოიცვა მთლიანად აღმოს. და სამხრეთ საქართველო, ხოლო შემდეგ საფუძველი დაუდო ტერმინ „საქართველოს". ჯუანშერი განსაზღვრავს ქართლს მტკვრის სათაკიდან ხუნანამდე (იხ.).

ქუთათისი. საქართველოს უძველესი ქალაქი. მის ტერიტორიაზე, არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ადამიანს უცხოვრია უკვე ქვედა პალეოლითის დროიდან. ამ დროის ძეგლებიდან აღსანიშნავია თეთრამიწა, საგვარჯილე, საკაჟია. თეთრამიწის გორაზე და საგვარჯილეში ენეოლითური და ადრებრინჯაოს ხანის ფენებიცაა გამოვლენილი. ქალაქს წერილობით წყაროებში პირველად იხსენიებს ძვ. ბერძენი მწერალი აპოლონიოს როდოსელი (ძვ.წ.III ს.) თავის პოემაში – „არგონავტიკა", კუტაიას სახელით. VI-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი მას იხსენიებს კუტაიონის სახელით. ჯუანშერის ცნობით ქუთაისი იყო ქართლის ერისმთავრების ერთ-ერთი რეზიდენცია (VII-VIII სს). VIII ს-ის ბოლოს ის იქცა დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოს („აფხაზთა სამეფოს") დედაქალაქად, X ს-ის ბოლოდან 1122 წლამდე ის იყო საქართველოს სამეფოს დედაქალაქი, ხოლო საქართველოს სამ სამეფოდ დაშლის პერიოდში (XV-XVIII სს.) – იმერეთის სამეფოს დედაქალაქი. ქუთაისი არაერთხელ დაარბიეს გარეშე მტრებმა (ბიზანტიელებმა, ირანელებმა, მურვან-ყრუმ, თურქმა-სელჩუკებმა, ოსმალებმა). ქუთაისი ძველი საართველოს მნიშვნელოვანი კულტურული კერა იყო. 1106 წელს აქ დააარსდა გელათის აკადემია, 1800 წ. - სტამბა. XIX ს-ის ბოლოს გაიხსნა ქართული გიმნაზია, პრო-

ფესიული თეატრი. ქუთაისში მოღვაწეობდნენ ქართული კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ქურდისხევი. ქვემო ქართლის ისტორიული მხარე მის უკიდურეს აღმოსავლეთში.

შ

შაკიხი. იგივე შაქი. ძველად ჰერეთის მხარე.

შამი. სირიის ძველი ქართული სახელწოდება.

შიდა ეგრი. დას. საქართველოს დასავლეთი ნაწილი, ოდიში. ჯუანშერის ცნობით ვახტანგ გორგასლის დროს ქართლის სამეფო მოიცავდა მთელ საქართველოს, სადაც, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს გარდა, შედიოდა დასავლეთ საქართველოც: შიდა ეგრი (ეგრისი, ციხე-გოჯარქეოპოლისის მხარე), სვანეთი, მარგვი (არგვეთი – ზემო იმერეთი) და თაკვერი (რაჭა-ლეჩხუმი), ამ ისტორიულ მხარეებს განაგებდა ქართლის მეფის ორი ერისთავი.

შიდა ქართლი. იხ.წ. I, გვ. 156.

შიმშატი. იხ. აქვე, გვ. 136.

შორაპანი. იხ.წ. I, გვ. 156.

შუამდინარე. ჯაზირეთი, მესოპოტამია (ტიგროსისა და ევფრატის შუამდინარეთი).

შულავერი. სოფელი ისტორიულ ქვემო ქართლში, მარნეულის რაიონში, ხრამისა და დებედას შუამდინარეთში. აქ, მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, გამოვლინდა ადრინდელი ხანის სამიწათმოქმედო ნამოსახლარი – „შულავერის გორა", რომლის ზედა დონეზე აღმოჩნდა ადრინდელი ბრინჯაოს ხანის (მტკვარ-არაქსის კულტურის) ნაშთები. შულავერი იხსენიება XVII-XVIII სს-ის ისტორიულ დოკუმენტებში, როგორც ქართლის მეფის ერთ-ერთი სამოურავო.

ჩ

ჩელეთი. ისტორიული კახეთის უძველესი ცენტრი, მდ. ივრის ხეობის ზემო წელზე, რომლის სახელი „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, თავდაპირველად იყო „ბერ". ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) ცნობით ის იგივე გვიანდელი პერიოდის ჟალეთია. ჯუანშერის ცნობით, აქ ვახტანგ გორგასალმა დააარსა საეპისკოპოსო კათედრა. შემდგომში, როგორც ჩანს, ჩელეთის ეპარქია შეერიდა ალავერდელის სამწყსოში.

ც

ციხე გოჯი. ბერძნული წყაროებით არქეოპოლისი („ძველი ქალაქი"), ეგრისის ცენტრი. მდებარეობდა დღევანდელი ნოქალაქევის ადგილზე, სენაკიდან 17 კმ. მანძილზე.

ცურტავი. ისტორიული ქალაქი ქვემო ქართლში, ახლანდ. მარნეულის რაიონში. მდინარეების ქციისა და დებედას შუა დაბლობზე. სომეხი ისტორიკოსის უხტანესის (X ს.) ცნობით ცურტავს X ს-ში გაჩიანი ეწოდებოდა. ცურტავი V ს-ში ქართლის პიტიახშის მამული იყო. ამავე ს-ში აქ არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა. ცურტავში მოღვაწეობდა „შუშანიკის მარტვილობის" ავტორი იაკობ ხუცესი. აქვე აღიზარდა V-ს-ის სომეხი ისტორიკოსი ლაზარე ფარპეცი.

ცხენის ტერფი. გეოგრაფიული პუნქტი ქვემო ქართლში. ზუსტი მდებარეობა გაურკვეველია.

ცხენისწყალი. მდინარე დას. საქართველოში, აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონში, ერთვის შავ ზღვას. ჯუანშერი, მდინარის სახელწოდების მიხედვით, თხზავს ლეგენდას, თითქოს ამ წყალმა ადიდების შედეგად დაახრჩო მურვანყრუს მხედრობის 35 ათასი ცხენი.

ცხუმი. ქ. სოხუმის ადრინდელი ქართული სახელწოდება. სოხუმი „ცხუმის" თურქიზებული ფორმაა. ჯუანშერის ცნობით ის ყოფილა აფშილების (იხ.) ქალაქი.

წ

წანარები. მთიელი ტომები, რომლებიც უძველესი დროიდან ბინადრობდნენ დარიალის ხეობაში, რის მიხედვითაც ამ მხარეს წანარეთი ეწოდებოდა (არაბული წყაროების – სანარია). აღნიშნული მხარე VIII-IX სს-ში კახეთის სამთავროს შემადგენელი ნაწილი იყო. წანარები აქტიურ როლს თამაშობდნენ VIII-XI სს-ის კახეთის სახელმწიფოს ცხოვრებაში. იხ. აგრეთვე, აქვე, გვ. 175.

წუნდა. იხ. წ. I, გვ. 157.

წუქეთი. მხარე შუასაუკუნეების აღმოს. საქართველოში, ისტორიულ ჰერეთში (ახლანდ. აზარბაიჯანის რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთი რეგიონი, ძველი საინგილოს ნაწილი, დაღესტნის მიმდებარე მთიანეთითურთ). V ს-ში შედიოდა ქართლის სამეფოში და მას მთავარი განაგებდა. VIII ს-ის ბოლოდან ჰერეთის სამთავროს (შემდგომში სამეფოს) ერთ-ერთი საერისთავო იყო. XVI ს-ში ის კახეთის სამეფოს ერთ-ერთი სამოურავო იყო. XVII ს-ში აქ შეიქმნა ე.წ. ელისუს (კაკის) სასულთნო. ისტორიული წუქეთის ტერიტორიაზე შემორჩენილია ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები: ყუმის სამეკლესიანი ბაზილიკა (VIII ს.) და ლექეთის ტაძარი (VIII-IX სს.).

წყაროსთავის ეკლესია. შუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ბაზილიკა, აგებული, ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასლის ძის მირდატის მიერ. მდებარეობდა ისტორიულ ჯავახეთში, კარწახის ტბის ნაპირას (ამჟამად თურქეთშია). ძეგლი აღარ არსებობს, 70-იან წლებში ის მთლიანად დაანგრიეს. წყაროსთავის საეპისკოპოსო მოიცავდა ტერიტორიას მდ. მტკვრის აღმოსავლეთით, არტა-

ნიდან ყარსის მთებამდე. 1902 წ. ძეგლი ნახა და აღწერა ექვთიმე თაყაიშვილმა. წყაროსთავი ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი კერა იყო. შემოგვრჩა აქ გადაწერილი მრავალი წერილობითი ძეგლი, მათ შორის წყაროსთავის სახარება, გადაწერილი 1195 წ. იოანე ფუკარალისძისა და გიორგი სეთაისძის მიერ.



ჭერემი. შუა საუკუნეებში ქალაქი ისტორიულ ჰერეთში, დღევანდ. გურჯაანის რაიონში, სოფ. ჭერემის დას-ით 5 კმ. მანძილზე. დაარსებულია ვახტანგ გორგასლის მიერ (V ს-ის II ნახ.). მან აქვე დააარსა საეპისკოპოსო კათედრა, რომელიც არსებობდა XVIII ს-ის შუა ხანებამდე. 1757 წელს, დაღესტნელთა თავდასხმების შედეგად გაპარტახებული ჭერემის ეპარქია ალავერდის, ბოდბისა და ნინოწმინდის საეპისკოპოსოებს დაუნაწილეს.

ხაზარები, ხაზარეთი. იხ. წ. I, გვ. 157.

ხერკი. ისტორიული მხარე შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, მდ. არაგვის სამხრეთით (ახლანდელი მცხეთისა და დუშეთის რაიონების ნაწილი). ხერკის მხარის ცენტრი იყო ზედაზნის ციხე. ადრეშუასაუკუნეებში ხერკი მუხრანთან ერთად ერთ მხარეს ქმნიდა. XII ს-ის დასაწყისში დავით აღმაშენებელმა შეიერთა ზედაზნის ციხე, რამაც განაპირობა კახეთის შერთება საქართველოს სამეფოსთან. 1616 წლის დოკუმენტებში იხსენიება ხერკის ხევი.

ხიდარი. ისტორიული ციხე კახეთში, რომელიც, „ქართლის ცხოვრების" ცნობით, ააგო მეფე ვარაზ-ბაქარმა (IV ს.).

ჯუანშრის ცნობით ერისმთავარ არჩილის დროს ხიდარი უკვე ნაციხარი იუო. ხიდარის ზუსტი მდებარეობა უცნობია.

ხორნაბუჯი. შუასაუკუნეების ციხე-ქალაქი საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ მხარეში – კამბეჩოვანში (ბერძნული წყაროების კამბისენა.). შემდგომში ეს მხარე ქიზიყის სახელწოდებითაა ცნობილი. ხორნაბუჯის ნანგრევები შემორჩენილია ახლანდელი დედოფლისწყაროს მახლობლად. ჯუანშერის ცნობით, აქ ვახტანგ გორგასალმა დააარსა საეპისკოპოსო კათედრა. VIII ს-დან ხორნაბუჯი ჰერეთის ერთ-ერთი საერისთავოს ცენტრი ხდება.

ხუნანი. ისტორიული ციხე ქალაქი ქვემო ქართლში, ხუნანის საერისთავოს ცენტრი. მდებარეობდა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მდ. თაუზჩაის ჩრდილო-აღმოსავლეთით, თოფრაქყალის მთასთან. ამჟამად აზერბაიჯანის ფარგლებშია.

ხუნზები. (იგივე ხუნძები) დაღესტნური ტომი, რომელიც, ჯუანშერის ცნობით, თუშებთან ერთად, V-VIII სს-ში შედიოდნენ წუქეთის საერისთავოში (იხ. წუქეთი).

ჯავახეთი, საერისთავო. ფარავნიდან და ტასისკარიდან სპერის ზღვამდე. იხ. წ. I, გვ. 157.

ჯაზირი, ჯაზირეთი. შუამდინარეთი, მესოპოტამია.

ჯაჭვი. ისტორიული სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში" იხსენიება ქართლის მეფის ფარსმან ქველის (II ს. პირველი ნახევარი) დროს, ხოლო ჯუანშერის თხზულებაში ვახტანგ გორგასლის დროს. უკანასკნელად იხსენიება 1579 წ. ალექსანდრე კახთა მეფის სიგელში, რომელმაც განუახლა სოფელი ჯაჭვის შეწირულობის სიგელი სვეტიცხოვლის საყდარს. სოფლის ზუსტი მდებარეობა გაურკვეველია.

ჯვარი. 1. **ჯვარი პატიოსანი.** იგულისხმება მცხეთის ჯვრის ტაძარი, რომლის შენება, ჯუანშერის ცნობით,

დაიწყო ერისმთავარმა გუარამმა (გურგენმა), გააგრძელეს ერისმთავარმა სტეფანოზ I-მა და მისმა ძმამ დემეტრემ და დაასრულა ადარნასე ერისმთავარმა (VII ს.), ზღუდე კი შემოავლო ერისმთავარმა სტეფანოზ II. სინამდვილეში მცხეთის ჯვრის ეპიგრაფიკული ძეგლებიდან (მის კედლებზე შემონახული წარწერებიდან) ჩანს, რომ მცხეთის ჯვრის შენება დაიწყო და დაამთავრა ერისმთავარმა სტეფანოზ I-მა (591-604 წწ.). 2.ისტორიულ-გეოგრაფიული პუნქტი არმოსავლეთ საქართველოში, რომელიც, ერისმთავარმა არჩილმა (VIII ს. დასაწყისი), ჯუანშერის ცნობით, ხერკთან, თბილისთან და მანგლისის ხევთან ერთად, მისცა მეექვსე სიძე-ერისთავს – ჯუანშერ ჯუანშერიანს.

ჯილა. მდინარე ტიგროსი.

ჯიქეთი, ჯიქნი. იხ. წ. I, გვ. 157.

ჯორჯანეთი, ჯორჯანელნი. კასპიის ზღვის აღმოსავლეთით მდებარე მხარე - გურგანი. ჯორჯანეთი გურგანის არაბიზირებული ფორმაა. გურგანსა და მის ჩრდილოეთით მდებარე ველებზე ჰუნური მოდგმის ტომები მომთაბა-რეობდნენ. მათთან ხანგრძლივ ბრძოლებს აწარმოებდა ჯერ კიდევ პეროზის მამა ირანის შაპი იეზდიგერდ II (439-457 წწ.), შემდეგ კი შაპი პეროზი (459-484 წწ.), რომელიც მათთან ბრძოლას შეეწირა კიდეც (484 წ.).

ჰერეთი. იხ. წ. I, გვ. 158.

ჰინდოეთი. იხ. აქვე, განმარტებები, გვ. 140.

ჰრომი. 1. ქვეყანა და ქალაქი რომი. 2. საბერძნეთი – ბიზანტია. 3. **ჰრომნი** ბერძნები (ბიზანტიელები). 4. **ჰრომოს** – ქ. რომის ამშენებელი.

ჰურია. იხ. წ. I, გვ. 158.

სარჩევი

I. ჯუანშერ ჯუანშერიანი.
ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა..... 3.
ცხოვრება ვახტანგ გორგასლის
შემდგომთა მეფეთა..... 67.
II. ლეონტი მროველი.
წამება წმინდისა არჩილისა..... 91.
III. ბოლოთქმა..... 95.
IV. განმარტებები
ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა..... 106
ცხოვრება ვახტანგ გორგასლის
შემდგომთა მეფეთა 147
წამება წმინდისა არჩილისა..... 175
V. გეოგრაფიულ და ეთნიკურ
სახელთა განმარტებები..... 178.

სააქციო საზოგადოება
"პირველი სტამბა"
თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50